

K 76.272  
3





# ვაჟა-ფშაველა

ო მ ა ი ა ი თ ა ი

ც ც ც ც ც ც პ ი

აღ. აბაშილის ჩიდაწვით

K 76.272  
3

სახელმწერო განაცვალობა  
თ ვ ი წ ი წ ი



სახელმწიფო მუზეუმი

0 6 6 6 0 6

სახელგამის 1-ლი სტამბა,  
პლექა: ლეის გამშირი № 91.  
მთავარლიტის № 928.  
შეკვ. № 670. ტიტ. 5100.

1932

2

9162

725

# მესა-თოსკოს

პ რ გ ბ ი ბ ი ბ ი

## ახუნდი

(ძველი აზბავი)

### I

იყო ძველ დროში ახუნდი,  
 კაცი გათქმული ქველობით.  
 თვით მოლა იყო ეფენდი,  
 მეჩეთს მწირველი ხელობით,  
 და თავს იქტდა მუდამა  
 ქვრივთა და ობოლთ მცველობით.  
 თვის მრევლსაც მასვე ურჩევდა,  
 მეჩეთის ბანით ჰყვიროდა,  
 დავრდომილთ დახმარებაზე  
 რჩევასა არა ძვირობდა,  
 მის სიმართლეს და სიწმინდეს  
 მთელი ქვეყანა ჰყვირობდა.

დილით გამოვა ქუჩაზე  
 თავ-შებურვილი ჩალმითა,  
 ჩიტთა, ბუზთა და ჭინჭველთა  
 ეგებებოდა სალმითა.  
 ნელ-ნელა მოაბიჯებდა,  
 ძირს ჩალუნულის თავითა.  
 თუ ვის ჩქარ-მავალს პნახავდა,  
 აივსებოდა ბრაზითა:

„ბრიყვნო, ულვთონო, ცოდვილნო! —  
 უკიუინებდა გროვასა: —  
 „თავ-ალებულნი რომ გარბით,  
 „წინ დაიხედეთ ცოტასა;  
 „აქ რომ ჭინჭველა მიცოცავს,  
 „ფეხით რად სთელავთ იმასა?  
 „ნეტავ სით დაემალებით  
 „იმ სატანჯელსა ლვთისასა?!”“

თითონ ფეხთ ექვნები ება,  
იარებოდა დინჯადა,  
რომ მწერთა ცოდვა და სისხლი  
წმინდანს არ ელო კისრადა.

## II

მაგრამ რო შაბინდღებოდა,  
მიიძინებდენ ყველანი,  
უნდა გენახათ ახუნდი  
და მისნი ქალაგებანი!  
მოლის ტანსაცმელს იხდიდა,  
ფარ-ხმალ-ზუჩშია ჯდებოდა,  
სად დუქნებს სტეხდა, ხალხს სცრცვიდა,  
სად სრა-სახლებში ძერებოდა;  
არც ქვრივ-ობოლთა ზოგავდა,  
ვინ იცის, რასა შვრებოდა!..  
ურიცხვი ჰქონდა ნადავლი,  
მიტოლებული სარდაფსა...  
დღე ისევ გამოდიოდა,  
სცემდა სიწმინდის დაფ-დაფსა.

დაუნაშავართ იჭერდენ,  
არჩობდენ, ჰელეტდენ ჯალათნი,  
ვითომ იმათვან იცარცვის,  
აკლებულია ქალაქი.  
საწყლები ხატ-ლმერთს ჰფიცავდენ,  
იხოშებოდენ ცრემლადა:  
„არა გვაქვს დანაშაული“, —  
ყველა იძახდა ერთ-ხმადა.  
ახუნდზე ვინ რას იფიქრებს,  
ცნობილა ქვეყნის ლმერთადა?!

## III

ერთხელ ყეინთან მოვიდა  
მოხუცი ოხვრა-ტირილით  
და შაევედრა მეფესა  
ყელ-გადაგდებით, ჩივილით.

— საჩივარი მაქვს, ბატონო,  
გთხოვ მომისმინო თხრობილი,  
და ნუ შემრისხავ ამაზე,  
რადგან მეფე ხარ ცნობილი.  
— აბა რას სჩივი, მოჰყევი...  
არ კი იყბელი მრუდია,  
თორემ, ხომ იცი, რომ მაშინ  
საქმე მოგივა ცუდია.  
ამდენი ჯალათთა ჯარი  
აქ იმიტომა ჰყუდია,  
რომ ვინც ამიოდ გვაწუხებს,  
იმას გულში ჰკრან შუბია! —  
სთქვა მედიდურად ყეინმა...  
ოქროს ჩიკაზე ჰყუნთია,  
ყალიონს სწევდა, თან გვერდით  
ედგა თუთუნით ყუთია.  
— სიმართლეს გიტყვი, მეფეო,  
ჩემის შვილების ლხენამა.  
სიცრუე მეფის წინაშე  
როგორ უნდა თქვას ენამა?  
ოთხმოცის წლისა ვიქნები,  
ვინ მნახა; ამის მეტადა,  
თქვენთან საჩივრით მოსული  
სიცრუის დასაყბედადა?

წუხელ ახუნდი დაგვეცა,  
წმინდანად რომ ვთვლით თათრები,  
ის იყო, ნამდვილად ისა,  
სულ დაგვიგნია დავთრები!  
რაც რამ მებადა წამართვა,  
დამიწიოკა ბალლები.  
საჩეჩელიც კი გამტაცა,  
რით-ლა დავჩეჩო მატყლები? —  
თუ ეხლავ კვალზე მივყვებით —  
ვიპოვით, დაუმცდარია,  
ჩემს საჩეჩელზე ნიშნადა  
ძირის ფიცარზე მოვარეა.

მიშველე, თავს შემოგევლე,  
მოვძებნოთ, შემიბრალია!  
ყეინი ფრიად განრისხდა,  
ვით მეფეთ წესი არია,  
შემოუყვირა მსახურთა:  
„ეს დედაკაცი მთერალია!  
თუ მთერალი არა, უთუოდ,  
ეტყობა, ჭყვაზე მცდარია.  
ახუნდზე, პხედავთ, რას ამბობს,  
რაებსა სჩმიახუს სულელი?!  
ჩემის სამეფოს დიდების  
ჩირქის მოცხების მსურველი.  
მობრძანებულა ჩემთანა,  
ჩემის გულისა ჭირადა,  
ეს ჩემი შეურაცხყოფა  
უნდა დაუსვა ძვირადა:  
კუდზე მოაბით შავს ცხენსა,  
ისე გაუშვით მინდვრადა,  
რასაც დღეს ფიქრობს, ის ხვალე  
ალარ მოუვა ფიქრადა.  
დაუნაშავრად მოხუცი  
გახდა სანიშნე ფიცრადა.“  
ჯალათთ რა ესმათ ბრძანება,  
ასრულდა ნება მეფისა,  
და გაიფანტა ველზედა  
ომა და ძვალები ბებრისა.

#### IV

გავიდა ცოტა რამ ხანი,  
ახლა სხვა ჩნდება მჩივანი,  
ახუნდის ავაზაკობის  
უფრო ხმა-მალლა მყივანი.  
შეწუხდა ფრიად ყეინი.  
შეწუხდა მისი მდივანი.  
ისიც ცხენს დააჩქლეთინეს,  
ცხარე ცრემლების მცვივანი.

ოცი სხვა მოდის კიდევა  
ახუნდ-წმინდანის გმობითა,  
მიპმართეს მეფის სრა-სახლსა  
ვაით და ერთის ყოფითა.

კარის დარაჯთა ეს გროვა  
ვერ შეიმაგრეს თოფითა.

შეძევედრა გროვამ ყეინსა  
დიდის საღმით და ჩოქითა:

„აი, დაგვხოცე მეფეო,  
„შენს ნებასა ვართ ყველაო,  
„ხოლო სიმართლის თქმისადა  
„რად გინდა ჩვენი გვემაო?  
„ჩვენ თვითაც ვკვირობთ, ახუნდი  
„ხალხში როგორა დგებოდა?!..  
„რას ვიფიქრებდით, თუ იგი  
„ყაჩალი გამოდგებოდა!

„ნათქვამს არ დავიჯერებდით,  
„რომ არ გვენახა თვალითა

„თოფ-იარაღში ჩამჯდარი,  
„ხელში შიშველის ხმალითა.  
„გვაროთმევდა სარჩო-საბაღსა  
„წმინდანი კაცი ძალითა.

„განა არ გვიჭირს ამის თქმა,  
„განა არა გვწყინს რაც ვნახეთ?  
„როგორ დავმალოთ, არა ესთქვათ,  
„როცა ვიცანით მის სახე?  
„მობძანდით, თქვენაც იხილეთ  
„სახლის ძირითა სართული, —  
„ვიცით, ახუნდი იქ არის  
„სიმდიდრის თვლაში გართული“.

მაშინ წამოდგა ჰუსეინ  
ვაზირი, კაცი ჰქვიანი,  
და მოახსენა მეფესა  
სიტყვა წყნარი და ფხიანი:  
— „ჩვენო მხეო და მთვარეო,  
„მფარეველო თათრის ერისა,  
„მეფეთ-მეფეო ძლიერო,

„რისხეის მიმცემო მტერისა!  
 „გთხოვ, მოისმინოთ ნათქვამი  
 „თქვენისა მიწა-მტცერისა.  
 „ეს ამოდენა დუნია  
 „რომ აღარ იშლის, ჰყვირისა,  
 „უნდა წამალი ვეძიოთ  
 „ამ საქმის გასაჭირისა,  
 „წმინდანს რა დაუშავდება—  
 „სახლი გავჩხრიკოთ იმისა?“  
 ყეინმა „ბალი“ დაუკრა, მ ამავ,  
 გროვაც აღარა სტირისა.

## V

შებინდდა. მოლა ახუნდიმ  
 სხეა ტანსაცმელი ჩაიცვა: აფინი  
 ტანზე აისხა აბჯარი,  
 პირზე ნახშირი წაისვა.  
 მას ზნედა სჭირდა ერთი რამ:  
 ვიდრე სადავლოდ გასწევდა,  
 ინახულებდა სალაროს,  
 ნივთებს სწმენდდა და არხევდა,  
 ზოგს აკოცებდა, სხეას ჰზომდა,  
 ზოგს ორის ხელით ასწევდა.  
 ეხლაც სარდაფში ჩავიდა,  
 მიავლ-მოავლო თვალია,  
 სად ოქრო-ვერცხლი ელაგა,  
 კალა, სპილენძი, რვალია,  
 თავ-თავისთვის აქვთ საწყობი,  
 შუაზე გასაგალია,  
 თვალ-მარგალიტი მრავალი,  
 არ დაეტოვა ძვალია,  
 რაც კი მოეგდო ხელადა,  
 ყველა აქ მოუტანია.  
 ნივთები უკლებლად ნახა:  
 შეხტა, შეროკდა წმინდანი,  
 ნავარდობს თავბრუ-დასხმული,

როგორც ქადაგი მისანი,  
 რატომაც არ იტლინკებდა?—  
 ასრულდა მისი მიზანი:  
 ხალხში წმინდანად ითვლება  
 კარგი სიტყვით და რჩევითა,  
 სიმდიდრეც შეუძენია  
 ავაზაკურის ქცევითა.

როცა ამ ყოფაში იყო,  
 ბუქნას უვლიდა ახუნდი,  
 თავზე დაესხა ხალხისა  
 აურაცხველი მას გუნდი.  
 იქვე მობძანდა ყეინიც  
 თავის წოპ-წოპა ქუდითა,  
 მისი მხლებელნი ვეზირნი—  
 ფარებითა და შუბითა.

გგონიათ შეკრთა ახუნდი  
 და მტერს დაუხვდა ჩხუბითა?  
 თუმცა გაიგო ამბავი,  
 არ შეიცვალა ფერია:  
 იმედობს, კვლავ მოატყუოს  
 ბნელით მოცული ერია.

— მობძანდით, მეფევ, მობძანდით,  
 თქვენი დანახვა მწყურია,  
 აი, სადამდის მიაღწევს  
 ხალხის მტრობა და შურია,  
 ჩემთვის სიწმინდე შექშურდათ,  
 მეც კი მომაცხეს მურია!

— როგორ? რა შური, მოლაო?!—  
 სთქვა შუბლ-შეკრულმა ყეინმა,  
 ყურები ააცქვეტინა  
 ყველას ახალმა სეირმა.

— ისა, რომ ჩემი სარდაფი  
 ქურდებს დაუდვავთ ბინადა,  
 საცა რამ მოუპარიათ  
 და რაც რეებიათ წილადა,  
 ყველა აქ მოუზიდნიათ,  
 აქ დაუდვიათ წყობითა,

რომ ვიქმნე შეჩენებული  
 ხალხის წყევით და გმობითა.  
 ვინა ქმნა ასეთი საქმე,  
 ნეტა ვიცნობდე ცნობითა?!  
 — მაშ, შენ არა ხარ ჩამდენი  
 ამ ბოროტების, მელაო?  
 მაშ ეგ საცმელი რა არის,  
 აბჯარი მაგოტელაო?!  
 ან სახე ნახშირიანი,  
 ავაზაური ოინი?  
 „ავაზაკია, ეგ არი!“ —  
 აყვირდა ხალხის ბოინი.  
 — სსუთ! დამაცადეთ, — სთქვა მოლამ, —  
 ნუ კი აპყვირდით ყველაო,  
 აბჯარი მიტომ ავისხი,  
 მინდა საწყლების შველაო,  
 ყარაულობა მეწადა  
 აქვე სარდაფში ფარულად.  
 როს მოვიდოდენ ქურდები,  
 ნივთებს ჰჭიდავდენ მალულად,  
 სულ გამეულიტა წყეულნი,  
 მინდოდა, ხალხის მცარცველნი,  
 მიტომ ჩავიცვი ტანთ ასე,  
 იარალიც მაქვს ამდენი.  
 — ვის უნდა უყარაულო?! —  
 თითონ შენა ხარ მელაო,  
 კიდევ გვატყუებს, არ შეჰრცხვა! —  
 ერთხმად იძახდა ყველაო.  
 გასინჯეს მელას სალარო,  
 სცნეს დანაკარგი თვისია,  
 აქ იყო ვინც რა დაკარგი  
 ნივთი ვერცხლის თუ რქისია.  
 — მაშ შენ არა ხარ? — სთქვა მეფემ,  
 სახე მიიღო მქისია, —  
 ტყუილად ცილი დაგწამეს,  
 ჩანალინარი სხვისია?

— სწორედ ეგრეა, რას ბძანებთ,  
მაჰმალსა ვფიცავ, სწორია,  
თუ რამ გსმენიათ ჩემზედა—  
ცილის-წამება, ჭორია.

აბორგნდა გროვა ფრიადა,  
ზლვა არის, სწორედ, მღელვარე,  
სახით საკირედ ქცეული,  
ალის და მურის მგზნებარე.

აღარც ვეზირებს უსმინეს,  
ბევრი არცა-რა ყეინსა,  
დაესხნენ ერთად ახუნდის,  
რას დააყრიდენ ხეირსა?...  
ზოგმა ფეხები დასტაცა,  
ზოგი მიათრევს წვერითა,  
სხვა მუშტებსა სცემს თავშია,  
ვით გრდემლს მჟედელი კვერითა.

ბევრი ამუქრა გროვასა  
ახუნდიმ მაჰმალ, ალია.  
მაინც ვერ გახდა ვერაფერს,  
მტრის ხელში სული დალია.

## VI

მაშინ წამოდგა ჰუსეინ,  
ნაზირ-ვეზირთა თვალია,  
დაიშყო ოხვრა-ვიშითა,  
კარგის თქმა ჰქვიანთ ვალია.  
— „ეჭ, მორჩა თათრების საქმე,  
„მდინარემ წყალმა დალია.  
„ჩვენ მის ქურდობას ნუ ვიტყვით,  
„სხვა საქმე მოხდა დიდია:  
„მან ერის გულიც გაცარცვა,  
„ჰქვას ჩაუტეხა ხიდია.  
„ვინაც მოიგებს ერის გულს,  
„მომავალზედა ჰკიდია.  
„ახუნდი დიდხანს ჩვენს ერსა  
„გზას დაუბნელებს სავალსა,

„ფურტოს და ლაფს მიაყრევინებს  
„შეშმარიტ წმინდანთ ნავალსა.  
„კარგა ხანს უნდა დამუჯდეს  
„მართალთა კაცთა ენაო,  
„რა უკუ-აგდებს მათ ნათქვამს  
„ერის დამდგარი სმენაო.“

მართლაც და ვინც კი გამოჩენდა  
მქადაგებელი რჯულისა,  
ნამდვილი ხალხის ერთგული,  
მექონე წრფელის გულისა,  
მავრცელებელი ერშია  
აზრთა სხვადასხვა ჯურისა,  
მან ხალხში დაიმსახურა  
მხოლოდ სახელი თულისა!  
„ახუნდიც გვყავდა, რომ დღისით  
„ჭიათაც არა სჭყლეტავდა,  
„ლამით ქვეყანას აგდებდა  
„და მთელს დუნიას ულეტავდა!“

1898 F.

# ნანგრევთა შორის

(მონალიზის ნამბობი)

## I

მთას ეინადირე... დავბრუნდი,  
 მთის ძირს მიესდევდი ჭალასა,  
 მეჩქარებოდა შინ მისვლა,  
 მუხლებს ვატანდი ძალასა.  
 პირია გაზაფხულისა:  
 ჩირთიც ახალი, მწვანეცა;  
 შიშს რა გაავლეს ჩემს გულში,  
 დღეც ტყეში ვცხოვრობ, ღამეცა.  
 მხოლოდ ამ ადგილს არა დროს  
 მე არ გამევლო ღამითა,  
 და რაც მე იქ მოვიხილე —  
 გავოცებულვარ ამითა!

ანდით მოვდივარ ტყე და ტყე  
 და ვეგანები ბინასა...  
 ყურს ვუგდებ გულის საკლავსა  
 კაცის კვნესას და გმინვასა.  
 ყატყატი მესმის თანაცა:  
 კივილ-ჭყივილი საზარი,  
 ომია გაცხარებული,  
 ცის ჩამოქცევის საღარი.

ყოველ მხრივ ხალხი ყაყანებს,  
 ზოგნი უხმობენ შორითა...  
 „მოგვეშველენით, კაცებო!“  
 ძახილი მოდის გორითა;  
 თან თქაფა-თქუფი... ცხენები  
 გზას მოარლვევენ ტორითა.  
 ახლა ჩემს ჭინა ქართულად  
 დაივაგლახა ეინამა:  
 „ვაჰმე, ცხენს ფეხი მამიტყდა!..“  
 ის ანუგეშა ჭინამა:

— „არა უშავ-რა, წავიდეთ  
 ახლა ქვეითად, ხმლებითა  
 ბალლებს გვიჭრიან თავებსა,  
 რა უპატრონოდ ვწყდებითა! —  
 ლმერთი გრისხავდეს, ელიოზ,  
 რომ უმწეონი ვრჩებითა!“

სხვა კივის კიდევ ქართულად  
 «დიაკვნის გვერდის» ციხითა:  
 „გაისარჯენით, ბიჭებო!“  
 მედგრად და დიდის რიხითა.  
 სხვა მოსთქვამს: „ხმალი გამიტყდა,  
 მათხოვეთ ვინმე, ძმობასა!“  
 ჩემს გადანახადს ვინ იხდის,  
 ან ჩემს მაშინდელს ყოფასა?!

შიშმა შამიპყრო მაშინ კი,  
 ვსთქვი: „დავიხელთო \* იქნება,  
 რა მელანდება, რა არი,  
 საით რა მომევლინება?“  
 ვლოცულობ, ვიწერ პირჯვარსა,  
 მივალ, არ ვიხევ უკანა.  
 ან სად გავიქცე, რომ შფოთი  
 არ ცხრება, ისმის ყველგანა.  
 თუმცა კი კაცი კაჭნადა  
 არ მინახის სწორედა, —  
 არც სულიერი სხვა რამა...  
 ნანგრევები დგა ყორედა.  
 ქვების მეტს ვერაფერს ვხედავ  
 ამ ბნელს, უკუნეთს ღამეში;  
 მაინც ვერავის ვნახავდი,  
 თუნდაც რო მევლო მთვარეში.  
 ხმა ჭკვა - გარევევით მესმოდა,  
 გაბნეულიყო ჰაერში.  
 კიდევაც ყურებში მიდგა  
 ხმა, გრგვინავს ვინმე კაცია:  
 „ბიჭებო, ციხეს უშველეთ,  
 ეგეც მტერს წარუტაცია!“

\* ) გავიძდე.

საკვირვლად საკვირველება  
 ამ ნანგრევთ შაუნახია.  
 ნეტავი მაშინ მენახოს  
 კაცის ერთისა სახია.  
 ბოლოს სამ კვნესა გაისმა, —  
 გლოვის წყარუნი ზარისა,  
 და დიდი ოხვრა ამოხდა  
 დაბლაით მიწა-მყარისა.  
 შავშინებულვარ ძალიან,  
 ველარა ვძრავდი ბაგესა.  
 გულში ვლოცულობ, ვევედრი  
 ამ არე-მარის გამგესა.  
 შავთხოვდი: ჭკვიდამ ნუ შამშლის,  
 ნუ გამიმწარებს ყოფასა,  
 ნუ დაანანებს დედა-ჩემს  
 ბედკრულის შვილის შობასა.

## II

ბინაზე მიველ... ყველანი  
 გაოცებულნი მსინჯავდენ.  
 — რა დაგმართნია, რა არი? —  
 ამხანაგები მკითხავდენ.  
 ვუამბე ცოდვა-ჭირითა  
 ნახული, განაგონარი.  
 თან დავუმატე: ყველა ეს  
 იყო დევების ონარი!..  
 თავებს იქნევდენ: „არაო“,  
 და მიამბობდენ მრავალსა,  
 რომ ყველას ეს ემართება  
 ღამით ამ აღვილს მავალსა:  
 იგივ ხმა, იგივ ძახილი,  
 იგივ ქართული სიტყვები...  
 ზოგს თითონ მომაგონებდენ  
 ჩეენი მეძროხე ბიჭები:  
 — ამასაც გაიგონებდი,  
 ამ და იმ კილოთ ნათქვამსა!

ჩემს მოხილებულს ამბავსა.  
თავზედაც გადაპხედოდათ  
ეს ამბავი და შფოთია,—  
ყველასთვის არი უკვდავად,  
მარტო ერთისთვის როდია!  
მხოლოდ-კი ქართველი იყოს,  
არ იყოს უცხოს ტომისა,  
ყველასაც მოეჩვენება  
სახე გრგვინვის და ომისა.

თვით ნანგრევების ამბავი  
სოქვა თანდილაანთ ხუტამა:  
„მინამ ქვეყანა არსებობს,  
ამ ამბავს ნახვენ მუდამა.  
ნუ იტყვით—ბოროტნი იყვნენ,  
კეთილნი სულნი არიან.  
ამისთვის ფიცი რად გვინდა,  
მე კარგად ვიცი ძალიან.  
მეც თითონა ვარ მნახველი,  
და სხვა ათასი, მაგისა,  
მაგრამ დღეს-აქამომდისა  
არა წაუხდა არვისა.  
არც ვინ შაცვლილა ჭკვიდამა,  
არც ვის მაჟშლია ცხოვრება,  
ჯანზედაც კარგად არიან,  
უკეთესი აქვთ გონება.  
მაგ ნანგრევებზე თქმულება და  
ძველთაგან გამიგონია,  
გიამბობთ, რამდენადაც-კი  
შემწევს ძალი და ღონია.

### III

„მანდ, დღეს რომ ყორეებს ვხედავთ,—  
ციხე-კოშკების ნანგრევთა —  
დარბაზთა, ეკლესიათა  
ჩაშლილ-მოშლილთა რამდენთა,—  
ძველს დროს ქალაქი ყოფილა  
მტერ-შეუვალი, მაგარი,

ცხოვნეთად სახელდებული,  
სწორედ სამოთხეთ სადარი.  
ხომ იცით, ძველად ჩვენს მხარეს  
მრავალი მტერი ჰყოლია,  
ეხლაც ბევრი ჰყავ, მაგრამა  
ქვა და ლოდებსა ჰსტოლია.  
დრო თუ დაუდგათ, კიდევაც  
გაღმოჲყუდებენ ყურებსა,  
კიდევაც დაგვიქროლებენ,  
აიშფოთებენ გულებსა.  
დიალ, სწვევია ჩვენს მხარეს  
ძველს დროში ურუმთ ლაშქარი,  
აუმტუტებავ ქვეყანა,—  
ციხე-კოშკები რაც არი,  
არ გაუშვია არცადა  
დაუქცეველი საყდარი.

ბოლოს მოსულან ამ ადგილს,  
საცა დღეს გვესმის კიუინა  
ლამით და აბჯრის ჩხარუნი,  
ვინ უკან მირბის, ვინ ჭინა...  
„ელიოზ, ლმერთი გრისხავდეს!“—  
ყველა ერთ-პირად იძანის,  
იმასაც გეტყვით ბოლოსა,  
ეს ელიოზი ვინც არის.

თავს დასცემია ცხოვნეთსა  
ზღვასავით თათრის ჯარია,  
ძალიან ცდილა ურჯულო,  
ქალაქს გარშემო მდგარია,  
აელო ცხოვნეთ-ქალაქი,  
შაელო ციხის კარია.  
მაგრამ ძალი და ხრიკები,  
ჰქელვენ, ამაო არია.  
გამოსჩენია ურჯულოს  
მეშველად ცხოვნელი, წყეული,  
არავინ იცის, რა რჯულის,  
ჩვენში სით გამორეული.  
ეს კი იციან, სულ-კრულსა

რომ ელიოზი ჰრქმევია.  
 თათრები გაულალებავ,  
 ცხოვნეთი დაუქცევია:  
 გზა უსწავლებავ მტრისადა  
 ერთს ბნელს, უკუნეთს ღამეში...  
 თითონ დიდობა მიუღავ  
 იმავ თათრების მხარეში.  
 იმ ცოდვა-ბრალის სურათი,  
 რაც იმ ერთს ღამეს მომხდარა,  
 შაუნახია ჰაერსა,  
 სცოცხლობს და როდი მომყვდარა!  
 სამშობლოს ერთგულთ სულები  
 სპეტაჯი, როგორც ცვილები,  
 თავზე დაპბრუნვენ ცხოვნეთსა,  
 როგორაც დედას შვილები.  
 თან ელიოზსა სწყევლიან, სამშობლოს დამამხობელსა.  
 ვაი მას, შავბნელს, უბედურს  
 და ვაი იმის მშობელსა! მაგ დამა  
 ვპოვებთ ამ ქვეყანაზედა ძირებ  
 იმათ კეთილის-მყოფელსა?!

თავის სამშობლოს გამცემზე  
 ვისმე კეთილის მთხრობელსა?!

ცხოვნეთის მოძახურები  
 ამაშფოთარის ხმებითა  
 ჩვენ გონებაში გვაგდებენ,  
 რადგან ხშირადა ვსცდებითა:  
 სულითა ვცოცხლობთ ისევა,  
 როცა ლეშითა ვკვდებითა,—  
 რაც გვიყვარს მის სანახავად  
 საფლავებიდამ ვდგებითა.

დიდება უფლის სახელსა,  
 სულით ცხონება იმათა,  
 რაც ლმერთს მიუცავ სამყოფოდ,  
 ნუმც მოეშლებათ ბინადა!

## ბრძენი ვირი

(ძველის-ძველი ამბავი)

### I

ვირი რამ, ერთი ჩოჩორი,  
დიდყურა, უგზოდ მყვირალა,  
არ ვიცი, სით როგორ მოხდა,  
ასე რამ გაამძეინვარა:  
საჯაროდ გამომდგარიყო,  
მაღლობიდამა ჰყეიროდა,  
თავისა გასადიდებლად  
სიტყვასა როდი ძეირობდა!  
ყრყინით მთა-ბარს აქცევდა:  
„ჩემთან მოგროვდით ყველაო,  
საცა რამ ცხოველები ხართ,  
თუ გინდათ თავის შველაო!“  
ამ უშველებელს ლრიალზე  
მხეცებმა ცევიტეს ყურები,  
ამბობდენ: „ჩეარა წავიდეთ,  
საქმეა დასაშურები“.  
მრავალს შიშით და ძრშოლითა  
უთახთახებდათ გულები.  
„გაფრთხილდით, არავინ რა სთქვათ  
„იმისი დასაწუნები,  
„უცხო რამ მხეცი გვეწვია“...  
ტანით ძლიერ მიაქვთ სულები.  
დაიძრნენ ტყიდამ ნადირნი  
ვირის მქუხარეს ხმაზედა,  
არ დარჩენილა არც ერთი  
არც მინდვრად, არცა მთაზედა,  
უნდა იახლონ დიდყურას,  
სკნან, მხეცი იბარებს რაზედა...“

მხეცებში არსად მოსჩანდა  
ვეფხვი, ლომი და მგელია,  
არც დათვი წიმოსულიყო,  
დარბაისლობის მცველია...  
ვირის ყროყინზე ირბინოს,  
ისე კერა გამოელია?!  
სეირის საყურებლადა  
ჯამაათს მოჰყვა მელია,  
ვირს ის წინადაც იცნობდა,  
დღესაც იმისი მცდელია.

II

ვირი გორაზე შემდგარა,  
იცქირებოდა გმირულად,  
თუმცა-კი ქცევა და სიტყვა  
მას მოსდიოდა ვირულად.  
ნადირთ ხრო იმის წინაშე  
სდგას მოწიწებით, მწირულად.

ბაგე ალალო ვირული,  
ასე დაიწყო ქეცამა:  
„გული მომიწყლა, ცხოველნო,  
„თქვენმა ტანჯვამ და კვნესამა;  
„თქვენს ბატონად და პატრონად  
„დლეს მე დამნიშნა ზეცამა...  
„დლეიდან უნდა იხაროს,  
„ვინც აქამომდე ეწამა.

„სჩანს ლვთის ბძანება ეუწყა  
„ვეფხვსა, ლომსა და მგელსაო,  
„რომ ჩემსა დაბარებაზე  
„აქ არ მოვიდენ დღესაო.  
„გაიგებთ, მათ როგორც დავსჯი,  
„სულ ზურგზედ ვადენ ბდლვერსაო!...  
„იმ დლეს-კი კარგად მივწიხლე  
„ის თქვენი ლომი ქებული,  
„ალმა და დალმა ვათრიე  
„მთლად თავ-პირ დასისხლებული.  
„მეხვეწებოდა: «ნუ მომკლავ,

„თუ ხარო მადლით ცხებული!“  
 „და დღესაც მიტომ მემალვის  
 „სწორებში გამოკლებული.  
 „ვეფხვი, მგელი და დათუნა  
 „ვირ შემომხედვენ შიშითა.  
 „დიალ, იციან კარგადა,  
 „რომ მათ ვჯობივარ ჯიშითა.“  
 მხეცები გაოცებული  
 წამოყაყანდენ ვიშითა.  
 ზოგი ამასაც იძახდა:  
 „ეგ ხომ ჩვენც კარგად ვიცითა;  
 „რა საჭიროა ნათქვამი  
 „არ დაამტკიცო ფიცითა.“  
 უფროც თავ-ზარი დაეცათ,  
 შიშით ეკვროდენ მიწასა,  
 რაյი ვეფხვ-ლომსაც სწიხლავსო,  
 ხმას ვინდა ჯასცემს იმასა!  
 მხეცო კვალადა სთქვეს: „არ სტუის,  
 „ჯერ ხმა როგორი ჰქონია,  
 „აბა თუ ვისმე მისთანა  
 „ტუებში გაგვიგონია?..  
 „ყურებიც რამოდენა აქვს,  
 „დიდი ექნება გონია.  
 „ბატონად ამოვირჩიოთ,  
 „ძალიან მოსაწონია“...  
 ერთბაშად დაიყრანტალეს,  
 გაიძახოდენ ვაშასა!  
 ვინ მისცემს ასეთს დიდებას  
 თავის საყმოში ფაშასა!

## III

„ჩვენს ბატონს გაუმარჯოსო“, —  
 ერთხმად ჰყუირიან მხეცები.  
 ამ დროს ტყეს მგელი მოსდევდა  
 თვალებით დანაცეცები.  
 მეტად ჰშიოდა, საჭმლისად  
 ჰსურდა გაეკრა კლანჭია,

მხეცთ ღრიანცელი რა ესმა,  
მყისვე იმათკე გასწია.  
კუდი მიწისკე დაუშვა,  
ცხვირი ცისაკე ასწია,  
და სწორედ იმ ღროს, როდესაც  
მხეცნი ვირს სალაშ აძლევდენ,  
ყმობის პირობას უდებდენ,  
მოლხენის ცრემლსა აქცევდენ,  
თაეს წამოადგა დიდყურას  
და დააშტერდა მგლურადა.  
იამა ღამის გუშაგსა  
და გაულიმა ძმურადა.  
მერე კი კბილი უღრჭინა  
და მიეტია მტრულადა.

მგლის ღანახვაზე მხეცები  
გაფოხნენ-გამოფოხნენ ტყეშია,  
მხეცთა ახალის თავისა  
ლეგ-ჩოხას დაპრჩა ლეშია  
მორთო დიდყურამ ყროყინი,  
საცოდაობის ღრიალი,  
მეტად ეზარა მგლის სახე,  
მისი თვალების ბრიალი.  
მუხლთ მოეკვეთა შიშითა,  
მის ბაქი-ბუქი გაცუდდა.  
ავყიამ ყაყრანტო სტაცა,  
იქვე ტყის პირას გაგუდა.  
თქვენგან არ მიკვირს, ერთს ვირთან  
მგლის შვილს მეშვეოლი რად უნდა!..  
მელია მარჯვეს მალული,  
ჯირკვთან სიცილით კვდებოდა,  
თან კბილებს აკაწკაწებდა,  
მგელი რომ ლეშით ძლებოდა.  
იცოდა, საქმიო კერძი  
იმასაც წილად პხედებოდა;  
მგელთან ერთად კი საუზმე  
კარგად არ დაუჯდებოდა.

## IV

ეს რომ ვირებმა გაიგეს,  
ბევრი იცინეს ძალიან.  
რისათვის? ვიტყვი ამასაც,  
თუ კი მსმენელთა სუალიან:  
ეს სამგლე ვირი ვირებშიც  
თურმე თავობას ჰდედავდა,  
თუ არ თივასა, ჩალა-ბზეს  
და ნეკერს არა ჰკვნეტავდა;  
პატრონის ურგები იყო,  
ერთი ზარმაცი, ოჩანი,  
როცა პატრონმა აჰეთის  
ფქვილი, ან შეშა ცოტანი,  
ჩაწევის, აკენესდის, როგორაც  
ნაძალადევი მგოსანი.  
პატრონი კარგი რამ ჰყავდა,  
ვაუკაცი პატიოსანი:  
ბარგს ჰხდიდა, მინდვრად უშვებდა,  
ნაგარდობს როგორც ფრთოსანი,  
გაუტიალა საცოდავს  
ბალ-ბალჩა, მოელი ბოსტანი.  
და თან ბრძენობას ჩემობდა,  
როგორც საბჭოში ხმოსანი.  
ვირებს სულ ამას ურჩევდა:  
„ავდგეთ, წავიდეთ ტყეშიო,  
„სულით და ხორცით ვიტანჯვით  
„ადამიანის ხელშიო“.  
ვირები უპასუხებდენ:  
„არა, ვერ შაგსძლებთ მაგასა.  
„ჩვენ ისევ შრომა გვირჩევნავ,  
„ოლონდ კი ვებნეთ ბაგასა,  
„ნამეტურ—ზამთრის ყინვაში  
„ტყე და მინდორში ტანტალსა.  
„შრომა რა სათაკილოა!  
„თითონ კაცებიც შრომობენ,  
„ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ,  
„რამდენს სისხლს ღვრიან, ომობენ.“

ყველასგან მოძულებული  
უჩინი განდევნეს კრებითა  
და ახლა მხეცებს მიჭმართა  
თავის ვირულის კეთითა.  
ისინი თუმც გააბრიყვა,  
მაგრამ იმედი წუხდა,  
მგელს ჩაუვარდა პირშია  
და საჯიჯგნავად გაუხდა.

V

მხეცებიც ბოლოს ჰქვირობდენ:  
„როგორ გავბრიყედით ჩვენცაო,  
„რაზე ვირს თაეს დავისვამდით,  
„გაგვიწყრებოდა ზეცაო,  
„აი დალახვროს უფალმა  
„ის უბედური, ქეცაო!..“  
ლომი პირიდამ ცეცხლს ჰყრიდა,  
რა გაიგონა ესაო,  
კლანჭები მოიმარაგა,  
კბილები დაილესაო;  
მხეცების წურთვნას შეუდგა  
იმავ მეორე დღესაო,  
ტყე-ველებიდან ისმოდა  
ნადირთ ოხვრა და ქვნესაო.

1900 წ.

# გველის-მჭამელი

(ძველი ამბავი)

## I

სასტუმროს იყვნენ ხევსურნი,  
ლუდი ედუღა წიქასა;  
ისხდენ ბანზედ და ლრეობდენ,  
თასებით ჰსვამდენ იმასა;  
ზოგნი უკრავდენ ფანდურსა,  
ზედ დაპმლეროდენ დიდადა, —  
მსმენელთა გრძნობას უდებდენ  
საგმირო ამბებს ხიდადა;  
აღგზნებით გმირთა სახელებს  
ლექსებში სთვლიდენ წმიდადა;  
მოხუცნი ჩიბუხებს სწევდენ,  
ბოლი ეხვიათ ნისლადა,  
განმარტავდიან მათ ამბავს,  
შანდობა თქვიან გმირთადა.  
ახლების საწურთნელადა  
იხსენებდიან ქებითა:  
„თქვენ იცით, ამას იქითა  
კაცად ვინც გამასდგებითა!“  
კრებაში ერთი ვინმე სჩანს  
სახე-მკრთალი და მშვიდია,  
როგორც თაფლს მწერი, ეხვევა  
იმას მცირე და დიდია.  
დალვრემილს წელზე ხმალი ჰრტყავ,  
მხარ-ილლივ ფარი ჰყიდია.  
მუხლებს წინ თავშიშველანი  
ორნი უსხედან ჩოქითა,  
თასებს აწვდიან, ილებენ  
შავს ლუდსა დიდის გობითა. —

„შასვი, მინდიავ,—ეტყვიან,  
კაი ლუდია, სეიანი,  
გვითხარი რამე, ლვთის მადლსა,  
ერთი ქართული გზიანი.“  
— მთვრალმა რა გითხრათ, კაცებო,  
ჭკუა სასმელმა დაძალა,  
სათქმელი მერმისთვის დარჩეს,  
თუ კი სიკვდილმა მაცალა.—  
ასწია კარახანასა,  
გადიწურა და დაცალა.

ტყვეობით დაბრუნებული  
ძმებში ყოფნითა სტკბებოდა,  
როგორაც სხვანი მრავალნი,  
ისიც ლუდითა თვრებოდა.  
ამ მინდიაზე ამბობდენ  
დაუჯერებელს ამბებსა:  
მინდია ტყვედა ჰყოლია  
თორმეტს წელს თურმე ქაჯებსა.  
ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,  
სამშობლოს გარეთ ყოფნამა;  
მიღის დრო, განველო მრავალმა  
ალდგომამა და შობამა,  
მაგრამ მინდიას ტყვეობას  
არ ექნა დასასრულია,  
გული დაუდნო მონებამ,  
ამოსელას ლამობს სულია.  
აგონძებოდა თავისი  
ჩამოთოვნილი მთებია,  
ჩაბნელებული ხევები,  
უსწორ-მასწორო გზებია,  
მის ბედის მგლოვიარენი  
დედა, მამა და ძმებია,  
თავისი ქოხი მწირული,  
სამოთხედ მისალებია,  
ეშველათ, ბევრჯელ ხატ-ლმერთსა  
მხურვალედ შაჰვედრებია.

ბოლოს სთქვა: „თავსა მოვიკლავ,  
 ასეთს სიცოცხლეს სჯობია!“  
 ქაჯთათვის ცეცხლზე ნადგამი  
 საღილად ნახა ქობია.

იცოდა, გველსა ჰერშავდენ,  
 იმასა სჭამდენ ხშირადა;  
 ქაჯნი ქაჯობით იტანდენ  
 გველის მიღებას პირადა,  
 და თავის თავზე იფიქრა,  
 რომ ექცეოდა ჭირადა.

აიღო ერთი ნაჭერი,  
 ზიზღით ქურდულად შეჭამა  
 და ამ დროს მოწყალეს თვალით  
 ტყვეს გადმოჰქედა ზეცამა:  
 ახალად სული ჩაედგა,  
 ახალი ხორცი აისხა;

გულის ხედვა და თეალების,  
 როგორც ბრძას და ყრუვს, გაეხსნა.  
 ესმის დღეიდან ყოველი,  
 რასაც ფრინველნი გაღობენ,  
 ან მცენარენი, ცხოველნი,  
 როლის ილხენენ, წვალობენ.  
 რაც კი რამ დაუბადია  
 უფალს სულიერ-უსულო,  
 ყველასაც თურმე ენა აქვს,  
 არა ყოფილა ურჯულო.

ამას ჰერძნობს, უკვირს თითონაც  
 ტყვეს თვის ბუნების ცვალება.

შეიგნო, ჭამა გველისა  
 ქაჯთაგან იყო ზმანება.

სიბრძნე აჩვენეს გველადა,  
 რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,  
 თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“,  
 არა ზარობდენ სათქმელად.  
 შეიგნო სიბრძნე ქაჯების  
 ამიერიდამ ტყვემაო;

მას მუსაიფი დაუწყო  
 ცამ, დედამიწამ, ტყემაო.  
 მხოლოდ ბოროტმა მის გულში  
 ვერ მოიკიდა ფეხია,  
 სხვა დანარჩენი ქაჯური  
 ყველა ისწავლა ხერხია.  
 მას ალარაფრის ეშინის,  
 თუნდ თავს დაატყდეს მეხია.  
 ქაჯნი ბრაზობენ, რა ჰქედვენ—  
 გამეცნიერდა გლეხია.  
 ალარ აშინებს ტყეობა,  
 ალარც ხრიკები ქაჯური,  
 დღეს თუ ხვალ, იმედიანობს,  
 ქაჯებს უჭიროს პანჩური.  
 მალია ტყეიასავითა,  
 გრძნეული, როგორც გველია,  
 ალმერთებს, ნუგეშად ჰსახავს  
 ფშავ-ხევსურეთი მთელია,  
 გვირგვინოსანი თამარი  
 სულ-მუდამ ამის მთქმელია:  
 „ოლონდ მინდია თან მყვანდეს,”  
 მასთან მთიელი ერია,  
 რაც უნდ ძალიან ეცალოს,  
 ვერას დამაკლებს მტერია“.  
 იცის მტრის დასამარცხები  
 და შემმუსერელი ფანდია;  
 თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო,  
 ნუ აქვს სიკვდილის დარდია.  
 შუაზე გაჭრილს გაპურნავს  
 მის უებარი წამალი;  
 მით არ მცირდება ომებში, —  
 მუდამ ჯარი ჰყავ მრავალი;  
 ჭორს არის ამბად წასული  
 მისი თავგადასავალი.

## II

როცა კი გაზაფხულდება,  
 გამოიღვიძებს ქვეყანა:  
 სილალე, სიმხიარულე  
 დასეირნობენ ყველგანა,  
 გაჩნდება ჩირთი, ყვავილი  
 ეკონებიან მწვანესა,  
 მინდია გაფაციცებით  
 სულ მიმოივლის მთა-ველსა.  
 ყველა მცენარეს და მლილსა  
 ის ეგებება სალმითა,  
 ბუნებაც „ვაშას“ უძახის  
 მდიდრად მორთულის ალმითა,  
 ყვავილი ყელ-გადაგდებით,  
 დახატულები კალმითა,  
 „მინდიას გაუმარჯოსო“,  
 ერთხმად ასტეხენ უიუინსა,  
 ხეები ფოთლებს არხევენ,  
 ბუნება იწყებს ბიბინსა,  
 და მერე სათითაოდა  
 ყველა მოჰყვება ტიტინსა:  
 „მე ვარო ა მის წამალი“;  
 სხვა გაიძახის — „ი მისა“;  
 მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,  
 ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.

თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:  
 ოლონდ ეჭამლონ სნეულთა,  
 სიცოცხლით გაფუფუნებულს  
 არად აგდებენ სხეულთა:  
 სალხინოდ ჰსახვენ, კაცო სარგოდ,  
 ძვალ-ხორცთა ჩამორლვეულთა.  
 ყვავილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს  
 თურმე მოუვათ ტირილი;  
 მარტოკა მინდიას ესმის  
 მათი კენესა და ჩივილი.  
 ამისგან მისი ცხოვრება  
 ძალიან დაცარულია:

მივიდა ხესთან ცულითა,  
 სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო!“  
 შემოჰკრავს ცულსა და ამ ღროს  
 ხის შამოესმის კვნესაო:  
 „ნუ მომქლავ, ჩემო მინდიავ,  
 ნუ დამიძნელებ მზესაო,  
 უიარალო რომა ვარ,  
 მიტომ მიბრიყებ ხესაო?...“  
 დაუდუნდება მქლავები,  
 შტერად გაპხელებს ზეცასა.  
 სხვა ხეს მიშმართავს, ის უფრო  
 მეტად დაიწყებს კვნესასა.  
 ხელცარიელი წამოვა,  
 ვერ მოიყოლებს შეშასა,  
 და რომ ღველფზედა არ გაპქრეს  
 ცეცხლი, აანთებს თივასა  
 ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა,  
 თან მიაშველებს წივასა;  
 თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის,  
 არც დაიწუნებს იმასა.  
 მაინც ღმერთს ჰმადლობს, მაინცა,  
 სალამოსა და დილასა.  
 სხვებსაც მას უჩჩევს: „ქაცებო,  
 „მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა;  
 „ნუ მასკრით ხესა, დავჯერდეთ  
 „ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა.“  
 არავინ უსმენს, არქმევენ  
 ამ გვარს მის რჩევას ბოდვასა.  
 — „ღმერთს ჩვენთვის გაუჩენაო  
 სარგოდა, მოსახმარადა!“  
 და დღესაც არავინ ჰზოგავს  
 ვერხვ-წითელს მოსაკლავადა.

### III

როცა ყანის მეას დაიწყებს,  
 გიჟია, გადარეული:  
 ერთს ფეხს აქ მოსჭრის, ერთს იქა,

საგულე-ჩამოხეული;  
 სულ გადასთელავს ყანასა,  
 გაპტურდნის, გაატიალებს,  
 მინამ ღონე იქვ მელავშია,  
 ციბრუტივითა ტრიალებს,  
 და როცა დაიქანცება,  
 გაიშხლართება მიწაზე.  
 რო ჰეითხოთ: „ასე რად სჩადი?“  
 ის გიპასუხებსთ იმაზე:  
 — რას ამბობთ, კაცნო, არ გესმისთ,  
 მიტომ მიწუნებთ ქცევასა.  
 ის როდი იცით, თავთავნი  
 როგორ მიწყებენ ხვეწნასა;  
 უნდა იცოდეთ, ჰედავდეთ  
 თავთვების ყელის წევასა,  
 ათი-ათასი ყოველ მხრივ  
 რომ დაიქუხებს ერთადა,—  
 ხელ-ნამგლიანი როცა ვარ,  
 მნახავენ თავის ღმერთადა:—  
 „არა, მე მომქერ, მინდიავ,  
 ნუ მტოვებ, შენი კვენსა-მე!“  
 „არა, მე, — სხვა გაიძახის: —  
 უფრო მაშინებს ზეცა მე.  
 პატარა ნისლიც რო ვნახო,  
 ჩამოვიშლები ტანითა.  
 ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,  
 ყელი გამომჭრას დანითა.“  
 სხვა უფროც ჰყვირის: „ნუ მწირავ,  
 იხარე თავის ჯანითა!“  
 გამავიუებენ ბოჟირით,  
 გადავირევი ბრალითა:  
 ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები  
 ორის ხელით და თვალითა  
 და ამ ღრის თავადაც ვხვდები  
 მოსაბრუნები წყალითა.  
 ყანასა სეტყვა აშინებს, —  
 კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,

თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა  
სით შაუძლიან წახდენა?..  
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ  
თავთავნი ოქროს ფერანი, —  
არ სწადია, ოხრად ლპებოდენ,  
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.  
მიტომ ჩქარობენ მომქასა,  
ერთად უივიან ყველანი,  
ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად,  
რომ მითი გაძლნენ მშიერნი, —  
მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ,  
ძალნი ვახსენოთ ციერნი.

## IV

ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,  
ლუდის სმა არი, ღრეობა.  
დიდს მლოცავს მოიპატიუებს  
გუდანის ჯვარის დღეობა.  
ხალხია დაჯარებული,  
ბჭობენ უფროსნი მრავალსა:  
ზოგნი ამბობენ სხვის ამბავს,  
სხვანი — თავგადასავალსა;  
ამბობენ ვაუკაცობისას,  
თოფისასა და ხმლისასა,  
ჯაჭვის მჭრელს წელზე ვინ ირტყამს,  
ყველა აქებდა იმასა.  
უსმენენ მოწიწებითა,  
თუ ვინ რას იტყვის ცდისასა.  
თანაც გააბეს მსჯელობა  
გველის-მჭამელის ცოდნაზე,  
ხის მჭრელის, ბალახთ მთიბელის,  
მათ ჩანადინარს ცოდვაზე.

ჩალხია ეტყვის კრებასა:  
„მიკვირს ეგ თქვენი ფიქრია,  
წინავაც ბევრჯელ გითხარით,  
ეხლაც იმასვე ვიტყვია:

ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,  
 ჩვენც რად არ გაგვიგონია?  
 ჩვენს სატყუებლად მინდიას  
 სიცრუე მოუგონია.  
 ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,  
 ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია!?  
 მე სამალავად არ ვამბობ,  
 თითონაც მისდის ყურშია;  
 თუ ამას მართალს არ ვამბობ,  
 იფიქროს თავის გულშია.  
 ესთქვათ, სიბრალული კარგია  
 ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი...  
 კაცის კვლა ყველასა სჭარბობს,  
 თუნდ მტერი იყოს, ყოველთი.  
 მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ,  
 გეტყვით, მისმინეთ, მე რასა:  
 მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ  
 მინდია სდგამდეს გორასა.  
 რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც  
 ქლევისას არ გვაძლევს ნებასა,  
 მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა  
 ჩვენსა დაარღვევს შეებასა,  
 ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,  
 ან გვიშლის რჯულის ცნებასა.  
 მაშინ არც ღმერთი გვიცოდევს  
 მტრისად შაქცევას ხელისას,  
 ეგრევე, ოლომც ვიცხოვროთ,  
 მოჭრას წიფლის და თელისას.  
 — არ სტყუის, არა, ჩალხია,  
 მინდია ცრუობს სწორედა,  
 ათასნაირი ტყუილი  
 თვალშინ აგვიგო ყორედა, —  
 ამბობდენ ხალხში ზოგები  
 გაუბედავად, ღონედა.  
 — მაგ ფიქრს ომმ მივყვეთ, შენს მტერსა,  
 როგორ-ლა გვეცხოვრებისა?  
 ის რად ვიცოდვოთ, უფლისგან

რაიც არ გვეცოდვებისა?!.  
 თემთ რო გვარიგებს მაგაზე,  
 ძალიან ცუდად შერებისა.  
 კარგთაგან იმედი გვაქვის  
 მუდამ შველას და რგებისა  
 და არა ჩვენის დალუპვის,  
 ჩვენის ცხოვრების ვნებისა!...—  
 ეს იყო გამონასკული  
 აზრი ხევსურთა კრებისა...  
 მინდია იქავე იჯდა,  
 თვალთაგან ცრემლი სდიოდა.  
 არვინ იცოდა, თუ იმას  
 გული რისაგან სტკიოდა.  
 თვალნი მიეპყრნო ერთს მხარეს,  
 ხალხისა არა ესმოდა;  
 გამოერკვია ფიქრიდან,  
 როცა ბერდია ეტყოდა:  
 „რად არ ყურს გვიგდებ, მინდიავ,  
 ნეტავ რისათვის სტირია?“  
 ეს არც კი მიკვირს შენგანა,  
 არც სხვისგან გასაკვირია —  
 ერთს წაშში ცხრაჯერ შასცვალო.  
 გლოვა-ტირილზე ლხინია, “—  
 და მთელმა ხევსურთა გუნდმა  
 მინდიასკე ქნა პირია...  
 „ჰო და სთქვი, — კვლავ სთხოვს ბერდია, —  
 გულზე რა ჭირი გჭირია?“  
 — აგერ იმ ჩიტებს ყურს კუგდებ, —  
 თითოთ უჩვენა ჩიტებზე,  
 ორნი ფრთხებ-ჩამოშვებულნი  
 იფნის ქვეშ ისხდენ სიპებზე. —  
 ერთი მეორეს უამბობს  
 სიკვდილის ამბავს შვილებზე;  
 მარცხნით მჯდომარე დედაა,  
 მარჯვნისკე ამბის მთხრობელი,  
 თქვენს მტერს, რომ გულ-მოკლულადა.  
 შვილებსა ტირის მშობელი.

ჩიტებს ეხლა-ლა შესცემერის  
 ხევსურთა კრება სრულია,  
 ჩიტთაგან ერთი იმ ღროსა,  
 თითქო მოჰსვლოდეს რულია,  
 სიპიღან დაბლა დაეცა  
 და განუტევა სულია.  
 რომელი მოკვდა ორთაგან,  
 ამის გაგება—რჯულია!  
 ხევსურთ შაპხედეს ერთმანეთს  
 გაოცებულის თვალითა;  
 ნუ თუ ასეთი ცოდნაო  
 იქნება კაცის ძალითა?  
 დარწმუნდენ იმის ცოდნაში,  
 საქმე წინ ედვა ყველასა,  
 მაგრამ ნაგრძნობსა გულითა  
 გონებით ჰშველენ ვერასა:  
 ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,  
 შეშით ანთებენ კერასა.  
 ქათმის ხორცს რა შეაძულებს,  
 თქვენვე მითხარით, მელასა?!  
 ვინ ჩამოჯდება ღველფზედა,  
 თუ ზედ არ ჰქედვენ ძელასა?!

## V

ბევრჯელ მოუნდათ ლაშქრობა  
 ლეკ-სპარსებ, ქისტებ, თურქთანა,  
 გამარჯვებული მოდიან  
 ხევსურეთს ვაენი მუდამა.  
 ზღუდე გამაგრდა ქართლისა,  
 მტერს შაუკერეს სუდარა.  
 ერი თუ მტრის მძლეველია,  
 მის მეტი არა უნდა-რა.  
 მანამ მინდია ჰბელადობს,  
 ხევსურებს არა უშავთ რა,  
 ველარვინ ჰბედავს რჩოლასა,  
 მყუდროობაა ყველგანა...

ნეტავი იმას, ვისაც კი  
მადლიერი ჰყავს ქვეყანა.

## VI

ფრიალო ქლდის თავს სახლი დგა,  
ცას ებჯინება ბანითა,  
ირგვლივ მთებია დიდრონი,  
აყრილნი სრულის ტანითა,  
გადალესილნი თოვლითა,  
მოუღალავნი ჯანითა.  
ერთხელ თუ პნახე ამ გვარად.  
სულ გინდა პსინჯო თვალითა.  
იმაზე ლამაზებია,  
როცა პლელავენ მწევანითა.  
თუნდ მზე დაადგესთ გულ-მკერძზე,  
ზვავი სდიოდესთ ჭექითა,—  
ახველდებიან ხევები,  
ვით ავალმყოფნი ჭლექითა,  
მაინც სიტურფე იმათი  
ნაკურთხი არის ზეცითა.  
ბევრჯელ დაპბრუნავს თავზედა  
გრილი ნიავი კვნესითა.  
ზაფხულში შავი ღრუბლები  
სანთლებს უნთებენ ქვესითა.  
იქ ხომ ხვნით არავინა პხნავს,  
არც ვინ რას სთესავს თესითა,  
მარტო ჯიხვები დადიან  
კლდეებზე რქების ლესითა.  
და სალნი კლდენი, პირ-ქუშინი,  
უფსკრულს ჩასულნი ფესვითა,  
არც რო სულზედა ფიქრობენ,  
არც სუქდებიან ლეშითა,  
უსალმო, უალერსონი,  
გამომზირალნი ბრეშითა.  
სახლზე კოშკია მიღემული,  
შემურვილია ბოლითა,

დღე-მუდამ შაძრწუნებული  
ჩაზეირების სროლითა.  
რა დაასვენებს საბრალოს,  
მინამდე ირგვლივ მტრებია,  
მინამდე შურის ძიება  
კაცის ტომს გულში სდებია,  
ნასროლი ტყვია მტრისაგან  
მკერდზე მრავალი სცხებია!  
სახლიდან ისმის ჯავრობა,  
ხმა კამათობის, წყრომისა;  
ბევრნიც არავინ არიან, —  
საუბრის კილო ორისა.  
ლველფზედა ცეცხლი ანთია,  
გაჩაღებული შეშითა,  
იქით მხარეზე დიაცი  
მოჩანს ბალების გვერდითა,  
აქეთ მარტოკა ხევსური  
ბევრს რასმე მოსთქვამს ხვნეშითა.

## ქმარი

ის დღე გაშავდეს, რას დღესაც  
შენ მე დაგისვი ცოლადა.  
მინამდე კაცი არ მაჩნდა  
მიწაზე თავის ტოლადა.  
სრულ შენგან გავხდი, წყეულო,  
უგერგილოდ და ყროლადა.  
რა ვარ? განა-ლა კაცი ვარ,  
ლირსი, ცის ქვეშე ვიდოდე?  
იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ,  
ნეტავ წამალი ვიცოდე!..  
ფუჭია ჩემი სიცოცხლე,  
დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია,  
თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,  
უფალს თქვენგანა ვცოდია.  
შვილებიც ჭირად გამიხდა,  
შამაცვლევინეს ფიქრია,

დაკარგულს სულს და ხორციელა  
ეხლა დღე და ღამ ვტირია.

### ცოლი

მე რად მაბრალებ თავის ბრალს,  
შინ როს მოგივედ ძალითა?  
გზად არ მიტევდი მიმავალს,  
მავსებდი ცოდვა-ბრალითა:  
„მზიავ, ძალიან მიყვარხარ,“  
ცრემლებს აბნევდი თვალითა  
და ჩემს ძმათ ჩემის გულისალ  
შინ უხდებოდი ხმალითა.  
წინაზე ტკბილი შაქარი  
ეხლა გემწარე რისადა?  
ან შვილთა ყოლას რად ჰელოეობ,  
მდურეას რად იტყვი ლეთისადა?!  
თავისი ცოლი და შვილი  
ვის გადაუგდავ სხვისადა?  
ჩვენ რადა გვსახავ მიზეზალ  
შენის გუნების ცვლისადა?

### ქმარი

იმიტომ, უჭირ დიაცო,  
რომ სწუწუნებდი, სჩიოდი:  
„სიცივე ბალლებს მილევსო“,  
შვილ-მამკვდარივით ჰეიოდი:  
„ბერდიას რამდენ შეშა აქვ,  
როგორს ცეცხლს ანთებს, პნახოდი“,  
ცხოვრების მაგალითადა  
ბრიყვები დამისახოდი.  
გულზე მოსაყვანს ქართულსა  
ჩემს გასაგონად ამბობდი,  
გეწადა კაი ცხოვრება,  
მოწამლულს ქადას აცხობდი.  
და მეც დღეს ხვალეობითა,  
ცოტ-ცოტად, ნელაობითა  
დავიწყე თავის რწმენასთან

მოქცევა მელაობითა:

- დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
- თუმც მემუდარა ბევრია:
- „რად სჩადი მაგას, მინდიავ,  
ვითომ არ იყავ მტერია?“
- ხვალ ორი მოვჭერ, და ასე  
გული ჩავიდევ ქვისაო,
- რომ სულ აღარა მეგრძნო რა,  
ძალაც ვითხოვე ლვთისაო.
- შენ ჯიხვის ხორცია პნატრობდი,  
თუ ვის მოკლული გსმენია,
- რამდენჯერ ჩემი გულ-მკერდი  
ამ ჩივილს გაუსენია:
- „ყმაწვილნ უხორცოდ დაზღიულნი  
რა ვაჟკაცობას იზამენ?
- არსად არ გამიგონია
- ასრე გაზღიული სხვისა მენ“.
- ახ, რატომ ამის თქმამდინა  
არ დაგეყარა მიწა შენ!..
- მეც მივყევ—ვხოცე ნადირი,  
გასუქ-გალალეთ ლეშითა,  
თავის ბალლებით ჭხარობდი,
- მე დავრჩი თავის ტეხითა.
- სჯობდა კი ასე გახდომას  
გავთაულიყავ მეხითა;
- დაკარგულს ველარ მოვხელავ  
ვერა რომელის ხერხითა.

### ცოლი

ან შენ რა გიჭირს ისეთი,  
თავს რად იტკივებ ძალადა;  
შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა  
სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?

### ჭმარი

არ იცი, არა, ჭვა-თხელო,  
ყბედო, ზეზერე მგრძნობარევ,

თავისა სასიამოვნოდ  
 წუთისოფლისა მცნობარევ!  
 არა ღირს იმად — ვიგლოვო  
 თვისი ცოდნა და ძალია,  
 რომ ჩემთან ერთიც მათგანი,  
 ბრიყვო, აღარსად არია?!.  
 არ უღირს, მკვდარმა იცოდეს  
 თავის სიკვდილი, — მკვდარია,  
 იგლოვოს თავისი თავი,  
 თვის ყოფნა შესაზარია?  
 სხვა ყოფნა, ამაზე მწარე,  
 მიპოვნე შესადარია!  
 ამ გვარი მკვდარი დღეს მე გარ,  
 სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!  
 არიან მოსცენებულნი,  
 არათერს გრძნობენ გრძნობითა.  
 რითი-ლა ვარგო ქვეყანას,  
 დავცარიელდი ცოდნითა:  
 ყვაეილნი არას მეტყვიან,  
 ალარც ცნობა მაქვს იმათი;  
 განა მეტი-ლა იქნება  
 კაცმა თავს უგდოს ხიფათი?  
 ალარა მესმის ფრინველთი,  
 ალარა მესმის ყანისა,  
 ალარ მსმენია მას შემდეგ  
 ტქბილი სალამი მწვანისა.  
 ეს არათერი, სხვაფრივაც  
 ალარ ვეარგივარ არადა;  
 გინდა აქ ვეგდო მთაშია,  
 გინდა ჩავიდე ბარადა,  
 ჩემ ფერას უკეთურებსა  
 არეინ იყიდის ჩალადა.  
 ველარას ვარგებ ქვეყანას  
 მტრის მამგერებელს ჯარშია,  
 მიტომ, რომ წინანდებული  
 ცნება ალარ მაქვს თავშია.  
 რატომ მალედვე არ გაქრა

ჩემი ვარსკვლავი ცაშია!  
 დღესნამდე მტრები შინაით  
 ვერა ძვრებოდენ კარშია  
 შიშით, და ეს რომ გაიგონ,  
 მოვლენ, მიწა-მტვრად გვაქცევენ,  
 ჩვენ სახლებს, ციხე-კოშკებსა  
 ნაოხრად გადააქცევენ.  
 ცოცხალი ამას ვერ ვნახავ,  
 ოქვენი დღეც გათაულია,  
 ოქვენგან დავკარგე გონება,  
 წმინდა გაყიდე რჯულია...  
 ახლა ქვეყანაც დავლუპო,  
 ოქვენ პირში გედგასთ სულია!..  
 ან მე რად მინდა სიცოცხლე,  
 ან ოქვენ გაცოცხლოთ რაღადა,  
 თუ მთელი ჩემი არსება  
 აღარ იქნება საღადა?!..  
 ან აქ რა პირით ვიცოცხლო?  
 თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?  
 ყველასთან შარცხვენილი ვარ —  
 ცოცხლებთანა და მკვდრებთანა.  
 რისთვის-ლა მინდა აბჯარი,  
 რისათვის მინდა ხმალია,  
 თუ კი ჩემს მტრისად დაკრულსა  
 აღარ ექნება ძალია?!  
 ამ მიწის ამონაცენი  
 ჩემი სესხი და ვალია,  
 როგორ-ლა ან პური ვჭამო,  
 როგორ დავლიო წყალია?!.  
 ადგა და გულხელ დაკრეფით  
 გამოეფარა კარზედა.  
 მთათ რომ შეჰქედა მაღალთა,  
 დაიქვითინა ნწარედა.

## VII

მთანი ჩამოშრენ. პირ-თავჭვი  
 ქოთით მოდიან ლვარები,

ხევებში ზეავი შათხელდა  
 ვეშაპის მინაგვარები.  
 აჩქამდა ბუერაზედა  
 ანკარა წვიმის ცვარები,  
 ველებზე ბზინვენ ყვავილნი —  
 თამარ-დედოფლის თვალები.  
 კლდის პირზე მოსულს პირი-მზეს  
 გულ-მკერდში ვენაცვალები!..  
 მთაზე უვნებლად გადმოხდენ  
 პირ-იქითული მგზავრები.  
 მთის კალთებს ჰშვენის ცხვარ-ძროხა,  
 როგორც ლამაზს ქალს ხალები;  
 გაცოცხლებულა მთა-ბარი  
 ზამთრისგან დანაწვალები.  
 ქვეყნად ბევრია ბეჩავი,  
 ბევრია შასაწყალები, —  
 ერთი რო ვნახოთ, სხვას ბევრსა  
 ვერ ჰქედვენ ჩვენი თვალები!  
 სოფლებში ხმაურობაა,  
 ძახილ-ძუხილი ღიდია:  
 „გააგებინეთ, საჯ არი  
 „გველის-მჭამელი მინდია;  
 „ქისტების მოდის ლაშქარი,  
 „არლუნს ჩატეხეს ხილია,  
 „დახვედრა მტრისა, ვაუებო,  
 „ეხლა ჩვენზედა ჰკიდია!“  
 ღიდი მზადება შაექნათ,  
 ხალხი ზლვასავით ღელავდა,  
 საით მხარესაც გაპჰედავ,  
 თოფი და ხმილი ელავდა.  
 კარგა ხანია ხევსურნი  
 მტრის რაზმებს ალარ სცელავდენ,  
 მათ აოხრებულს ბანაკსა  
 უწყალდ ილარ სთელავდენ;  
 ომისკე დამშეულები  
 ძლიეს მოელიან ღილასა,  
 აველას ისა აქვს გულშია —

ბელადს ვინ მოჰკლავს წინასა,  
 თავსა და მარჯვენას მასჭრის,  
 შინ მოვა სახელიანი,  
 საკარგყმოდ თასი მიერთმის  
 ხატობას სანთლებიანი.  
 გვარიც დარჩება იმისი  
 სამუდმოდ საქებიანი.  
 ციხე-კოშკებში შადიან  
 დიაცნი ბალლებიანი;  
 შზად შაუნახეს ქმარ-შვილთა  
 გუდები საგძლებიანი.

### VIII

ბინდდება. ბნელი ხევები  
 იმურებიან შავადა.  
 თვალს ისე ეჩენებიან,  
 თითქო გამხდარან ავადა.  
 მთები მალლები, კლდეები,  
 ლალი არაგვი თავადა —  
 მოწყენილია სუყველა,  
 ვხედავ, ჩუმადა ტირიან.  
 მხოლოდ თამამად შიკრიკნი  
 სოფლითი-სოფლად ყვირიან:  
 „ვინაც ხეალ ლაშქარს დააკლდეს,  
 „ამოვარდებამც ძირიან!“  
 გარეთ აღარსად ცეცხლი ჩანს,  
 არ ისმის სტვენა წყემსისა,  
 კარში აღარა დასტოვეს  
 დანაფასები ნემსისა.  
 სოფლად მილაგდენ ყველანი,  
 კოშკ-ციხეები ჰეთარავენ,  
 ცხვარ-ძროხას, საგანძურებსა  
 ფარულს აღაგის ჰმალავენ.  
 ცოტა რამ მკრთალი ნათელი  
 ხახმატს ხატშია ჩნდებოდა,  
 სანთლები ენთო ყორეზე,  
 ალი იფნებსა ჰხვდებოდა,



ხან ცისკრად გამოაშუქის,  
ხან კი მინელდის, ჰქონებოდა,  
სულ-მაბრძოლ სხეულსა ჰგავდა,  
ტანჯვა-ვაებით კვდებოდა.  
სხვა იქ კაცის ძე არა ჩანს,  
ორნი ჰყულიან ველზედა,  
ერთს სისხლიანი ხანჯარი  
უბყრავ, სისხლი აქვს ხელზედა;  
მათ წინ დაკლული კურატი  
წამოწოლილა გვერდზედა.

### ბერდია (ხევისბერი)

წყალობა მოგცეს, მინდიავ,  
იმ გულზედა და წესზედა,  
რა ფიქრითაცა სწირავდე,  
იმედოვნებდე ღმერთზედა;  
ნუმც მოგეშლება სახელი,  
მინამ ხმალი გრტყავ წელზედა.

იმედო ხევსურეთისავ,  
მწყალობელიმც გყავ ჯვარია,  
მუდამამც გამარჯვებული  
მიგყავ და მოგყავ ჯარია!  
მეონია, მეათე დაპქალ  
წელსა, გასწყვიტე ძროხები,  
რას ეხვეწები მაგდენსა,  
რა გაქვის შანაცოდები?  
ერთი წესია, ორიცა,  
შენ ხვეწნა მეტის-მეტია.  
ნურასამც ვაწყენ ამით ღმერთს,  
რაც ეხლა დავიყბედია.

### მინდია

უევარი ხარი კიდევ მყავ,  
სამი თუ ოთხი ფურები —  
იმათაც აუსახელებ,  
ოლომც მამირჩეს წყლულები.

### ბერდია

რა წყლული, კაცო, შენ წყლული  
ჩვენ არვის გაგვიგონია,  
შენ წყლულიანებს სხვებს არჩენ  
ათასობითა, მგონია.

### მინდია

სხვა რამ საქმეა, ბერდიავ,  
ადვილ ვერ ვიტყვი იმასა:  
თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,  
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.  
ფულის პატრონნი, თუ იცი,  
ყველგან გაჰსნიან ქისასა?  
ხვალ, ხვალე-ზეგავ გაიგებთ,  
მაცნე რო მოვა მთისასა.

### ბერდია

შენა ხარ ჩვენი იმედი,  
ხევსურთ დავლათიც შენთანა.  
ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი,  
რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა,  
ხატიც გამმარჯვედ დაგყვების,  
კარგად იციან ყველგანა.  
ნუმც მოგეშლება დავლათი  
წმინდის გიორგის ძალითა,  
ნუმც გაგვიმეტებს უფალი,  
არ გამფარველოს კალთითა.  
აილო თასი ხელშია  
და კვლავ დაიწყებს ბერდია:  
„სადიდებულო გიორგის  
და სამწყალობლო შენია!..  
შენ მეშველიმც-ა, რაც უფალს  
ხატები გაუჩენია,  
შენი მერჩოლი, ცოცხალი  
ერთიც ნუ დაურჩენია.

ხვალ თუ ხვალე-ზეგ უცილოდ  
 ომი გვექნება მტერთანა,  
 მანამ ცოცხალი გვყევიხარ,  
 რას გახდებიან ჩვენთანა?!“

ეს რომ სთქვა, მლოცვას თვალები  
 აევსო ცხელის ცრემლითა,  
 არ შამნიშნოსო, მობრუნდა  
 და მოიწმინდა ხელითა.  
 დაემხო საჯარის წინა,  
 როგორც მოჭრილი ცელითა  
 ჯოუარი რამა, თუ ფიჩი,  
 შასაკონავი წნელითა.  
 ლოცულობს თვალ-ცრემლიანი,  
 აზრი არ ისმის ლოცვისა.  
 ასე მხურვალედ მლოცველი  
 ვერ ნახა ვერა როდისა  
 წინად ბერდიამ, — ეს უკვირს:  
 უფრო ტანჯვაა გლოვისა,  
 ვიდრე გულ-დაწყნარებული  
 წყალობის გამოთხოვისა.  
 ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი  
 აბჯრის ქლერაში ერევა,  
 ლოცულობს, დაჩოქილია,  
 ხანიც მრავალი ელევა.  
 „უსმინე, ხახმატის ჯვარო!“  
 თვითაც უმატებს იგია:  
 „ნუ გაუქარწყლებ ვეღრებას,  
 „კეთილზე დაარიგია“.

## IX

შუა-ლამისას დაიწყო  
 დელგმა, მოპხეთქა ღვარები,  
 გატეხეს, თუ სად ლოდების  
 ხევებში იყო კარები  
 და სწორედ არ მიუტანეს  
 ბარს მთისა დანაბარები.

ხშირად დაედვა ბალახთა  
 ღრუბელთა ცრემლის ცვარები,  
 გაჭქრა და ალარცა ბეჟტავს  
 ხახმატს ლოდებზე სანთლები.  
 ალარსად ხევისბერი სჩანს,  
 ალარც მლოცვავი მტირალი,  
 მარტო საჯარის ყორეა  
 მრისხანედ ვამომზირალი  
 და კლდეებს არღვევს არაგვი  
 გაძეზრებული, მყვირალი.

## X

დილაზე ფრთა·დაკეცილთა,  
 ნამტირალევთა ლამითა,  
 მთებზე ეძინა ნისლებსა  
 მიტკლით შაკრულის თავითა;  
 ზოგჯერ რო გაგვახარებენ  
 მაცოცხლებელის ცვარითა,  
 სხვა დროს ბედს გვაწყევინებენ  
 ჩანაღინარის ავითა.

დაბლა ჭალა და ხევები,  
 გუშინ საესენი ზვავითა,  
 დლეს სიცოცხლითა ხარობენ,  
 გაბაღრულნია მწვანითა,  
 და კოშკი დაფიქრებული  
 ხეობას დაჭმერს მალლითა.

კოშკში მოსჩანან ჭალები,  
 როგორც ყვავილნი მთისანი, —  
 სძლევენ მტერს, თუ ვერ ხეჭსურნი —  
 მათ სასაუბრო ის არი.

სათოფურებით ჩაჭმერენ  
 მოუსვენარად ჭალასა  
 და ახვეწებენ თავის ჯარს  
 ღვთისა და ხატის ძალასა.  
 აქით კარგად სჩანს მიდამო:  
 მთა, მთის ყელები ყოველი,

ვერ დაემალვის კაცის თვალს  
მწერი, ვერც ერთი ცხოველი.  
ზოგები სხედან ფიცარზე,  
ჰბჰებენ, თან ჰქონვენ წინდასა,  
ისინიც სამშობლოსადა  
ლოცვას ამბობენ წმინდასა.

### სანდუა (დედაკაცი)

მზიავ, გულ-შამოყრითა ხარ  
შენ უფრო სხევებზე მეტადა;  
ქმარას თუ ჰნანობ, თვალ-შურთხო,  
ვერ ჰქშერობ მოსაკვლელადა,  
არა გცოლნია, რო ომსა  
ის ჰსახავს თავის ბედადა  
და მინდიას მამკლავი  
ჯერ არ გაუზდავ დედასა.  
მაშ მე რალა ვქნა? ჩემები  
ბევრნი წავიღნენ ლაშქარსა:  
ჩემ კაცი, ძმანი სამნივე  
არ მაპკლებიან ამქარსა.  
შენს ქმარს ხო ვერვინ აჯობნებს,  
ძველებურს იზამს ნაქნარსა,  
როგორაც ბევრჯელ უწინა,  
ეხლაც მტერს მისცემს ზიანსა:  
ვისაც მაუკლავს, ის მაპკლავს  
ხარსა ირემსა რქიანსა.

### მზია

ვაჲ მე, რო ვეღარ იბიჭოს,  
ისეთს სიზმრებსა ჰხედავდა:  
მთელს ერთს წელს სნეულსა ჰგვანდა,  
თავის ხორცო კბილით ჰკვნეტავდა.  
ცოლ-შვილთ გაგელეტოო, იძახდის,  
თუმც რაღდაც არა ჰბედავდა.  
ხატ-ლმერთს მიეყრდნო, შასწირა,

თუ სად რა გვყვანდა საქონი,  
 მოვიდის, პურიც არ ჭამის,  
 გაპატიქოდი რამდონი.  
 მარტოკაც ბევრჯელა ვნახე,  
 ჩუმად, ბალლივით ტიროდის:  
 „დავკარგე ძვირი საუნჯე“,  
 თავისთვის ამას იტყოდის.  
 სულ ბანზე იჯდის ღამითა,  
 აშტერდებოდა ცასაო,  
 მოსულს და წასულს, არავის  
 ალარა სცემდა ხმასაო;  
 ალარც სტუმარი უნდოდის,  
 ჩვენ ხომ არა და ალარა,  
 ამ ცოტა ხანში თმა-წევრი  
 დარდმა თუ გაუჭალარა?!.  
 ბევრჯელ ქურდულად ბნელაში  
 დაუყუროდი ჩუმადა,  
 მაგრამ მის მარტოდ ყოფნასა  
 მე ვერ შაუვედ გულადა.  
 რომ თავს და ხალხსა ტიროდის,  
 ის კი შავიგენ სრულადა:  
 „ვეღარას ვარგებ ქვეყანას“,  
 ტიროდა დაფარულადა.  
 ცოლ-შვილთ კი, უფრო ბოლოს დროს,  
 გვეკიდებოდა მტრულადა.

### სანდუა

ჩვენ ეგ არ გაგვიგონია,  
 პირველად მესმის შენგანა:  
 მე ისივ მინდია მგონავ,  
 შასადარები მზესთანა.  
 მაგას, ათასი იუბნო,  
 არ დაგიჯერებს ქვეყანა.  
 მიკვირს, ეგ შენთან ნათქვამი  
 რად არ იუბნა სხვებთანა?  
 ვითომ რას ცოდნას გლოვობდა,  
 რომელს ცოდნაზე ჩიოდა?



ან თქვენ რის დამნაშავეოი?..  
გული იმ რიგად სტკიოდა,  
რომ ცოლ-შვილთ დასალევადა  
ხმლისკე ხელ მიუდიოდა?!

### მზია

ისიო, იმას ამბობდა,  
ემათ მზემ, არ ვსთქვა მრუდია, —  
ხელი დაადო შვილებსა,  
ორივ მის გეერდზე ჰყუდია, —  
რომ თქვენგან ცოდვაში შაველ,  
არ-საქნელი ვქენ საქმეო:  
შეშა ვჭირ, ნადირი ვხოცე,  
როგორც უბრალო რამეო.  
ყვავილნი ხმას აღარ მცემენ,  
აღარც ვარსკვლავნი ლამეო.  
უფლისგან მომადლებული  
დიდი ცოდნა და ძალია  
დაგვარგე შენის აყოლით,  
წელზე რადლა მრტყავ ხმალია?  
და სხვა ამგვარი ათასი  
შამიგმის პირზე ცოფითა  
და ორჯერ-სამჯერ გადურჩი,  
კინალამ მამკლა თოფითა.  
ალბათ ჯერ იმედი ჰქონდა,  
ხატებს ეხვეწა, იშრომა...  
თან ჩვენაც ვებრალებოდით  
და არ დაგვხოცა მიტომა.

### სანდუა

თუ მართალია, რაცა სთქვი,  
შენგან ცოდვაში შავიდა,  
უნდა მოგეჭრას ეგ ენა,  
შალლა დაგკიდონ კავითა,

ძირს ცეცხლი შემოგიქეთონ,  
დაიწვა იმის ალითა:  
ქვეყნის ცოდვაში ჩამდგარხარ,  
ჩვენ ხო ვართ იმის ძალითა!

### მზია

ჰო, თუ ბრალი მაქვ რაიმე,  
ლირსიც ვიქნები დასჯისა;  
ის ცოდვა რად უნდა იყოს,  
ფიქრი რო მივეც გარჯისა?  
ცოლ-შვილნ თუ უნდან ვაუკაცა,  
შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა.  
ჩვენ საქმე ვიცით, დიაცთა  
რა გაგვიგება აბჯრისა...  
ეს თითონ უნდა ეფიქრა,  
კაცი იმისთვინ კაცია:  
ერთს თუ სხვისათვის არ უვნავ  
და არა გაუტაცია,  
ბრალი რად უნდა დაედვას  
ალალს, არ მქნელსა ცოდვისა?  
ცოდვა ერთისა სხვამა ზღოს,—  
მადლად სად თქმულა, როდისა?  
რალაც ცუდს გრძნობდა მაინცა,  
იმითა სწუხდა ბეჩავი,  
ჩვენზედ იყრიდა ბოლოს ჯავრს,  
საქმის წინადვე მხედავი.  
წუხელაც ცუდ სიზმარ ვნახე,  
რა-რა იქნების, ნეტავი?!

### სანდუა

რა პნახე, მზიავ, მიამბე,  
იქნება ახდეს კარგადა  
და არ გაგვხადოს უფალმა  
დასალევ-დასაკარგადა?

### მზია

ცუდი რამ ვნახე, სანდუავ,  
 საზარო, გულის მგმირავი,  
 სულ-ხორცის ამაშფოთები,  
 გონების ამაზრზინავი:  
 მოვარდნილიყო ლვარები,  
 როგორც დევები მქშინავი;  
 ოან მაარლვევდენ მთა-ბარსა,  
 იღგა დგანდგარი, ღრიალი,  
 ცა-ხმელთა დაქცევას ჰგვანდა;  
 ისეთი ისმის გრიალი.

მთებსა სტყდებოდა წვერები,  
 დაბლა ხევებში წვებოდენ;  
 მთებთან ერთადა კლდეებიც  
 თოფებივითა ტყვერებოდენ.  
 ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი,  
 შავად ჰლელავდა, შხიოდა,  
 კუპრს აწვიმებდა მიწასა,  
 ცხელი წვეობი სცვიოდა,  
 ლვარები ისევ საზარლად,  
 შეუპოვარად დიოდა.

„გვიშველეთ, ვიღუპებითო“,  
 ათასგნით ხალხი ჰქიოდა.

მართლაც ვუყურებ, რომ მოაქვს  
 წყალს ხალხი, ფარი, ხმალია,  
 ათასგან ციხე ირლვევა,  
 ქავ-ციხეებთან სახლია;  
 ამოდენს საბრალოობას  
 მარტო მოზარე აკლია,  
 ჩენ ვითომ არა გვიჭირდა,  
 ვითომ უვნებლად ვიყვენით,  
 ბოლოსა ვნახე სახლკარით  
 რომ ჩენაც გავირიყენით.  
 მოასქდა ლვარი ზენაით,  
 ლიბო მაპგლიჯა ციხესა

და შეურია ისიცა  
 დაბლა არაგვის რიყესა.  
 სახლიც წილო ჭერხოთურ,  
 გაგვიყოლია ჩვენაცა,  
 მინდა ვიძახო — მიშველეთ,  
 ვეღარ ვაგებდი ენასა.  
 ბალღებს კი გულში ვიქრავდი,  
 ხატ-ღმერთსა ვსოხვედი შველასა.  
 თან გამოსვლასა ვცდილობდი,  
 ვეგანებოდი კიდესა;  
 ბალღებს ვაფარებ პირებზე  
 შავის მანდილის რიდესა.  
 და რამდენჯერაც მივჯარდი  
 ნაპირს, იმდენჯერ მქისია,  
 კაცების სახე წინ დამხვდა  
 შავები, როგორც ფისია.  
 ხელი მკრეს, წყალშივ ჩამაგდეს,  
 თან გაღმომხახეს ისია:  
 „სად მოხვალ? წადი, წყალს ვაჰყევ,  
 „ბძანება არის ღვთისია!“  
 და ამ ღროს ვნახე, ჩვენს წინა  
 წყალს მიაქვს ჩვენი კაცია,  
 შამომიბრუნდა და მითხრა,  
 ტკბილი ხმა ჰქონდა, ნაზია, —  
 „გთხოვ მაპატიო, მზიაო,  
 რაც გლანძლე, გაგაბრაზია;  
 რასაცა ჰქედავ ჩემს თავზე,  
 ღირსი ვარ, სწორედ ახია,  
 ბალღები არ დამიჩაგრო,  
 გთხოვ, კარგად შამინახია!“  
 მტერს, რომ მე წუხელ ვიტანჯე,  
 მე რო სიზმარი ვნახია!..

### სანდუა

მაშ ვერ გამოხვედ, წაგილოთ?

### მზია

ვერა... წაგვილო, სანდუავ,  
დედა-შვილები ყველანი.

### სანდუა

აეი ნურაიმც მოგივათ,  
ლმერთმა გამყოფნესთ მოელანი.

### საერთო ჩრა ქალებისა

მოდიან, მოდის ლაშქარი,  
ლმერთო, ღასწერე ჯვარია!..  
მზიავ, წამოდეგ, გაპხედე,  
აგერა შენი ქმარია,  
დროშიონთ მასღევს მხარ-და-მხარ,  
ამომავალი მთვარია.

### ერთი დედაკაცი

აგერა ჩვენებ ვაჟები,  
დედა ენაცვლოსთ მხრებშია...  
ვაპმე, რა ლამაზებია,  
ვინ პნახავს იმათ მკვდრებშია!..  
ლმერთიმც ნუ მახილებინებს  
მავ ამბავს თავის დღეშია.

### მეორე დედაკაცი

გაპხედე, ჩემ უნცრუაი  
იმეებს მისღევს გვერდშია.  
რა მშეენივრები მიდიან,  
დედა ენაცვლოსთ მკვდრეშია!..

### გახათხოვარი ქალი

დამც ენაცვლება თოთიას,  
ვერ - როგორ ვარჩევ ხალხშია.  
ვნახე... ძლივ სადამ ვიცანი  
მიხერა-მოხერაზედ, ტანშია.

ლაგმის პირს უჭიამს ულაყი,  
 დაძაგრულია მქლავშია.

### მეორე ქალი

ჩეენ უშიშაიც მარჯვეს ჰყავ,  
 როგორ აგელებს ლურჯასა!..  
 საქმე რო ხმალზე მიღება,  
 არც ეგ დაიწყებს კუნჭვასა.  
 მაშინამც მაყურებინა,  
 ფარს რო დაუწყებს ბლუჯვასა.

### პირველი ქალი

მე ვერ გნახავდი ჩემს ძმასა,  
 გამიძნელებდა სუნთქვასა:  
 პირს სხვაგნისაკე ვიზამდი,  
 თვალთ დაუწყებდი ხუჭვასა.

### მეორე ქალი

მე არა. ძმისა სიკეთე,  
 კარგი ყოფნა და სახელი  
 ისრე კი მინდა, ზექუავ,  
 როგორც ბნელაში სანთელი,  
 დამაშვრალს, მომშიებულსა  
 მოსვენება და საჭმელი.  
 კარგია, ძმისა სიკეთე  
 რო არს ყველაის სათქმელი.

### პირველი ქალი

ეგ ვის არ უნდა, შვენაო,  
 ვინ არი ისე ჭკვა-თხელი?  
 მაგრამ და თვალ-დამწვარია  
 ძმის გასაჭირში მნახველი.

### მეორე ქალი

უმისოდ სახელს ვინ მისცემს,  
 თუ კი არა ქნა საქნელი?!

## საერთო ხმა

ლმერთო, უშველე, ხატებო,  
 თქვენ უწინამძღვრეთ მხედართა,  
 ეგრევ უგნებლად გვაჩვენენ,  
 როგორაც ეხლა ვხედავთა.

ბევრისა გული ლელავდა  
 ათასნაირის შიშითა —  
 ნურც ვის კი გაუკვირდება,  
 კაც ეს მოგვიდის ჯიშითა,  
 საშიშს დროს საყვარელს საგანს  
 რო ვიგონებდეთ შიშითა!..

## XI

შამწერივდა მთაზე ლაშქარი,  
 დიდს ვაკეზედა გროვდება.  
 თოფ-იარალის ბჟყვრიალი  
 მზის სინათლესთან სწორდება.  
 ცხენთ ტერფით ჩამონაგლეზი  
 თავქვე ლოდები გორდება.  
 აქვე შაექნათ თათბირი  
 მტრის დასახვედრელს წესზედა:  
 ვაკეს ადგილზე ჩავიდენ,  
 თუ მიეგებნენ სერზედა.  
 ყველანი ფეხზედა დგანან,  
 ხელები უდევთ ხმლებზედა.  
 თვალები ყველამ მინდიას  
 მიაპყრო, პასუხს ელოდდენ:  
 ის რომ არაფერს ეტყოდა,  
 ხევსურნი ერთხმად ეტყოდენ.

## ლაშქარი

მუდამ შენს რჩევას ვრჩეობდით,  
 არც რა ზარალი მოგვსვლია.  
 როგორ მოვიქცეთ, გვირჩიე,  
 შენი პასუხი მოკლია?!

### მინდია

მე ვერას გირჩევთ, ხევსურნო,  
 აღარ ვვარგივარ მრჩევლადა:  
 ის სხვა დრო იყო, სხვა ჰქუა,  
 ეხლა კი ჩემი ნარჩევი  
 გამოვადგებათ ძნელადა.  
 აწონ-დაწონეთ, ჯარი ხართ,  
 ფიქრი შეკარით მთელადა.  
 მე მარტო უნდა ვიომო,  
 მიტომ გამოვედ ველადა;  
 ან როდის საუკუნოდა  
 მე ხალხმა გამაბელადა?!

### ლაშქარი

ლმერთი გაუწყრესთ და ხატი,  
 ვინც რომ შენს რჩევას იქითა  
 ფეხი გადადგას საომრად,  
 თუნდ თავში სცემონ მჯილითა:  
 მოკვდეს და პირი აევსოს  
 ცივის სამარის თიხითა.

### მინდია

კარგია... რა ვქნა, არ მწადდა  
 გავრეულიყავ რჩევაში.  
 გეტყვით, რადგანაც ჩაშქსოვთ  
 ამდენს ფიცში და წყევაში.  
 სხვას ვერას გირჩევთ: დაუხვდეთ  
 ქისტებს მოწამლულს ხევაში.  
 უსიამოვნო ჩურჩული  
 მორთეს ერთ-ურთში მხედრებმა;  
 დარდი დაპბადა ადგრლმა  
 ქისტების დასახვედრელმა.  
 მაინც რას იზმენ?... ვერაფერს,  
 რაკი სოქვეს, დაიფიცესა,

უარს ვერ იტყვის ლაშქარი,  
უნდა იქითკე ვლიდესა,  
საცა მინდიამ უჩვენა  
ადგილი საომარია,  
თუნდ ერთმაც ალარ იკოტხლოს,  
ყველაც იქ დარჩეს მკვდარია.  
ალარა ეთქმისთ, წავიდნენ,  
დროშა ამართეს წინათა,  
მსუბუქად მოაბიჯებენ,  
შავარდნებს ჰგვანან მფრინავთა,  
თან გადიყოლეს მხის სხივი  
შუბისა წვერთა მბრჭყვინავთა.

## XII

ორი დღე არის მთას იქით  
ომია, დიდი ვაება:  
მეტად სასტიკი ბრძოლაა,  
ვეფხვიბი ლომებს შაება  
და სისხლის თოკი მთიდამა  
დაბლა ქალამდე გაება.  
ორსვე ერთგვარად არ ჰნახავს,  
ერთს გაუმარჯვებს ლვთაება.  
ხუთსა თუ ექვსსა ხევსურსა,  
შამურვილებსა სახითა,  
კაცი მოპქონდათ ხელდახელ  
შაკრული კაბალახითა.  
პირ-აქათ გადმოიყვანეს,  
დაბლა დააგდეს ვაკეზე  
და სამდურავით მიკმართეს  
ჯავრ-მოსულებმა ბაგეზე.

## ხევსურნი ერთად

კაცო, რად იკლავ მალად თავს, —  
ძალად სიკვდილი გწადიან?  
შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში,  
ხომ ხედავ, რასაც სჩადიან?!

დღემდე ჩვენ ვთელეთ ეგენი,  
ახლა ეგენი დადიან  
ჩვენზე, და იქნებ, მინდიავ,  
ჩვენც მოვაგვაროთ სხვა რამე,  
ვიცემდით, ბინდშაც ხო გვისწრო,  
რო გავისარჯნეთ ამ ლამე.

ეს სოქვეს და იმ წამს გაბრუნდენ,  
გაიქცენ როგორც ქურდები,  
ამოლებული ხმლები აქვთ,  
ხელმი უპყრიათ შუბები,  
ძნელია, თუ-კი ვიფიქრებთ,  
სიკვდილ-სიცოცხლის წუთები;  
რა ქნან! რო შარცხვენ, ძნელია,  
ტანზე ჩაეცმისთ ჯუბები,  
თავს დაეხურეისთ მანდილი  
და მოეხდებათ ქუდები,  
თუკი არ გაირჯებიან,  
როგორც ლაჩრები, ცუდები.

ტყვე კბილებს ალრჭენს და ცდილობს,  
უნდა გაიხსნას ხელები,  
დიდხანსა წვილობს, გორაობს,  
ვარმისგან განაცხელები.  
მშებთან სწადიან სიკვდილი,  
ალარ რჩებიან მთელები,  
უჭირსთ და ალარსადა ჰყავ  
ლაშქარი მისაშველები.

ლამეც გახშირდა კარგაზა,  
ტყვემ აისრულა წადილი,  
ორივე ხელი გაიხსნა,  
ფეხზე წამოდგა დალლილი  
და ამ დროს ნახა სოფლებში  
ცეცხლები, — ცუდი ნიშანი.  
გაიგო, რაც მომხდარიყო,  
ალარ უნდოდა მისანი.  
გაშრა, გაფიტორდა, ცრემლი კი  
არ მოსდგომოდა თვალებში;  
სულ გულში ჩაგუბებული

და გაბნეულა მკლავებში...  
 ქუდს იხდის... სიტყვა ვეღარ სოქვა,  
 ხმლის ტარს შაეხო ცერითა,  
 ამოიწვადა ქარქაშით,  
 გულს მიიბჯინა წვერითა.  
 მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,  
 გადმოუვიდა ჩქერითა,  
 მთვარემაც გადმოაშუქა  
 საჯიხვეების სერითა  
 და დააშტერდა თავის-მკვლელს  
 მოზარე ქალის ფერითა...  
 ნიავიც მიდ-მოდიოდა  
 უდარდოდ, ნელის მღერითა...  
 ფრთა გაპერის წვერსა ხმლისასა  
 ამოლერებულს ენითა,  
 შალებილს ჭიაფერადა  
 კაცის გულ-მკერდის წვენითა,  
 და გათამაშდის მწვანეზე  
 ლალად, მოლხენით, სტენითა.

1901 წ.

## მამიღის დანაბარები

ალუდს მოუდის ამბავი,  
 მამიღის ნაბარებია:  
 „არ დაპირებ უკაცრევადა,  
 „სირცხვილი ჩაგბარებია;  
 „ცოცხალსა აუგიანსა  
 „გულს მიწამც დაგფარებია.  
 „ამას გიბარებ... იმედი  
 „შენზე-ღა დამშარებია!“  
 — ეგ რაღას ჩამამეკიდა,  
 ჯერ ხომ არ დამცალებია,  
 თოფში ტყვიაი, წელთ ხმალი  
 ჯერ ხომ არ გამოავებია!—  
 ეს სთქვა ალუდმა, თვალებს ჭინ  
 უკუნი აპტარებია.  
 გაუათკეცდა ნალველი...  
 მტერსამც ნუ გაპხარებია!

---

ხოშიას დანაბარები  
 რო გაიგონა ბებომა,  
 მოხუცმა ძლიერ იწყინა,  
 როგორაც ცეცხლი ერბომა:  
 „უყურეთ სულელს, უყურეთ,“  
 იგი ბუტბუტებს თავისად:  
 „როგორ აქეზებს ამ ბალლსაც  
 „მოსაქმედებლად ავისად.  
 „მოდი და გულზე არ შასეას  
 „ამ სიტყვამ გასასენავმა?..  
 „შვილები ამამიწყვიტა  
 „მის გესლიანმა ენამა.  
 „როდი გაუძლო სულ-გული  
 „ამდენმა სისხლის დენამა?!.“

„ეს ერთი ბალლი-ლა დაგვრჩა,  
 „მაგასაც აგდებს ხიფათში;  
 „ვგეც რომ მტერსაც შევაქლათ,  
 „ვინ-ლა დაგვრჩება ბინაში?!.  
 „მე რა? ვეგდო, თუნდ არ ვეგდო,  
 „ორად მოხრილი ჯინაში“.  
 კარგია თავშესაფარი  
 დელგმა-ავდარში, წვიმაში!

უკუნეთია. ცა ლრუბლით,  
 ჭალა და მთები ნისლებით  
 შაბურულია თავ-ბოლოს,  
 როგორც იუდა გინებით.  
 ზოგნი რო ვტირით თავის ბედს,  
 სხვანი დალიან ცინებით.  
 ხევში მოქოთობს მდინარე,  
 ჯავრობს და წყრება რაღამა,  
 იქნებ იმასაც სჩიოდეს,  
 რისთვისა სცოდა აღამბა.  
 რა უყოთ, იმას ეს ჰშვენის,  
 უნდა იჩხავლოს კატამა.  
 უნდა მშიერი გააძლოს  
 წურვილიანმა ქადამა!  
 უსისხლოდ რა ქნას ბეჩავმა  
 სისხლის ძიების მადამა?  
 ერთი კვირაა ალუდი  
 ვადაითხია საღამა.

ისევა ბნელა. სოფელში  
 მყუდროობაა, მშვიდობა.  
 არაფერი სწყინს ბუნებას,  
 შეუმოსია დიდობა.  
 უხდება მთათა მაღალთა  
 გარემოს თვისთა ბინდობა,—  
 აზრით და ტიქრით ცად ასვლა,  
 ვანგებისათვის მინდობა.  
 სოფელსა სძინავ, მის ძილი

მშეიღია, აუშფოთები;  
თუ საღმე ძალლი წკავწკავებს,  
ანა ზმუგიან ძროხები,  
სხვა არაფერი. ზტერად სდგან  
ფშაველთ მიწური ქოხები,  
სინათლეს არსით აჩენენ  
დარბაზთ კედლების გოხები.

ერთის სახლისა ეზოში  
ცხენით მოიჭრა მხედარი,  
იმ ღამის ბრძოლის ნიშნები  
ცხენ-უნაგირზე ზედ არი.  
ნაცრობს ჰევე, სახლში უძახის  
თავ-მოწონებით, მხნედ არი:  
„კაცი არ გინდათ, სტუმარი?“  
კვალად უყივის შიგითა,—  
„მალე რო დაგიძინიათ,  
„აღრე თუ სდეგებით დილითა?  
„აღევით, გამოიხედეთ,  
„კიდევ დასძლებით ძილითა!“

ჭრიალებს დარბაზის კარი,  
დიდი, გათლილი მუხისა.  
გამოჩნდა ვინმე დიაცი,  
ტარი ხელთ უპყრავ შუბისა.  
ამხელს მის ვინაობასა  
წითელი ბოლო ჯუბისა.  
მოდის დერეფანს, მოუბნობს,  
სიტყვის კილო აქვს ჩხუბისა.  
— ვინ ხარ? რას დახვალ ღამ-ღუმით,  
რას აბოვირებ სოფელსა?  
— აბოვირება თუ არი—  
შვილი ესტუმროს შშობელსა?  
— ალუდო, შენა? მოეტყუვდი...  
ბიჭოს, ამ უქმურთ, საითა?  
— იქით, საისკეც გამგზავნე,  
იქით მოვდივარ, მამითა.

ამიკელ... გული გაჰშეჭვალე  
 დანაბარებით ავითა.  
 არ დაისვენებ? მოგიველ  
 ჩვენის მოსისხლის თავითა,  
 ჩვენის ზურაბის მკვლელისა  
 ჩემგან მოქრილის მკლავითა.  
 დაიჭი. — ართმევს მამიდაც.  
 — ნულარ დამხვდები დავითა;  
 ტანზე ჩაიცვი სალხინო,  
 აღარ მეჩვენო შავითა!  
 — შენს თვალთ ენაცვლოს მამიდა,  
 შენს მკლავო ენაცვლოს ხოშია,  
 რომ არ შასჭამე მტრის ჯავრი,  
 პირ-ნათელი ხარ სწორშია. —  
 ძმისწულს უკოცნის ხელებსა,  
 სახეც სულ გაუმტლოშია.  
 — ფოლადი უნდა ვაუკაცი,  
 არ უნდა იყოს ბოშია! —  
 და სხვა რამდენი საგმირო  
 სიტყვები დაუროშია.  
 ფარ-ხმალი დარბაზს წაულო,  
 ლურჯა დააბა გომშია.  
 ტახტზე დაუგო ფარდაგი,  
 ზედ დააბძანა ძმისწული,  
 ალალებს ძუ ვეფხვს ალუდა,  
 სახელოვანად მოსული.  
 აყოვდა სანოვაგითა  
 სუფრა, სტუმრის წინ მორთმული.  
 თითონაც მუხლთან მიუჯდა,  
 პურს აპატიუებს ალუდსა:  
 — პური გემშევა!.. შაექე! —  
 ხან არაყს ასმევს, ხან ლუდსა.  
 თან ჰყითხავს: — ძალლი ძოსექა  
 საით ჩაიგდე ხელშია?  
 — აღვილ ყოფილა, თუ ჯავრი  
 კაცს მაჰბჯენია ყელშია,  
 მტრის მოკვლა, ჩემო მამიდავ! —

თან ილიმება წვერშია.  
— მიამბე, მაინც მიამბე,  
მინდა გავიგო კარგადა,  
არ მინდა ჭუჭყი ეკიდოს  
ჩეშ გულს, ან შენსა ბარგადა.  
— შინ შაუეარდი, მამიდაყ,  
ცოლთან რო იჯდა კერაში.  
— თავს შამოგევლე, ლამაზო,  
გამოსადეგო ყველაში.  
მერე? და ცოლი თავის ქმარს  
ვერ გამოადგა ვერაში?  
— ვერავინ ვერა, ყველანი  
გაძვრენ, გამოძვრენ ბნელაში.  
— საამურია სასინჯად  
ვაჟკაცი მტრისა რბევაში.  
რაკი მტრის ჯავრი იყარე,  
რაკი არ დარჩი მტრის ქვეშა,  
უნდა დავიწვა შენთვისა,  
როგორაც საკირის შეშა.  
თუნდა არ დამრჩეს მბლავანი,  
სოფლად ვიარო მთხოვრადა,  
ფეხზე არ შემრჩეს ქალმები,  
საწყალი ვიყო ყოვლადა,  
შენ-კი გიყიდი, რასაც მოხვე,  
თუ სამ რამ მოგწონებია,  
ცხენი, ხმალი და ხანჯარი  
თავისთვის მოგნდომებია.  
ოლომც-კი ნუ გამავონებ  
თავის დაჩაგვრას მტრისგანა,  
თუ რაც აგითქვი, გადავთქვა,  
წყეული ვიყო ღვთასგანა

—  
სოფლად გავარდა ამბავი:  
„ალუდს მაუკლავ მოსექა“.  
ამ ამბის გაგონებაზე  
მთელმა სოფელმა მოხეთქა.  
„მაუკლავ, ხელიც მაუჭრავ,

„მაუტიანია თავია“.  
 შათოთქორება ხალხისა  
 სულ ხოშიაის ბრალია.  
 მოდის დიდი და პატარა,  
 მოდის ქალი და რძალია.  
 მტრისად ჯავრისა არ შამრჩენს  
 ჰსურთ გადაავლონ თვალია.  
 ხოშია კარგად ჰმასპინძლობს,  
 ჰსმენ და ლხინობენ ყველანი;  
 სხივები მოდის ქალთ თვალით  
 ალუდის დასაწეველანი.  
 უსინჯვენ მხარ-ბეჭს ვაუკაცსა,  
 სახეს, დამწყაზრულს წვერითა,  
 ბევრი თვალ-შურთხი გოგონა  
 შესცერს გმირს გულის ბგერითა.  
 მგონია ასგან დაკოდეს  
 ვაუკაცის გული შეერითა.  
 ის არვინ იცის, ალუდა  
 ხელს ვის დაუჭერს ხელითა  
 და შემოავლევს საკიდელს  
 გარს მორტყმულს ხალხის მლერითა.  
 უკან მისდევდესთ ეჯიბი  
 გვირგვინთ ტოტების ქერითა.  
 დარბაზის დედა-ბოძებს სძრაეს  
 დიდი ფანდური ულერითა.  
 მის სიმებს ვიღაც დევ-გმირი  
 ჰბოჭავს თითებით, ცერითა.  
 თითქოს მჭედელი ჰკვერავდეს  
 გრდემლზე ცივს რკინას კვერითა.  
 მთას აქათ ისმის ცელქობა,  
 ტაშის ხმა, როვეა, ბიბინი,  
 მთას იქით შავ-ბნელობაა,  
 უმასპინძლდება ქვითინი.

# უიღბლო იღბლიანი

(ზღაპარი)

I

იყო და ორა იყო რა, —  
 ასე იწყება ზღაპარი:  
 ყოფილა ერთი ოჯახი,  
 უბადლო, არ ჰყავს სადარი;  
 სამს ძმას სამება სწყალობდა,  
 მისი კალთა აქვთ საფარი.  
 მსურს გითხრათ მათი ამბავი,  
 სიცრუც - სიმართლე რაც არი.  
 ჯერ ხანად მე და ჩემს სტვირსა  
 არ დაგვდგომია ზამთარი,—  
 გული საგრძნობლად და ენა  
 გრძნობის სათქმელად მზად არი.  
 ეს ფიქრი მტანჯავს მხოლოდა,  
 როგორც თავის მსხვერპლს ჯალათი:  
 უსამართლობა სიმართლეს  
 რისთვისა სჯაბნის ძალათი?—  
 ზოგს ნიჭი მისცა უფალმა,  
 ყოფა-ცხოვრების დავლათი:  
 სხვას დაუწესა მკლავზედა  
 სამთხოვარაოდ კალათი;  
 ლხინის, ქორწილის შემდგომა  
 გამწყრალი მოდის მაყარი  
 და, ერთ ღროს მლოცველით საესე,  
 დანგრეული სდგას საყდარი;  
 ზოგს ამოქშამდა თეის ლუკმა,  
 ალალის ოფლით ნალვარი,  
 სხვას შეპრიჩა, კიდეც შეერგო  
 სარჩო ნაქურდალ-ნაპარი.

გულის სიმთ ამაქლერალი  
 სწორედ მიზეზი აქ არი.  
 განსაჯეთ თავ-თავისადა,  
 ვისაც რა გქონდესთ მიზანი:  
 ფიქრთავან ერთი მკვიდრია,  
 ხოლო მეორე—ხიზანი...

## II

ძმებს ურიცხვი ჰყავთ ცხეარ-ძროხა,  
 ცხენ-აქლემების ჯოგები.  
 თითონაც ეცვათ ტანზედა  
 ბუზმენტიანი ჩოხები,  
 როგორც ვარსკვლავნი ცაზედა,  
 მინდერად სჩინს იმათ ძროხები.  
 უსამზღვრო სახნავ-სათიბი,  
 ზერები თვალ-გადუწვდენელი,  
 ქვევრები ზოგი ღვინისა,  
 ძირზე სარცხ-დაუწვდენელი,  
 სხვები, ძელებურ წესზედა,  
 სულ ოქრო-ვერცხლით სავსეა,  
 თუ ღმერთი კეთილად გვხედავს,  
 რად გიკვირთ, მუდამ ასეა.  
 ყველას, რაც კაცის გულს უნდა,  
 აქა ჰპოვებდით უხვადა,  
 ყველანი ნაქებნი იყვნენ  
 მოამაგდარე მუშადა.  
 ქალებიც კაცებს ჰშველოდენ,  
 შინ როდი ისხდენ კრუხალა!  
 ვინ გაიმეტებს ამ ოჯახს  
 დასანგრევ-დასალუპადა?!  
 იმათ დარბაზით ისმოდა  
 მუდამ ღხინის ხმა, ლრეობა.  
 ასეთ ღხინს ვერ შაესწრობა  
 თვით ალავერდის დღეობა.  
 მაგრამ კაცთავანს მრავალსა  
 თვალი აქვს შურის მოოვნელი.

„ვინ მისცათ ამდენი სარჩო?“—

ამას ამბობდა ყოველი

სტუმარი, ვინაც შეიქმნა

იმათ პურ-ღვინოს მწოვნელი;

გლახაკიც მრავალი მოსდით,

ერთხელ გაძლომის მოხოვნელი.

ორი ძმა ბევრს ყურს არ უგდებს

გლახაკებს, იმათ ხახებსა,

მხოლოდ საბრალო ჰმასპინძლობს

პურით და ღვინით საწყლებსა.

ეს უმცროსია, გუდაშიც

ყველას ჩაუდებს საგძლებსა.

უყურეთ ბედის სიმუხთლეს,—

უბედურობის რჩოლასა:

უკულმა მიდის მათ ბედი,

სასვაოდ შეიქმნა სრბოლასა.

უფალმა ბრძანა,—რას იზმენ,

თუნდ ალოცვინონ მოლასა,

მაინც ვერსიდან შესძლებენ

ძველებრ საქონლის ყოლასა,

ვერც პურის, ვეღარც ღვინისა,

ვეღარც ფულების ქონასა.

ალარ აქვს მადლი და ხვავი

ძმების ოფლსა და შრომასა.

ბედი ხან ბატონსა სწყალობს,

ხან გაულიმებს მონასა!

ცხვარიც ილევა, ძროხაცა,

ზვრებმაც როდილა დაისხა,

ყანებიც მოსცდა, ხუთ წელსა

თავთავი ალარ აისხა.

გაბრაზდა მიწა, გაჯავრდა,

გულში ნალველი ჩაისხა

მარტო ამათთვის,—სხვას ბევრსა

უებრო მისცა ნაყოფი,

ბევრს ღვთის ამარად შთენილსა

მისცა საზრდო და სამყოფი.



### III

ქვეყნის ყბა მოულალავი  
ბევრის რისმეა მთხრობელი.  
სამს ძმაში ორსა სწუნობდა  
სჯა-ფიქრით გამომცნობელი,  
უმცროსს-კი ალალს ეძახდა  
უზარმაზარი სოფელი.  
„ქაცია, ქვეყნის ბადალი,  
„დედა უცხონდა მშობელი!“  
ერთიც ამ გამოჩენილა  
ალალ-მართალის მგმობელი.

იგი მუშაობს ერთგულად,  
წელებზე იდგამს ფეხებსა,  
ცხავ-ცხრილებსა ჰქონვს მართალი,  
სთლის ნიჩებს, სჩორქნის კეხებსა,  
სოფელ და სოფელ ატარებს,  
ჰყიდის, ავაჭრებს გლეხებსა.  
ჰუიქრობს საბრალო მუდამ უამს  
ოჯახის შესამატებსა.  
თავის გარჯასა და ოფლსა  
არავის დააკვეხებსა.  
არა თაკილობს საბრალო  
ასეთს ხელობას გლახურსა.  
სხვას არ შეძლო ეს საქმე,  
ისეთ სიმღიდორე-ნახულსა,  
ეხლა ცყუდებს ნიჩაბსა,  
წინანდელს თავის მსახურსა.

თან ეტყვის: „მმებო, ნუ გიკვირსო,  
ღვთისია ჩვენი ქონება,  
მანამდე ჰნებავს—გვაკუთნებს,  
როს სხვად გაუჭრის გონება,  
ისევ წაგვართმევს თავისას,  
ჩვენ ან რა გვეთქმის მაზედა?  
ხომ იციოთ, ხან ყინული წევს,  
ხან ყვავილია მთაზედა?!“

იტყოდენ, ვინცა ჰნახავდა:

„ეგ ომარაანთ ბიჭია.

ახ, რა ოჯახი დანელდა,

როგორ დაპკარგეს ნიჭია.

როგორ ერთბაშად დაეცნენ,

რა გამოუტყვრათ ხინჯია?“

ცდილობს ეწამლოს რითიმე

დაერდომილს ოჯახს, ბეჩავსა,

ამის გულისთვის ირჯება,

ათასს ხელობას ჰქედავსა.

ძმები-კი ნაორგულარსა

ჰმალვენ ცოლების სკივრშია,

ალალს ძმებისგან ლალატი

არც-კი გაუვლის ფიქრშია,

თუნდაც გაიგოს, არავის

ის არ გაიწვევს კრივშია.

მის საზრუნავი ის არის,

რით გაალალოს ძმებია,

თითონ თუნდ ერთი ფირქლიცა

ჯიბეში არა სდებია.

ცდილობს ყოველის ღონითა,

ერთგული ჰყვანდეს ძმობასა,

აორკეცებდეს მხნეობით

სახლის კეთილის-ყოფასა.

უზიდავს სალალობელსა

რძლებს, ძმისწულებსა, ყველასა,

თითონ-კი გლახაედ დადის,

ატარებს ჩოხის ძველასა.

ჰფიქრობს: ძმებს კარგა ტანთ ეცვათ

ძვირფასი ფარჩა რაც არი,

თითონ—თუნდ ხამის პერანგი,

იმათი გამონაცვალი.

იმათთვის საზრდოდ ენატვრის

მუდამ თაფლი და შაქარი

და თითონ ქმაყოფილია,

თუ აქვს ნაფშრუჟი ნაცარი.

## IV

არ იქნა, ერთის სიმართლემ  
 ვერ გამოიხსნა ოჯახი,  
 ვერას ჰშველს იმას საბრალო,  
 თუნდ გახდეს ასჯერ ყოჩალი.  
 გასაწყლდენ, მაინც გასაწყლდენ:  
 სამის დღის უდგათ ფეტვია,  
 არსად არ მოეპოვებათ  
 ნახნავი ამის მეტია.  
 გალარიბებულს ოჯახსა  
 ესხმის თავ-ბრუ და რეტია.  
 სთქვეს ძმებმა: გავიყარნეთო,  
 თუმც არ უწონებს მართალი...  
 ასრულდა კიდეც იმავ დღეს  
 ორის ჭიკის ჩამონათალი.  
 გაიყვეს თუ რამ ებადათ,  
 სამად გაიყვეს ფეტვია;  
 წილების უსწორობაზედ  
 არვის რა დაუყბედია.  
 სამივე კმაყოფილია  
 თავის ბეჩაეის წილითა.  
 ფეტვის მომკასაც თავის წილს  
 ყველა პირობს დილითა.  
 მაგრამ იმ ღამეს გაავდრდა,  
 თან სეტყვაც წამოურია;  
 ცა ჯაერობს, სწყრება ფრიადა,  
 ქვეყნის დალუპვა სწყურია.  
 თქვენს მტერს, რომ მეორეს დილას  
 უმცროსს უკვდება გულია:  
 ფეტვი — ნაწილი იმისა,  
 გაგლილი, დაქარგულია,  
 სდგას თავ-დახრილი, დასცემის  
 გულ-ხელებ დაკრეფილია.  
 მაინც ღმერთს მადლობას სწირავს  
 მართალი, მართლის შეილია.  
 უკვირს თუმც: ასე შუადამ

როგორ გამოსჭრა სეტყვამა?—  
ასეთს უბედურს ვარსკვლავზე  
რად გააჩინა დედამა!

სთქვა ბოლოს: „იქნებ უფალსა  
„შევცოდე, მსჯიდეს ამაზე.  
„ღმერთს რად ვემდურო? რისათვის?  
„ცუდი სიტყვა ვსთქვა რალაზე?“  
მოსძულდა მეტად ეხლა-კი  
აქ ყოფნა, ცეკვა ცისადა,  
ტანჯვის და სირცხეილის მეტი  
მზად არა იყო მისადა,  
და გადასწყვიტა, რომ თავი  
მას ჩაებარა ლვოთისადა.

ადგა, წავიდა იქიდან,  
დასტოვა სახლი, ძმებია.  
მიენდო ბედისწერასა,  
გადაიარა მთებია.

## V

წავიდა, მიდის თავ-დახრით,  
თავზე თხის ტყავის ქუდითა,  
ჩამოგლეჯილის ჩოხითა  
და ზურგზე ფხროვის გუდითა.  
იმას არ ფიქრობს, თუ სადმე  
წავა ბილიკით მრუდითა.  
მიდის, ყავარჯენს მიიბჯენს,  
მიაბაკუნებს მიწაზე.  
სადა და როგორ იცხოვროს,  
ფიქრით მოცული იმაზე.  
ფიქრობს, რომ იმას განგება  
არ დაუკარგავს ამაგსა.  
მისცემს არსების ლუქმასა,  
მისცემს სამყოფო ალაგსა.  
თქმულია, იცის კარგადა:  
სიმართლე შვილით-შვილამდე,  
უსამართლობის მანძილი  
შუალამიდამ დილამდე.

მართალს ნუგეშად ესა აქვს  
 გულში შეუდრკელ ბურჯადა,  
 რომ ღმერთი კაი კაცობას  
 მას არ ჩაუვლებს ფუჭიდა.  
 შემდეგისთვისაც მას ფიქრობს,  
 არ უღალატოს სიმართლეს;  
 ერიდოს მწიკვლსა ყოველსა,  
 დაუმეგობრდეს სინათლეს.  
 რაც უნდა ავი შაემთხვას,  
 თუნდა გააკრან ჯვარზედა,  
 არ უღალატოს სიმართლეს,  
 ერთგულად იდგეს მაზედა.  
 მიჰყევს ბოლომდე კეთილსა,  
 იაროს კეთილს გზაზედა.  
 სცადოს, განგება ამისთვის  
 რა ბედს მოუვლენს თავზედა.  
 თუ ვისმე ჰნახავს საწყალსა  
 მარტოკას მუშას ყანაში,  
 მიეშველება იმავ წამს,  
 დაეხმარება ჯაფაში.  
 არც უნდა რამე აიღოს,  
 ეს წესადა აქვს, — ამაში,  
 თუ ვინმე დააძალადევს,  
 მისცემს ფასს თავის შრომისას,  
 მაშინვე გლახებს ურიგებს,  
 გაურბის ხაფანგს ცდომისას.  
 ერთხელა ნახა საბრალომ,  
 მთაზე ძოვს ცხვრისა ფარაო;  
 მწყემსიც იქვე ჩანს, მის სახე  
 ჭალარას დაეფარაო.  
 მას, ცხვრისა გადამკიდესა,  
 ბევრი არ გაეხარაო,  
 არ იქნა, სიბერის დროსაც  
 ფარას ვერ გაეყარაო,  
 ვერ იმეტებდა, სამწყემსო  
 სხვის ხელში ჩაეყარაო,  
 დიდის წვა-დაგვით დაზღილი

სხვის იმედს დაემყარაო.  
 დღეს კი ცხვარს ეუბნებოდა:  
 „რაც გიპატრონეთ, კმარაო!“  
 რა ექნა ბეჩავს: წყალმანკი  
 მუხლებში ჩაეპარაო?!.  
 კაცი არ ჩნდება ისეთი,  
 რომ ცხვარი ჩაებარაო.  
 საბრალო თავისთვის მიდის,  
 წინ გზა მიუძლვის შარაო.  
 სალამი მისცა მემცხვარეს,  
 გასცდა და გაიარაო.  
 შორს არ გაევლო, რომ მუყემსმა  
 თავისთან დაიბარაო.  
 ამანაც არ დააყოვნა,  
 სერი-სერ შაიარაო.  
 და რა მივიდა ახლოსა,  
 კვლავ „გამარჯვებით“ მიჰმართა.  
 მაშინვე მამაშვილური  
 ბჭობა გამართეს იმათა.  
 — სადაური ხარ? სად მიხვალ? —  
 მოხუცი ჰყითხავს დინჯადა.  
 თვალებსაც ატანს ძალისა  
 უცხო ყმის გასასინჯადა.  
 საბრალომ თვისი ამბავი  
 მოხუცს უამბო ტკბილადა.  
 ამბავი — როგორ ცხოვრობდენ  
 მშები ერთს დროსა მრავლადა  
 და დღეს კი იმათ ოჯახში  
 ვერაფერს ჰპოვებ ლივადა.  
 ისიც უამბო, თუ იმას  
 ფეტვი როგორ ჰხედა წილადა,  
 ბელმაო როგორ უმუხთლა,  
 დასტოვა ჭია-მლილადა.  
 ბოლოს სთქვა: — რა ვქნა, მამილო,  
 დავალ მწყევარი ბელისა,  
 ვით კრავი დაობლებული,  
 მეძიებელი დედისა.

გამა-პაპისა სახლ-კარი  
 მექუა სამარედ, ციხედა,  
 ვერც გავძელ ცოცხლად იქ ყოფნა,  
 ვსთქვი: ვივლი კიდით-კიდედა.  
 წამოველ, ორი თვე არი  
 მოვსდევ სამყაროს ღვთისასა,  
 ხან ჭალა-მინდერად დავდივარ,  
 ხან გზას ავირჩევ მთისასა.  
 რას დახვალ? რას დაეთრევი? —  
 არავინ მყითხავს იმისა.  
 — სახელი შენი? — მოხუცმა  
 უცნობსა ჰკითხა კვალადა.  
 — საბრალო, ჩემო ბატონო. —  
 მანაც მიუვო ბრალადა.  
 — ძალიან კარგი, უფალმა  
 ნუ მოგიშალოს სახელი.  
 თუმცა ვერ გიცნობ, შენთანა  
 ერთი რამა მაქვს სათქმელი.  
 ბნელაში კარგი რამ არი  
 გზის მძებნელისთვის სანთელი.  
 — ბძანე: მოხუცთა სიტყვისა  
 ვულდასმითა ვარ მსმენელი,  
 მუდამ მიცნია მათ რჩევა  
 სიბრძნისა გამომჩენელი.  
 — მაშ გეტყვი, თითონ განსაჯე:  
 შეილო, განგება დიდია;  
 ყველასი ავი და კარგი  
 იმის ნებაზე ჰკიდია:  
 ზოგს კლდედ ექცევა საჩეხად,  
 სხვისათვის გზა და ხიდია.  
 სჩანს, ღმერთს არ გაუწირიხარ,  
 რომ მოალწიე ჩემამდე  
 და თუ ეცდები, სარჩოთი,  
 ვფიქრობ, აივსო ყელამდე.  
 მე ერთი ღერი კაცი ვარ,  
 უშვილო, ცოლის ამარა;  
 ჩემი ყოფნა და სიცოცხლე

შავმა ნისლებმა დაჰფარა.  
ცხვარი მყავს, მაგრამ მწყემსობა  
მე შამიძლიან აღარა.  
თუ ცხვარს მოუვლი, იცხოვრებ,  
ჩვენც არ დაგვაკლებ ლუკმასა,  
გულით კაეშანს გადიყრი,  
აღარ დაიწყებ სულთქმასა.

კარგა ხანს უსმენს საბრალო  
და როდი იღებს ჯერ ხმისა.  
იფიქრა დიღხანს და ბოლოს  
მანაც ამოთქეა:—კარგია,  
მაინც განგებას მივენდე,  
ვარგობს, თუ არა ვარგია.  
მამყოფებს და თუ დამკარგა,  
ვიქნები დასაკარგია!  
მხოლოდ ეს იყოს პირობა:  
ოთხს წელს გექნები მწყემსადა.  
თავნს მე არ შეგეცილები,  
სრულად მიიღე ერთადა.  
ნაშენს გავიყოფთ შუაზე,  
რაკი გამივა ყავლია,  
ისიც მაშინა, თუ მგლისგან  
ცხვრის ფარას არა აკლია.  
პო, თუ ამ ოთხ წელს მე მგელმა  
ცხვარი გამტაცა ერთია,  
სრულ ცარიელი წავიდე,  
თავდები გყვანდეს ლმერთია.  
— კაცო, ეგ როგორ იქნება!  
მგელიც ლმერთსა სოხოეს საზრდოსა.  
მგელი ვერ გაგვალარიბებს,  
თუ სხეაფრივ ვუვლით სარჩოსა.  
— არა, მე ვამბობ, ეგ არა.  
ჩემი პირობა სრულია  
და ვერც გადავალ ნათქვამსა,  
თუ პირში მიდგა სულია.  
მოხუცს რა ეთქმის? დასთანხმდა,  
თუმც გაუკვირდა ფიცია.

სოქვა: ათას სულს ცხვარს გაბარებ,  
 დღეიდან არა ვიცია  
 ცხვრისა, შენ იცი და ლმერთმა,  
 აპა, ეს საცხვრე ჯოხია.  
 თან მისცა გუდა-ნაბადი,  
 ქონ-დუმით განაპოხია.  
 — იქნება ხვალევა ვკვდები,  
 ცხვარიც შენ, ჩემი ბინაცა;  
 წყეული იყოს ლვთისაგან,  
 შაგეცილება ვინაცა.

## VI

საქმაო ხანი გავიდა,  
 ბევრი სთველი და ზაფხული,  
 ბევრჯელ ამწვანდა ბუნება,  
 ბევრჯელ შეიქმნა ტანჯული;  
 ბევრჯელ ითოვნა მიწაზე,  
 ბევრჯელც წვიმა დაუშვა,  
 ბევრჯელ ტყვედ-ქმნილი ბუნება  
 ლმერთმა მონობით გაუშვა.  
 ბევრჯელ აყვირდა ხევები,  
 ბევრჯელ იდინეს წყნარადა;  
 ბევრჯელ ნათელი დღეები  
 ბნელმა დაფარა შავადა.  
 ოთხჯერ მერცხალი მოვიდა,  
 ოთხჯერ უქანვე გაფრინდა,  
 რაც რამე მოხდა ოთხს წელსა,  
 იმის ჩამოთვლა რად გვინდა?  
 პირში ჩიბუხით ფარსადან  
 დერეფანში ზის ტახტზედა  
 და მისი მწყემსი საბრალოც  
 იქვე დგას, ცოტა განზედა.  
 კარ-მიღამოში ცხვრის ფარა  
 უდიდესი წევს ზღვაზედა.  
 ფარსადან ჰქითხავს: — როგორ ხარ?  
 ან ცხვარი როგორ არია?

— მაღლობა უფალს, კარგად ვარ  
 და უკეთესად ცხვარია.  
 ერთი ათასად ვაქციე  
 ის, რაც შენ ჩამაბარია.

ლმერთს ორივ მაღლობას უძლვნის,  
 აღა და მისი მწყემსია.  
 მუდამ ასეა, ვინც ბევრს ჰმეის,  
 როს ცოტა დაუთესია!

ამ დროს შეიქმნა ჩოჩქოლი,  
 დიდი ძახილი, ყვირილი,  
 თან ერთი მწყემსიც მოვარდა,  
 თვალთ ერეოდა ტირილი,  
 და განაცხადა ამბადა:

„მგელმა მოგვტაცა ცხვარიო,  
 „ბევრი ვეცადეთ, ძალებმაც  
 „ათჯერ მოაჭრეს კვალიო,  
 „წაილო, მაინც წაილო,  
 „ველარ მოვკარი თვალიო“.

— წაილოს, ალალი არის,  
 აქამდინ თუ კი გფარავდათ,  
 ერთი იმასაც ერგება,  
 რაკი არაფერს გპარავდათ.

მაღლია, გაძლეს მგელიცა,  
 ჩვენაც საკმაო დაგვრჩება.  
 რა ფრიად დაპლონებულხართ,  
 ვითომ მაგითი რა ხდება?  
 მშიერი ეძებს საზრდოსა,  
 სითაც რა ლონეს გახდება.

აქ მაღლი ჩანადინარი  
 იქ საიქიოს დაგვხვდება.  
 ჩემს ბიჭობაში ვიცოდი,  
 მგელს ცხვარს არ ვგლეჯდი პირითა,  
 თუ-კი შაეპყრო, მიპჭონდა,  
 ცოდვად მიმაჩნდა, იმითა.  
 მაინც-რა? მგელმა მე ცხვარი  
 ვერ გამითავა ქბილითა.  
 დლესნამდის, ლმერთო, შენითა,

ვცხოვრობ ცხოვრებით ტკბილითა.  
 უნდა შაშინდეს განა ზღვა,  
 ხაპვა რომ უწყონ ცხრილითა?  
 აღას პირობა არ ახსოეს,  
 მიტომ თამამად მსჯელობდა.  
 ვერც ის გაიგო, თუ რისგან  
 იმისი მშეყმისი ხელობდა:  
 მუხლო მოეკვეთა საბრალოს,  
 ამოიკვნესა მძიმედა.  
 ჩამოჯდა, თავი დაპკიდა,  
 მიეყრდნო სახლის დირესა.  
 — მაღლობა ღმერთსა, — იძახის:  
 ჰა, თუ არა მსჯის განვება,  
 რად მოდის ასე ჩემს თავსა,  
 ჩემთვის ბოროტი რად ხდება?  
 ამ ოთხს წელს, საით მოვთვალო,  
 სად მთა-მინდორში ვატარე  
 ცხვარი, ტყეში და ლრეშია,  
 მიწის ზურგს კანი ავყარე,  
 ჩემი უვალი სად დარჩა?  
 ცა დედამიწას შავყარე.  
 რამდენჯერ მყვანდა ცხვარი იქ,  
 სად მგლის ჯოვები ფუოდა,  
 ათასჯერ ფარეხის პირში  
 შშიერა მგელი ყუოდა.  
 ბეწვიც კი ვერას აპგლიჯა,  
 განალამც ცხვარი წაელო;  
 ან ბანი გამოეთხარა,  
 ან საცხვრის კარი შაელო.  
 დახე, რას ადგილს გამოტყვრა,  
 ნავსი სოფელში დამიხვდა,  
 ოთხის წლის ნაწვავ-ნადაგვი  
 საქმე და შრომა წამიხდა.  
 ამ დღისით სოფლად ჩამოსვლა  
 თავში საცემად გამიხდა.  
 წავალ და გადვიკარგები,  
 სრულ არაფერიც არ მინდა.

## VII

წავიდა. უკან მოხუცი  
მისძახის: — კაცო, საბრალო,  
წილე თავისი წილი,  
საღ მისჩერჩეტობ, საწყალო!  
ამდენი შრომა გასწიე,  
კაცი ამავსე სარჩოთა,  
რაღაც უმსგავსის პირობით  
უნდა ერთ-ურთი ვარჩოთა?  
დაბრუნდი, მამა-შეილობას,  
არ გეცილები, შენია  
ცხვარიც, სახლიც და ქონებაც,  
სულს იქით რაც დამრჩენია!

ამაოდ. უფალს საბრალო  
სხვა ფიქრზე გაუჩენია.  
მიდის საბრალო, სისკე,—  
თვითაც არ იცის კარგადა;  
ხელში ჯოხი აქვს და ზურგზე  
გუდა ჰეიდია ბარგადა.  
საღც ღამე უსწრობს, იქ ათევს,  
ილოცავს, დაეძინება,  
ხან თუ იტირებს თავის ბედს,  
ხან კიდეც გაეცინება.  
იარა, ბევრი იარა,  
ერთი გეზი აქვს სავალად:  
მინდვრები საჩაუჩაკოდა  
და მთები გადასავალად;  
სატოპად წყალი მდინარე,  
ჯაგები გასაძრომადა,  
ჭაობი საფლაშუნოდა,  
კლდეები ასახდომადა.  
საბრალოს ბედის ძიება  
უჯდება მძიმე შრომადა.  
მაინც არ იშლის, წინ მიდის,  
გულში იმედის ჩენითა,  
დიდს რასმე მინდორს მოება,  
ერთის თვის სავალს ცხენითა.

გარიერაჟია. ფრინველნი  
 განთიადს ლოცვენ, მღერიან,  
 ცელქობენ, დანავარდობენ,  
 რა მზის ამოსვლას ელიან.  
 ციურნი ძალნი საერთოდ  
 მარტო იმათა ჰშველიან,  
 ცხოვრებით კმაყოფილები  
 თავის ბედს არა სწყევლიან.

მთელს იმ მინდორჩე ყანაა,  
 როგორც ზლვა ისე ღელავდა.  
 თვალ-გადუწვდენელს სივრცესა  
 წითლად და ყვითლად ჰფერავდა.  
 შიგა-შიგ კიდეც გაჭრილა,  
 ცელი, ნამგალი ელავდა.

საბრალო ჰხედავს: მუხის ქვეშ  
 ხალხია, მთელი დუნია.

მუშაა — აფიქრებინებს  
 სამყალი ყანის სუნია.  
 „აქეთ წამოდი, — უძახის, —  
 ჩვენსკე, ძმობილო, აქეთა.  
 საითკე მიიპარები?“

კვლავ უყვირიან მკვახედა:  
 „ვილარსად დაგვემალები,  
 რა თვალით დაგინახეთა!“  
 მივიდა, სალამი მისცა  
 მან მუშებს, იმას მუშებმა.

მის ვინაობაც იკითხეს  
 ერთხმად პირმოლუშულებმა.  
 ბოლო დროს მოხუცებული,  
 პატრონი ჭირნახულისა,  
 ჰყითხავს — არ იმუშავებო?  
 თუ იმედიც გაქვს მკლავისა?  
 — რატომ? დიახაც, ღეთის ძალით, —  
 საბრალომ უთხრა მოხუცსა:  
 — მე რილასთვის-ლა გინდივარ,  
 ხალხს ამდენს ვხედავ მოსულსა?  
 სადა გაქვს იმდენი ყანა,

რომ ეყოფინოს იმათა?!—  
 მოხუცი გაოცებული  
 აჩენს უანგიანს ქბილათა.  
 — შენ, ჩანს, მარტოვას არ გეყო, —  
 იგი იცინის ტკბილადა, —  
 ეს ამოდენა მინდორი,  
 კაცო, იგემო ხილადა,  
 საქმე სამოცის კაცისა  
 გიცნია წოლა-ძილადა.  
 — შენ რაც უნდა სთქვა, სამკალად  
 მარტოს არ მეყო, დიახო.  
 რას მამცემ, მზის ჩასვლამდისა  
 ავილო, გავაკრიახო  
 ეს ყანიანი მინდორი,  
 ათეულადაც შავენონ?!  
 რაკი დამცინე, მოხუცო,  
 უნდა ჩემი შნო გაჩვენო,  
 და თუ ძნა დამრჩა ერთიცა,  
 ბისტისაც ნუ მომცემ, ბატონო.  
 ხუთის მუშისა მომეცი,  
 ფასი არ მინდა მეტია.  
 მოხუცი გაკვირვებული  
 თავისთვის ფიქრობს: ცეტია.  
 სხვა მის მუშებიც ამბობენ:  
 „საით შეგვემთხვა ყბედია,  
 „ან მაგოდენა სირეგვნე,  
 „ნეტავ, სად მოუხვეტია!“  
 საბრალო მაინც არ იშლის,  
 დაიყოლია ბერიცა.  
 ითხოვა ერთი ნამგალი,  
 სალესველი და ცელიცა.  
 თან ერთი მუშაც მოსთხოვა,  
 წყალი უშიდოს წყაროსი,  
 ხელს სხვა ვერა-რა შეუშლის, —  
 ლამაზი იდგა ტაროსი.  
 საამო იყო თვალთათვის  
 გარჯა იმ გასახაროსი!

ცეცხლად ედება ყანასა,  
 ჰკაფავს ულმერთოდ, მეღგრადა  
 და ხელეური იმისი  
 არ შეიკვრება ერთადა.  
 დაჰკიფის, როგორც მთის ქორი  
 და ნაბუერი ყანისა,  
 ნისლად დაედვა მინდორსა,  
 როგორც ციიგი ლამისა.  
 მიმოაქვს ნიავს ფათალა,  
 როგორც ნაპენტი ბამბისა.  
 დევთ შეყრას, იმათ ომს გავდა  
 ხმა ულო-თავთავთ კაფვისა.  
 მოჰკვეცავს წამში ერთს ქცევას,  
 ვითა ბაზაზი ფარჩასა  
 და ცხელი ოფლი მინდორს რწყავს,  
 როგორც მდინარე ბალჩასა.  
 მოხუცი გაოცებული  
 უცქერს რა იმის გარჯასა,  
 სამთითად შაწებებულსა  
 შუბლზე მიიტანს მაჯასა.  
 იწერს პირჯვარსა და თანაც  
 აუინებული იძახის:  
 „ეს თვით შენა ხარ, უფალო,  
 სხევა შენი მსგავსი ვინ არის?“  
 მუშა, ცხოველი, თუ მწერი,  
 ყველა იმ ადგილს მყოფელნი,  
 გაოცებულინ მის შრომით,  
 იყვნენ მის ქების მთხრობელნი.  
 მარტო მკალნი და მწყრებია  
 ბედის მძებნელის მგმობელნი:  
 თავზედ დაექცათ სახლ-კარი,  
 თავზედ დაექცათ კარავი,  
 გამოჩნდა ვიღაც ულმერთო,  
 იმათთვის შეების შპარავი.

## VIII

მზეც შუა ცაზე წამოდგა,  
 მიწას დასკეირა სწორადა  
 და სამუშაოც მომკლისა  
 მაშინ გაიყო ორადა:  
 სამკალს გადაჭრჩა მომკალი,  
 შეუდგა შესაკონადა.  
 ჰკონავს ძნებს ათეულებად,  
 მუხლებს არ იხრის მშრომელი.  
 მზეც იწევს დასავლეთისკენ,  
 თვის რჯულზე შეუცდომელი,  
 არა ლალატობს იმ გზასა,  
 ლმერთს მოუცია რომელი.  
 პა, მიაჯარა საკონი,  
 იქნებ აუხდეს წადილი,  
 იქნება ლმერთმა უშველოს,  
 არ გაუმტყუნდეს ქადილი.  
 ორი ძნა უკლავ, გორის ფხას  
 მზემაც მოავლო პირია.  
 ერთი შაკონა, ერთი-ლა  
 დარჩა... რა გასაჭირია...  
 მზემ სრულად ამოაფარა  
 მთის ზურგს სახე და ცხვირია.  
 ულო დააგდო მუშამა,  
 ამოიკვნესა მწარედა:  
 „ვაი, შენ ჩემო სიცოცხლეე,  
 „დღეო, ნაქცევო ლამედა!“  
 მოპხეთქა ცრემლმა თვალთაგან,  
 ბავშვებრ დაიწყო ტირილი:  
 „ვაი, რა უბედური ვარ!“  
 ეს არის მისი ჩივილი:  
 „ლმერთო, ცა-ქვეყნის პატრონო,  
 „რად გამაჩინე ბეღ-შავი?“  
 „რაღა ხარ, ქვეყნის მპყრობელო,  
 „შენ ჩემი დაუხედავი?  
 „ბედკრულსა ჩემსა მშობელსა

„არა ვყოლოდი ნეტავი.  
 „მაღლობა შენთვის, უფალო,  
 „მაინც მაღლობა შენთვინა.  
 „ჭირი-ვაება მარგუნე,  
 „ვკისრულობ, იყოს ჩემთვინა,  
 „ვერ დავვმობ შენსა სამართალს,  
 „ჭირს რომ მაჩვენებ დღემდინა!...  
 „ამაზე მეტი მადინე,  
 „რაც დღემდის ცრემლი მედინა!“

მოვიდა ყანის პატრონი,  
 ჰკოუნის ხელებზე, სახეში.  
 — სამაგალითო საქმე ჰქმენ,  
 ძმაო, ამ ჩვენსა მხარეში.  
 ასის მუშისა მიიღე...  
 რად დალვრემილხარ? რისადა?  
 ვინაც შენებრივ ირჯება,  
 ალალი არის მისადა.  
 — ერთის მუშისაც არ მინდა,  
 აგერ ძნა შასაკონია,  
 ღმერთს რომ არ უნდა ჩემთვისა,  
 მიტომ არ მომცა ღონია,  
 თორემ ამოდენ შრომასთან  
 ეგ რალა მოსაგონია?

— რას ამბობ, კაცო, ღვთის მაღლას!  
 მე გედავები არასა,  
 ძმაო, იმდენი მიირთვი,  
 ვიდრე არ მეტყვი ქმარასა.  
 ალალი არი შენზედა,  
 ნუთუ გარისხდეს ღმერთია  
 და არმობაში ჩათვალოს  
 ძნა შასაკონი ერთია?  
 — სწორედ ეგრეა, მოხუცო,  
 მე უკეთ ვიცი შენზედა. —  
 თან ცრემლიანის თვალებით  
 იხედებოდა გვერდზედა,  
 საცა ძნა იდგა უძრავად  
 თავთავ კაზმული მიწაზე.

— უცქირე, პატიოსანო,—  
 თითით უჩვენებს იმაზე.—  
 თუ ეხლა ცნებას ვერ მოხველ,  
 კარგად იფიქრე დილაზე.  
 განა ეს ეხლა შამემთხვეა?  
 მუდამ ასეა ჩემს თავსა:  
 ბოლო დროს ჩემი ნალვაწი  
 მოელოდება სულ აესა.  
 მაინცა ვცდილობ მოთმენით  
 გული მოვიგო უფლისა,  
 რომ ერთხელ უფროსი გავხდე  
 მე საკუთარის სუფრისა, —  
 მეც საღმე ვიხსენებოდე  
 მჭამლად ალალის ლუკმისა.  
 მე შენგან ფასი წავილო,  
 ეგ მტაცებლობას უდრისა.  
 — რა ვქნა! ივახშე მაინცა,  
 ღვინო მოგართვა ლალისა,  
 დალალულ-დაქანცულისთვის  
 ჰხამს მოტყუება თვალისა,  
 მეც ნუ გამწირავ, გეთაყვა,  
 მტკირთველად ცოდვა-ბრალისა.  
 — შენ რა გეცოდვის? ეგ ჩემი  
 დღეის ოფლი და შრომაო  
 შენთვისა უცილობელად  
 უფალმა მოინდომაო,  
 მე კი გზას უნდა გავუდგე,  
 არ მარგებს ასე დგომაო.—  
 ჩაიცვა ტყავი თავისა,  
 თავს დაიხურა ჩაჩია,  
 და საითკენაც გულს უნდა,  
 მანაც იქისკე გასწია.  
 გამოეთხოვა მოხუცსა,  
 წავიდა ჯოხის ბჯენითა  
 და თან ავედრებს უფალსა  
 მის ყოფნას ტკბილის ენითა:  
 — ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,

ოჯახი მოგცეს ძლიერი,  
 ათასჯერ მეტი სიმღიდოვნე,  
 რომ შენს ოჯახში მშიერი  
 ძლებოდეს, მგზავრიც უმწეო  
 იქა ჰპოვებდეს საფარსა,  
 ექნებიმც ნუგეშ-მცემელი  
 დავრდომილსა და საპყარსა.  
 ლმერთმა გიკურთხოს ყანები,  
 სათიბ, საძოვი, მთა-ველი;  
 კულავ დაესხას თავთავი  
 შენს ყანებს ათი მტკაველი,  
 რომ თითო ლეროს ყანისას  
 არა სწვდებოდეს საბელი.

დალონებული მოხუცი  
 თვალებს აყოლებს მუშასა,  
 ფიქრით ბურანში გართულსა  
 სახე მიუგავ შუშასა.

— ლმერთია, — ფიქრობს თავისთვის, —  
 ეგ ხორციელი არ არი:

— არა მკადრულობ, უფალო,  
 თუმც არ ვარ შენი სადარი,  
 რად მომიძულე, მეუფევ,  
 თავისი მონა საწყალი?!

მიბრძანდი, მაგრამ გულში მაქვს,  
 რომ აგიშენო ტაძარი  
 და ვექმნა მუდამ მფარველად,  
 ვინც-კი საღმეა საპყარი.

დაიწყო წერა პირჯვრისა,  
 სთხოვს ცოდვათ მოტევებასა.  
 თუ რამ შესცოდა, შეუნდოს,  
 რომ ვერ მოგიდა ცნებასა,  
 ვერ იცნო ლმერთი... შესთხოვდა:  
 ნურაფერს მომცემ ვნებასა,  
 მუდამ დღე მსხვერპლს შემოგწირავ,  
 მოგიძლვინ ქებათ-ქებასა.

თვალს ვერ აშორებს საბრალოს,  
 ვიდრე მინდვრადა ვიდოდა,

მინამდე ტყეს მოებმოდა,  
 გორს იქით გადავიდოდა.  
 დარჩა მარტოკა მოხუცი  
 ცრემლ-მორეული თვალებზე,  
 ფიქრი მიურბის ცისაკე,  
 ჰფიქრობს ზეციურს ძალებზე.  
 მთით მონასხლეტი ნიავი  
 სეირნობს მინდვრად ჭალებზე.

## IX

დიდხანმა განვლო, საბრალო  
 რაც რომ სახლიდან წავიდა.  
 მთელი იმისი მგზავრობა  
 მორწყული იყო ავითა.  
 ჯან-ლონით გატეხილია,  
 გაპეშირებია ნასერი:  
 წელთა სვლის, უამთა ტრიალის  
 და ჯავრის გამონაცერი;  
 ან-კი რა გასაკვირია,  
 ვაება ნახა რამდენი!  
 მაინც მოელის კეთილსა,  
 გულში ულვივის ნუგეში,  
 ბედს ეძებს დაუცხრომელად  
 მსოფლიოს კალთა-უბეში.  
 ბევრჯელ ხიდები აშენა,  
 ბევრგახ კოშკები მაღალი,  
 ვერსიდგან ვერა-რა ირგო  
 თვით ბეწვის გამოსავალი.  
 პირობას ცოტა რამ ჩაპელის,  
 წყალს ატანს იმის შრომასა,  
 შხამით და ნალვლით ადედებს  
 მის ქვეყანაზე რჩომასა.  
 ან მზე ჩაუსწრობს უცბადა,  
 ან უსწრობს მამლის ყივილი.  
 არა მთელდება არა გზით  
 საბრალოს გულის ტკივილი!

იმის ბაგიდან უფალზე  
 მაინც არ ისმის ჩივილი,  
 უბედურების წამლადა  
 ზოგჯერ მოუვა ტირილი.  
 ოცი წელია ბედს ეძებს,  
 ასე ატარებს დლეებსა.  
 ხან მინდორ-ველად ათენებს,  
 ხან ეფარება ტყეებსა.  
 არ უფრთხის ღამის სათევლად  
 ხევ-მღვიმეთ, სალსა კლდეებსა.

## X

სათათრეთისა მიჯნაზე  
 იტყვიან ცივსა წყაროსა,  
 საამოს დასალევადა,  
 თვალ-გულის გასახაროსა.  
 მის გარეშამო მინდორი  
 ჰევ უზარმაზარ კალოსა,  
 ზედ ათასგვარი ხეები  
 ზამთარ და ზაფხულ ხარობსა,  
 იქვე ბულბული დღე და ღამ  
 დაუცხრომელად გალობსა.  
 წყაროს წინ ერთი ტბა არის  
 წითელი, წითლის ფერისა  
 და იმა ტბაზედ თქმულება  
 ასეთი არის ერისა:  
 რომ თათრებს საქართველოდან  
 მიუდიოდათ ტყვეები,  
 აქ თურმე იულიტებოდენ  
 ჩვენი სამშობლოს ძეები:  
 აქ თურმე სთხოვდა ურჯულო  
 გათათრდენ, — შეცვლას რჯულისას.  
 ვინც მტკიცედ იდგა, ელოდა  
 აქვე დალევას სულისას.  
 პსჭრიდენ თავებსა, პულეტავდენ  
 ქილ-ვაჟთ მხნეთ, რჯულზე მტკიცეთა

და მათი სისხლი უმანკო  
 ჰრწყავდა ამ მინდვრის კიდეთა:  
 ქართველთ მოწამეთ სისხლისა  
 დაღგა ტბა იგი წითელი,  
 ივერიისა კარგ ძეთა  
 გრძნობის და ფიქრის მტვირთველი.  
 ზამთარ და ზაფხულ იმ ტბილან  
 იცქირებიან ყოილნი --  
 შვენება შვენიერების,  
 ლვთიურის ხელით ქსოილნი,  
 იმათხე ლამაზს რას პნახვენ  
 ადამის ტომის შობილნი?!  
 ზნედა აქვთ, თუ არ ქართველსა  
 მართალს, სიმართლით მკობილსა,  
 არას ეტყვიან, უფრო-კი  
 ურჯულოს, თათრის შობილსა.  
 როცა-კი თათარს პნახვენ,  
 დაინთქებიან ტბაშია,  
 არ ვიცი ეს საიდუმლო  
 რისგანა ხდება, რაშია?!  
 მაგრამ თუ ნახეს ქართველი  
 მართალი, ქართველის ტომისა,  
 ალიძერის ჩქროლვა-ბოჟირი  
 ამ ყვავილების შორისა;  
 აუტეხავენ საუბარს  
 ტკბილის ქართულის ენითა,  
 კაცს ალუძრავენ სურვილსა  
 გაძლეს მათ კოცნა-ხვევნითა.  
 უმლერენ სულის სიმტკიცეს,  
 იმის წყალობით ცხონებას.  
 თავ-დაუდებლად იტყვიან  
 გადუხჭირებულს ცხოვრებას.  
 ბევრსა ამ ტბისა მნახველსა  
 უნდოდა ყვავილთ მოკრება,  
 მაგრამ ტყუილად ეცაღნენ,  
 ვერ აუსრულდათ მათ ნება.  
 მეფეთაც ბევრჯელ გაგზავნეს

ტბაზე ნავი და მცურავნი.  
 ამაოდ, — ბოლოს მოუხდათ  
 ცდისა და შრომის მდურვანი:  
 ო ხელს იგრძნობენ ყვავილნი,  
 იმათ მოკრეფის მსურველსა,  
 ძირში წავლენ, როდი თვისობენ  
 ხელსა სიწმინდის მთხუპნელსა!..

იმ ტბისა პირზე ვიღაცა  
 კაცი გლახაკი ვიდოდა.  
 „თქვენ მაინც შამიბრალეთო!“  
 გულ-ამოსკვნილი იტყოდა.  
 ეწვდება ყვავილთ, სწადიან  
 ერთი შეიძყროს მათგანი,  
 მაგრამ მიურბის საცოდავს  
 ხელიდან ტრტობის საგანი.  
 მას თურმე გადაეძრახნენ  
 ყოილნი, მორთეს ტიტინი.  
 ძართალთან სასაუბროდა  
 სულ-წასულნია ისინი!..  
 იმათი ტებილი უბნობა,  
 იმათი ტებილი ქართული,  
 აზრები საზენაონი,  
 სამადლო, გრძნობა-დართული  
 გულს ლრმად ეჭდევა გლახასა,  
 ტირის, ჩამოსდის ცრემლები;  
 თვალნი ხომ ჰსვამენ ყვავილთა,  
 მათკე მიურბის ხელები,  
 ჰსურს ერთი მაინც მოსწყვიტოს,  
 მით ისულდგმულოს ეგები.  
 მეტი სხვა ბედი არ უნდა,  
 არც კეთილ-ყოფნის სვეტები.  
 მაგრამ ვისა აქვს ის ნება,  
 მკედართ სულთ უსინჯოს გვერდები?!

ერთია, მხოლოდ ერთია  
 თვისოთვის ქვეყნის მვედრები,  
 იმისი გაჩენილია

ყოველთა არსოთა დედები.  
 დასალუპავად მის ძალა  
 არც არი გასამეტები!..  
 სრულს თვის ძალს არცვის დაგვითმობს,  
 მადლიც ვქმნათ მეტის-მეტები.

ვიღაცა თათრის დიაცი  
 კოკით მოვიდა წყალზედა,  
 მან სიტყვა უთხრა უცნობსა:  
 „თავს რად იწუხებ, რაზედა?  
 „ბევრს უნდა ყვავილთ მოკრეფა,  
 „გადაჭრილნია მაზედა,  
 „მეფენიც ქვეყანისანი,  
 „ვარსკვლავთ რომ ჰკრეფენ ცაზედა,  
 „ისინიც ვერაფერს გახდენ,  
 „შენ რას გაპხდები, სიდანა?  
 „ყვავილთ ხელშეუხებლობა  
 „ნაბძანებია ციდანა!“

უცნობმა ხმა როდი გასცა  
 დიაცს ავად, არც კარგადა,  
 მას ამ ყვავილთა მოკრეფა  
 გულში ჩასჭრია დარდადა.  
 აქ უნდა დარჩეს სამუდმოდ,  
 მას დღეს ისა აქვს აზრადა,  
 თუ ვერ შეიძლებს დაკრეფა,  
 უნდა ეუბნოს იმათა,  
 მასზე უკეთესს აღგილსა  
 სადღა იირჩევს ბინადა?..  
 დარდობს, ეს წმინდა აღგილი  
 რად არ იცოდა წინადა.  
 ქვეყნად იპოვნა სამოთხე. —  
 ნაეთსაყუდარი სულისა.  
 მას ოლარც წყალი სწყურდება,  
 ოლარც ნდომა აქვს პურისა.  
 დღე ხომ აქ არის, ღამესაც  
 ათევს ამ ტბისა პირასა,  
 არა კითხულობს ორშაბათს,

როდი დაეძებს კვირასა!..  
 ხან თუ იტირებს, ხან კიდევ  
 უნდება ლოცვა-წირვასა.  
 ის იმ დღენდელი დიაცი  
 მუდამ დღე მოდის წყაროზე,  
 ურჩევს წავიდეს, არ ესმის,  
 ვით ჯამ-კოვზს ყოფნა თაროზე,  
 და გუთანს მადლის ჩადენა  
 საწყილის ობლის ალოზე.  
 სამს ლამეს, წინა-კვირაში,  
 საბრალომ ნახა სიზმარი,  
 ერთი და იგივ არსება,  
 მისი აქ ყოფნის მკიცხავი.  
 თვითაც გაიგო ზმანება —  
 მოცლინებული ცით არი.  
 სამს ლამეს ნახა კაცი რამ,  
 ხელთ ეპყრა მშვილდი, ისარი.  
 შავსა, მთასავით დიდრონსა,  
 პირიდან ცეცხლი სცვიოდა,  
 და როგორც რკინა წრთობის დროს  
 წყალში, იმ გვარად შხიოდა.  
 ცის ჭექისა ჰევა მისი ხმა,  
 ჯოჯოხეთს — მისი შულლია,  
 ვარისხებულს ჰევა ბუნებას,  
 მეხის სროლა-ლა უკლია.  
 ბეჭვიალებს სინასავითა  
 მის გერგეტივით შუბლია,  
 წარბები სიგე-სიგანით,  
 როგორც დარბაზის ზღუბლია,  
 ვით ცას, საწვიმედ გამზადულს,  
 თვალ-წარბი დაულრუბლია.  
 „წადი აქედან! — ის ეტყვის: —  
 „ნუთუ ალარა გრცხვენია?  
 „ამდენს ხანს ყვავილთ მიწუხებ,  
 „ფიქრი რა არი შენია?!

„გასწი აქედან, თუ არ გსურს  
 „სამუღმოდ თავის დალუპვა,

„ვით სააქაოს, იქაცა  
 „ბედის კარების დახურვა, —  
 „თავის ბეჩავის სულისა  
 „ტანჯვის ცრემლებად დაწურვა!“

ვინ იყო ან-კი შავ-ბნელი,  
 ღვთისგან წყეული ქმნილება,  
 რომ მის იქიდან დათხოვნა  
 შეუწყნარებლად ინება?!.  
 ნუთუ ის წმინდა სულია,  
 კაცის სიწმინდის მფარველი?  
 თუ შური არი, სიხნეშე,  
 ყოველის სიკეთის მპარველი?  
 მაშ რად ჰურს შაჩვენებულა  
 მისთვის ღვთის ცნების გაგება? —  
 ცაში და დედამიწაზე

თავისთვის ძეგლის აგება?  
 ბოროტ სულს ბოროტისათვას  
 პასუხს მოჰკითხავს განგება!

საბრალოს უნდა წავიდეს,  
 ცრემლს ისხამს პირზე მუჭითა,  
 რომ ის ღიაციც მოვიდა  
 თათრისა, წყალზე ჭურჭლითა  
 და როგორც წინად, ეხლაცა  
 იმას აქ ყოფნას უშლიდა.  
 უკვირდა ღიაცს ძალიან  
 ამ უცხო კაცის შტერობა.  
 მივიდა მასთან პირდაპირ,  
 ალარ დაუწყო ფერობა.

— კაცო, ჰე კაცო, ვინა ხარ  
 მაგრე გიუი და რეგვენი,  
 როდემდის უნდა აწამო,  
 სტანჯო თვალნი და ბაგენი?.  
 შენ გინდა მარტოკამ შესძლო  
 ქვეყნის უქნელნი საქმენი?  
 როდემდის უნდა ატარო  
 უქმად დღენი და ლამენი?  
 გინდა რომ დაისაკუთრო

ტბის ყოვლით ტურფა სახენი?  
გირჩიე, არ დაიჯერე,  
მე გეუბენი რამდენი;  
აბა ნაყოფი სად არი,  
შრომის შედეგი რა ჰქენი?!—  
ზედ მიაშალა სახეში  
უცნობს სიტყვანი მკვახენი.  
— მაშ რა ვქნა, ჩემო დედილო,  
ამათ დამიგეს შახენი!  
ვეღარ ვშორდები ყოილებს,  
რაკი ერთხელა ვნახეო,  
აქედან წასვლა ეხლა-კი  
მე თვითონ განვიზრახეო,  
რაკი ღვთისგან და კაცისგან  
ყველასგან დავიძრახეო.

### უცხო დედაკაცი

სადაური ხარ? რის დახვალ?  
დედა-შვილობას მითხარი.  
ან სახე რად გაქვს მჭმუნვარე,  
გულის წყლულთ გამომჩინარი?

### საბრალო

· განა ჰქითხავენ ბეჩივსა,  
სადაური და ვინ არი?  
ან რისთვის დადის, რად ტირის,  
გული რადა აქვს მტკიცანი?  
რად გინდა, ვინ ვარ, გაიგო,  
არაფრად გამოგადგება.

### უცხო დედაკაცი

რად მაგრე გაგვირვებია,  
აქ უცნაური რა ხდება?  
ხომ წესი არის შაკითხვა,  
უცხო რომ უცხოს შაპხვლება!

### საბრალო

გეტყვი, დედილო, მაგრამ რო  
 თავში ალარ მაქვს გონია!  
 შე, საქართველოს ეტყვიან,  
 იცი-კი, გაგიგონია?  
 იქიდანა ვარ სწორედა,  
 აქით ძალიან შორია;  
 აქამდე გადმოსავალი  
 მრავალი მთა და გორია.

დედა კაცს ალმა გალაჰერა,  
 ეს რომ გაიგო, — სახეზე,  
 და თხილის ტოლა ცრემლები  
 ჩამოუკორდა თვალებზე.

### უცხო დედაკაცი

მერე ამ ურჯულეთშია  
 რამ ქარმა გადმოგიტანა?

### საბრალო

მეც მიკვირს, მაგრამ რა უყო,  
 საქმე შამეთხვა მისთანა.  
 კაცის სვე-ბედის გაგება  
 ჩვენგანს ვისა აქვ ღვთისთანა?..

### უცხო დედაკაცი

ვაპმე, მეც იქაური ვარ,  
 შვილო, სად ვათენ-ვალამებ?!  
 ორმოცი წელიწადია  
 გულ და გონებას ვაწამებ  
 ამ უცხოეთში... ვენაცვლე  
 ისევ სამშობლოს მხარესა,  
 ველარა ვნახავ, ეს მტანჯავს,  
 იქაურ ცას და მთვარესა,

იმათი ნახვა წყლულს გულსა  
ძალიან გაახარებსა,  
ღამდება ჩემი სიცოცხლე,  
ფიქრს ვერ იშორებს მწარებსა!  
მისჯარდა, უახლოვდება  
იმ ცივ სამარის კარებსა,  
მიდის და თან მიიყოლებს  
სინდისის ჭენჯინის წამებსა,  
ვინ იცის, საიქიოსაც  
ცრემლით ამიტებს თვალებსა?!

### საბრალო

როგორ? რა გახდა მიზეზი,  
რო გულს დაგაჩნდა დალადა?

### უცხო დედაკაცი

ტყვედა ვარ წამოყვანილი,  
ვაი, რომ ვიყავ ბალლადა;  
ასე ვერ ვამუშავებდი  
მაშინ გონებას სალადა.  
აი ამ აღგილს, სწორედა,  
ძალად გამხადეს თათრადა  
და ვინაც რჯულზე გამტკიცდა,  
იმას მოეპყრნენ აფთრადა:  
გაულიტეს, იმათი სისხლი  
აქა დიოდა ლვარადა.  
როცა მოვდივარ წყაროზე,  
თვალებს წინ დამიბნელდება,  
მუხლები ცახცახს დამიწყებს  
და სულთქმაც გამიძნელდება.  
ულმერთოდ დახოცილები  
მაშინვე გამახსენდება.

### საბრალო

დიდად შეჭმცდარხარ, დედილო,  
რო რჯული გადაგიგდია.

დღეს შენს სულს აქა ვნახავდი,  
სისხლის ტბა რომ დგა დიღია,  
და თავის ნეტარებასა  
იქიდან დამითვლიდია.  
ყოილად ამოხვიდოდი  
ტურფა, ნაზი და მშვიდია.

### უცხო დედაკაცი

ეგ არვინ იცის... თათრებს-კი,  
და მეც, რაც უნდა გვეწიდოს,  
თუ არ მიპარვით, ქურდულად,  
რაც უნდა ბევრი ვეცადოთ,  
თუნდაც სანთლები დაუნთოთ,  
ხვეწნა-მუდარით ვეძახოთ,  
ყოილთ ჩვენ თვალით ვერ ვნახავთ:  
მაშინვე დაინთქებიან  
და, როგორც ცხვრები მგლისაგან,  
ტბის ძირში გაიქცევიან.

### საბრალო

ალბათ აშინებთ საწყლებსა,  
მაშ მაგრე რადა შვრებიან?  
როცა ურწმუნოთ ჰნახავენ,  
არ დაგვხოცონო, ჰკროებიან!...  
ქრისტე რომ უარგიყვია,  
გიქმნია ფრიად ცუდადა!

### უცხო დედაკაცი

საქვეყნოდ დიალ, მაინც-კი  
მასვე ვლოცულობ ჩუმბადა  
და დედა ლეთისა ისევაც  
ჩასახული მაქვს გულადა.  
ხომ იცის დამბადებელმა,  
მასვე ვეკუთვნი სრულადა.

მაგრამ საქვეყნოდ, სულელმა,  
ვერ უარვყავი მეჩეთი  
და მოლის ლოცვა-წირვასა  
უნდა დაუკრა ბეჭედი.  
ასე რად ვშერები — ეს ფიქრი  
გულს დამმჩნევია წყლულადა,  
და რასაც ჩუმად ვლოცულობ,  
რატომ არ ვამბობ ცხადადა?!  
ურჯულოს სიტყვით არ ვამცნებ,  
რაც მიმაჩნია ხატადა?!

### საბრალო

დიალაც საჭირო იყო  
თავის რწმუნების დაჩენა:  
ამისი მაგალითები  
თვითონ უფალმა გვაჩვენა.

### უცხო დედაკაცი

რალა ვქნა? შეტი ვერ შევძელ,  
როგორც დიაცმა, ვიხდალე,  
ეგები ღმერთმაც შემინდოს,  
მიტომ რომ ბევრი ვიწვალე.  
ვიცი, სრულს ნეტარებასა  
ვეღარ მივიღებ ღვეთისგანა  
იმ სოფლად, ეგებ სრულიად  
არ ვავიწირო მისგანა.  
დღეს, რაյი ქართველი გნახე,  
ვითომ სამშობლოს ვყოფილვარ,  
გულს ისე ვაჭხარებია,  
თითქოს მეორედ ვშობილვარ.  
როცა-კი მომაგონდება  
ჩემი სოფელი ერეთი,  
ჩალა და ბუჩი მგონია  
იმასთან მთელი ხმელეთი.  
როს მოვიგონებ სამშობლოს,  
ვამინათლდება ბნელეთი,  
კახეთი მომაგონდება,

იქ გვრიტთა, ტრედთა ღულუნი,  
 ჩვენი ვენახი, ხეხილი,  
 იქვე ალაზნის დუდუნი —  
 ტაძარი ალავერდისა,  
 იქ მწირველ - მლოცველთ გუგუნი.  
 რად ვულალატე, — ვიფიქრებ,  
 გულს გადამეკვრის უკუნი.  
 რას მიშველს ან-კი ტირილი,  
 განდგომილს ოხერა-ბლუკუნი?!  
 მე ხომ იქ წამოსასვლელი  
 დაკეტილი მაქვს კარები!  
 ვეღარა ჰნახვენ სამშობლოს  
 ვერა დროს ჩემი თვალები.  
 აქით საწირავს გაგატან,  
 თუ იმდნად შეგებრალები.  
 მიმირთვი მამის სალოცავს,  
 და საცა ხატებს სანთლებსა  
 უნთებენ ქართვლის ქალები,  
 ჩემებიც ეგებ აენთოს  
 იმათვე გვერდით სანთლები.  
 მიმირთვი სვეტი-ცხოველსა,  
 ალავერდს, თეთრსა ვიორგის  
 და შემავედრე, გეთაყვა,  
 უკან დაპბრუნდე შენ როდის.  
 ეგები ცოდვილ სულისთვის  
 გზა-დაბნეულის ქალისა  
 გამომითხოვო ნუგეში,  
 მეშველობა იმათ ძალისა...  
 ამაღამ ჩვენს მოისვენე,  
 იხილე ჩვენი სახლია,  
 მე და ჩემ შვილებისათვის,  
 იცოდე, დიდი მადლია.

### საბრალო

ეგ შაიძლება, მხოლოდა  
 საწირავების წალება



როგორლაც საძნელოდ მაჩნავ,  
კი რადმე მედიალება.  
რა ვიცით წერა-მწერლისა —  
ხვალის ღლისა და ყოფნისა,  
ძალი არ მოგვცა უფალმა  
თავის მომავლის ცოდნისა;  
იქნება ხვალევა ვკვდები  
საღმე ტყე-ლრეში ტიალად.

### უცხო დედაკაცი

ლმერთმა დაგიხსნას... თუ მოჰკვდი,  
მეც არ მივიჩნევ ზიანად  
საჭირავს. იყოს ალალი  
შენს შესანდობარ ფიალად.  
წინ დედაბერი მიუძლვის,  
უკან საბრალო მიჰკვება;  
ვერ განუცხადა უარი,  
რაკი სტუმრობა ინება  
გურჯისა გურჯისვე ქალმა,  
თათრების დამონებულმა,  
მის ნაუბარით და ბედით  
დამწვარმა, დალონებულმა.

მზეც მიეფარა გორის ფხას,  
თან გაიყოლა სხივები,  
მინდვრად მდუმარებს ბალახი  
და ყანა ანალივები.  
„ეს კაცი ვინ მოიყვანე?“ —  
დედასა ჰკითხვენ შვილები.  
მის ვინაობა გაიგეს,  
იამათ, სინჯვა დაუწყეს,  
მხოლოდ მეზობლებს ქართვლისა  
იქ ყოფნა როდი აუწყეს:  
შიშობენ, ვინიცობაა,  
იქნებ ურჯულო გაუწყრეს.  
ფლავი და ხორცი სუფრაზე

სტუმარს გოლუხვად დაუშეყის.  
 ბევრი რამ ჰეითხა დიაცმა,  
 ვით შვილსა დედა დაუხვდა;  
 რჯული, სამშობლო და ბედი  
 მათ სასაუბროდ გაუხდა.  
 ერთის ხელისა საცმელი  
 საბრალოს მისცა ძალათი  
 და საწირავთან ერთადა  
 მისცა ამ აზრის ბარათი:  
 „ქრისტეს მსახურნო, მამანო,  
 მიწყალეთ, შემიბრალია:  
 რჯული შევცვალე, თაორებმა  
 რა დამატანეს ძალია.  
 მაინც თავის რჯულს არ ვკარგავ,  
 გული ქრისტესთან არია;  
 ენა სხეას ამბობს, გული სხეას,  
 ყოფნა მაქვს გასამწარია,  
 გოხოვთ შემავედროთ მეუფეს  
 წყალ-დაუშრომელთ ქალია.  
 საწირავს საბრალოს ვატან,  
 ვსოხოვე და დავავალია,  
 ევედრეთ ჩემთვის უფალსა,  
 გოხოვთ ნათათრალი სალია.“

საბრალომ ტანისამოსზე  
 ძალიანა სთქვა უარი:  
 — გაგცარცოთ, რას ეგვანება,  
 ეგ რაღა ჩემი შნო არი?!

მაგრამ მასპინძლის შვილები  
 უფრო ატანენ ძალასა,  
 ამბობენ: „ჩენი სისხლის კაცს  
 კიდევა ვნახავთ ხვალაცა?“

რომ ვერას გახდა უარით,  
 ადგა იმანაც, წაიღო  
 და, გარდა საწირავისა,  
 ყველა გლახებზე გაიღო.  
 თითონ-კი ისეთივ დადის,  
 როგორიც ვნახეთ გუშინა,

იმავე ფიქრზე დამდგარი,  
 რა ფიქრზეც იდგა უწინა.  
 საბრალოს გულის წადილმა  
 ზეცამდე როდი უწვდინა!

## XI

ერთხელა გულ-ჯანლიანი  
 ზღვისა კიდეზე ვიდოდა.  
 ხმელეთს რომ მოპრჩა, საბრალოს  
 ზღვის გალმაც გასელა უნდოდა,  
 მაგრამ უნავოდ, უგემოდ  
 ზღვას საით გაუვილოდა?!  
 მისდევს ზღვის პირსა, ნატრულობს  
 გემი შაჰედეს, ან ნავია:  
 ზღვას გასცდეს, იქაც დასცადოს  
 წუთისოფელი ავია.  
 ჩოჩქოლი რაღაც შაესმა,  
 ლანძღვის ხმა, თანაც ხვნეშისა;  
 ჰედავს, რომ სამნი ერთს სცემენ  
 და, მომდურავი ბედისა,  
 მეოთხე იმათ კლანჭებში  
 თავსისხლიანი კვნესისა.  
 აღელვდა მეტად საბრალო  
 და მიაშურა იქითა,  
 დაჩაგრულისა საშველად  
 მტარვალთ მიუხდა მჯილითა.  
 — რას შექრებით, უსამართლონ.  
 კაცს რისთვისა ჰქონავთ, რადაო?  
 წყეულიმც არი ღვთისაგან  
 სისხლის მთხეველი მადაო!  
 — ეს ვინ-ღა არი, თავხედი?!—  
 ერთად წარმოსთქვეს სამთაო,  
 არ შეპრჩენ უკაცრევადა,  
 საომრად იყვნენ მზადაო.  
 ჯერ ხომ მიტორეს კარგადა  
 და მერე, როგორც ქიდაო —

დაობებული და მძალე,  
 გადაისროლეს ზღვადაო.  
 ზღვამაც მიიღო ნადავლი,  
 ვით საჩუქარი გლახამა,  
 და შთანთქა ბედის-მძებნელი  
 ზღვის უმაღურმა ხახამა.  
 ბოლოს რამ თითქოს წერტილი,  
 შუა ზღვას დაჩნდა შავადა,  
 ათამაშებდენ ზვირთები,  
 ზედ დაჭმეროდენ თავადა.  
 ან რა ენაღვლისთ იმისა,  
 თუ საბრალოა ავადა?  
 არ უმძიმთ საზიდავადა,  
 ვითა ქარიშხალს ბუმბული,  
 აფორდა ზვირთი დიდრონი,  
 როგორც ლრუბელი სულ-კრული.  
 თვით ზღვა ქცეულა ვეშაპად,  
 ზღვასვე მოარღვევს მკერდითა,  
 თან მოაქვს რალაც სულდგმული  
 გაუტეხელის ქედითა.  
 კაცი გამოჰკრა მიწაზე  
 ლრიალით მეტის-მეტითა.  
 თითონ უკანვე გაბრუნდა  
 იმავ გალიპულს გზაზედა,  
 და დაისვენა ზღვამ ზღვაზე,  
 როგორც ნისლებმა მთაზედა.  
 საბრალო იყო, იცნობდით  
 პირი-სახეზე, ტანზედა,  
 ქუდიც არ მოჰშორებოდა,  
 ისევ ეხურა თავზედა;  
 გაბრუებული გორავდა,  
 ვერ მოსულიყო ჭკვაზედა.  
 ლამეა, ცაზე ვარსკვლავი  
 ერთიც არ ბეჟუტავს ლივადა,  
 შავი ლრუბელი ჰბატონობს  
 ცა-დედამიწას ცივადა.  
 თრთიან ზღვის შემაცქირალნი

ზღვისა ლერწამნი მწკრივადა,  
 მხოლოდ ზღვის მკერდი ქციულა  
 ერთ უზარმაზარ სხივადა.  
 ადგა საბრალო ფეხზედა,  
 კეკვაზე მოვიდა თან-თანა,  
 მაჭრამ სიცივით საწყალი  
 იდგა სამარის კართანა.  
 ნატრობს ცეცხლს, ნატრობს საფარსა,  
 ღვთისათვის შველის მთხოვნელი.  
 შორს ნახა — შოქი მოსჩანდა,  
 კაცთ ყოფნის გამომჩენელი.  
 იქით გასჭია, ფიქრი აქვს  
 ადამიანის ნახვისა;  
 ცეცხლზე გაშრობა-გათბობის,  
 საღმე ყუდროზე დასმისა.  
 იმ დღენდელს უბედურებას  
 სისაწყლე იმის სახისა  
 გაეათკეცა, რა ეთქმის?  
 შაჩვეულია ვაებას.  
 მის გული მეტს ველარ იგრძნობს,  
 თუნდ ეკლით საღმე დაებას.  
 იარა ბეგრი თუ ცოტა,  
 თან-თან რწმუნდება ფიქრითა,  
 რომ ცეცხლი ნახა ნამდვილად,  
 დის შეუმცდარის ბიჯითა.  
 მოვიდა კიდეც, შეპხედა,  
 კლდეა საკმაოდ მაღალი,  
 ჩაკიბულია მღვიმეში,  
 ისეა დაბლით სავალი.  
 ბუტბუტი ესმის იქიდამ,  
 ხმა ადამიანთ ტომისა  
 ისეთი გამეხებული,  
 როგორც კიუინა ომისა.  
 „ჰოი, უფალო, მიწყალე!“ —  
 ცხოვლად მოისმის ხვრელითა.  
 კაცია, უფალს ახსენებს  
 ლოცვა-ვეღლებით ცხელითა.

საბრალო მიჰევდა: მწირია,  
 ვინმე უდაბნოს მცხოვრები,  
 ესიამოვნა, რომ ჰპოვა  
 კაცობრიობის მცხოვნები.  
 აცოცდა მაღლა კიბეზე,  
 რა დრო აქვ დასაყოვნები?!  
 უცქერის შიგით, გამართლდა  
 მისი წინასწარ ნაგრძნობი:  
 მწირია, ლოცვანს კითხულობს,  
 წინ უდგა ჭრაქე მნათობი.  
 ცად ასწრაფულსა ფიქრითა  
 არა-რა ესმის ქვეყნისა,  
 არც ლხინი, ლელვა ვნებათა,  
 არც ადამიანთ წყენისა.  
 საბრალო შექრთა ჯერ ხანად.  
 შეშლა არ უნდა ლოცვისა,  
 მაგრამ როდემდის? იტანჯვისა,  
 თმენა არა აქვ მოცდისა.  
 — ჰოი, წმინდანო, ლეთის კაცო,  
 გთხოვ, მომიტევო შეცდომა,  
 ჩემის ცოდვილის ფეხითა  
 ამ შენს სენაჟი შედგომა! —  
 ვგონებ, უძახა სამჯერა,  
 თან უნდა სახლში შეხტომა,  
 და როდის ვაი-ნაჩრობით  
 ხმა მიაწვდინა შემდვომა.  
 მწირმა შეჲხედა: ეზარა  
 იმისი სახე ტანჯული,  
 ლამი, წყალი და ზღვის ქაფი  
 სტუმრის თავ-პირზე დასმული.  
 — მესტუმრე, ბილწო, არ იშლი,  
 არ მაცდი სული მოვიგო,  
 და ლეთის ძალის და ცნებისა  
 ცოტა მეც რამე გავიგო?!  
 ჰოი, წყეულო სატანავ,  
 გასწი, მომშორდი აქითა,  
 ვერ გიცნობ, რომ მეჩვენები

ათასნაირის სახითა?

გსურს, რომ შემიპყრო, ვით სხვანი,  
თავის გრძნეულის მახითა?!—

სთქვა მწირმა, ახლა საბრალოც

ეტყვის მორთოლარის ბაგითა:

— წმინდანო, რისთვისა სწყრები,

ქრისტიანი ვარ, კაცია,

ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი,

ეშმაკამც გაუტაცია.

ერთი საწყალი კაცი ვარ,

ზღვაში ჩავიარდი, ვკვდებია,

მისტუმრო შენსა სენაკში,

მე იმას გევედრებია.

— გიცნობ, ღვთისაგან წყეულო,

მარტო არ ჰქმარობ მიწასა

და ზღვის ტალღებსაც აქოთებ,

სჩხრეკ იქ ლამს, იქვე ქვიშასა,

თვისი საქბილო რამ ჰპოეო,

მუდამა სცდილობ იმასა.

— სცდები, ღვთის კაცო, ძალიან,

ღმერთს ვთიცავ, არ ვარ ეშმაკი,

დაე, თუნდ ბელზეულიც ვარ,

გთხოვ რომ მისტუმრო ეხლა-კი.

რა ეშმაკობის თავი მაქვს,

კარგად მიცქირე, კარგადა,

თუ მართლა წმინდა კაცი ხარ,

გთხოვ ამიკიდო ბარგადა,

თუნდ ჩემი გადაკიდება

კიდეც გაღგექცეს შხამადა.

მინდა ცოტა რამ გასწავლო

მეც ღვთისა, იმის სჯულისა,

და გზა ხსნის ცოდვილთაგანა

დატყვევებულის სოლისა.

— ჰყურობ შენ ამას, რა ხრიკებს,

რა ისტატობას მიჰმართა?!

რა მარჯვედ ხელი შეახო

ჩემს გულში წმინდა-წმინდათა?!

გიცნობ, წყეულო, ეგ ჩემთან  
 არ გამოდგება ხრიკადა.  
 გირჩევ, წახვიდე, თუ არ გსურს,  
 ცით მოვიწიო ძალები, —  
 ერთ წამს მიწა-მტვრად ვაქციო  
 შენი ლეში და ძვალები.  
 შეგმუსრო ქვეყნის პირიდან,  
 რომ არსად შენი ხსენება  
 არ იყოს, გაპქრეს შენთვისა  
 დალამება და ოენება.  
 გახოვ, ზეციერო მამაო,  
 რომ ეხლა მექნა შემწედა  
 და შენი მონა არ მისცე  
 ბოროტსა სულსა ესრედა! —  
 სთქვა ბერმა, თანაც ალიპყრო  
 საცემლად ჯოხი ურძნისა,  
 შემოუქნია საბრალოს,  
 ისიც სდგას, როდი უფრთხისა.  
 დაპქრა და ჩამოაგორა  
 „ბოროტი სული“ კიბითა.  
 — ღვთის ძალა მუდამ შეგმუსრავთ  
 ბოროტნო, რად არ იცითა,  
 და სიტყვა გამოჩენილი  
 სარწმუნოებით მტკიცითა?! —  
 მას ბერი გამწარებული  
 ჩამოსძახოდა მაღლითა.  
 რა უთხრას ტან-დაბეგვილმა  
 ბრუტ-დასეულის თავითა  
 საწყალმა ბედის მძებნელმა,  
 ან სად წავიდეს ლამითა?!  
 რა ქნას ბეჩაემა საბრალომ?  
 ჰხედავს, არა აქვს ნასიბი.  
 დალოლაკს, თივა იპოვა  
 იმავე მწირის ნათიბი,  
 დადგმული ზეინად, ახალი,  
 როგორც დედოფლის ქათიბი.  
 იქ გაიკეთა ლოგინი,

სახლი აიგო თივისა,  
შიგ ჩაწვა გარინდებული,  
არეის სწყევს, არას ჩივისა.  
მწირი-კი სენაკის კარზე  
ეშმაქსა სწყევდა, გრგვინავდა,  
რომ სძლია, გაპხარებოდა,  
სულ მაღლა-მაღლა ფრინავდა.  
საბრალო მოშორებითა  
იქვე თივაში გმინავდა.  
ამას ამბობდა მხოლოდა:  
„ღმ-რთო, მიწყალე ცოდვილი  
და მიიბარე სულიცა  
ჩემი, ათასგან კოდვილი.“

მოსწყინდა ფრიად სიცოცხლე,  
მოსწყინდა ყოფნა ქვეყნადა,  
თუნდ იმას დაპრჩეს საკუთრად  
მთელი მსოფლიო ერთადა.  
სიკედილსა სიცოცხლედ ჰსახავს  
და ზედ დასაყრდნობ კვერთხადა.  
მოსძულდა თავისი ყოფნა,  
თავისი თავი მეტადა.  
ბნელოდა შავად, ნისლები  
სწორედ ფისი და კუპრია,  
ცა-ხმელთა შუა ბუდობენ,  
როგორც მტრობა და შურია.  
ზღვაც აღარ სჩანდა, ეძინა,  
ნაბადი დაუხურია.  
დალლილ-დაქანცულს საბრალოს  
თვალებზე მოსდის ლულია  
და ჩაეძინა, ეზმანა  
ავი სიზმრები, კრულია:  
ვითომ დასეტყვილს ფეტვსა ჰმეის,  
თავის მამულში ჰყუნთია,  
შეპხედა, სეტყვის მშობელი  
ელიაც აქვე ჰყუდია.  
კეტი აილო საბრალომ,

იქნება ათი ფუთია,  
 და მოუცეუა იმითი  
 მხრების, წვივების კუნთია.  
 „რად მომიწამლე,—თან ეტყვის,—  
 „სოფლად ცხოვრების წუთია,  
 „რამდენის სხვისა ამაგი  
 „გაპრეგვნე, გააფუჭია;  
 „ჩვენ რომ გვატირებ, შენ მაშინ  
 „თვალები დაგიხუჭია!  
 „განა შეგშენის, რომ სეტყვით  
 „ქვეყანა ააწუნტია?!“  
 გული იჯერა. ახლა სხვა  
 სურათი მოსდის თვალშია:  
 ვითომ თავის ცხვრის ფარითა  
 სადღაც ერთ ნაცნობ მთაშია.  
 ჩამოწვა შავი ლრუბელი,  
 ცხვარიც დაფარა, ისიცა;  
 ეძებს ცხვარს, ვეღარ პოულობს,  
 რა ემართება დღისითა?  
 ვეღარას ჰედავს, თვალები  
 გადაპლესია ფისითა.  
 განათდა, ცხვარი აღარ ჩანს,  
 მგელი მორბოდა ქშენითა;  
 თავ-ცხვირზე სისხლი აცხია,  
 მოდის ლაშების ლრენითა.  
 გამდლარა, როგორც ეტყობა,  
 იმის ცხვრის სისხლის დენითა.  
 აემლვრა სისხლი საბრალოს,  
 გულში აღეძრა მტერობა,  
 სწადიან მოანანიოს  
 ავს სულსა სისხლის მლვრელობა..  
 აღეძრა გოლში უსამზლვრო  
 სისხლის ძირბის ქინია,  
 ჰკრა ჯოხი, იქვე მიწაზე  
 დაანთხვინა ტვინია.  
 ჯოხსა სცემს, მაინც არ იშლის,  
 უამის იმის წვალება;

მინამა სცემა, ვიღრემდე  
სხვა არ ეჩვენა ზმანება:  
პხედავს, რომ დაბლა, მინდორზე,  
მზე მოდის, მოექანება.  
მგელი დასტოვა იქ მყვდარი,  
ახლა მზეს მიეტანება.  
„შედეგ, მოიცა! — უძახის: —  
„კოტა ხანს დამიცადია,  
„დანაბარები სიტყვა მაქვს,  
„გაუწყო იგი, მწადია.“  
მზე მირბის, საბრალოც მისდევს  
თან, შაუქლიან რაც-კია,  
ჰა, მისწვდა, დაუახლოვდა,  
ჰერა ჯოხი, წამოაქცია.  
სცემს, თანაც შედგა წიხლითა,  
არ ჰზოგავს ხელებს, კბილებსა.  
საცა კბილები არ ჰყოფნის,  
მიიშველიებს ფრჩხილებსა.  
„მე შენი მადლი შამირცხვა —  
ეტყვის: — „წონება თავისა,  
„რა ვნახე შენგან ხეირი,  
„გარდა სიმწარის, ავისა?  
„რისთვის მიმუხთლე, წყეულო,  
„ერთი ძნა დამრჩა ობლადა?!  
„მოსწამლე ჩემი სიცოცხლე,  
„ყოფნა ამ წუთისოფლადა!  
„ვინ გიცნა აღამიანმა  
„ქვეყნად კეთილის მშობლადა,  
„შენ ჩემო დამნელებელო,  
„წყეულიმცა ხარ ყოვლადა!“  
შეზარეს ფრიად სიზმრებმა,  
სწყინდა ნახული ზმანება;  
წამოდგა ლოგინიდანა,  
თივის ზეინს თავი ანება.  
და ღმერთს სოხოვს, სიზმრების მური  
არ ჩაუთვალოს ცოდვეადა.  
ხელები აპყრობილი აქვს,

ისე დამდგარა ლოცვადა.  
 ლვთის სახეს ეძებს ჰაერში,  
 ელამუნება კოცნადა.  
 ჯერ ლოცვა არ დაესრულა,  
 რომ ცაში ჭექა გაისმა,  
 როგორიც იცის ავდარში  
 თიბათვემა და მაისმა,  
 და როგორც შავი ნაბადი —  
 თავზე დაეცა ფრინველი.  
 შეძრწუნდებოდა ყველაცა  
 იმის ფრთა-კლანჭის მხილველი.  
 დასწვდა კლანჭებით საბრალოს,  
 შეათამაშა ცაშია,  
 დაინთქა თავის მსხვერპლითურთ  
 ღრუბელ-ნისლების ზღვაშია.  
 არ ვიცით, საით წაილო,  
 როგორი ჰქონდათ მგზავრობა,  
 ან რა ფიქო აქვს ფრინველსა,  
 მტრობა სწადის თუ წამლობა!

## XII

ომარაანთა სოფელში  
 კიდევ ამბობენ მდიდრებსა  
 საბრალოს ძმებსა ორივეს,  
 ჰქვით და ოჯახით დიდებსა.  
 სჩანს არ მოუხდათ ცუდადა  
 მათ წინანდელი ხელობა:  
 თუ სხვას საწყევლად გაპხდია,  
 იმათ ალალებს მგელობა.  
 ზოგი თუ მოუპარიათ,  
 სხვა უშოვეიათ ძალითა,  
 არ ინახვება მათ ყოფნა  
 კაცისგან ავის თვალითა.  
 არც მას დარდობენ, თუ სოფელს  
 ავსებენ ცოდვა-ბრალითა.  
 ცხვარიც ბევრი ჰყავთ, ძროხები

გაუდისთ ისევ ნახირად —  
ერთს ალაგს აღარ თავსდება,  
იმიტომ უდგათ სამ-პირად.  
სახლებიც უკეთებიათ,  
მეფეთ სრაების სადარად.  
შინ ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი  
მონაზიდია ნადავლად.

არწივს საწყალი საბრალო  
მოუტანია აქა რად?!  
სახლისა ვერდში ჩრდილივით  
იგი მოსჩანდა ბეჩავად;  
კაცებიც ვინმე მოდიან  
უცნობის გასაჩერეკავად.  
მშობელს ადგილებს თვალს ავლებს.  
საბრალო, ჩუმად ტიროდა,  
აგონდებოდა სიყრმის დრო,  
უამთა ცვალებას ჰყვირობდა,  
გულში ჰეარშავდა ნაგრძნობსა,  
საქვეყნოდ არას იტყოდა.  
სიკვდილის უამიც თავს ადგა,  
ეხოცებოდა თვალები,  
ავადმყოფია, წაჭსვლია  
მუხლშილა მქლავში ძალები.  
ბევრი გამოჩნდა, რომ იცნეს,  
იმ სოფლად კაცი, ქალები.  
საბას, ოთარსაც აუწყეს  
საბრალოს მოსვლა სნეულად —  
საწყლობა მისი ყველაფრით,  
დაძაბუნება სხეულად.  
ძმებმა ძმა, ამის გამგონეთ,  
მოიხსენიეს წყეულად:  
„სად ეგდო დღეს-აქამომდე,  
„რა მოიტანა ერთია;  
„და ახლა კარს მოგვეყუდა,  
„როს ღონე გამოელია?  
„მისთანა მუქთა-ხორები  
„ჩვენს ახლო-მახლოც ბევრია,

„ახლა ჩვენც უნდა დაგვებეგროს,  
 „როგორც სხვა დაუბეგრია!“  
 მოვიდნენ თავ-მოწონებით,  
 თავზე წაადგნენ, დასცქირეს,  
 თავის უხამსის ქცევითა  
 მართალი ბევრი ატირეს.  
 მაინც იქ მყოფთა ყველათა  
 მათ ყოფა-ქცევა აკვირვებს.  
 თითონ საბრალოც ლონდება,  
 რილაცის თქმასა აპირებს,  
 მაგრამ არ ძალუბს, ალარა:  
 ენა არ ემორჩილება,  
 ძმებისაკე სწელის ხელებსა,  
 ბავშვივით ეპოტინება  
 თავის ძმებს, იმათვანაცა  
 ძმურს სალამს ელოდინება.  
 ან რა კაცია, ვისც წამი  
 მსგავსი არ ეცოდინება?!  
 ამაოდ. სულის ლევის ღროს  
 ძმათ თვალებს ეკორტნინება.  
 ალარც იცოცხლა დიდხანსა,  
 მალედვე სული დალია.  
 რაც ფიქრი მისდევს ძმებზედა,  
 არ ჩანს იმისი კვალია.  
 არცა ვის პური მოსთხოვა,  
 არც ვის მოსთხოვა წყალია,  
 დაჩაგრულს სიმართლესა ჰგავ,  
 რა ფრიად შესაბრალია!  
 ან-კი რა? ყველას შიგველის  
 ღია სამარის კარია,  
 ოქროს კუბო და ფიჭვისა  
 მიწისთვის თანაბარია,  
 ან იქ ვიუბნოთ როგორა  
 აქედან დანაბარია?  
 ბევრი სკირს კაცის გონებას  
 ამაოება მტენარია!..  
 თუ რას მადლს იზამს ქვეყნადა,

მითი იცოცხლებს მკედარია.  
 ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,  
 სხვა, დანარჩენი — მჩვარია,  
 ან ცეცხლი დასწვავს... თავისად  
 მოიხმარს მიწა-მყარია.  
 სხვა ყველა ფეხთ ქვეშ ეგება  
 მიწის, ბუნების კანონსა;  
 სულს ვერ ერევა მის ძალი  
 და ვერც გაუთხრის ხაროსა;  
 ვერ მოჰკლავს, ვერ დააბერებს,  
 ტანს ვერ შეუცვლის საროსა.  
 მიწისას მიწა მიიღებს  
 ყველას, რაც მაზე ხარობსა.  
 მაინც ხომ სულის ბუნება  
 მონა როდია მიწისა:  
 თავისი საპფლობელო აქვს,  
 თავის გზა კარგად იცისა!..

ჰყურობთ, საბა და ოთარი  
 რაებს ამბობენ ძმაზედა:  
 „ცოცხალიც ჩვენს ჭირად იყო,  
 „უნდა ვიხარჯნეთ მკედარზედა.“  
 გაჭირდა ფასის გაღება  
 სამს ადლს ტილოში ძალზედა,  
 ხალხში ბევრს საბრალოს ნაცნობს  
 ცრემლები მოსდის თვალზედა.  
 მადლობას სწირვენ უფალსა,  
 სახე-მიპყრობით ცაზედა.  
 ძმები სჩერევავენ საბრალის,  
 ჰსურთ რამ უპოვონ ჯიბეში  
 და, მართლაც, ნახეს ბარათი  
 საწირავითურთ თიქვებში...  
 გაღაიკითხს ბარათი,  
 თან „ნათათრალი სალია“,  
 დაასკვნეს ერთად ეს აზრი:  
 საბრალოც მისი ცალია,  
 უთუოდ თვითაც გათათრდა,

რომ მისთვის დაუვალია  
 საწირავების მოტანა...  
 ამასაც შეუწყალია.  
 ჩვენ ქრისტიანთა გვერდითა  
 როგორ დავმარხოთ ცხედარი?  
 ჩვენი ძმაც გათათრებულა,  
 სიმართლე რომ ქსოვებათ, ეს არი.  
 გაათხრეინეს საფლავი  
 ერთს მწირს და ხრიოკს სერზედა,  
 მის ახლოს არსად ხე იდგა,  
 არსად წყალია გვერდზედა,  
 და იქ დამარხეს საბრალო,  
 შორს თავისიან მკვდრებზედა,  
 და, როგორც მკვდრისა წესია,  
 მიწა აყარეს მკვდრზედა.

### XIII

საკვირველს რასმე იტყვიან  
 ძველის ამბების მცოდნენი:  
 თურმე მის საფლავის თავით  
 ერთი წყაროა მომდენი,  
 და ხშირად საფლავის სტუმრად  
 ლამ-ლამ ცით მთვარის ოდენი  
 სხივი ჩამოდის და ადის,  
 ქვეყნად სინათლის მომფენი.  
 ვინაც-ჟი დაპლევს იმ წყალსა,  
 რაც უნდა ჭირით პყრობილი  
 იყოს, მორჩება იმ წამსვე,  
 წყარო ისეა ცნობილი.  
 რასაც საბრალოს საფლავი  
 პხედავს მთებსა და ჭალებსა,  
 ყველგან რამ მაღლი ტრიალებს,  
 მაღლით პრწყავს არე-მარესა.  
 მწყემსმა თუნდ თავის სამწყემსო  
 მთელს წელს გაუშეას ოხრადა,  
 ვერაფერს ავნებს ნადირი

საქონელს ბეჭედის ოდნადა.  
 ნეტარებს მხვნელი, მთესველი,  
 მიწის გულ-მეტობის მპობელი:  
 რასაც დასოესავს, თვით კვირობს,  
 ზლვა მოდის დაუშრობელი.  
 არც სეტყვა ავნებს, არც გვალვა  
 არც თაგვი, პურის მტერია,  
 საპრალოს სამარის მადლი  
 ცხოველ - მცენარეთ მცველია.  
 და საცა საბა, ოთარის  
 იყო საფლავი, სამარი,  
 იქ თურმე დღეს-აქამომდე  
 ჭაობი არის დამდგარი  
 უცხოვლო, წყალი იქიდან  
 ჯერ არც ვის დაულევია,  
 თითქოს შხამი და ნაღველი  
 შიგ ვისმე გაურევია.  
 ოთხ-ფეხნი კ შორით უფროხიან,  
 იქ არ სხდებიან ფრინველნი.  
 ვით სიკვდილს ერიდებიან  
 ჭაობს იმისი მხილველნი.  
 ლამ-ლამ ჭაობით, იტყვიან,  
 ისმის ოხერა და ტირილი,  
 ბოლოს, ტირილის სანელად,  
 ზედ გესლიანი სიცილი.  
 და დედა მუდამ შეილებსა  
 ასე არიგებს კვეიანად:  
 „ერიდეთ ჭაობს, თუ თავი  
 „არ გინდათ დასაზიანად!“  
 მხოლოდ თან ატანს სანთლებსა  
 იმისა გასამზიანად,  
 სერზე რომ არი საფლავი  
 მარტოკა, ოხერ-ტიალად.  
 მოხუციც ყრმათა უამბობს  
 ამბავს მართალის კაცისას,  
 რომ ყველამ მისი სურათი  
 გულს ჩაისახოს, ჩაისვას,

და ტრფიალება კეთილის  
 თვალთა წამწამზე დაისვას,  
 თუ ჰსურთ, რომ მათი ხსენება  
 კიდით-კიდემდე გაისმას,—  
 კაცთა გამხმარმა ცხოვრებაშ  
 ია და ვარდი დაისხას.

## XIV

ფრინველი, ნეტავ, რა იქნა,  
 ბედის-მძებნელის მტვირთველი?  
 — ენახათ, თორემ ამბისა  
 არავინ ჩნდება მყითხველი...  
 უზარმაზარის მხრებითა  
 იგი მთებისკე წასულა,  
 სადაც თვის მსხვერპლი ეგულვის  
 იქ, იალბუზზე ასულა.  
 და ისევ ამირანისას  
 გულ-მკერდას სწიწკნის შმაგადა.  
 ვერც ის გატეხა, არც თითონ  
 მოსწყინდა ქცევა ავადა.  
 ვერ გაუთავა გულ-ლვიძლი,  
 ვერც ხორცუში სისხლი გაუშრო.  
 როდი მოსწყინდა მის ტანჯვა,  
 ერთხელ, ერთს ლამეს, გაუშო,  
 როცა საბრალო იტვირთა  
 და სამშობლოში დაუშო.  
 იმ დღიდან ამირანს დღემდე  
 მხოლოდ ეს თხოვნა უსმინა,  
 თორემ უმისოდ გმირისა  
 გულ-მკერდზედ არი მის ბინა.  
 რამდენიც სიშმაგე მოსდის  
 სისხლის სმის, ხორცის გლეჯისა,  
 იმდნად საბრაზოდ უხდება  
 სალი კლდე გმირის თმენისა.  
 ვერ გაუგია, საიდან  
 ნაჭამი ლეში იესება,

ან სისხლი რისი-ლა უდგა,  
 მისგან რამდენი ისმება?  
 აი, იმ არწივს გმირისა  
 ხევწნა-მუდარა ჰსმენია,  
 და ერთი მაღლი მანაც ქმნა,  
 სისხლის სმაც დაუთმენია  
 ცოტა ხანს, არა სამუდმოდ,—  
 ლშერთს მისთვის გაუჩენია  
 და ამირანის გულზედა  
 მის კლანჭი დაუბჯენია.  
 კიდევ მაღლობა უფალსა,  
 რომ ვერა ვხედავთ თვალითა  
 თვით ამირანის რანჯვასა,  
 შავის ლრუბელის ძალითა,  
 ჩვენ და მის შორის რომ წვება,  
 როგორც ვეშაპი, დიადი.  
 მის ნახვის გვრჩება ფუჭადა  
 მეცადინობა ფრიადი,  
 და მხოლოდ გონების თვალით  
 უნდა განვსჭვრიტოთ წყვდიადი.

# ძაღლიკა ხიმიკაური

(ვუძლვნი ილია ჭავჭავაძეს)

I

ხიმიკაურის ჭერხოსა  
 ცეცხლი ედება ჯაერისა;  
 ნეტავი არ გააგონა  
 აბჯრის ულრიალი ჯარისა,—  
 ხმა მოტანილი ლაშქრობის  
 გადამავალის ქარისა.  
 ლაჭანს წევს ვინმე ხევსური  
 ხიმიკაურის გვარისა.  
 წინ უდგა ტაბლა ხონჩითა  
 პიტალო ნაღველ-ძმარისა.  
 არ უნდა ნახოს მზის სხივი,  
 აღარც სინათლე მოვარისა.

ჩამოიყარნენ ლრუბელნი,  
 მიწას დაეცნენ შავადა,  
 სნეულებს ჰევანან ისინიც,  
 თითქოს დახდილან ავადა.  
 ოხვერენ და შფოთვენ გულშია  
 უჩუმრად, თავის-თავადა.  
 ჯავრი შიგითა, გარეთ-კი  
 არ დაჩენილა მწვავადა.  
 აღარც ნამი სდით, არც ჭექა,  
 აღარსად ელვა იმათი,  
 რამ დაადუმათ, არ ვიცი,  
 რამ გაუტეხათ ყისმათი?!

II

ხევსურთ ვაუები აჩქროლდენ,  
 დგას ლიქოქს ძახილ-ძუხილი.

რა ამბავია, ნეტარა,  
 რაზე შაექნათ წუხილი?!  
 რა ხმამ ასტეხა, ნეტავი,  
 ასეთი ჭექა-ჭუხილი?!  
 • გულში აქვს ყველას ჩამდგარი  
 სალუდე ქვაბის დუღილი.  
 — ბარით მოსვლიათ ბარათი,  
 ერეკლეს მონაწერია:  
 „ჩამოდით, ხევსურთ ვაჟებო,  
 ხმლის ქნევა თქვენი ჯერია.  
 ქალაქის მიღამოები  
 ურჯულოს დაუჭერია.“  
 ეს იყო მარტო მიზეზი,  
 ამ სიტყვის მოსვლით ღელავდენ.  
 ზოგნი პლესავდენ ფრანგულებს,  
 სხვანი შუბებსა სწვერავდენ.  
 მხცოვანნი ხავსიანები  
 ჯაჭვის პერანგებს პერავდენ,  
 თან კაზმულს ვეფხვის ულვაშით  
 ნაკეჭნს ლოყებსა პერავდენ.  
 დიაცი წინ ედგათ ტაგნები,  
 ბაკებში ფურებს სწველავდენ...

## III

განა სულ მუდამ თოვლია,  
 პირ-მოლუშული ზამთარი? —  
 თქვენც გენახვებათ ბუნება  
 ყოოდეს მკვდრეთით ამდგარი,  
 ისევა ჰავებულეს წისქვილი  
 წყალს მოკლებული, დამდგარი,  
 გათქვირებული ტაიჭი, —  
 ერთს დროს ძვალ-ტყავად გამხდარი  
 და კაცი, დაბლა მცოცველი,  
 გუშინ გერგეტზე შამდგარი,  
 და ბევრჯელ კაი სიზმარი —  
 მეტად უმსგავსოდ ამხდარი,



თვალები თეთრის ქალისა,  
 სანთლად კაცთ გულში ჩამდგარი,—  
 უსხივო, უსინათლონი,  
 როგორიც ცვილი დამდნარი,  
 და ვეფხვი შეუპოვარი—  
 თავის მძლავრ ტოტზე მამკვდარი.  
 მოჭმორდა ჯანლი ქვეყანას,  
 მზის სხივს მიერგო ნავარდი,  
 რა აეხადა გულიდან  
 ზედ დახურვილი ნაბაღი.  
 მთას ჰბოჭას მაგრა ბჯლალითა  
 ბარით ნასროლი ქამანდი.  
 ვერცხლის სალტებით მორთული  
 ხირიმ-მაჟრები ელავდა,  
 ერთ-ურთს ხმალ-ხანჯრებს უსინჯვენ,  
 მხედართა გული ლელავდა.  
 მოგროვილიყო ლაშქარი,  
 ლიქმის ჭალას სთელავდა.  
 ულაყებს თავი აელოთ,  
 ირგვლივ ავლებდენ თვალებსა;  
 აწუხებსთ, ვეღარ ითმენენ  
 მუხლში მოგროვილს ძალებსა,  
 ჩაჭიმვენ მკეიდრის ტოტებით  
 კლდიანს არაგვის ჭალებსა,  
 დახარჯვა თავის ძალ-ლონის  
 იმათაც გაახარებსა.  
 ცხენიც მოიკლებს, მხედარი  
 რა მანძილს გაატარებსა.  
 წესია: გამოჰჭხიზლდებათ  
 მეორეს დილას მთვრალებსა!  
 უყურეთ მანდილ-აკეცილთ  
 ბანებზე ხევსურთ ქილებსა,  
 ჩამოსცერიან ლაშქარსა,  
 რო მიწას ციდან ვარსკვლავნი.  
 ჩამოდის ისრის წვიმადა  
 სხივნი, თვალთ გამონაგზავნი,  
 ხევსურთა ლაშქრის თავზედა,

ଲାପୁରୀ-କୁର୍ରତକ୍ଷେତ୍ରାଧ ମିଶାଳା.  
 „ଲମ୍ବରତନ, ଶେବ ଗାଉମାରଜ୍ଜ୍ଵେଳ!“  
 ବିଦା ସାହାରାଲ୍ଲାଙ୍କ ମୁଖୀଶାଳା.  
 „ମନ୍ଦିଗ୍ରାର୍ଯ୍ୟ ନାଶାବେଳାରୀ!“  
 ବିନା ଲାପୁରୁଲ୍ଲାଙ୍କବୁ ଗିଶାଳା?!

## IV

— ଶାଳା ଶାର, ଶାଳା, ଦାଲଲିଜାବ,  
 ଗାମନିଶେଇୟ ଗାର୍ଯ୍ୟତା?!

ଶାଲଥିବ ଡିଲାସାବ-ଡିଲିବାନ  
 ତାବ ଗ୍ରତାଧ ମନ୍ଦିଗ୍ରାର୍ଯ୍ୟତା.  
 କୁର୍ରତକ୍ଷେତ୍ରା କାପି ମିଶାଲିଗାରିତ,  
 ଶିନ ରାଶା କେମିନାବ ମିଶାର୍ଯ୍ୟତା? —  
 ଉଦାଶିବ ଶାଲବ ଦାଲଲିଜାବ,  
 ମିମଦ୍ଗାରି କେରବୁବ କାରିଥେଇୟା.  
 — ମେ ଝେର ଫାମନ୍ଦାଲ, — ବିଦା ଏମିଶିତ, —  
 ଅବେ ଉତ୍ତବାରିତ ଦାର୍ତ୍ତିନିବା,  
 ଦାଲଲିଜାବ ଗୁଲି ମିଶାର୍ଯ୍ୟିବା,  
 ହିବାରିଦିନିଲିବା ଶାଶବନିବା;  
 ଜାନିତାପ ଫାନ୍ଦିଲୁରୁରୁଦାର,  
 ଝେରା ବ୍ୟାପିଲାଭବା ଶାର୍ତ୍ତିଲିବା.  
 ଶେବାବ ଝିଲି ରାଶି ଆଖିବୁବ, ତାବିଶିବା  
 ବେଳାର କିମାର୍ତ୍ତରନିବା ଶାଶବନିବା.  
 — ଅଜ ଅର ଗାଗିରିବାଗତ, ଦମଦାମି,  
 ତ୍ୟାଗିଲାଧ କିମାର୍ତ୍ତରନିବା ଶରିବୁବା,  
 ଶେବ ରାମ ଶେବିବୁବ କିମିନିବା, ଚିନ୍ଦିବା  
 କିମିନିବୁ ମିମିଶିବା କିମିନିବା,  
 ଅତାଶି ଶେବାନି ଲାଶିଲାପିବା  
 ଅଜ ହିବେନିବା ଫାନାଦିଜ୍ଞାବିବା.  
 ତ୍ୟାଗିଲାଧ ଶାନି ଗପାଲିବିନ୍ଦିବା,  
 ଶେବପ ତ୍ୟାଗିଲାଧା ବ୍ୟାପିବିବା.  
 ଗାନା ଅର ବିପିତ, ରାପା ଗିପିନି,  
 ରାଧାପ ଶ୍ରୀବାନ୍ଦ ଲାଶିବିନ୍ଦିବା?  
 ରା ଶେବି ଶାକାରିବିନି,  
 ରାମ ବାଲଲୁରୁରାଧା ଲାଶିବିନ୍ଦିବା?!

— ରାଶ ଅବ୍ୟାକିଲବାରି, କାପିବିବା,

აღარ მწადიან ომია,  
რაც უნდ ჯარიმა წამართვათ,  
არა ვარ წინამდგომია.

ქალის მანდილი დამხურეთ,  
თუნდა ჩამაგდეთ წყალშია,  
აღარ მწადიან, ვაიგეთ,  
აღარ, ვარევა ჯარშია.

მე ხომ ხმალს ველარ მოვიქნევ,  
ქარად მადგება მკლავშია.  
— რას სჩმახავ? — უთხრეს ხევსურთა: —

შენ უნდა გვედგე თავშია.

უშენოდ მისვლა ბატონთან  
რას ეგვანება ან კია?

თავს იქნევს მაინც ძალლიკა,  
უარს აცხადებს მტკიცედა,  
არ ესმის თხოვნა ხევსურთი,  
სდგას მოუდრეკელ ციხედა.

წავიდენ შეურაცხყოფით,  
მწყრალად შესჩივლეს ლაშქარსა:

„ვერ შევასმინეთ ვერაი,  
განზე გაუდგა ამქარსა.  
ვიცით, რააღაც უარობს:  
ძალლიკა გლოვობს აბჯარსა.“

მეორე წეება წამოვა,  
წინ გამოუძლვათ ბერდია.

გამოვლეს ლიქოკის წყალი,  
ამოვლეს ცოტა ფერდია.

უმშეენებს წელსა დაშნაი,  
ფარს დაუფარავ გვერდია,  
თვალს გრაცებს ყაწიპებისა.

სიტურფე მეტის-მეტია,  
დახაესულ-დაჟანგებული  
იმის მორგვივით ქედია,

სხვებს რაკი აკლდა შვენება!  
წელანაც დავიყბედია.

— არას ჰვავ, ბიბოს სულის მზემ,  
შენი უარზე დადგომა,

ერთის ხმალაის გულისად  
 ჩვენი და ქვეყნის წახდომა.  
 აპა, ჩემ ხმალი შაიბი,  
 შენის ფრანგულის ჯიშისა.  
 ამისას რითა სჯობია  
 ფხა და სიმკვიდრე იმისა.  
 ნუ მოგვტებ მხარსა—თუ კი გწიამ  
 მაღლი დლევანდელ დილისა.—  
 ეს იყო ბერძისა თხოვნა,  
 ბაბურაულის შვილისა:—  
 — მითამ სრულ არა გქონია,  
 ან გაგტეხია ომშია.  
 თავისივ ფიქრი იწამლე,  
 კაცო, ჩაგარდი გონშია.  
 — დიდი ხანია ძალლიკას  
 გონი აქვ სრული, სალია:  
 რო არ მეწყინოს საწყენი,  
 ხომ არ გგონივართ ბალლია?  
 თუ-კი ლაშქარში ვუნდოდი,  
 რად გამამართვა ხმალია?!  
 გულს რად მიფუჭებს, ისეთი  
 ან რა დაადგა ძალია?  
 როგორ იკადრა, ან კია,  
 გლეხის ნარტყამი მახვილი?  
 უმისოდ მისაშველებლად  
 სწადიან ჩენი ძახილი.  
 უიარაოო რას ვარგებ,  
 ამას რად არა ფიქრობდა?  
 ჩემთვის წელზეით ხმლის შახსნას  
 მეფე როგორა კალრობდა?  
 განა არ იცი, მე ხმალი  
 სახ-კარის და ცოლ-შვილს მერჩივნა?  
 იცი კარგადა, ბერძიავ,  
 გული როგორაც მეტკივნა.  
 — იმისი სამაგიერო  
 ვითომ სხვა მოგცა კარგია?  
 ერეკლე წელზე შაიბამს

ხმალსა, თუ არა ვარგია?!  
 ეგ შენი ფიქრი და წყრომა  
 ტყუილ-უბრალო ბარგია!..  
 უარი უთხრა მაინცა  
 გაჯავრებულმა მხედარმა...  
 გაწყრომა საიქიოდამ  
 როგორ დაუგმოს დედამა?!  
 ამ ბერდიაის თხოვნასა  
 ჩამოუშველნენ დედანი.  
 ერთი მათგანი სხვებს სჭარბობს,  
 ლულუნებს როგორც ქედანი:  
 — დიაც ხო არ ხარ, ძალლიკავ,  
 რამდენსა გოხოვენ მხედარნი.  
 ქუდი რად გხურავ თავზედა,  
 წელზე რადა გრტყავ ხმალია,  
 თუ-კი საბუჩეს იჯდები,  
 ვით მწერელ-ჩვილი ქალია?!  
 დადედლებული მამალი  
 საელდო სანახავია!

ცოლმაც შაუგმო, კმარამა,  
 ქმარს სიტყეა უთხრა ავია:  
 — რად გინდა ხმალი, ხმარების  
 თუ-კი არა გაქვ თავია?  
 სიკეთე ხმლისა რას გიშველს,  
 თუ გულ არ გიძე მწვავია?  
 რაღას აუბნებ ქვეყანას,  
 სრულ ბიჭობაზე სჩხავია!

აღელვდა ძალლიკას გული,  
 გამოუცხადა ზავია.  
 ცხენსა ჰკითხულობს თავისას...  
 მოჰვევარეს ნიავ-ქარია...  
 თაეს დაიხურა ჩაჩქანი,  
 ტანთ რა ჩაიცვა რვალია.  
 ჩამოიკიდა წელზედა  
 რაღაც ნადურდნი ხმალია,  
 სპილოს ტრიანი ხანჯარი,  
 ასპინძას ნაშოვარია.

თან უთხრა ხევსურთ: „ხევსურნო,  
საცა თქვენ, მეც იქ მკვდარია!“

## V

აღიდებულა არაგვი,  
აღიდებულა მტკვარია.  
მთაში ნაწვიმი რას იზამს?—  
თავქვე წამოვა ლვარია...  
სასიამოვნო ამინდი,  
სასიამოვნო დარია.  
დამდგარა დიდუბეშია  
ფშაველ-ხევსურის ჯარია.  
შეატყობინეს ბატონსა  
ამბავი გასახარია.  
არ გავლო ხანმა, იღება  
დიდი სასახლის კარია.  
გამოჩნდა ლომი ქართლისა,  
მზე-მთვარის მინაგვარია.  
ჯარმა სალამი მიართეა,  
მჭეხრად ჰყვირიან ამასა:  
„ჩევნს ბატონს გაუმარჯოსო,  
მთისა და ბარის მამასა!“  
ჯარსა, შეფრთინვით შემცეირალს,  
პასუხი ესმის ლომისა:  
— თქვენც გაგიმარჯოსთ, ხალისი  
ნუმც დაგელევათ ომისა.  
რა გამიმარჯვებს, თუ თქვენი  
არ შემწევს ძალი, მკლავია?!  
გწადიანთ—გამემარჯვება,  
გინდათ—შემხვდება ავია.  
თქვენ გაგიმარჯოსთ, კურ თქვენა,  
ის გამარჯვება ჩემია...  
გემში მსხდომთ ბედი მწარეა,  
თუ არა ვარგობს გემია!  
— ვეცდებით, არ გავალალოთ  
ჩევნს თავზე ჩენი მტერია! —

გულ-მტკიცედ ამბობს ლაშქარი,  
 მთიდან მოსული ერია.  
 წინ დგას ხევსური ბერდია,  
 ხელთ დროშა დაუჭერია.

## VI

ჩვეულებად აქვს ერეკლეს  
 გასინჯვა მხედართ ხმლებისა.  
 მცნობია იარალისა,  
 სიტყვა მეტია ქებისა,  
 მჭრელსა და ფხა-შეუშლელსა,  
 გამმრავლებელსა მკვდრებისა...  
 ხიმიკაური თავსა ჰერის,  
 ხალხზე უკანა დგებისა.  
 მივიდა ჯერი... ერეკლეს  
 პირზე მზე ეფინებისა.  
 — აბა, ძალლიკავ, შენ ხმალიც  
 ვნახო, როგორა ჰყურობო.  
 იქნება უანგს შეაჭამე,  
 დღესაც ისევა სწუნობო.  
 თუ ესეც ისე იხმარე,  
 როგორც წინანდელს ჰემარობდი,  
 ასპინძას, როგორც მე ვნახე,  
 თაორის თავებზე ჰეარობდი,  
 ვფიქრობ, რო შავიყეარდება,  
 გაგიბრწყინდება სახეო.  
 რად მაგრე დაპლონებულხარ,  
 პირი რად დაიჩმახეო?! —  
 თითონ უტაცა ხმლის ვადა,  
 ამოსალებად მოსწია  
 ქარქაშიდანა... უყურებს—  
 გის ხმალი რკინა როდია.  
 ხის ხმალი წამოულია,  
 ერთი უყურეთ მხედარსა!  
 ვადა ხმლის, პირი ხისა აქვს  
 და იმით ომსა ჰბედავსა!

ძალლიკა თავის სარგოსა  
 ძალიან შორსა ჰედავსა...  
     ერეკლემ შუბლი შაიკრა,  
 სიტყვაც არ უთხრა ერთია...  
 ბოლოს-კი ღიმილი მოსდის...  
 ხიმიკაურის ბედია!  
 მაშინვე მხლებლებს უბრძანა,  
 არ დაახანა ხანია:  
     — წალით, აქ ჩამოიტანეთ  
 ხიმიკაურის ხმალია. —  
 მთელს ლაშქარს მეფეზე პრჩება  
 და ბრიყვს ხევსურზე თვალია.  
 მალე მოართვეს და ისიც  
 ძალლიკას აძლევს ხელშია:  
     — ძალლიკავ, მაინც იძალლე.  
 წაილე, გერტყას... შენია.  
 ვინაც წელზეით შემოგხსნას,  
 ის ღმერთს ნუმც დაურჩენია!  
     ჰკოცნის ხევსური ერეკლეს  
 ხელზე, მუხლებზე ეხვევა.  
 არ იცის, სიხარულისგან  
 რა ჩოქს და სალამს ეწევა.  
 ბოლოს თვის ხმალსაც აკოცა,  
 როგორაც შვილმა დედასა,  
 მერე მიიკრა გულზედა,  
 ეალერსება მეტადა...  
 ერთი უბრალო ხის ხმალი  
 გამოდგა იმის ბედადა!  
 აღარ ეყოფა ძალლიკას  
 მტრის ჯარი შესახვრეპალა.

## VII

მთას იქით გადის თოფები,  
 კვამლი ედება მიწასა.  
 აწითებს სისხლი ნადენი  
 დაბლა ხეობის ქვიშასა.

ცალ-მხრივ ქართველნი იბრძვიან,  
 მეორეს მხარეს თათრები.  
 ალარა ჰზოგვენ ერთმანეთს,  
 ან რა აქვთ დასახათრები!  
 მივიდა ჯარი ერთ-ურთში,  
 ელავს, წერიალებს აბჯრები,  
 ადის და დადის ორგნითვე  
 სისხლში ნაღები ხანჯრები.  
 აქებენ ვისმე მეომარს,  
 იმის ხმალსა და გარჯასა.  
 მეტის-მეტს შეუპოვრობას  
 და მოულალავს მაჯასა:  
 როგორც ანწლ-ლოლოიანსა,  
 თათრის ჯარს ისე ჰყაფავსა.  
 ჰედავს ბატონი მტერზედა  
 იმის ტევებას ვეფხურსა.  
 კიდევაც დაასაჩუქრებს  
 ყმას თავდადებულს, ერთვულსა.  
 თან ამბობს:—მართლაც ცოდვაა  
 შეუნდობელი, დიდია,  
 მაგისთვის ხმლის ჩამორთმევა,  
 რომელიც წელზე ჰყიდია.  
 ამბობენ: თოფიც აჩუქა,  
 დაოქროილი წვერამდე.  
 სხეა-და-სხეა საჩუქრებითა  
 იგი აავსო ყელამდე.  
 ვინ იყო? სადაურია,  
 რომელი მიწა-წყალისა?  
 — ძალლიკა იყო, ძალლიკა,  
 ხიმიკაურის გვარისა.

# სული ობლისა

(ძველის-ძველი ამბავი)

## I

ყოფნა, სიცოცხლე ობლისა  
 ან კი რა მოსაგონია?!  
 გულს კაეშანი დაესხმის,  
 დაიღალება გონია.  
 უფალს ჩვენს გამოსაცდელად  
 საწყლობა მოუგონია:  
 ათასის ჯურის საწყალი,  
 ათასის ჯურის ვაება,  
 გულის საკლავი სურათი,  
 სცდილობს დათესოს ლვთაება...  
 ნეტავი იმას, ვინაცა  
 პირნათლად სოფლად იარა:  
 თავის ნაღვაწის ნაყოფი  
 საწყლებსაც გაუზიარა;  
 არავის ვნება არ მისცა,  
 გული არ დაუზიანა,—  
 მოყეასთ ნათელის ფიქრითა  
 ბნელეთი გაუმზიანა...  
 ნეტავი იმას, ვინაცა  
 სულით ამაღლდა, გაღიდდა,  
 დათრგუნა გრძნობა დაბალი,  
 ცის კიდურამდე ავიდა,  
 პირნათლად, გულ-დასვენებით  
 ცის სამარეში ჩავიდა.  
 ერის გლოვა და ტირილი  
 ბალიშად უდევს თავითა, —  
 ვერც სააქაო აშინებს,  
 ვერც საიქო დავითა...  
 ნეტავი იმას, ვინაცა

მოძმისთვის თავი გასწირა—  
 მთელი თავისი სიცოცხლე  
 კეთილსა მსხვერპლად შასწირა...  
 ვინა ხართ, აბა, ასეთი,  
 გნახოთ, მეჩვენეთ თვალითა...  
 მე თქვენ თავს შამოგევლებით,  
 დავიწვი ცეცხლის ალითა!  
 სავსეა ჩვენი ცხოვრება  
 პირამდე ცოდვა-ბრალითა.  
 რა დიდი ასპარეზი გვაქვს  
 კეთილის საქმის სარგავი,  
 ბევრი ხრიოკი ალაგი,  
 შრომით და მაღლით სარწყავი,  
 დამწიფებული იარა,  
 ნესტარით გამოსარწყავი.  
 ბევრია, ძალიან ბევრი,  
 მაგრამ ვინ არის მნახავი?!  
 ყველაც არ ნატრობს იმასა,  
 რომ მოკვდეს დაუძრახავი?—  
 უსაქმოდ კაციც არ ვარგა,  
 მხოლოდ ფიქრების მჩხახავი!..

## II

იგი პატარა დაობლდა,  
 დარჩა უმწეო, ბეჩავი,  
 მშიერიც იყო, ტიტველიც,  
 ყველასთან გაუბედავი.  
 ხან ვისთან არის, ხან ვისთან,  
 ლუკმა პურისთვის მშრომელი,  
 როგორაც მცველი ეზოსი  
 უქანასქნელი ცხოველი.  
 სხვების საშახურს შესწირა  
 თავის ძალ-ღონე ყოველი;  
 ვერავის გული მოიგო,  
 ცრემლისავეა მთოველი.  
 საცა რამ წახდა სახლშია,

სუკცესი იმას დაპირის და,  
 ზოგი თუ მუჯლუგუნს სცემდა,  
 სხვა მუშტებს თავში ჩაპერავდა;  
 ბედიცა უწყალობელი  
 მხოლოდ იმისთვის დაბრმავდა.  
 დადის საწყალი კარ-და-კარ,  
 მოწყალებასა თხოულობს...  
 და უზიარებს ბეჩავებს,  
 რასაც ნათხოვარს შოულობს...

ერთხელ ძალიან დაფიქტდა,  
 რაკი ცხოვრება გაიგო  
 და მისი ყოფნა ამ სოფლად  
 ასეთი მწარე რად იყო.  
 ვერაფერი სთქვა ობოლმა,  
 მხოლოდ ტირილი დაიწყო:  
 „ღმერთო, ასეთი უილბლო  
 „რისათვის გამაჩინეო;  
 „პატრონად, მანუგეშებლად  
 „ვაება მომიჩინეო!  
 „ღმერთო, ეს ლოცვა მისმინე.  
 „ამის თხოვნასა ვძედავო:  
 „მოქალი, მოვრჩე ტანჯვასა,  
 „ნეტავ რა კეთილს ვხედავო!“

ძელი საყდარი იცოდა  
 სოფლის ნაპირას გოგომა.  
 ის იყო მისი სახლ-კარი,  
 უბინადრობის შემდგომა.  
 არ ეჭაშნიკათ ღამურებს  
 იქ ახლის სტუმრის შეხდომა.  
 რას გახდებოდენ საწყლები,  
 ამაო მტრობის მტვირთველნი,  
 თავის სამუღმო ბინაში  
 ობოლის ქალის მხილველნი?!  
 ვერაფერს, უმსგავსის ფრთებით  
 დასტრიალებდენ თავზედა:  
 ხან შიგნით დაფარფატებდენ,  
 ხან გაცვივოდენ კარზედა.

დღისით კი მიყუჩებულნი  
 ხმას ვერ იღებდენ შიშითა;  
 სოროში განისვენებდენ  
 თავვ-ფრინველურის ჯიშითა.  
 აი, აქ გახდა ავადა  
 მწოლარე საყდრის ყურეში;  
 საიქიოდან დედის ხმა  
 ეწვეთებოდა ყურებში.  
 ცოტა ხანს იყო ავადა,  
 სული დალია დილითა.  
 სულ არაფერიც არ უთქვაშა,  
 ხმაც არ დაუძრავს ვიშითა.  
 სიჩუმეს ჩვეული არი,  
 ობოლი იყო, იმითა.  
 მოკვდა, თვალები დაზუჭა,  
 როგორც სიკვდილის წესია,  
 მისოვის ამ ქვეყნად არც პური  
 და არსად ლვარძლი სოესია.  
 ისიც გაჰქრა და გამქავრდა,  
 რაც ცოცხალს დაუკვნესია.  
 ლეშს წილად რა პხვდა უსულოს  
 ცხოველთ, კაცების ხელშია?  
 მაძიებელი არა ვარ,  
 არც ვიყავ თავის დღეშია...  
 მიწა ვართ, მაინც მიწა ვართ,  
 ბევრი აიღეთ, დაიღეთ,  
 მიწობას ვერ ავიცილებთ,  
 ათასჯერ ქრთამიც გაიღეთ!  
 სული მადარდებს მე, სული,  
 იმისი ყოფნა—თვისება,—  
 რა იქნა სული ობლისა,  
 წყეულებს დარჩათ იქნება?!  
 თუ ლმერთმა მისი შევრდომა  
 თავის კალთის ქვეშ ინება?  
 რა იქნა სული ობლისა,  
 ვსცნა ეს ფრიადა მწადიან;  
 საწყალთ სულები, ნეტავი,

სიკვდილგე რასა სჩაღიან?  
 მაწუხებს, ძლიერ მაწუხებს,  
 იმათკე მიქერის გონება.  
 ერთს, იქნებ, კიდეც ეწყინოს,  
 ვიცი, სხვას მოეწონება.  
 რატომ? აქ დატანჯულების  
 იქაც კარგია ლონება?...  
 კარგია განა, იფიქრეთ,  
 ვიცი, გჭირსთ თავის წონება,  
 ერთ ადგილს ნამონავარის  
 ორ-სამ ადგილას მონება?...  
 ვამბობ და კიდევაც ვიტყვი,  
 თუნდა დამიწყეთ გინება —  
 ნურავის გაგიკვირდებათ  
 ამ ამბის გამოჩინება.

## III

სული ობლისა იმაგ წამს  
 იქცა პატარა ჩიტადა,  
 ჩვენ რომ ჭივჭავებს ვეძახით,  
 სხდებიან ლობის პირადა.  
 იმათში გამოერია,  
 მოჰყევა იმათებრ ულურტულსა,  
 შეპხარის იგი ლობილებს,  
 იმათ უერთებს სულ-გულსა.  
 ჭივჭავთაც არ იუცხოვეს,  
 რა პხედვენ იმის ბუმბულსა,  
 ხმას იმათებურს და ზნესა,  
 წმინდა ჭივჭაურს ენასა, —  
 რისათვის უნდა უმტერონ,  
 ან ვინ დაუწყებს კბენასა?  
 იმათთან ერთად ისიცა  
 აქა-იქ ფრინავს ეზოში,  
 ჰკენებავს საკენესა და დახტის  
 ჯავარიანი ქეჩოში.  
 დიდხანს არ დარჩა იმათში,

სხვა უბედობა ეწვია:  
 მესამეს დღესა ალალი  
 ჭივჭავებს ჩამოეტია.  
 ნურავის გაგიკვირდებათ,  
 საქმე რად მოხდა ესია:  
 სული ობლისა—ჭივჭავი  
 იმან წაილო ტყეშია.  
 რა ექნა ან კი, თქვენვე სთქვით,  
 თუ კი ჰშიოდა ლეშია?...  
 ეს მოხდა გაზაფხულზედა,  
 სწორედ აპრილის თვეშია.  
 წვიმდა და ნამი ანკარა  
 მწვანეს ბალახზე ცვიოდა,  
 ათასნაირი ყვავილი  
 დედამიწაზე ლვიოდა.  
 ხორცი გათავდა ჭივჭვისა,  
 სული კი არა კვდებოდა:  
 დამთხალი, დალონებული  
 აქა-იქ ეხეტებოდა.  
 ჰაერად იყო ჰაერში,  
 სახე არ ებედებოდა.  
 ერთხელა ნახა ჯაგის ძირს,  
 რომ ია ამოსულიყო,  
 ციურის ანკარა ნამით  
 იგიკა გაბანულიყო.  
 მორჩილად თავი დაელო,  
 არავის ებუტებოდა;  
 ჩაფრინდა იმის ფოთლებში,  
 გვირგვინში ეხუტებოდა.  
 თვითონაც, ხანმა არ განვლო,  
 მალედვე იქცა იადა—  
 ყვავილი იყო ლამაზი,  
 იცქირებოდა მშვიდადა.  
 გულში-კი თავისი თავი  
 მიაჩნდა რადმე დიდადა.  
 ათასნაირი მწერები  
 თავს დაპბრუნავენ იასა,

როგორაც ნაზირ-გეზირნი  
ვისმე დიდს მეფეს სვიანსა.  
ელიან მისგან წყალობას,  
რჩევას და სიტყვას ჭკვიანსა:  
მოწყალე არი ყველასთვის,  
არავის აძლევს ზიანსა.

## IV

იქავე ტყეში, ბექობში,  
სენაკი იყო ბერისა,  
დღეს იქა სცხოვრობს მოხუცი,  
მოძულე კაცთა მტერისა,  
მავედრებელი ღვთისათვის  
თავის ქვეყნის და ერისა.  
მწირს ლოცვის შემდეგ უყვარდა  
ტარება ტყეში, ველადა—  
კეთილთა ფიქრთა საზღელად,  
ბოროტთა დასაწველადა.  
უყვარდა მწვანე ბალახი  
და ყვავილები მეტადა.  
დღეს იგი გამოსულიყო  
მცენარეთ დასაკრეფადა.  
არც სოკოს დაიწუნებდა,  
თუ საღმე სარგოს ჰპოებდა...  
ეს იყო მისი გართობა,  
როცა კი მოიღროებდა.  
ჰპოეა ეს იაც, მოსწყვიტა  
და შეუერთა კონასა,  
სადაც სხვანიცა მრავალნი  
ხელთ ეპყრა უფლის მონასა.  
ჰსუნავს მათ მწირი, შეჰარის  
ასეთ სიმღიდრის პოვნასა,  
ვით ოთხმოცის წლის უძეო  
ლამაზის შვილის ყოლასა,  
ან თუ ოცის წლის ჭაბუკი  
სატრფოსთან ყოფნა-წოლასა.

ყვავილნი თურმე არიან  
 ბექავთ და ობოლთ სულები,  
 ამ ქვეყანაში ტანჯულნი,  
 უმწეო, დაკარგულები.  
 ეს იმავე წუთს გამოჩნდა,  
 რა ყვავილთ ერთად გულები  
 შეაწებეს და შეპყარეს  
 დამწვარი, დადაგულები.  
 ბედმა შეპყარა ერთადა  
 დღეს თაიგულში რგულები.  
 მოჰყვა და ყველამ იუბნა  
 ვისაც რა გადაჭხედოდა:  
 ყველასაც სიცოცხლის დროსა  
 უბედურება სწვეოდა.  
 ია—ენძელას, ლუხუმა  
 ორივეს გადაჭხვეოდა.  
 ასმა ისა სთქვა, რაც ერთმა,  
 თავის სიცოცხლის, ბედისა;  
 არავის ეგრძნო იმათგანს  
 ერთს წამს ალერსი დედისა,  
 ცრემლები ხშირად სდენოდათ,  
 შეზავებული კვნესითა.  
 გული დადნაო,—ამბობდენ,  
 ნალვლის და ჭირის ლესითა.  
 დღეც მათ ჰქეოდათ ლამედა,  
 ძირს ლრმად გადგმულის ფესვითა.  
 თავით ბოლომდე სიცოცხლე  
 მათ გაეტარათ მწარედა,  
 ეცოცხლათ, თუმცა ამაოდ,  
 საწყალთ საწუთროს გარეთა.  
 ამას ჩიოდენ ყველანი,  
 თანაც დაჰკიდეს თავები,  
 დადუმდენ, ჰგრძნობდენ რაღაცას,  
 ფიქრები მოსდით შავები,—  
 სიცოცხლეს ეთხოვებიან,  
 იგრძნეს სიკვდილის ბრჯლალები.  
 უჭინებათ სახე ლამაზი

და ეხოცებათ თვალები.  
 დაჰკიდეს უსიცოცხლოდა  
 გიშრის და ქარვის კავები...  
 რომელი ერთი ვიტიროთ,  
 ბევრია შესაბრალები!

მწირმა წადილი ისრულა,  
 მალე დაბრუნდა ბინაში  
 და მოათვესა ყვავილნი  
 კოშის მსგავს რასმე მინაში.  
 და როცა ლოცვანს კითხულობს,  
 შეაჩერდება ყვავილთა,  
 იმათ სიტურიეს აღარებს  
 ცა-ხელთა გამგის წადილთა.  
 და სულ, მისი ამ ცქერით  
 შემრგოს ჰპოებდა საზრდოსა,  
 შესთხოვდა უფალს ცრემლითა —  
 ტანჯულს ქვეყანას არგოსა;  
 არავის სული წაწყმიდოს,  
 არავის მისცეს ზარალი  
 და მწირსაც ქვეყნის საშველად  
 სწორე გზა ჰქონდეს სავალი;  
 რომ ღმერთმა ძლვნადა მიიღოს  
 მისი ქვეყნისთვის მუდარა  
 და თვითაც ცხონდეს სულითა,  
 მის მეტი არა უნდა-რა.  
 ამასა სთხოვდა უფალსა  
 იგი მხურვალედ მუდამა, —  
 ის თქვენ განსაჯეთ, მის თხოვნა  
 როგორ მიიღო უფალმა...

## V

მალედვე დაჟენენ ყვავილნი,  
 მიმოიფანტნენ ველადა;  
 მეორე გაზაფხულამდე  
 იქცნენ სხეა-და-სხეა მწერადა.  
 ზოგებმა იწყეს ტანტალი  
 ჰაერში ნაცარ-მტვერადა.

იმ ჩვენის ობლის სული-კი  
 იქცა პეპელად ჭრელადა.  
 აქა-იქ დაციალობდა  
 იგი ტყე-ველად ნელადა,  
 ბრძათ უჩინევარი, თვალ-ხილულთ  
 გულისა დასაწველადა.  
 ქარმა დაპბერა ძლიერმა  
 და თან წაიღო პეპელა,  
 მსუბუქად მიათამაშებს,  
 მის ზიდვა როდი ეძნელა!  
 იმ სახლის კარზე მიაგდო,  
 სად მსახურობდა ერთხელა  
 ადამიანის სახითა,  
 ნამტირალევი ბევრჯელა.  
 დიდის სიმდიდრის მფლობელი  
 იყო ამ სახლის პატრონი,  
 ცოლ-შვილით გამხვივნებული,  
 ყმა და მამულის პატრონი.  
 ბედნიერადა სკეოვრობდა  
 იგი ცოლით და შვილითა,  
 ალალებს იგი ოჯახსა  
 მუდამ ალერსით ტკბილითა...  
 სახლიდან საკრავებისა  
 დიდი ზრიალი ისმოდა,  
 ამ ხმაზე დიდი სრა-სახლი  
 ლიბო-ჭერითურთ იძრვოდა,  
 ლხინი და უივილ-ხივილი  
 ენით არ გამოითქმოდა.  
 მშობლებს გვერდს ესხდა შვილები,  
 იმათ ცეკვითა თვრებოდენ.  
 სტუმრებიც, ლვინით დამთვრალნი,  
 ტკბილს სიმღერებსა მღეროდენ.  
 ჰშურს ჩვენს პეპელას მათ ლხინი,  
 თითქოს ჰსურს შური ეძიოს.  
 მაგრამ საით და როგორა  
 სუსტი საწადელს ეწიოს?!  
 დაციალობდა ოთახში,

ფანჯრის შუშაზე ცოცავდა,  
 არცავის სწყევლის საწყალი  
 და არცავისა ჰლოცავდა.  
 სანთელსაც გაეთამაშა,  
 ზედ შეიტრუსა ფრთებია.  
 ვიღამაც წყიპურტი დაპკრა,  
 სთქვა: „მოკვდი, რაჟი ჰკვდებია!“  
 და მოკვდა კიდეც იმავ წამს...  
 რა ცოტა სული სდებია...

## VI

პეპელა დღეს ტრედად იქცა,  
 კიდეც უყვარდა ტრედობა:  
 დაფრინავს უდარდელადა,  
 ობლობა როდი ეტყობა.  
 ხნულებშიც ბევრი იფრინა,  
 ხშირს ჭილებშიაც დვრინავდა,  
 ჰედავს, რომ ერთიც სხვა ტრედიც  
 მის ახლო მახლო ფრინავდა.  
 თვალს არ აშორებს, თან დასდევს,  
 არ უნდა თვალით გაუშვას.  
 ტრედს ტრედთან მეგობრობითა  
 ან რა ევნება, რა უშავს?!

იდროვა, გვერდით დაუჯდა,  
 თან საუბარი გაუბა:  
 უამბობს იმ მთის, იმ მთისას,  
 გული, გონება დაუბა,  
 და ბოლოს ტკბილმა ენითა  
 ეს ჩვენი ტრედიც აუბნა...

გადაეხვია კიდეცა,  
 ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა,  
 მშვიდის თვალების სიწმინდეს  
 იგი თვალებში უსხამდა:  
 „შენ ჩემი შვილი ჰყოფილხარ,  
 „ობლად რომ დამრჩი, სოფიო;  
 „ბევრი დაგაკელ ალერსი,

„როს ვიყავ ივადმყოფიო;  
 „შეილო, ვერც პური გაჭამე,  
 „ვერც მოგიხარშე ლობიო.  
 „შენ გენაცვალოს დედაი,  
 „აქ საით შემხვდი, საითო?  
 „მე ხომ შენ ალარ გაგწირავ  
 „ჩემის ცოცხალის თავითო.  
 „ოჰ, ღმერთო, მადლობა შენთვის,  
 „თუ დაგინახე თვალითო!“  
 შეილი ხომ ვიცით რაც არი,  
 დედაც ობლობით ზრდილია.  
 ერთის წერისა გამოდგა  
 ორივე დედა შეილია.  
 მოჭარბებულმა გრძნობამა  
 გული დაულბო დედასა.  
 დასუსტდა, მოსწყდა ჸიდანა.  
 შეილი რა ამას ჰქედავსა,  
 ნისკარტით წყალსა უზიდავს,  
 გულ-მკერდზე ასხამს მტირალი...  
 საით სად იყო წყეული  
 იქ მარჯვეს გამომხირალი  
 ქორი, რომ დროს შერჩევითა  
 ეცა და შეილი წაილო.  
 გვერდით ალარ ჰყავ წილ-ხვედრი,  
 დედამ რომ თავი აიღო.  
 ქორმა კი იმისი შეილი  
 სწორედ ნაცარ-მტვრად გაიღო.  
 ბუბული ცაში გაგზავნა,  
 ზლვა და ხმელეთზე გაფინა  
 და სისხლიც მრავალ-ტანჯულსა-  
 უწყალოდ ბევრი ადინა.  
 სისხლი ტრედისა მკენესარი,  
 რაც კი მიწაზე დავიდა,  
 შუა გაძკვეთა სამყარო,  
 მეორეს მხარეს გავიდა.  
 ქორი მაძლარი ჰაერში  
 გაფრინდა, ცურვით წავიდა...

## VII

სული ობლისა ტირილით  
 ქვეყნის სივრცეში სცურავდა,  
 არცა ვინ ტანთა ჩააცვა,  
 არც ვინ რას თავზე ჰეჭრავდა;  
 მზე ასხივოსნებს დღისითა,  
 ღამით წყვდიადი ჰეჭრავდა.  
 მიდ-მოდის დაუდეგარად,  
 თვალთაგან ცრემლი სდიოდა.  
 დაეძებს თავშესაფარსა  
 უშიშარს, გაუტეხელსა,  
 სიკვდილის მიუკარებელს,  
 ჯან-ლონით გაუცვეთელსა,  
 სად ჰპოებს ასეთს ბინასა,  
 ტურფას, ფას-დაუდებელსა?...  
 სუყველა ეადვილება  
 ცხოვრება-შაუგნებელსა!  
 მან საიმედო ბინადა  
 იპოვნა მუხა ერთია,  
 იქ დაბინავდა, მფარველად  
 ცით მოიწვია ღმერთია.  
 კაცისა ხელმა ანგარმა  
 მითც არ დაინდო იგია:  
 მუხას მიუხდა ცულითა  
 ვიღაცა ერთი გიგია.  
 მუხა მოსჭრა და დაკაფა,  
 წვრილ-წვრილ ნაჭრებად დააწყო,  
 ობლისა სულმა საწყალმა  
 ხვეწნით ველარა გააწყო.  
 განშორდა მასაც, მოუნდა  
 ისევ აქა-იქ ტანტალი.  
 ბევრს სხვას ეწვია მცენარეს,  
 ბევრს ცხოვლად იქცა საწყალი,  
 მაგრამ ყოველგან ჰმუსრავდა  
 ხელი კაცისა მსახერალი.  
 ცას-ლა მიაპყრო დღეს თვალი

ქვეყნად ცხოვრების მნატვრელმა,  
 იქ სთხოვა დაბინავება  
 ღმერთს, აქ სიმწარის მნახველმა.  
 უსმინა ობოლს ვედრება  
 ცა და ხმელეთის გამჩენმა:  
 აქცია შუქურ-ვარსკვლავად,  
 დააბინავა ცაზედა.  
 გულში სიაშეს გვინერგავს,  
 როცა დაგვცერის თავზედა.  
 არავინ ჰლანძლავს, არცა სცემს,  
 არც ვინ გააგდებს კარზედა.  
 დილ-დილ ამოდის ბრწყინვალედ,  
 სხივებს დააფრქვევს მთაზედა,  
 წამსვლელს ეძახის ციდანა,  
 დროა გაუდგეს გზაზედა,  
 მუშას—წამოდგეს ფეხზედა,  
 გალესოს მკლავი მშრომელი,  
 თუ უნდა ქვეყნად იცხოვროს,  
 შეიქმნას ბედის მპოვნელი,  
 არ დადიოდეს კარ-და-კარ  
 ლუქმა პურისა შთხოვნელი.  
 თან ჰედავს — ცისა სივრცეში  
 ბრწყინავენ ვარსკვლავთ გუნდები,  
 იცის ისიც, რომ ისინი  
 არიან ობოლთ სულები,  
 ხმელეთზე ყოფნით ტანჯულნი,  
 დამწეარნი, დადაგულები,  
 და ლეთის ბრძანებით, როგორც თვით,  
 ცის მქერდზე გადმორგულები.  
 ერთსა სცნობს ზურგში ვარსკვლავსა,  
 იმას ზედ ალევს თვალებსა,  
 სახე კი ვერ დაუნახა,  
 ვერ ჰპოებს იმდენს ძალებსა.  
 იწევს იმისკე, სწადიან  
 გაუსწროს, სახე უნახოს,  
 სცდილობს, ჯან-ლონით იწურვის,  
 იმას გზა გადაულახოს,

მაგრამ ვერ შესძლო ვერა გზით,  
მხოლოდ მისახის ტირილით,  
ამით ისრულებს საწადელს,  
აუსრულებელს სირბილით:  
„დაიცა, დედავ, დაიცა,  
„საით მიმირბი, სადაო?  
„ვითომ ერთ-ურთი გვიყვარდა,  
„არა გვქონდა-რა სადაო?  
„რატომ პირს ჩემჯე არ იზამ,  
„რად მომიძულე, რადაო?  
ვინ არი?.. რა ვარსკვლავია?  
ის არი ხარი-პარია,  
შვილის ძებნაში დედამა  
გაცვითა მთა და ბარია—  
და ახლა ცაში წავიდა,  
იქაც სდის ცრემლის ლვარია.  
დადის, დაეძებს იგი შვილს,  
შვილი კი ზურგში მისახის,  
მაგრამ ვერაიფერს აგონებს,  
დანატრებული მის სახის.

დადიან ასე ცაზედა,  
ერთი მეორეს ტირისა;  
დედა წინ და-წინ დაჩნდება,  
დარდი დიდი აქვს შვალისა,  
შვილი იღვიძებს გვიანა,  
ხანი რა დგება დილისა,  
დაედევნება დედასა,  
შეყრის მსურველი იმისა.  
კაცნი ვადევნებთ მხოლოდ თვალს  
იმათ სელას, იმათ დენასა.  
თვალითა ქედავთ, ვერ კი ვცნობთ.  
ჩვენ ერთმანეთის ენასა.  
ერთია შუქურ-ვარსკვლავი,  
მეორე—ხარი-პარია,  
ამ ქვეყნად დატანჯულებსა  
იქაც ყოფნა აქვთ მწარია.  
გული მით უფრო უკვდებათ,

რომ ჰედვენ მზეს და მთვარესა,—  
 როგორ სწყალობენ ერთმანეთს  
 და ამშვენებენ არესა.  
 ერთ-ურთს პირდაპირ უცქერენ,  
 საცა ვლენ ყოველ მხარესა,  
 იციან, რომ მზე დედაა  
 და მთვარე მისი შვილია,—  
 მთვარესა მკვდარსა აცოცხლებს  
 დედის ნაძღვნევი სხივია;  
 მზესაც ის ჰმატებს ძალასა,  
 რომ არ ეკარგვის ამაგი...  
 ლვთისგანც ხელ-შეუხებია  
 მათი სამკვიდრო ალაგი!..

1903 წ.

## სიტყვა

(ძველი თქმულება)

### I

ქუხილი მტკვრისა ცასა სწვდებოდა,  
 მარცხნით ლიახვი აძლევდა ბანსა,  
 ლალის შეილების ხტომა, ცელქობა  
 სიამეს ჰუენდა გორიჯვრის მთასა,  
 და ქართლის ველი, ბევრ ჭირნახული,  
 იმათ ძმურ კავშირს და ერთად სელასა,  
 გაღმა-გამოლმით მკერდ-გადაშლილი  
 ძმურს სალამს აძლევს, ულოცავს გზასა.  
 მწვანე კორდზედა მხედრობის რაზმი  
 გარს შემორტყმია ერთს ტურფა ქალსა.  
 ქალი ცხენზე ზის ყელ-მოღერებით,  
 ვითა ბრწყინვალე დილის ცისკარი.  
 ისე სჩანს ქალი ამალისათვის,  
 როგორც მოსესთვის სჯულის ფიცარი.  
 ყველა მას შესცეკრს, ვითა ღვთაებას,  
 ჰაბუკი, ბერი, ვინც კი იქ არი.  
 მის ტურფა სახე რაზლაც მჭმუნვარებს  
 და შორს სივრცეში მიურბის თვალი.  
 „გორიჯვრის ქვეით მუხაზე დაჯდა,  
 უყურს ალარ მიგდებს ფრიად გამწყრალი,  
 „ვინ არს — შეიპყროს ჩემი მიმინო,  
 „აქ მომიყვანოს?!“ — იძახის ქალი:—  
 „რასაც კი მომთხოვს, მიიღებს ჩემგან, —  
 „დიდი არს, უწყით, მეფეთა ძალი.  
 „აბა, ვინ არის მართლა ვაჟაცი  
 „და არ აშინებს მას დიდი წყალი?!“  
 მოდგა ჰაბუკი, შავს ცხენზე მჯდომი,  
 როგორაც ვეფხვი, თამამი ქცევით,

შეენიერია შექურვილობით,  
 კითა ლერწამი ნელ სიოს რხევით:  
 — თავი რად გვინდა მაშინ ცოცხალი,  
 თუ შენს საწადელს ვერ მოვეწევით! —  
 დეზი ჰერა ცხენსა, რახტი აულერდა,  
 ცხენი მხედარმა შეაგდო მტკვარში.  
 ლმერთო, იხსენი თავდადებული,  
 ნურაფერს ხიფათს შეამთხვევ გზაში!  
 ლმერთს როდი ესმის ზოგჯერ ვედრება:  
 ბედის გარსკვლავი გაუქრა ცაში...  
 ცხენმა ვერ შესძლო მტკვრისა გაპობა,  
 თავის მხედრითურ დაირჩევა წყალში.

ამ სანახავმა ვერ შეაყენა  
 დანარჩენების გულისა ძერა:  
 ასი, ათასი სურვილს აცხადებს...  
 კვალად გაისმის აბჯრისა უღერა.  
 ერთი სხვას მისდევს მტკვრის საომრადა —  
 გულითა რეინა და ლომის ფერა.  
 მაგრამ ყველანი წყალმა იმსხვერპლა,  
 ჯალათად ექმნა ტალღების მღერა.  
 ერთმა მხოლოდა სტიქიონს სძლია,  
 მას მტკვრის ტალღებმა დააკლო ვერ-რა.

## II

ქალის წინაშე თეთრ კარავთანა  
 მოსჩანს ჭაბუქი პირ-მოლიმარი,  
 მარჯვენა ხელზე მიმინო უზის —  
 მწყრებზე სატევრად მოუთმინარი.  
 ჭაბუქისაგან, ვინც ეს შეიძყრო,  
 გალმიდან სიტყვა აეი რამ ითქვა:  
 „პა, დედოფალო, აი მიმინო,  
 „არ დაივიწყო მეფური სიტყვა!“  
 ქალი არ ჩნდება კარავიდანა,  
 პირქვე მწოლარე მწარედა სტირდა.  
 თავზე დაადგა ვიღაცა მწირი,  
 როდესაც ქალი ცხარე ცრემლს ჰლვრიდა,

ჩამოწეწილი ტანისამოსით,  
 თუმცა თვალთაგან სიწმინდეს სცრიდა.  
 წარბ-შეუხრელად, მოუკრძალავად  
 ჩაეუბნება ქალსა მოხუცი:  
 „ეხლა-ლა მიპხვდი თვის შეცდომასა,  
 „რო მოიქმედე შენ საქმე ცუდი?!  
 „კარგი, რომ ყრმამა თავს არა ჰქადრა,  
 „დაგზოგა შენა და თვისი ქუდი.  
 „რა იქნებოდა, ერთი იფიქრე,  
 „რომ მოეთხოვა მას საქმე მრუდი?!  
 „ეს ერთი, მერე, შენ დლეს თუ ხვალე,  
 „უნდა დაგედგას თავზე გვირგვინი.  
 „განა მაგ ჰქუით უნდა განაგო,  
 „ვინც აგირჩია მეფედ, ისინი?  
 „უბრალო რაღაც ჩიტებისათვის  
 „ზოგი წყალს მისცე, სხვა დასწვა ცეცხლში,  
 „უნდა კი ქვეყნის პატრონი გერქვას,  
 „მათ სამწყსოდ გეპყრას შენ კვერთხი ხელში?  
 „თუ ეგ ზე-წესი არ მოიშალე,  
 „არ გამოსდგები მეფედ თვის დლეში!  
 „განა, შენ ერსა მისთვის უყვარხარ,  
 „სიყვარულისთვის ბალლამი ასვა?  
 „შენს მოტრფიალეს, შენს ქვეყანასა  
 „გულზე გამგმირად ისრები ასვა?!...“

მას შემდეგ მოხდა, რომ სიცოცხლითვე  
 მამამ დაუთმო ქალს თვისი ტახტი,  
 მას მერმე იყო, რომ იგი ბრძნობდა,  
 მტრებისთვის იყო მმუსრავი ლახტი.  
 მხოლოდ მას შემდეგ მის ქვეშევრდომთა  
 გულში ჩაეჭრათ მისი გვირგვინი,  
 გახადეს იგი სალოცავ ხატად,  
 მის სათაყვანოდ მიაქვთ ბიბინი.  
 ვინ იყო ისა? — ჩვენის ოცნების  
 შეუძლებრავი ბურჯი მაგარი,  
 დაუთრგუნავი მეფეთაგანი,  
 ჩვენი სულ-გული, — მეფე თამარი!

## ნახევარ-წიწილა

(ჩალხური ზღაპარი)

### I

დიდი ოჯახი მამილისა  
 გაატიალეს ქორებმა,  
 ძვალები ძალლებმა კვნიტეს,  
 ბუმბული წიწეს ლორებმა.  
 მამა-პაპათა კერაზე  
 დარჩა ნახევარ-წიწილა;  
 მის სამემკეიდრო რაც იყო,  
 ქვეყანამ გაიწინწილა.  
 ალარსად პური გოდორში,  
 ალარც ჩანახჩი ლობიო,  
 ალარსად ადამიანი  
 წიწილის ყოფნის მცნობიო,  
 ვინ ეტყვის ობოლ-ოხერსა:  
 ჩემთან საღილად მოდიო!..  
 მანც წიწილა არ ჰკრთება,  
 შავს ბედს უტყდება როდიო!  
 დრონი წავლენ და წამოვლენ,  
 ფერს იცვლის ყველაფერია,  
 საწყალს აქმავებს უფალი,  
 ტანჯვა მდიდრების ჯერია..  
 ძველების კარაბალინში  
 სწორედ ეს ასე სწერია:  
 მტრობისა ნაყოფს ის გემობს,  
 ვინაც სიმართლის მტერია,  
 თუ არა უფლის წყალობით—  
 არ ცხვება ობლის კვერია...  
 დაობლებულსა წიწილას  
 ემტერებოდა ძერია.

ამაოდ. ჩვენმა წიწილამ  
 მტერი, მოკეთე გაიგო,  
 საცა ტყეა და შამბია —  
 ყველგან სახ-კარი აიგო.  
 ქექვა ისწავლა მიწისა,  
 ჭია-ლუებსა შოვობდა,  
 აღარ აწუხებს სიმშილი,  
 საქმაოდ საზრდოს პოვობდა.  
 ობლობამ ცოტა დაჩაგრა,  
 დაუცოტავა ტანია,  
 (ობლობას, ბეჩაობასა  
 მუდამ მჭლეობა სტანია).  
 კისერი ჰქონდა ტიტველი,  
 ბეჭვი არ ეკრა ფაშვზედა,  
 ორი თუ სამი ბუსუსი  
 ამოსჩენია თავზედა.  
 თეალს ავლებს აქეთ-იქითა,  
 როცა გამოვა კარზედა.  
 მხრებზედა თხელი ბუმბული,  
 ბოლოდ კი — ერთი ლერია.  
 პატიანი ფეხები  
 მის შესაფერად მჭრელია.  
 დიდს აურ-ზაურს ასტეხავს,  
 თუ ვინმემ ახლო ხელია.  
 არა კადრულობს ბრიყვს ქცევას-  
 ჭია-ლუების მტერია.  
 ნისკარტი კოდალას უგავ,  
 მოშავფრო, გიშრის ფერია.  
 ქვასაც კი ჩაპერავს ზოგჯერა,  
 სცდის, იქნებ გემრიელია.  
 კუჭი, წინ გადმოგდებული,  
 დარბაისელის შნოს სდებდა  
 და მუდამ იმას ფიქრობდა,  
 რათაც თავს პატივსა სცემდა.  
 თავი აქვს კარგა მოზრდილი,  
 არც მაგრე ცარიელია.  
 მომავალზედაც ფიქრობდა

ეს ჩვენი ტარიელია.  
 უადვილებდა ცხოვრებას  
 ზაფხულის სითბო, ქველობა,  
 ორ რჩება უნაყოფოდა  
 ობლის წიწილის ხელობა,  
 თვალი ყოველ მხრივ ეჭირა  
 საზრდოს მძებნელი ფხიზლადა,  
 ცისკენაც იცქირებოდა,  
 იყო მუდამ ჟამს ფრთხილადა.  
 შიშობდა ორ გამხდარიყო  
 ქორის ან ორბის წილადა:  
 რა შენიშნავდა თავის მტერს  
 დაბლა ან მალლა ცაშია,  
 წიწილა დაუყოვნებლივ  
 შეიჭრებოდა შამბშია.  
 სიცოცხლე ძალიან უყვარს,  
 მუდამ მისი აქვს შიშია:  
 ორ გაწყდეს, ორ დაილიოს  
 ქვეყნად ქათმების ჯიშია.  
 გადივლის ავი ლრუბელი, —  
 გამოდის, შრომას დაიწყებს;  
 რაც შიშით ლეში მოაღნა,  
 ლალის ცხოვრებით შაიესებს.  
 ჩხივი სტანჯავდა ძალიან —  
 ეზოში შემოჩეული,  
 ხან ქორად მოეჩვენება,  
 ხან შეგარდენად, წყეული,  
 მუდამ დღე ხიფათს უგდებდა,  
 იმისთვის გამოსეული.  
 უთვალთვალებდა წიწილას  
 ბუჩქნარიანის ტყიდანა,  
 როცა ნახავდა, რომ იმას  
 ჭია მიჰქონდა პირთანა,  
 ჩამოუტევდა ქორივით...  
 წიწილა შამბში ძვრებოდა,  
 ჩხივი კი იმის სუფრაზე  
 ორხეინადა ძლებოდა.



## II

ერთხელ ნაგავსა ჰქექავდა  
 ჩვეულებრივად წიწილა,  
 იპოვნა ფეტვის მარცვალი,  
 უბრჭყვიალებდა ცხვირ-წინა.  
 იამა ფრიად წიწილას.  
 ცას დაეწია ლხენითა,  
 ავორებს, აკოტრიალებს,  
 მარცვალს ნისკარტით, ფეხითა.  
 საჭმელად ვერ გაიმეტა,  
 სთქვა: „ეს, იქნება, ბედია,  
 რა გამიხდება შევჭამო,  
 მოდი, დავთესო ერთია!“  
 თაგვებს შეაბამს გუთანში,  
 გადააშავა ველები;  
 ხნულისა მოსავალისა  
 თაგვებივეა მცველები.  
 უხარის: ფეტვი მოვიდა  
 ლამაზი მეტის-მეტია,  
 მნახველს წიწილის ფეტვისას  
 ესხმის თავ-ბრუ და რეტია,  
 „ჩაიქცა ეგ ოჯახ-ქორი!“  
 მნახველნი იმას ამბობენ;  
 ნალალურს ერთის მარცვლისას  
 ას კოდზე მეტსა საზრობენ.  
 გახარებული წიწილა  
 იჭიმებოდა წელშია,  
 ალარ კადრულობს წივწივსა,  
 ბოხვად ყიჭყიჭებს ყელშია,  
 დღეს სხვაზე მეტობას ჩემობს,  
 გუშინ სათვლელი მკვდრებშია,  
 მეტილურობა დაეტყო  
 სწორედ მეფური ფეხშია.  
 მაგრამა ბედი მუხთალი  
 მას დიღხანს როდი სწყალობდა,  
 ისევ ტანჯვაში ჩაეარდა,

როგორც აქამდე წვალობდა.  
 ბედი, ერთბაშად ნაპოვნი,  
 გაქრა, როგორაც ეწვია,  
 ქურდულად ხელით გაუსხლტა  
 და არც კი შაიხვეწია:  
 ერთს დღესა ბატონის ჯოგმა  
 გაუტიალა ფეტვია.  
 დალია, კალოდ გაიღო,  
 ალარ დატოვა ბეწვია.  
 ტირის ნახევარ-წიწილა  
 ცრემლი ჩამოსდის ღვარადა,  
 ჰეფიქრობს, წავიდეს, შასჩიელოს,  
 ბატონს მიუხდეს კარადა.  
 დამფასებლები წაასხა,  
 შეადგენინა ოქმია,  
 უნდა ედაოს ბატონსა,  
 გამოუკხადოს ომია.  
 ყველას შასჩიელის თავის დარდს,  
 ვისაც კი გზაში შაპხვდება,  
 თან დაუმატებს: „წიწილა,  
 ჰანახავთ, მტერს როგორ დაპხედება!“  
 ის როდი იცის წიწილამ,  
 ნანატრი როგორ ახდება,  
 ამბობს: „მაშ მოკვდეს წიწილა,  
 ცოცხალმა ნულარ იაროს,  
 თუ ზარალისთვის ბატონი  
 მანაც არ დააზიანოს.  
 არცა ჰსურს, შურის-ძიება  
 რომ დიდხანს დააგვიანოს...

## III

ჯავრისა ამოსაყრელად  
 ათას ლონესა ლონობდა,  
 რით დაელონა ბატონი,  
 დღე-მუდამ იმას გონიბდა.  
 ერთხელ იფიქრა წიწილამ—  
 დაეწვა ავი ბატონი,

საწყალმა ამის გულისთვის  
შრომა გასწია რამტონი!  
ნაღვერდლებს ჰეიდავს ნისკარტით  
ბატონის დასაწველადა,  
მოასწრობს რვიმა გზაშია  
და ცეცხლს ჩაუქრობს ხელადა,  
მტერს ვერაფერს ჰენებს, თავის თავს  
იგი უხდება მტერადა,  
ტყუილად იწვავს ნისკარტსა,  
საქმე მიუდის ცერადა.  
ბოლოს ხვეწნაზე დამყარდა,  
ბატონთან მიდის არზითა,  
თუ სრულად არა, ცოტას ხომ  
მიიღებს თავის აზრითა.

მივიდა, დადგა ეზოში,  
დაყრდნობილია ჯოხზედა,  
უცდის ბატონის გამოსვლას —  
სამართალს თავის დროზედა.  
მოდის როდისა ბატონიც,  
გამომჩნდა თვალთა ბრიალით:  
„რას დაწანწალებ, წიწილავ,  
რისთვის მაწუხებ ღრიალით?“  
— რისთვის? რად გიკვირს, ბატონო,  
ამ წუთისოფლის წესია:  
ყველა თხოულობს იმასა,  
საცა რამ დაუთესია.  
მე დღეს რად უნდა ვიტანჯო,  
თქვენ გამო რისთვის ვკვნესია?  
დამლუპე, ათის წლის საზრდო  
წამიხდენინე ჯორებსა,  
დღეს ჩემს საჩივარს უწოდებ  
სიცრუეს, მონაჭორებსა?  
ულუქმა-პუროდ გამიშვი,  
უნდა ვიარო საწყლადა,  
რომ დანალევი მოგთხოვე,  
მიტომ მცნობ დასაძრახადა?  
შეჰედე ღმერთსა, ნუ მტანჯავ

ტანჯულს, ობლობით გვემულსა,  
სრულად არა გთხოვ, ვჯერივარ  
ცოტას თქვენს გამოცემულსა.  
ნუთუ ღმერთს არ აწყენინებ! —  
ჰყურობ ჩემს საწყალ სხეულსა?  
ვინ სტანჯაეს პირჯვრის მწერელი  
დატანჯულსა და სნეულსა? —

ძალიან გაწყრა ბატონი,  
 პირიდანა ჰყოს ცეცხლსამ,  
 იმის ბრძანებას ელიან,  
 ბიჭები უდგა გვერდსამ.  
 უბრძანა კიდეც ბატონშა,  
 გამოპანლურეს წიწილა,  
 ძეირად დაუჯდა ძალიან,  
 რაც მან ბატონთან იჩივლა.  
 არავინ არ შეიბრალა,  
 თუმც ბევრი იტირ-იყივლა.  
 მოდის მტირალი წიწილა...  
 უცქირეთ ერთი ბეჭოსა!  
 მოდის, მოკოჭლობს საწყალი,  
 მოიქნევს მტერიანს თეძოსა.

IV

მიღის წიწილა თავისთვის,  
ნალელობს, გულ-დაკოდილია:  
„ვისთანლა უნდა ვიჩივლო,  
„დღე გამიმწარდა ტკბილია,  
„მე ვინ რა სამართალს მომცემს,  
„ყველა მის წუღის ძირია,  
„ლმერთმა დამბადა საწყლადა  
„და მეც საწყალად ვივლია.“ ერთგან დიდს ტყეში შევიდა,  
ხეობა ნახა დიდია.  
მზე ჩაესვენა გორს იქით,  
სალამო დევბა, ბინდია.  
პხელავს, რომ ხევში დევები  
დაჯარებულან ცეცხლთან,

ირმის თავები აწყვია,  
 ლეში და ტყავი ერთგანა.  
 დიდი ჭანდრები ურთია  
 გაჩალებულს ცეცხლს შეშაღა,  
 დიდრონს ხეებზე მწვადები —  
 დევების გასალეშაღა —  
 იწვის, თან სკამენ დევები,  
 გარდაქმნილები ხვნეშაღა.

მიუახლოვდა, არ შეკრთა,  
 არ შეუშინდა გმირებსა  
 და შეუძახა: „ჩემსკენაც  
 რატომ არ იზამთ პირებსა?!“  
 დევთ განცვიფრებით შეპხედეს  
 მათ სტუმარს გასაკვირვებსა.

ეტყვის: „დევებო, დევებო,  
 ძალა და ლონე თქვენშია,  
 რაც გინდათ, იზამთ იმასა,  
 ქვეყანა გიპყრავთ ხელშია!  
 მიშველეთ, ჯავრისაგანა  
 სისხლი ამომდის ყელშია!“

— რა დაგემართა ისეთი,  
 რომ მაგრე გული დაგჭრია?  
 გიშველით, ნუ გეწუხება,  
 ჩვენი მახვილი ბასრია.

— გვითხარი, — ჰერითეს დევებმა, —  
 რა აგერიდა ნავსია?

„ჩემის ცრემლითა, გმირებო,  
 მთელი ქვეყანა სავსეა!“ —  
 უამბო ფეტვის ამბავი,  
 იმავ თავიდან დაიწყო  
 და ისიც უთხრა, მის ფეტვსა  
 ბატონის ჯოგმა რაც უყო;  
 დევთა, ტკბილ-საუბარითა,  
 თავი ფიქრებში ჩაუყო.

სთქვა: „ბატონს სარჩო ბევრი აქვს,  
 მეომრები ჰყავ ცოტანი,  
 მინდა დაპლაშქროთ, აიკლოთ

მისი სრა, მისი ბოსტანი.  
 მე რო მასხარად ამიგდო,  
 არ მიზლო დანალევია,  
 იწვნიოს, გემო ტანჯვისა  
 როგორი მისაჩნევია!“  
 ცრემლი წიწილას მათ წინა  
 მრავალი დაუფრქვევია.

## V

დევებმა შეელა აღუთქვეს.  
 აბჯარ-აბგარში სხდებიან,  
 წიწილის დამლონებელსა  
 დატანჯვას ექადებიან.  
 ლახტები ხელში უპყრიათ,  
 ვით მთა-გორები დგებიან,  
 წინ გამოუძლვათ წიწილა,  
 უკან თითონა ჰყვებიან.  
 „უნდა წიწილას ვუშეელოთ, —  
 დევები ამას მღეროდენ, —  
 „მის მტერი დაგანიავოთ,  
 „ლეშით ფრინველნი ძლებოდენ“.  
 გზაზე ჭაობი დაუხვდათ,  
 ბაყაყთა საბუდარია.  
 მოსხდენ ბაყაყნი, წიწილას  
 გაუბეს საუბარია,  
 უფროსი ბაყაყი ეტყვის,  
 გულს გრძნობა ნაგუბარია:  
 „გამარჯვებულიმც მენახო  
 „ბატონთან ნაჩუბარია,  
 „ყოჩილ, რომ სცდილობ თავის მტერს  
 „არ შეარჩინო ვალია!  
 „ვისც შენთვის კარგი არ უნდა,  
 „გამოეთხაროს თვალია!“  
 „ამინო!“ — უფროსის სიტყვა  
 სხვებმაც შემოწმეს ყიყინით,  
 მოდგნენ უფროსის გვერდზედა.

ასი-ათასი ბიბინით.

„ვურჩევ ამ ბრიყვებს—განაგრძო,—

„თავი მეტკინა ჩიჩინით,

„რომ თავის მტერსა ეურჩნენ

„ქბილით, ბჯღალით ან ლიტინით.

„ვერ შევასმინე ვერა-რა,

„მაინც ჰმონებენ წეროსა,

„არ იქნა, ერთმა მათგანმა

„პირჯვარი დაიწეროსა.

„მიტომ მიყვარხარ, არ სდრკები,

„მხნედ ებრძვი თავის ლელოსა,

„ლმერთსა ვსთხოვ ცოდვილის პირით,

„ყველა საქმეში გშველოსა!

„მაგ შენს მეშველებსაც უშველოს,

„მაგათ ხმლებსა და ფარებსა,

„თუ მართლა გექმნენ მეშველადა

„და მტრისგან დაგითარესა“.

მადლობა გადაუხადა

დიდი წიწილამ ბაყაყსა,

დევებს პირს მოსდით ლიმილი,

სურათს რა ჰედვენ ამასა,

მაგრამ ზრდილობის გულისთვის

ბაყაყთ აძლევენ სალამსა.

გზაზე რაც ცხოველი შეჭედათ,

წიწილის ლაშქარს ჰლოცავდა,

ეგებებოდენ ჭინჭველნი,

მათ წინ იწყებდენ ცოცვასა,

ბუზურეები ბზუოდენ

მრავალსა, განა ცოტასა.

ჭივჭავის გუნდი მოფრინდა,

დევთ შეასხამდენ ხოტბასა.

მოფრინდენ გვრიტნი, ტრედები

თავს დაბრუნავდენ ფრინვითა,

მიაბოტებენ დევები

საომრად ხვეშა-გვრგვინვითა.

ფერდობზე კაკაბი შეჭვდა,

კაკანებს ფლატის ძირშია,

რა დაინახა წიწილა,  
 გვერდზე გაიხმო იგია:  
 — რას დასდევ დევებს, საწყალო,  
 არ იცი მაგათ ჯიშია?  
 ეგენი სიამოღნებას  
 შენსა ცდილობენ პირშია.  
 წადილი საკუთარი აქვთ,  
 გილალატებენ, დაია.  
 გახსოვდეს ჩემი ნათქვამი,  
 იქნებ გაძახონ ვაია.

## VI

ბატონის სახლიც გამოჩნდა,  
 ვარსკვლავივთა ბრჭყვინავდა,  
 რა ნახა დევის ლაშქარი,  
 შიშით და ძრწოლით ჰყინავდა.  
 ხერხს-ლა მიჰმართა, რა იგრძნო  
 ძალით რო ვერას იზამდა:  
 წინ მიაგება მსახურნი  
 დამორჩილების ნიშნადა,  
 მემუსიკენი საყირებს,  
 დალაბანდს უკვრენ ტკბილადა.  
 ზოგებს უბრძანა: „დაჭხოცეთ  
 „ცხრა ხარი, ასი ცხვარია,  
 „ლვინო მოუგდეთ მილითა,  
 „მოსჩქეფდეს როგორც მტკვარია,  
 „გაუმასპინძლდეთ დევებსა,  
 „სიტყვები უთხრათ მტკბარია,  
 „გავგზავნოთ წელ-მოწყვეტილი  
 „რაღაც წიწილა არია.“  
 მიიპატიეთ დევები,  
 ეზოში დასხა ჯარია,  
 „რასაც მოხოვთ, ყველა იქნება!“ —  
 ამისი მოუბარია.  
 — მე ჩემს ფეტვსა გთხოვ, სხვას არას,  
 მე ამის პასუხს ველია.

რამდენი დამწევი, დამდაგე,  
 ხმელეთი შავძარ მოელია,  
 თუ არა, შენს ქონებაზე  
 უნდა აიღო ხელია...—  
 ამას იძახის წიწილა,  
 ბრუნავდა, როგორც მგელია.  
 — მოგართმევ, რა გეჩქარება,  
 ჯერ პური ვსჭამოთ ხმელია.—  
 წიწილის დასათირებლად  
 ბატონიც ამის მთქმელია.  
 თან თვალით დევებს ანიშნა:  
 „თქვენს შემწეობას ველია.“  
 — მე პურის ჭამა არ მინდა,  
 ისეც ჭირით ვარ მაძლარი,  
 გთხოვ ჩამაბარო ამ თავით,  
 ჩემი საკუთნო რაც არი.  
 — კარგი, შენც ნუ გაინიუებ,  
 ცუდს არას ამბობს ბატონი,  
 ვითომ ურჯულო არა ხარ.  
 ქათმის ძუძუ გაქვს ნაწოვნი.—  
 ეტყოდენ დევნი წიწილის,  
 საჭმელ-სასმლისა მყნოსველი.  
 არ ეჭაშნიკა დევები  
 ამ დარიგების მოხრობელნი  
 წიწილის, მაგრამ რას იზამს?  
 ჰგრძნობს, საქმის ბოლო ცუდია,  
 და საცოდავად ისიცა  
 სუფრის ბოლოში ჰყუნტია,  
 ფიქრობს, რომ ღალატი მოხდეს,  
 რით გაასწოროს მრუდია?  
 ღვინოსა ჰსგამენ დევები,  
 თან ლეშსა სქამენ ფუთობით.  
 რო შეზერხოშდენ კარგადა,  
 სიტყვებს ჰხარჯავდენ მრუდობით  
 და ნახევარი-წიწილა  
 მოიხსენიეს ცუდობით:  
 „რად გინდა ფეტვი, საწყალო,

„ერთი კაცი ხარ, ლიტონი,  
 „თავისი სული დაიცვა  
 „არ შაგიძლიან იმტონი?  
 „ბატონს კი ბევრი ხარჯი აქვს,  
 „დიდი აღება-დაღება,  
 „რო მოგცეს, რასაც თხოულობ,  
 „არ შაგიძლიან წაღება.  
 „იყავი თავის ქერქშია,  
 „ეს არის ჩვენი ბრძანება!“  
 ბატონშაც მოიწადინა  
 ამ დროსა ხახის გაღება:  
 „ლვინო მიირთვით სტუმრებო,  
 „დრო გაატარეთ კარგია,  
 „მაგრამ უმღერლად სმა-ჭამა  
 „როგორლაც არა ვარგია.“  
 მოატანინა ჯიხვები,  
 თითო ვირისა ბარგია —  
 (ჯიხვი ძველთაგან, ხომ ვიცით,  
 ქეიუის ერთი დარგია.)  
 დალიეს ჯიხვით დევებმა,  
 დახდნენ როგორაც რუმბები,  
 და ამოუშვეს დევური  
 გულს გრძნობა დანაგუბები.  
 დაიწყეს მლერა დიდის ხმით,  
 დიდი დაალეს ლაშები;  
 ხან მცლდება, ხანა სივდება  
 მათი დიდრონი ფაშვები.  
 იძვრის სრა-სახლი ეზოთურ,  
 იძვრიან, ჰქონიან ხეები.  
 ძაან ქეიფში არიან  
 ცხრა-თავიანის ძეები.  
 ხმა აიმალეს თანდათან  
 ჰექა-ქუხილის მ'გავსია,  
 შიშისგან შეჰქერთა მთა-ბარი,  
 ცხოველ-ფრინველით სავსეა,  
 ქარი ამოდგა ისეთი,  
 ხეებსა სცვიფა ხაესია.

კლდეთ აეხეჩათ სიპები,  
 დაბლა მოგორვენ ჩხრიალით,  
 მთამ აიხვია თვალები,  
 შაშინებულმა დგრიალით.  
 ცეცხლი მოედვა სამყაროს  
 იმათ თვალების ბრიალით  
 და მიანარცხეს მთას ბარი  
 ჭექა-გრვენით და ზრიალით.  
 საწყალს ნახევარ-წიწილას  
 ცრემლი ჩამოსდის ჩქრიალით,

## VII

დევთაგან ნაღალატები  
 წიწილა დადის მტირალი,  
 ყველას შასჩივის თავის დარღს,  
 საწყლურად გამომზირალი.  
 მოკვდეს ან ფიქრი ასრულოს,  
 მისი წალილი ის არი.  
 ქვეყანას თავის მტრად ჰსახავს,  
 ერთის კაცისგან ვნებული.  
 მას ოდენ შიში არა აქვს,  
 ვინც უნდა შეხვდეს ქებული,  
 წარბასა ვერ შეახრეინებს  
 კაცობრიობის კრებული,  
 ჩალად არ უჩანს სიკვდილი,  
 ისეა გაჯავრებული.  
 „ლმერთი რად არ მშველს მართალსა?“  
 ამას ამბობდა იგია:  
 „ვნება მიმიცავ არვისთვის,  
 „თუ არავისთვის მირგია.“  
 წყლულის წამლისა მძებნელი  
 წყალს ჩაჰსდევს ჩამდინარესა,  
 ქარსაც კი შეცლას ენუკვის,  
 თვალებს აწყალებს მთვარესა,  
 ხე-ქვათაც იმასვე შესთხოვს,—  
 ტყით მოსულს არე-მარესა.

როდი ასვენებს წიწილას  
 გულშედა წყლულის ტკივილი.  
 დადის და წოწიალის დროს  
 შესმა მლერა-ყვირილი.  
 ხმაურობაზე წავიდა,  
 ნახა შემდეგი ტყეშია:  
 დათვსა, მგელსა და მელიას  
 ყანწები ეპყრათ ხელშია,  
 წინ სუფრა აყვავებული  
 და ზედ მრავალი ლეშია.

ერთს ყუნწეზე დაჯდა და მორთო  
 მან გასაგონად ტირილი,  
 ყველაზე ადრე გაიგო  
 მელამ მის მოთქმა-ჩივილი,  
 გაიქცა წიწილისაკენ,  
 არ ეზარება სირბილი.

„აქ რას უზიხარ? რას მოსთქვამ?  
 რატომ არ მოხვალ ჩვენთანა?  
 როგორ არ იცი, საწყალო,  
 ჩვენ გვაბარია ქვეყანა?!  
 გავიგეთ ბატონისაგან  
 შენი ულმერთოდ წამება,  
 აქ რას აკეთებ? მაგ საქმის  
 არ შაიძლება წაგება.

უსტაბაშებიც აქა გვყავს,  
 ნახე ისინიც პირადა,  
 გაიგებ, შენს წვალებასა  
 როგორ დაუსვამთ ძეირადა.  
 ხომ კარგად მიცნობ, ვინცა ვარ,  
 გაგეგონება მელია.  
 მე თუ მომემხრო დათვიცა,  
 მასთან პირ-მურა მგელია,  
 შენს დამლონებელს ბატონსა  
 დღე დაადგება ცხელია.“  
 — მეც მაგის მეტი რა მინდა,  
 დღე-მუდამ მაგას ველია,  
 აბა თუ მიშველთ, თქვენ იცით! —

წიწილაც ამის მოქმელია.  
 „წამო, წამოდი, ჯერ ერთი  
 შენც ჩაისცელე ყელია,  
 როცა კუჭია მაგრავა,—  
 კარგად მუშაობს წელია,—  
 და მერე საქმე დავიწყოთ,  
 ჩვენია მთა და ველია.“

გაჰყვა, დათვს და მგელს ორივეს  
 მან ჩამოართვა ხელია,  
 იმათ წინაშეც ატირდა.  
 ცრემლები ღვარა ცხელია.  
 სისხლის ძიებას ქადაგობს,  
 ვე ჭილად დადგა მელია  
 და თანაც სადლეგრძელოსი  
 წიწილას საქმის მსმელია.

წიწილა მხოლოდ ერთს ამბობს:  
 „ოქვენს შემწეობას ველია!  
 „ოუ მე მიშველით, ქვეყანა  
 „ოქვენ გადლეგრძელებსთ მთელია,  
 „მადლია ბეჩავის შველა,  
 „ჰერძნობ, საქმე გადგა ძნელია!“  
 თქმულა, ტკბილს საუბარზედა  
 სოროსა სტოვებს გველია.

დათვმა და მგელშა შეპხედეს,  
 მაშინვე ცქვიტეს ყურები:  
 — ვიცით, რაც გტანჯავს, საწყალო,  
 საქმეა ლასაშურები.

შეატყობინე ყველასა,  
 არ დაივიწყო ტურები.  
 აცნობე, ყველას აცნობე,  
 რანიც ცხოველნი არიან,  
 ეხლავე წადი, აჩქარდი,  
 საჯდომლად არა გცალიან.—  
 მგელმა და დათვმაც ეს უთხრეს,  
 თან მიაჯახეს ჯიხვები:  
 — ჩვენ აქ ვართ მზადა მუდამა,  
 არ გავიქცევით ბიჭები.

ვიცით ბატონის სრა-სახლი,  
 ყოველგან მისი გომები.  
 ჩენ დავვანებე — შევმუსროთ  
 მისი ნახირი ჯოგები. —  
 „საქათმე მე დამანებეთ,  
 „ბატ-ინდორტა ოჯახი“ —  
 მელია ამბობს: „ხომ უწყით,  
 „მაგ საქმეში ვარ ყოჩალი!..  
 „და ვიდრე ხმითა წიწილა  
 „თვისთან მოუხმობს მხეცებსა,  
 „მე ვამცნობ იმათ ყველასა,  
 „არ ვზოგავ თავს და ფეხებსა.“  
 — თქვენი ჭირიმე, ვაუკაცნო,  
 სწორე მითხარით, მართალი,  
 თქვენაც - კი არ მიღალატოთ,  
 ქარ-წყალს არ მიმცეთ საწყალი.  
 ნუ მომატყუებთ, გეთ იყვათ,  
 ნუ დამანატრებთ სოფელსა,  
 ნუ მავლევთ თვალ-ცრემლიანსა,  
 თავის სვე-ბედის მგმობელსა,  
 თქვენი შვილების სიცოცხლეს,  
 ღმერთი გიცხოვნებთ მშობელსა!  
 — გადვიდეთ სიტყვას, ნათლულო,  
 ჩვენს წიგნში არა სწერია, —  
 ეტყვის წიწილას დათუნა,  
 მუცელი გაუბერია.  
 — ჩენ გაძლევთ ვაუკაცურ სიტყვას —  
 შენ-კი არ დაიჯერია.  
 გასწი, შენ იმას ეცადე,  
 მომხრე იშოვო ბევრია. —  
 თავი დაუკრა, წავიდა,  
 პირჯვარი დაწწერია.

## VIII

თვალ-გადუწვდენელს მინდორზე  
 მოსჩანს ყანები ხშირია,

ზღვა არის გადმოვარდნილი,  
ყველასთვის გასაკეირია;  
მთაში ნახირი — ჯოგები  
და ზედაც ფარა ცხვრისია,  
ყველა ეს, — უნდა ვიცოდეთ  
ამ თავით — ბატონისია.  
პხედავს წიწილა ამასა,  
გული ევსება ბრაზითა,  
ამბობს: „დაიცა, დამაცა,  
„კბილებს დაგაძრობ გაზითა!  
„ზვრებსაც კი გაგიტრალებ,  
„სავსეებია ვაზითა,  
„შხამისას გაჭმევ სადილსა  
„თლილის თითებით ნაზითა!“

ლამეა, შედგა მთაზედა,  
დიდი ასტება განგაში,  
მოსქდა ყოველ მხრით ნადირი,  
რაც იყო ტყეს, თუ ჭალაში.  
მაგრა უბერავს საყვირსა,  
ხმა სწვდება ქვეყნის კიდესა,  
გაიგეს მხეცთა კარგადა,  
საით რომელი ვლიდესა,  
ზოგი ყანისკე მიიწევს,  
სხვა მთისკე აიზიდესა,  
საუა ცხვარი და ძროხაა,  
არაფერს დაერიდესა.  
ხრო და ხრო მოდგა ირმისა,  
ერთმანეთზედა დგებოდა,  
რქებსა აქვს ჩქამი ზარისა,  
რა ერთის სხვისას პხედებოდა.  
ბოლქვი შვლების და არჩვების  
ირმებს კვალ-და-კვალ პყვებოდა,  
მოვიდა ფარა ღორისა,  
კბილიდან ცეცხლი ჰკრთებოდა.  
ბატონის დასარბევლადა  
მაჩვებიც იმათ პხლებოდა.  
ურიცხვი ნადირის ჯოგი

მედგრად დაეცა ყანებსა,  
 გალეწეს, გაანადგურეს,  
 არა პზოგავენ თავებსა,  
 ლორები მაჩვებთან ერთად  
 სთხრიან და ჰყავენ ეაზებსა.  
 დათვები მობაჯბაჯებენ,  
 ვეფხვნი მოხტიან კამარით,  
 მელია საქათმეს ეცა —  
 გმირი ჩვეულის ამალით.  
 დათვთა, მგელთა და ვეფხვებთა  
 მთაში საქონი დალიეს,  
 უწყალოდ გაატიალეს,  
 უწყალოდ ხელი დაპრიეს.  
 ბატონის მთელი ქონება  
 ერთს ლამეს მორჩა, გითავდა.  
 რა ეს გაიგო ბატონმა,  
 თავს ცოცხალ-მკვდარად ჰსახავდა.  
 გულ-ზეიადს, ელდა-ნაცემსა  
 პირს ნაცრის-ფერი სდებოდა.  
 არ იცის, რა ქნას, ბობოქრობს,  
 ჯავრისაგანა კვდებოდა.  
 ძალიან უკვირს ბატონსა:  
 რა მოხდა, საით რა იყო?  
 მისი სნეული გონება  
 ათას ნაწილად გაიყო.  
 კაკალზე ყვავი შამოჯდა,  
 თავს აქნევს, იწყო ჩხავილი:  
 „ვინაც სხვის ცრემლის ფასითა  
 „თითონ იქეთა სადილი,  
 „ბოლო უამს გაუმწარდება  
 „იმასაც გულის წადილი.  
 „შენ რომ არაფრად ჩააგდე,  
 „ეგ სულ წიწილის ბრალია,  
 „იმან დაგლუბა, ბატონო, —  
 „შენი ცხვარ-ძროხა დალია!“  
 წიწილა ამას არ კმარობს,  
 ამბობს: „მარგუნა რაც წყენა, —

ას კოდში უნამუსომა  
ერთიც კი აღარ მაჩვენა.  
ქვესკნელში ჩავა? — ჩავყვები.  
მაღლა? — ავყვები ცამდენა.  
რაკი საწყლობა დამატყო,  
უფრო მასხარად ამიგდო  
მაწიმოს — მასც არ ირცხვნის,  
რა ერთხელ ხელში ჩამიგდო.  
უფალი მწყალობელი მყავს,  
კარგად ვეცადო ერთია,  
უნდა ძალიან ვაწვალო,  
გაუნაწყრომო ღმერთია!“ —  
ამას იქადის წიწილა,  
სტკივა მარჯვენა გვერდია.

## IX

გამწარებული ბატონი  
ადგა, გაიჭრა ველადა,  
ეძებს ნახევარ - წიწილას,  
უნდა ჩაიგდოს ხელადა.  
სტანჯოს, აწვალოს ძალიან,  
სულ ასო-ასოდ დაგლიჯოს,  
ზედ შედგეს უდიერადა,  
წარმა-უკულმა აბიჯოს.  
დალლილ-დაქანცულს ბატონსა  
დასძინებოდა ჩრდილშია,  
თვალი შეასწრო წიწილაშ  
იქვე ფერდობის ძირშია,  
მივიდა ცოცვით, ფრთხილადა,  
ბატონს ჩაუძერა პირშია.  
წიწილას უდიერობა  
მან ვერც კი იგრძნო ძილშია.  
გამოელვიძა, ხმა ესმის,  
ამოდის იმის პირითა,  
გაცოცდა, რა ქნას არ იცის,  
ახლად შაყრილის ჭირითა,

ხელში ვერსაით ჩაიგდებს,  
 შეა გაგლიჯოს კბილითა,  
 ხმა თუმც მოესმის გარკვევით,  
 როგორც ქამანჩა - სტვირისა,  
 და თავის საგალობელსა  
 გაბედულადა ჰყვირისა:  
 „მე ვარ, სხვა ნუ გეგონები,  
 „ის ნახევარი წიწილა!  
 „მე ჩემი ფეტვი მოვთხოვე,  
 „ბატონშა რისთვის იწყინა?  
 „მცემა კიდეცა და მგვემა,  
 „თითონ კი ტკბილად იცინა!“  
 რა ქნას, რა უყვას ბატონშა,  
 ძალა თუმცა აქვს გმირისა?  
 სხვა რომ ველარა იღონა,  
 დაჯდა და ისე ტირისა.  
 მოუხმო ერთგულს მსახურსა  
 და დაიყენა გვერდზედა,  
 თან უთხრა: „კარგად მოიქეც,  
 მე დაგარიგებ ერთზედა.  
 ხახას გავაღებ, რაც ძალმის,  
 წიწილას იცნობ ფერზედა,  
 ეგება თავი ამოყოს  
 ხელ-ალებულმა ღმერთზედა.  
 შენ ამ დროს ხმალი უმარჯვე,  
 მოაგდებინე თავიო!..“  
 პირი დაალო ბატონშა,  
 ჰსურს გაათეთროს შავიო.  
 ბატონის ენა რომ ნახა,  
 მსახურს ეგონა წიწილა,  
 ისე შაესმა ყურებში,  
 რომ თითქოს დაიწიწინა.  
 დაუსვა ხმალი მონამა,  
 ცხვირ-პირი ჩაათლეინა,  
 კისერიც თან მიაყოლა  
 და სულიც დაალეინა.  
 თავზარ-ცემული მსახური

იქვე მიწაზე წაიქცა,  
 წიწილამ თავსა უშველა,  
 აჩქარებული გაიქცა.  
 არავინ არი მათ ახლო,  
 რომ დაუძახოს: დაიცა!  
 წიწილამ ამცნო ყველასა,  
 მოიმოქმედა რაიცა,  
 „ბოროტი კაცი დამარცხდა!“  
 მთასა და ბარად გაისმა.  
 მკათათვემ ეს მოგვიტანა,  
 რით გვანუგეშოს მაისმა?!

## X

შეგროვილიყვნენ ნადირნი,  
 ერთი-მეორეს სჭვევიყვნენ,  
 ფრინველნი ოთხფეხ ცხოველთა  
 მხარ-და-მხარ გადაპხვევიყვნენ.  
 ერთი რამ ფიქრი აწუხებთ,—  
 ორნივ ერთს მეფეს ირჩევდენ,  
 ყველა ამაზე მსჯელობდა,  
 აზრს ძირეულად ირკვევდენ.  
 ფრინველთ უნდოდათ გულითა  
 ნადირთაგანი მეფედა,  
 ხოლო ნადირთა — ფრინველი  
 ყველაზე ხარჯის მკრეფედა.  
 ესა სცნეს სამჯობინოდა  
 დათვთა, მგელთა და მელათა,  
 ყველამ, რაც ფრინველ-ნადირი  
 ბუღდობს ტყეში და ველადა,  
 ამოსარჩევლად მეფისა  
 შეგროვილებმა მთელიადა. —  
 „აბა, რომელი ფრინველი?“ —  
 ეს დაიძახეს ყველათა:  
 „რაღა რომელი? — წიწილა!“ —  
 დაიგუგუნეს ერთადა.  
 ბატონის სახლი სრად მისცეს,

ვიფხვი და ლომი მცველადა,  
 ნაზირ-ვეზირად — დათვები,  
 მელა და ტურა — მრჩევლადა,  
 შიქრიკად — ქორ-შავარდენი,  
 მგლები — ავაზაკთ მრბევლადა.  
 ხოხობნი, შურთხნი, კაკაბნი —  
 ტანისამოსის მკერვლადა,  
 ბულბული — საგალობელად,  
 ტკბილ სიმღერების მოქმედადა,  
 მედალაბანდედ — კოდალა,  
 გათქმული არი ძველადა,  
 მეჭიანურედ — ჭრიჭინა,  
 ეს მას მოუდის ხელადა,  
 მეწისქვილედა — ბატები,  
 ბურისა დასაფქველადა,  
 ლორები — ქუჩის დარაჯად,  
 წყალ-საყვან არხთა მთხრელადა,  
 კაჭკაჭნი — ექიმბაშებად,  
 გადამ-ებ სენთა მცრელადა,  
 წერონი — დესპან-ელჩებად,  
 საქმეთა გასარჩევლადა,  
 უცხოელებთან დავისა  
 ასაწონ, გასარკვევლადა,  
 ხარი-ირმები — საგუთნედ,  
 დედამიწისა მხენელადა,  
 ჩხიკვები — ჯაშუშებადა,  
 აქა-იქ საძრომელადა...

ის აღარ არი წიწილა,  
 რაც წინად გაგიგონია.  
 უზარმაზარის ტანისა,  
 ათის არწივის ტოლია.  
 ხოხბის ბუმბული ასხია,  
 კოხტა ჯიჯლიბო მამლისა,  
 ყველას ხათრი და შიში აქს,  
 როგორც მშობელი მამისა.  
 ერთს სხვისგან არ აბატონებს,  
 ვინც მისი ქვეშევრდომია,

ორც ვისთან ლხინი აშინებს  
 და აღარც ვისთან ომია.  
 ტახტზე თავ-გვირგვინიანი  
 დაბძანებულა დინჯადა,  
 დაჩაგრულებსა ჰპატრონობს,  
 მჩაგვრელებს უდგა კრიჭადა,  
 მოდი და ნუ მოვიხსენებთ  
 კურთხეულს კაი ბიჭადა.

1905 წ.

## ც ა ლ ო

ანუ

### ჩემი თავგადასავალი

თქმული

თანდილა არაგველისა.

I

ვის რაში ეპრიანება  
ჩემი თავგადასავალი?  
ასე ვსთქვი, როცა ავილე  
ხელში საწერად კალამი.  
მაგრამ რა მექნა, მკვდარს გულსა-  
ვერსით ვუპოვნე წამალი.  
ჭირის თქმით, გამიგონია.  
ძველის-ძველადვე თქმულია, --  
ჭირი ქარვდება და კაცსა  
თურმე ურჩება წყლულია.  
ნუ-კი დამძრახავთ, თუ სიტყვა  
ვერა ვსთქვი მოკაზმულია.  
მაინც ვეცდები მოგითხრათ  
ჩემი ამბავი სრულია,  
სიტქო ქცეული შხამადა,  
სიამე დაკარგულია.  
ველარ მშველიან ნაცნობნი,  
ვერც ძმები, ველარი ფულია.-  
თითით უღერენ ჩემზედა  
ქართველ, სომეხი, ურია.  
ამბობენ: რაღა კაცია,  
ქუდი რისთვის-ლა ჰერია?  
და ყველა ცდილობს იმასა,  
რომ ამომაძროს სულია.

რისათვის? რაღა? გაგება  
 არაეის მოუსურია...  
 ჭორებს რად მისდევთ, გიამბობთ,  
 კარგა დამიგდეთ ყურია,  
 და თუ დარწმუნდით ვსტუივარ,  
 შემმურეთ შესამურია.

## II

ყმაწვილად ვიჟავ ჯერ ისევ,  
 ახლად წვერ-დაწამებული,  
 მყავს მეგობრები მრავალი,  
 ვიყავი გახარებული  
 იმათან ყოფნა-ქეიფით.  
 არ ვიყავ შესვარებული,  
 მხოლოდ ეს მაკლადა და ამ იხრივ  
 გრძნობები აზლვავებული  
 ეძებდა ტრფობის საგანსა  
 ყოველგან სოფელ-დაბადა.  
 ვაი ჩემს გაჩენის დღესა,  
 ღმერთმა რისათვის დამბადა,  
 თუ დღენი ჩემის სიცოცხლის  
 უნდა დავლიო შავადა, —  
 პირზედა ლიმილ-ჩამკვდარი, —  
 ვიყო სულ-გულით ავადა?!

ნუ მიენდობით დიაკასა,  
 მის ერთგულების ფიცილსა,  
 ნურც ხეევნა-კოცნას, — ცრუვია,  
 ნურც იმის კისკის-სიცილსა:  
 შენ რომ გიცინის, იმავ დროს  
 სხვისაც დაუწყებს ლიმილსა.  
 დაგიგებს ეკლის ლოგინსა,  
 ეკლის დაგხურავს საბანსა,  
 რომ არ გეგონოს, ერთს წამში  
 შეჰქმნის საზღაპრო ამბავსა.  
 დაგაწყევლინებს დედის მკერცს,  
 თავის ბედს, თავის აკვანსა.

## III

მომწყინდა ქალაქში ყოფნა,  
 ზურნა-დუდუკით ქეიფი.  
 ცხენს შევჯე აბჯრით მორთული,  
 თავი მეგონა ნეიბი,  
 და წამოვისხი ნაბალი,  
 მგზავრისა საბან-ლეიბი.  
 ვიფიქრე სოფლების ნახვა,  
 ჩემი შშობელი ქვეყნისა,  
 წყალ-ჭალა, მინდორ-ველების,  
 კავკასიონის ქედისა.  
 ერთგან მამიდა მეგულვის,  
 სხვაგან მიმელის დეიდა,—  
 ნათლია, ნათლიმამები  
 არაგვის პირზე, ზევითა.  
 დროც შევურჩიე საფერი:  
 პირველ მაისის რიცხვები,—  
 ტყე ჰყვავის თეთრად და წითლად.  
 ამწვანებულა მინდერები;  
 არ იყო ცოლის შერთვისა  
 არ ამეშალა ფიქრები!  
 მთა-ბარი ჰყვავის,—ვამბობდი: —  
 რას ამბავს არის ბუნება?  
 უივილ-ხივილი ფრინველთა  
 სიყვარულს ჩამეუბნება.  
 ყველას ტოლი ჰყავ და სწორი  
 ერთურთის შემაქცევრადა.  
 მარტოვა, ოხერ-ტიალად  
 ვხეტებოდე მე რადა?  
 ყვავილი ყვავილთან ჰყვავის,  
 ტოლთან სიცოცხლე სწყურია.  
 ფრინველთ, მცენარეთ ცხოვრება  
 გამიხდა შესაშურია.  
 ბუნების სიმშვენიერებ  
 ამაგზნო, ამიყოლია.  
 მეცა ვსთქვი: კაცი არ ვარგა,

თუ ტოლი არა ჰყოლია.  
 მივდივარ, თანაც ვიძახი —  
 უნდა შავირთო ცოლია.  
 თუ ვინმე შემხვდა ლამაზი  
 და მომივიდა თვალშია.  
 მზითევს არ დაესდევ, ეს ფიქრი  
 მიტრიალებდა თავშია.

საცა კი სოფელში მივედ,  
 ყველგან დამიხედენ ძმურადა:  
 მიკლავდენ ვარიეტსა,  
 ღვინოს მასმევდენ უხვადა,  
 თან იმასაცა მკითხავდენ,  
 ქალაქით მოვედ თუ რადა?  
 ქართველთა მასპინძლობასა  
 რა ქება უნდა, დიდება,  
 გააჩენს გაუჩენელსა  
 კაცი საითაკ იქნება.  
 არ იმჩნევს სილარიბესა,  
 როგორც მდიდარი გიხედება, —  
 თვალ-წარბში უცქერს სტუმარსა,  
 რა ჰსურს, მაშინვე მიჰსედება.  
 წყალი ნადგომი ერთს ადგილს,  
 ხომ კარგად იცით, შმორდება.  
 მოყვარეც მოყვრისთვის ძვირობს,  
 ძვირად რომ ჰანავს, — ჰშორდება.  
 თქმულია: ოქროდ სტუმარი  
 მხოლოდ დილითა ჩნეულა,  
 თუ დიდხანს დასცალებია —  
 მაშინ სპილენძად ქცეულა.  
 მეც ეს ვიცოდი და მიტომ  
 დიდხანს არსადა ვრჩებოდი...  
 მასპინძელს მაღლსა ვუხდიდი,  
 თავის ლურჯაზე ვჯდებოდი  
 და, როგორც ვინმე რაინდი,  
 მალე გზას გავუდგებოდი.  
 ხურჯინში მიძე საგძალი:  
 ჰური, მოთალი, სათალი,

კახურით სავსე ტიკჰორა,  
 კიჩინის ჩამონათალი.

## IV

მივისწრაფები არანისს,  
 იქ მეგულება ძმობილი.  
 კაცია კეთილშობილი,  
 გულ-უხვ მასპინძლად ცნობილი.  
 მივდივარ არაგვის პირ-პირ,  
 ვუცქერ მოებსა და ჭალებსა,—  
 ტურფად შემკობილს ბუნებას  
 ვეღარ ვაშორებ თვალებსა.  
 მხარზედა კოკა-შედგმულსა  
 ვზა-ვზა ვხვდებოდი ჭალებსა,  
 ჯეირნებივით მალხაზებს,  
 ფეხ-შიშველ, წითელ კაბებსა.  
 სოფლისკენ ეშურებიან,  
 მგზავრს უმალავენ სახესა.  
 რა მნახეს უცხო-ქვეყნელი,  
 სიარულს მოუმატესა.  
 მე ლურჯას მოვათამაშებ,  
 პირიდან ისერის ჭაფებსა.  
 შევხედე, ზევიდან მოდის  
 სუფთად ჩაცმული მგზავრია.  
 ეგ აზნაური იქნება,—  
 თავში მიელავს აზრია.  
 მოაკუნკრუხებს მერანსა,  
 ვით აზნაურის წესია.  
 შორიდან მსინჯავს თვალითა,  
 მიცქერის თითქო ბეცია.  
 მომიახლოედა, რა მიცნო,  
 მიძახა — გაძარჯობაო,  
 გაგიმარჯოსო, მივუგე.  
 შემდეგ გავაბით ბჭობაო  
 და გავაახლეთ ხელდახელ  
 ჩეენ ერთმანეთის ცნობაო.  
 იქვე მწვანეზე გადმოვხდით,

ხელად გავშალეთ სუფრაო.  
 ამაზე მეტი, ხომ იცით,  
 ზანდუკელს რაღა უნდაო?  
 როს შევახურე ღვინითა,  
 მოხსნა სიცრუის გუდაო,  
 ნათქვამის დასამტკიცებლად  
 წინ ღმერთი დაიყუდაო.  
 ამბობს: არანისს მათ გვარმა  
 სით, როგორ დაიბუდაო.  
 თავის წინაპართ ქებასა  
 ათასჯერ დაუბრუნდაო.  
 მოყვარეს როგორ ჰმოყვრობდენ,  
 მტერს მიაყარეს გუნდაო,  
 და დლეს კი ბედმა უმუხთლა,  
 მათ ყოფნა გაუცრუედაო.  
 ავაჭიჭიერა ღვინომა,  
 დავძახეთ მრავალ-უამიერ  
 და სადლეგრძელო გავაბით  
 ათას მხრივ, იმერ-ამიერ.  
 მას დაავიწყდა მგზავრობა,  
 ნადიმს აგძელებს ხანიერ.  
 დლე მიიწურა, მჩე ჩადის,  
 დაგვილამდება წამიერ.  
 ეს ორივემაც ვიგრძენით,  
 გავიგეთ წასვლის ხანია.  
 — უნდა მეწვიო ამალამ,  
 ფრიად საამო წამია. —  
 მან მითხრა — მეც დავბრუნდები  
 უკან, წავიდეთ შინაო.  
 უნდა გაჩვენო. არ ძალმის,  
 ჩემი ყოფნა და ბინაო.  
 მე უარს როგორ ვეტყოდი,  
 როცა იქ წასვლა მინაო.  
 მივსდევდი უკან ჩანჩალით,  
 ის მიმიძლევბა წინაო.  
 მივდიგართ, ცხენებს ვაწონებთ  
 ერთი-მეორეს გზაშია.

ის აქებს თავის მერანსა,  
 მე ჩემი ამყავს ცაშია.  
 „შენ რომ იცოდე, დიმიტრი,  
 ეს ჩემი ცხენი რაშია,  
 იცოდე, ამის მსგავსს ცხენსა  
 სხვას ვერ შაჰვედები მთაშია.  
 ჩემს ნათქვამს ნუ დაიჯერებ,  
 თუნდა იკითხე ხალხშია.  
 ჩემს მერანს ერთიც ვერ მოჰყვა,  
 იმ დღეს ვიყავით ხატშია“.  
 ზანდუკლის ბაქი-ბუქებმა  
 მეც დამაკვეხა ახშია.  
 და მეც ჩემს ცხენზე ვუთხარი:  
 პირველობს ყარაბაღშია.  
 კამპები იცის, წიხლი-თქო,  
 ცხენი ვერ დაჰკრავს ყალბშია.  
 გავეჭუსლეთ კიდეც ცხენები...  
 და... გავებენით ბარდშია.  
 გადავიკაშრეთ თავ-პირი,  
 ექლები გვერპვა თავშია,  
 მე ფეხი ავიკანჭურე,  
 ის ტკივილსა ჰერძნობს მკლავშია.  
 ძლივს გამოვძერით ბარდიდან  
 და გამოვედით კარშია.  
 გავცვალეთ ბახი-ბუხები  
 „ვაი დედაოს“ თქმაშია.  
 ძლივსლა შეესხედით ცხენებზე,  
 ქუდები დაგვრჩა ჯაგშია,  
 ჩუმად მრვდივართ, თავს ვიქექთ,  
 ექლებს დავეძებთ თმაშია.  
 და, როგორც იყო, მივედით  
 ჩემის მასპინძლის სახლშია.

### იალბუზი

ჰო და განვაგრძოთ თათბირი,  
 უფალი გვყვანდესთ მცველადა:  
 დიალ, ბუნება კაცების  
 არის სხვადასხვა ჯურისა,  
 როგორც ცხოვრების პირობა  
 ერთი-მეორეს უდრისა.  
 ვნებათა ღელვაც დიდია,  
 ხომ უწყით, კაცთა შორისა ---  
 ეს არის ამრევ-დამრევი  
 უსწოროსი და სწორისა.  
 იქ ბოსტანს რა ახეირებს,  
 საცა დინგი სთხრის ლორისა!  
 ამიტომ ადამიანნი  
 ბოსტნებს ავლებენ ლობესა  
 და ნათესიან ადგილებს  
 გააშორებენ ლორებსა.  
 რომელიც ანგრევს სიმაგრეს,  
 იმასა სცემენ ტორებსა.  
 ადამიანნი თავის თავს  
 დღესა, ხეალე თუ გვიანა,  
 მოუძებნიან წამალსა,—  
 რამაც კი დააზიანა  
 კაცთა საერთო ცხოვრება,  
 მათი ძმობა და ერთობა.  
 ჩვენზე ვსთქვათ რამე, კაცებზე  
 ეს საუბარიც გვეყოფა.

**მყინვარი, ბორბალა და სპეროზა**  
 (ერთად)

ვისაც-კი ფეხი დაუდგამ  
 ჩვენს ქედზე ერთხელ, ოდესა  
 ჩასული ბარად, დღე და ღამ  
 უნდა ამაზე ჰბჭობდესა:  
 ყველას გული და გონება  
 ჩვენსკენ მუდამ-ეამს რბოდესა...

ჩვენი სახელი, დიდება  
 ჩვენვე გავთელოთ ფეხითა?...  
 ვით განვაცხადოთ უარი?—  
 უნდა მოვიქცეთ ხერხითა.  
 გამდგარნი, მოლალატენი,  
 მთებო, რას დაიკვეხითა!...

### იალბუზი

და იცით, ძმებო, რა გითხრათ,  
 ყური დამიგდეთ კარგადა:  
 ერთობის მცნება მთათ შორის  
 მაჩნია უხმარ ბარგადა.  
 ერთხელ რაც ძალა შეგვძინა  
 ღმერთმა იმავე თავითა,  
 მას ვერც შევმატებო, ვერც შევვეცო,  
 ვერც ხვეწნით, ვერცა დავითა.  
 რა ვქნა, ვერ შავძლებ მე მეტსა:  
 რაც ვარ, იმადვე დავრჩები,  
 ძველს წესზე უნდა ვაცხოვრო  
 ფრინველები და არჩები —  
 ძველებრივ ვადენ მდინარეთ,  
 ნისლებს დაეიყრდნობ ჩერდზედა;  
 მზისა და მთვარის სხივებსა  
 კვლავ დავისვენებ მხრებზედა.  
 მე მგლებს ვერ გავწყვეტ, ვერც ვეფხვებს:  
 მომერგებიან შეილადა,  
 თუმც მაჯავრებენ ბევრჯელა,  
 ავობენ თავის წილადა,  
 არ დაგიდევენ ერთობას,  
 შელებს, ჯიხვებს სჭამენ წყვილადა.  
 მე ვერ მოვითმენ, არწივნი,  
 ქორები გასწყდნენ ლივადა.  
 როცა არწივი მიმოჰქმის,  
 მე ვერ მივიღებ ცივადა, —  
 შემომთამაშებს თვალ-წარბში,  
 საამურია ფრიადა.

ნუთუ კაცთ თავის შვილები  
 არას უხდენენ შინადა?  
 რა უყოთ, ესეც დაუტევს  
 კაქებს, როჭოებს საჭმელად,  
 მაგრამ კაცთ მიერ ზარალთან  
 ეს განა კი ღირს სათქმელად?!

### ბორბალა

მართალი არი, კაცებთან  
 ჩვენ არას გვარგებს ერთობა,  
 ათასჯერ ფიცით შევიქრნეთ,  
 კაცი ვერ-როგორ გვეძმობა.  
 ბალახს ჩვენს მკერდზე მოსთიბავს  
 მწვანესა, ყვაველიანსა,  
 მოპელავს ჩვენს გაზღილს ნადირსა,  
 ხორცს უქებს მარილიანსა.  
 ცხვრითა და ძროხით გაგველავს,  
 როგორც დღესნამდე გვექლავდა,  
 ჩვენის სისხლ ხორცით ნასუქებს  
 ცხვარსა და ძროხას სწველავდა.  
 მიაქვს და ალარა მოაქვს  
 წალებულისა ბადლადა.  
 თუ ჭივა აქვს, ამას დასჯეოდეს...  
 ჩვენ ეს გვეყოფა მადლადა.  
 ჩვენც მაინც უარს ვერ ვეტყვით,  
 როგორც არ გვითქვამ არც როსა,  
 და თუ რომ ერთი მეორეს  
 კაცი აყენებს შავს დროსა,  
 მეტად სარგებლობს ჩვენითა,  
 მეტსა ჭირდის ცხვარსა და ხბოსა,  
 მეტს ისაკუთრებს ჩვენს ამაგს,  
 თავზე მოპყივის ის ბრძოსა --  
 ეს თვით კაცთ ივარაუდონ,  
 თუ აქვსთ ერთობა მიზნადა.  
 თავს ჭირის მყინვარი, სპეროზა,  
 მოძმის თანხმობის ნიშნადა.

### იალბუზი

დიალ, თუ ჭივა გვაქვს ჩვენ, მთებსა,  
 ცოტა რამ ცოდნა თავისა,  
 ერთობის ფარგალში ვცხოვრობთ,  
 ჩვენში ერთობა ჰყვავისა —  
 დიდი ხნიდანვე, არა დღეს,  
 ეს კაც ვერ გაუგავისა.  
 აბა, თუ ვსტყუი, მითხარით,  
 პირში ნუ მომეფერებით:  
 გშურსთ ვისმე ჩემი სიმალლე,  
 რომ ვსდგევარ ყელ-მოლერებით?  
 ვიცი, რომ არა, და მიტომ  
 არც ველი თქვენგან პასუხსა;  
 სხვას რას მიმატებს სიმალლე,  
 თუ არ ტანჯვასა და სუსხსა?  
 მაგრამ მეც ბედნიერი ვარ  
 სხვა გორაკებთან ერთადა,  
 თუ თავზე მცივა, წელ-გულით  
 ბედნიერი ვარ ბევრადა...  
 თქვენიდან გადმოხიზნული  
 ნადირ-ფრინველნი, ნისლები  
 მომილენ უკრძალავადა,  
 როგორც დედასა შვილები:  
 საჭმელსა სჭამენ, სასმელს ჰსმენ,  
 მოსწონთ მწარე თუ ტკბილები.  
 თქვენთანაც ეგრე მოდიან  
 ჩემს მკერდზე გამოზღიულები.  
 ჩემთ ლრუბელთ ნამი თქვენ გნამავს,  
 თქვენისა მე მესხურება,  
 როკორაც თქვენა, ეგრევ მე  
 ცა ქუდად დაგვეხურება.  
 მიაქვს ჩვენიდან ვისც რა ჰსურს,  
 რად ვინმე დაგვემდურება?  
 ჩვენის ამაგით სარგებლობს  
 და არც ჩვენ მივდევთ გინებით,

მიპხედ-მოპხედეთ თქვენს გულ-მკერდს,  
სულ სავსე არის ბინებით.

როგორც დღესნამდე მადლს ვსოესდით,  
დღეიღგეც ასე ვიქნებით.

(ქვეადან მოისმის ზეა დედამიწისა)

„მეც თქვენთანა ვარ აზრითა!“—  
ისმის ჯურლმულით გუგუნი,  
ისმის ხმა დედამიწისა,  
როგორც ხარ-ლალის ბუბუნი.  
მთელმა სამყარომ ამ ქამად  
დაიწყო ნძრევა-ჩუჩუნი.

### მყინვარი

მართალი არის, ეხლა-ლა  
გადამეწმინდა გონება,  
მთათ შორის, თუ კარგა განვსჯით,  
არსად არ არის მონება.  
თუ არწივს ტევის ნება აქვს,  
ვეფხს კლანჭის ქნევის, რჩოლისა,—  
კაკაბს და ჯიხესა თანაბრად  
გახიზნისა და სრბოლისა.  
იმიტომ მოვკლათ არწივი,  
რომ არს მამაცი, მალია,  
რომ ლეში უყვარს საჯიჯგნად  
და საწიწარად ძვალია,  
და ვეფხვი, რადგან ძალ-ლონე  
იმათ არ დაუმალია???.  
ვეფხვ-არწივების ტაცებით  
დღემდის არ გასწყდა ვვარები  
და, მადლობა ლმერთს, საკმაოდ  
დის ნადირ-ფრინველთ ფარები!  
სით, როგორ გავაბედენო  
ერთი-მეორის ცალები?  
ათი-ათასს სჯობს ტრედს, კაკაბს  
მარტო არწივის თვალები.

თუ მისი ყეფაც არ მესმის,  
არ ვნახე ვეფხვის ხალები,  
მესმოდეს კაკან-კნავილი,  
გულისა გასაწყალები?  
ჩემს მკერდს ჰკაწრავდეს მხოლოდა  
უჯიშო, ლაჩართ ბრჯლალები?!  
ვერ შეიგუებს ამ აზრსა  
ჩემი სისხლი და ძვალები.  
ერთს თუ ვიბრალებთ, მეორეც  
დიალ არს შესაბრალები.  
ვით არ ვხედავდე არწივსა,  
იმას კი ვენაცვალები?!

### სპეროზა

რასაც თქვენ ამბობთ, ვაუკაცნო,  
მეც მაგისი თქმა მეწადა:  
ერთობის აურ-ზაური  
არ მიმაჩნია ბეწვადა!  
მოებს რაც ძალა გვაქვს, არ ვზოგავთ,  
ვინც დაეწვდება, მისია,  
საძმოა, საერთო არის  
ნადირ-ფრინველი მთისია,  
ხელსაყრელია ყველასთვის  
წყარო ნაეური კლდისია,  
სამეჯლიშოდ იქვს კაცებსა  
ყანწები ჯიხვებისია.  
როს მიუხედით კარზედა,  
როდისა ვკითხეთ ვისია?  
მაგრამ თუ საწყალთ გაიგეს,  
ვინაც კაცთ ზორის ჰრევია,  
რომ ჩვენ არ ვწუნობთ არწივებს,  
რაც უნდა იყოს ბევრია,  
არც მგლებს და ვეფხვებს, არც მელებს, —  
ნადავლი დაუთრევია, —  
წყევლას გვეტყვიან: მთა მთას ჰევდეს,  
ხევს მიეჯახოს ხევია,

რადა? და მადა, არ ესმისთ  
მათ მოსაზრება ჩვენია,  
ვერ შაიგნებენ, რომ მთები  
არწივთ ნავარდსა სჩვევია,  
არ ვთვლით ზარალად, რაც სისხლსა  
სთხევენ. და დაუთხევია.  
არ ესმისთ, რომ ღმერთს გვაყვარებს  
მთად მოარული დევია;  
იმას, რომ ვხედავთ, ვლოცულობთ,  
ყველა ამის ვართ მთქმელია,  
რომ არ აიღოს უფალმა  
საწყალს მთებზედა ხელია;  
გვაცხოვროს მადლიანადა,  
არ ვიყვნეთ ცოდვის მქნელია,  
არ გაბატონდეს ჩვენზედა  
ბოროტი, კარგის მსრველია.

### იალბუზი

კაცნი ერთობას მთებისას  
ვერაფრით დაიწუნებენ,  
თუ მაღლა მფრინავს ოცნებას  
სიწყნარით დაიღუნებენ;  
ჩვენს წრეში აგვწონ-დაგვწონენ  
პირდაპირ, მიუმდგარადა.  
ღმერთმა გვაშოროს, მოვიქცნეთ  
ჩვენც აღამიანთ გვარადა:  
თუ ერთმა მეორე ერი  
დაიპყრო, დაიმონავა,  
გაანადგურებს, გაჰქელავს,  
არ შაიბრილებს ოდნავა;  
სულს აძრობს, ჰკვეთავს ენასა,  
არ ათქმევინებს სათქმელსა  
თავის ენაზე, თვის რჯულზე  
არ ანთებინებს სანთელსა.  
ვინ მოსთვლის, უსამართლობას  
საწყალს დაჰმართებს რამდენსა!

ლმერთმა გვაშოროს, არ ვიზამთ  
ჩვენ მაგისთანა რამესა!..

მყინვარი, სპეროზა და ბორბალა  
(ერთად)

ლმერთმა გვაშოროს მსგავსი რამ  
მთა-ჭიუხების არესა,  
როგორ შევხედოთ პირნათლად  
მაშინ მხესა და მთვარესა;  
ვით შევხვდეთ მქნელნი მაგვარის  
ჩვენ გათენებულს ლამესა!  
გაზაფხულს აღტყინებულსა,  
ყვავილით ნაქარგს მწვანესა;  
წმინდა სულების კრებასა,  
ცრემლს, იმათ თვალთა ნალენსა!

### იალბუზი

მთათა ბუნება არ სწყრება  
სხვადასხვა ენათ სმენითა,  
ისევე ვსტკბებით ღმუილით,  
როგორც შურთხების სტვენითა.  
ჩვენ როდი უშლით დაოვ-მგლებსა,  
თავი გაირთონ ლხენითა!  
კაჯაბი, როჭო, არწივი  
სხედან თუ ვლენან ფრენითა,  
ამბობენ, რაცა სწადიანთ,  
თავის მშობელის ენითა.  
ვით დაუწუნოთ სვავებსა  
გრძნობის გამოთქმა ქშენითა?  
ყორნები დაყრანტალებენ,  
ყვაენი ჩხავიან კრებითა.  
როცა არწივი თამაშობს,  
გულს ინავარდებს ყეფითა;  
წყალნიც მიდიან, მოსთქვამენ  
ათასნაირის ხმებითა.

ნუთუ ეს სხვადასხვაობა  
 არ მოვიხსენოთ ქებითა?  
 ყველა ერთს ხმაზე ვამღეროთ,  
 დავკარგოთ დიდი ლაზათი?...  
 სით შევიგუოთ უმსგავსი  
 უმსგავსთა კაცთა იდათი?  
 იმაზე ცუდი რაღაა,  
 განვსხვავდებოდეთ არათი?  
 თუ თანახმა ხართ, ბარს მივძლენათ  
 ამ შინაარსის ბარათი:  
 ეცადოს საუკეთესო  
 მან შეიკეროს ხალათი.  
 ესწრაფოს თავისუფლებას,  
 ცხოვრება ჰქონდეს ხალბათი;  
 თუ ვინმე გაბატონდება, —  
 მოსპოს შნოება, ლაზათი, —  
 იმას ეურჩოს, შეჭმართოს  
 და გაუწიოს კამათი.

### მყინვარი

სწორია, ბატონობასა,  
 ერთის მეორის ჩაგვრასა  
 ვერ მოვიწონებთ ვერა დროს, —  
 აშკარად ვამბობ ამასა.  
 ერი ერისგან ჩაგრული,  
 თუ კაცი კაცის მიერა,  
 ულმერობაა დიადი,  
 გულის საკლავი ძლიერა;  
 ერთი მეორის წყალობით  
 რაღ უნდა იყოს მშიერა  
 სულით და ხორცით? ეს მეტად  
 კაც დამამცრობი წესია.  
 ჩვენ ყველას ვაძლობთ, თუმც ცოდნით  
 ჭკუა არ გაგვილესია,  
 ამმალლებელი ვონების  
 ცოდნა არ დაუთესია

ჩვენში არავის, ხალხში კი  
 აუარები სთესია,  
 ქრისტედან მოყოლებული  
 მრავალზე უმრავლესია,  
 და ქრისტეს წინად რამდენს სხვას  
 საცოდნი დაუკვესია...  
 სირცევილი არი შენოვისა,  
 ბარო, რომ ეგრე ჰკვენესია!  
 აბა, ვიფიქროთ კარგადა,  
 მართლა არ არი ესია?!

### სპეროზა

მართალი არი: საწყალს მთებს  
 საღ გვინახია ანბანი?  
 ჩვენში, კაცთ შორის რაც ხდება,  
 ღმერთმა გვაშოროს ამბავი.  
 წერაც-კი არავინ ვიცით,  
 ვგონებ, არ ვსტყუი, ჩვენშია.  
 კალამი ჩვენგან არავის  
 არ აულია ხელშია.  
 ჩვენი გონება ცოდნითა  
 არავის გაუგერშია.  
 რაც გავჩნდით, ისევ ისა ვართ  
 ამ ასი-ათას წელშაა.  
 ჩვენ არცავის რა წავართვით,  
 არცავინ დაგვიჩიგრია.  
 მართალსა ბძანებთ, ნათქეამი  
 მეც მომწონს, სწორედ აგრია.  
 მაგრამ წერილმა ბარიდან  
 კინალამ ჰკვიდან აგვრია.  
 ერთობის ჭექა-ქუხილმა  
 კინალამ ხელი დაგვრია.

### ბორბალა

მეც ეგ არ მიკვირს, უცბადა  
 რამ დაგვძრა, აგვაჩოჩქოლა?

ჩვენსა ვწუნობდი თ ზნე-წესსა,  
 თავზე ვიყარეთ ქოქოლა.  
 რა იყო? საიდან მოხდა  
 ამ გვარ ფიქრების მოწოლა?  
 მთანი მთობასა ვწუნობდით,  
 არ გიკვირსთ, მოხდა როგორა?  
 მიტომ, რომ რასლაც ვეძებდით  
 ზესთა ბუნების ნასახსა,  
 უცხოს, უჩემეულებრივოს  
 მზესა, ჰაერს და ბალახსა;  
 მოგვწყინდა ერთგვარი ყოფა,  
 გმობა დაუწყეთ ალლახსა  
 და როცა კარგად დავფიქრდით,  
 ახლა ვგმობთ ნაფიქრ-ნაძრახსა.  
 კიდევ კარგია, რომ აღრე  
 შავიგნეთ ჩვენი შაცდომა,  
 ავყევით სხვათა ფეხის ხმას,  
 ვისურვეთ ლმერთად გახდომა,  
 ჩვენისა ბედნიერ ყოფის,  
 ჩვენისვე თავის წახდომა.

### იალბუზი

(ბორბალას)

შენ სცდები, დარბაისელო,  
 ეგ ფიქრი არა გვქონია  
 არა დროს,—ლმერთად გახდომის,  
 უჭირსგან მოსანდომია.  
 მხოლოდ უკეთეს ყოფნისა  
 ვინაც კი არი მნდომია,  
 არ არის დასაძრახისი...  
 ადვილად მისახედომია,  
 გაცნობა თავის-თავისა  
 პირველი საქმე მგონია.  
 დღეს ვსცანით დაკვირვებითა  
 ჩვენი ძალი და ლონია,  
 სიავ-სიკეთე თავისა,

ერთობის შესაჭონია.

მეტს არც რას ვეძებთ, არცა ვთხოვთ,  
მთათა ერთობა კარგია.

ან რა ვიჩივლოთ, ვეძებოთ,  
ხომ არა დაგვიკარგია!

მაგრამ თუ შევძლებთ, რომ ბარსა  
შეუმსუბუქოთ ბაოვია,

ხმა მივცეთ გამამხნევები,  
ნუთუ ეს არა ვარჯია?

უჭირს საბრალოს, ალბათა  
იმიტომ შემოგვლალადებს,

და რა შნო არი ჩეენთვისა,  
იმის დაბა და ქალაქებს,

ბალებსა ია-ვარდიანს,  
იმის კოპტია ალაგებს -

არ მივცეთ აქით ლიტონი  
ხმა მაინც თანაგრძნობისა,

ნიშანი ჩეენის კაცობის  
და ჩეენი ცოცხლად ყოფისა?!

კაცთა გარეშე ბუნება

იგივა, რაც ჩეენია:

იცხოვრებს ისე, როგორაც  
თვით უფალს გაუჩენია.

ფრინველთ და ცხოველთ სამეფო,  
უეჭველია, ბარისა —

იქნება იმავ რჯულზედა,

რაზეც დლესნამდე არისა;

მის ფიქრი ერთობაზედა

ამ მხრივ უცვლელი დარჩება

და საკამათო საგანი

მხოლოდ კაცუ კრებულს შაპრჩება.

ამიტომ გვმართებს წერილი,

თუმც გვიკიფინებს სპეროზა

უცოდრობასა, — არც სტყუის, —

ვპოვთ, რომ დაგვიწეროსა —

მწერალი, ჩეენი აზრები

ანუსხოს ცხადად, მჭევრადა,

მაშინ ის აღარ იქნება  
სხვის ხმის ამომძახ ქვევრადა.  
ბარს რომ ეახსენებ, ვგულისხმობ  
კაცთა გარეშე სფეროსა:  
მინდორ-ველს ცხოველებითურ,  
სიტურფით გასაშტეროსა,  
წყალ-ჭალებს დამწყაზრულებსა,  
მოსაგრილებელს ჩეროსა,  
ვარდს ფურჩქნილს მაისისასა,  
იქვე ხმელს ჯოყრის ღეროსა.  
ჰსურდეს უარყოს ნააზრი  
ჩვენი, — ჰსურს დაიჯეროსა.  
და რომ არ ვამცნოთ პასუხი,  
გამოსადევი რაშია?..  
რომ წიგნი დავაწერინოთ,  
ისეთს ვის ვპოვებთ მთაშია?

ჩაფიქრდენ მთები ერთობლივ,  
დაჭკიდეს თეთრი თავები,  
სახეზე ეკრათ ყვითლადა  
უთვალავის წლის ლაქები,  
თვალი არ მოჰშორდებოდა,  
იყვნენ ისეთი კარგები.  
გულ-მკერდი სალის კლდისა აქვთ,  
სუფრად უდგიათ ზვავები.

### ბორბალა

დარბაისელნო, მე ვიცი  
ჩვენს მთებში ერთი სვავია  
ნასწავლი, მხოლოდ იმას აქვს  
განათლებული თავია,  
და განირჩევა სხვებისგან  
მითი, რომ მხრებზე შავია.

### მთები (ერთხმად)

ძალიან კარგი, თუ ჩვენში  
ეგეთი ვინმე არია,

მოექებნოთ, მოვაყვანინოთ,  
 ვუამბოთ დასაბარია,  
 იმდენს როგორ ვერ დაგვიშერს,  
 შევიჯერიოთ ბარია!

იმ სვავის დასაძხებლად  
 მთებმა გაგზავნეს ყვავია.  
 უბრძანეს: „არას აკეთებ,  
 პნაფარდობ, მარტო ჰსჩხავია.  
 წადი და აქ ძოგვიყვანე  
 ნასწავლი ლეში-ჭამია.  
 სვავს გვეუბნება ბორბალა,—  
 თურმე გაწვრთნილი გვამია.  
 იცნობ კი სწორედ, გვითხარი,  
 ცნობა რა დასამალია?“

### ჟ ვ ა ვ ი

როგორ არ ვიცნობ? მუდამ-დღე  
 აქ ვხედივ მოფარფატესა,  
 სულ მთებში სცხოვრობს ბოლო დროს,  
 ვერ მგზავრობს ბარის მხარესა.

### მთები (ერთად)

რატომ, რა მიზეზის გამო  
 იგი ბარს შემოსწყრომია?

### ჟ ვ ა ვ ი

ხმამ ერთობისამ შეაკრთო,  
 ჩოპკლავენ, ისა ჰერნია.

### მთები (ერთად)

უყურე თავ-კაუნასა,  
 იმასაც ჭიუა ჰქონია!

5333

ალბათ ჭიუა აქვს და ცნება,  
როს წერა-კითხვის მცოდნია.

8 9 10

ოლონდაც... მაგრამ ბრიყვს წიგნი  
საიდან შეუსჭავლია?

三〇六

ეგ აღარ ვიცი, რო ვითხრათ,  
თქმა ტყუილისა მცხვენია.

8 5 7 8 6

ძალიან კარგი. მაშ გასწიო,  
ვიცით, არ გინდა ცხენია,  
სითაც იყოს და არ იყოს,  
მოგვევარე იგი ბრძენია.  
ვიმედობთ, არ გვალოდინებ,  
ვნახოთ უნარი შენია!

73336

ეხლავ, ამ წუთას ალსრულდეს,  
გმირნო, წალილი თქვენია.

გასწია ყვავმა სრიალით,  
სადც სვავი ეგულებოდა,  
იქითქე, სადაც მრავალი  
სვავთა ხმა ეყურებოდა.  
მიცურავს ლაქვარდს ცაშია,  
ნისლი არ ემურებოდა.  
გზა-გზა ჰეკითხავდა ფრინველთა —  
ქორსა, მიმინოს, ძერასა:  
ხომ არსაღ არ შაპხვედრიან

ბერ-სეავს მწიგნობარს, მწერალსა.  
 ზოგი ეტყოდა ჰომიტით,  
 ზოგი ეტყოდა არასა,  
 ასდევ-ჩასდევდა ნაპრალებს,  
 სჩხრექს ხევთა შასაყარასა,  
 და როგორც იყო დააღგა  
 სვავების სავალს შარასა.  
 წააღდა თავსა, როს ბრძენი  
 სწიწინიდა ძროხის გალასა.  
 სვავმა იწყინა მის მისვლა,  
 შორითვე გაეკამათა.

## ს ვ ა ვ ი

სად მოპეფარფატებ, ეს ძვალი  
 მეც არ მეყოფა თავადა!

## შ ვ ა ვ ი

მიირთვი, არ გეცილები,  
 მე სხვა საქმე მაქვს შენთანა.

## ს ვ ა ვ ი

თუ არა გასაკრავადა,  
 რა გესაქმება ჩემთანა?

## შ ვ ა ვ ი

ნუთუ სმაზე და ჭამაზე  
 ტრიალებს მხოლოდ ქვეყანა?  
 შენთან მე მთებმა მომგზავნეს,  
 ვით განსწავლულთან, ბრძენთანა.  
 ყვავი მიუჯდა ახლოსა,  
 ძმური მიართო სალამი,  
 უამბო, მთებს როგორ უჭირს  
 მისი ცოდნა და კალამი.

## ყ ვ ა ვ ი

მთებსა აქვთ კრება რაზედაც,—  
 დიდი თათბირი, მსჯელობა,  
 და თუ არ ვსცდები, საფიქრად  
 მათ გახდომიათ ერთობა.  
 წიგნი მოპსელიათ ამაზე,  
 გამოგზავნილი ბარითა,  
 თავის მტვრევა აქვთ მის გამო  
 ერთობლივ დღე და ღამითა.  
 ფიქრობენ, ერთობაზედა  
 ბარად გაგზავნონ პასუხი,  
 შენ უნდა მიგაწერინონ  
 თავის აზრი და საჭუხი.

## ს ვ ა ვ ი

ღმერთმა დასწუყევლოს ერთობა,  
 თავში-კი იმის მამვონი!  
 ველარ წავსულვარ ბარადა,  
 ხანი გავიდა რამდონი.  
 ალარ გვინდობენ, თუ სადმე  
 იგდეს ხელთ სვავი, ყორანი,  
 მაშინვე მოჰკლვენ, არ ჰეთვენ,  
 რისათვის ხართო შკონარნი!  
 უწინ რა ჭირდა: ჩავიდი  
 ბარად, ვძლებოდი ლეშითა  
 მაღლიანალა, რომ ძლიეს-ლა  
 შინ ვგრუნდებოდი ხვენეშითა.  
 ეხლა კი ასეთს ხმელს ძვალებს  
 დავეძებ ნახრავ-ნუხრავსა...  
 ფუქ, ამისთანა სიკოცხლეს  
 და ამისთანა სუფრას!

## ყ ვ ა ვ ი

მაშ ხომ წამოხვალ? უარი  
 ან კი რა საკადრისია?

ეს საქმე ჩვენი საქმეც-ა,  
ვინც მცხოვრებნი ვართ მთისია.

## ს ვ ა ვ ი

წამოვალ, უარს ვით ვეტყვი,  
თუმც ვერ დაუწერ არჩებსა,  
ვურჩევ, თუ დაიჯერებენ,  
არ აჰყნენ წამწყმედ აზრებსა.  
ერთობით, ვიცი კარგადა,  
არა გვერგება სვავებსა.

## შ ვ ა ვ ი

წავიდეთ, ნულარ ვგვიანობო,  
დრო ალარ არი ცდისია,  
მიუსწროთ ვიდრე დღე არი,  
სხივები ბრწყინავს მზისია,  
არ შაგეშალოს, დასწერო  
რასაც ვეტყვიან,—ისია.  
ახ, ნეტავ მე კი მესმოდეს  
ცოტა რამ ანბანისია!...

ალგა ყვავი და გაფრინდა,  
უკან გაუდგა სეავია,  
მისდევდა მხრების ფლაშუნით  
მცონარა, მუცელ-ავია.  
ცოტა ხანს შემდეგ მთათ შუა  
მოსჩანს იმისი თავია.

ერთს დიდრონს არყჩე დამჯდარა  
თაგ-მოწონებით, ბრძნულადა.  
მთებმა მიიღეს თავაზით,  
მყინვარი ჰკითხავს ძლურიდა.

## მ ყ ი ნ ვ ა რ ი

ჩვენ გავიგონეთ, რომ თურქე  
განათლებული ჰყოფილხარ.

თავად ისწავლე, თუ მცოდნე  
 დედის მუცლიდან ჰშობილხარ?  
 კარგია, ღვთისა წინაშე,  
 რომ ღმერთმა მთათა შორისა  
 დაგბადა ეგრე ჭკვიანი—  
 და ჩვენაც შენის ყოლისა  
 მოხარულნი ვართ ფრიადა,  
 თან თუმც კი გვიყვირს დიდადა,  
 საიდან მოხდა, რომ წიგნი  
 შაგისწავლია წმინდადა?

### ს ვ ა ვ ი

წმინდად კი არა, ცოტა რამ  
 ვიცი და ისიც ხუცური.  
 დავჯლაბნი ვაი-ნაჩრობით,  
 ვიცი ლოცვების ტურტური.

### იალბუზი

უყურეთ ამას! გვითხარი,  
 აბა რა იცი ლოცვები?  
 შენ იქნებ წმინდანიც იყო  
 და არა გქონდეს ცოდვები?!

### ს ვ ა ვ ი

მამაო ჩვენო, უფალო,  
 მრწამსი, დავითის ფსალმუნით,  
 მიწყალე ღმერთოთ იწყება,  
 ამიერიდან და მუნით.  
 ალილუია სამჯერა,  
 უამნი არ ვიცი მე სრული,  
 ტიბიკონს ეხლა შეუდეგ,  
 ამისთვის დამდეთ თუნდ წუნი.  
 მთებს პირზე ძოსლით ღიმილი,  
 გაუცინართა სიყრმითა,—

ეცინებოდათ ეხლა-კი  
ნახულის სვავის სიბრძნითა.

© 2013 Cengage

ძალიან ბევრი გცოდნია,  
თითქმის ივარგებ ხუცადა.  
დღემდი სად იმალებოდი,  
ეხლა გამოსჩნდი უცბადა!  
სით მოხდა, ვისგან ისწავლე,  
რომ გვითხრა, არა წახდება,  
გასაკვირველი ამ სოფლად,  
არ ვიცით, ბევრი რამ ხდება?

b 3 e 3 c

მე რომელ კლდეშიაც ვცხოვრობ,  
იქ ერთხელ მწირი სცხოვრობდა;  
დაბლა ის იყო, მაღლა მე,  
ჩემიდან არა შორობდა.

მესმოდა ყოველი სიტყვა  
მწირისგან თქმული ებშია,  
ზევიდან უკირკიტებდი,  
როს წიგნი ეპყრა ხელშია.

მოკედა და იქვე დაეფლო  
გრძალად მოხრილი წელშია.

მე დამჩხა, როგორც მემკვიდრეს,  
მთელი იმისი ქონება:  
წიგნები, სხვა არაფერი,  
მით გავიხსენი გონება  
ცოტად, განა თუ ბევრადა.  
არა მჭირდება ღონება  
წერილის მისაწერადა,  
თუ სადიდებლად უფლისა,  
ან თუ თქმა „მამაო ჩეენოს“,  
საკურთხებელად სუფრისა.

### ୧୧ ଲକ୍ଷ୍ମୀ ପାତ୍ର

ହିତେନାପୁ ଏହ ଗ୍ଵାନଦା ଶିଖରୀଲା,  
ରମେଶ ମିଶ୍ରିଟ୍ଟେରୀର ଶ୍ରେଣୀଲା,  
ଦାରୀଲାନ ଗାମ୍ଭିରାଙ୍ଗନିଲା  
ଅଶ୍ରୀର ଶ୍ରେଣୀକେନିଲା,  
ଶ୍ରୀରତୀଲାର ତାନଦାଶ୍ରୀଲା  
ଶ୍ରେଣୀଲା ଗର୍ଭନଦିତ ନାଦେଖି.  
ଏହ ସତ୍ୟର ଲା ତାନ ମିଶ୍ରିତ୍ତାଲା  
ଶ୍ରୀରତୀଲା ଜିନିଶିଲା ମାନ ଦେଖି.

### ୨ ପାତ୍ର

ଶ୍ରୀରତୀଲାର କେବେଳା? ତୁନିଧ ମନମ୍ବଲାତ,  
ଅମ୍ବିଶ୍ରୀତ ନାକ୍ଷେତ୍ର-ନାକ୍ଷେତ୍ରାଲା,  
ଅନ୍ତର ଦୀର୍ଘବ୍ୟାପ ଆରି ଶ୍ରୀରତୀ ଅଶ୍ରୀଲା  
ମେ ତାଙ୍କିଲ ଗାମ୍ଭିରାରାଲା.  
ମାତ୍ରାଶ୍ରୀ ପୁଣି ଅଥ କ୍ଷେତ୍ରାଲା  
ଲୋକ ଆରା ଗାମ୍ଭିରନିଲା,  
ଲୋକିତ ଆରି ଶ୍ରେମିପାରା କ୍ଷେତ୍ରାଲା,  
ଶ୍ରୀରତୀରୁ ଶ୍ରୀରତୀଲାର ପ୍ରଦମନିଲା।  
ଶ୍ରୀରତୀରୁ ଶ୍ରୀରତୀରୁ, ଶ୍ରୀରତୀରୁ ଅଶ୍ରୀ  
ମନିଲା, ଗାଇମନିଲା。  
ରା ତକ୍ଷେନ ଶାକାରିଲାକିମା  
ଶ୍ରୀରତୀଲାର ଅନ-ଅନିନି,  
ଶ୍ରୀରତୀଲାର ଶ୍ରୀରତୀନିକେ  
ଶ୍ରୀରତୀନିକେ ନାଦିରିତ ବରି  
ଲା ଫ୍ରୀନ୍‌ବ୍ୟେଲ୍‌ର ମନିନି。  
ଅଥ ଦ୍ରାକ୍ଷିଲ ଗାଇଲା କ୍ରିତିରାନା  
ଶ୍ରୀରତୀର ଲା ଜାତୀଯିଲ ଶିବାରାନି,  
ଶ୍ରୀରତୀର ଲା ଶିବିଲ ମେଲିଗାରି,  
ଶିବାରାନିକେ କ୍ରିତିରାନି ଦାରାନି。  
ଶିବାରାନିକେ କ୍ରିତିରାନି ଦାରାନି,  
ଶିବାରାନିକେ କ୍ରିତିରାନି ଦାରାନି,

### ୩ ପାତ୍ର

(ଇମିଲି ମିଲି କିମା ଗାମ୍ଭିରାବ୍ୟୁଷିତାରୁ)

ଶତ୍ରୁଗା, ଶତ୍ରୁଗାରୁକ୍ଷେତ୍ର ମେ ତକ୍ଷେନ  
କ୍ଷେତ୍ରାଲା, ଶତ୍ରୁଗାରୁକ୍ଷେତ୍ରାଲା, ଶତ୍ରୁଗାରୁକ୍ଷେତ୍ରାଲା,

ნუთუ სხევა სახსარს ეერ ჰპოვებთ,  
 თავს გაუწიოთ მცველობა?  
 დაკარგეთ მანდით ეგ უშნო,  
 წაიღოს თავის ხელობა;  
 ცოდვა არ არის ბრჯლალითა  
 მაგანა ჯიჯგნოს ერთობა?

### მყინვარი

მართლაც, სასვაოდ რადა ვხდით  
 ჩვენს აზრს და ჩვენსა გრძნობასა?  
 სვავების შემაცქირალი  
 მთა როგორ იზამს მთობასა?  
 ჩვენ საკუთარი შიკრიკი  
 გვყავს, ის შაიძლებს თხრობასა,  
 მას დავაბაროთ, ერთს წამში  
 ბარს ის მიუტანს ცნობასა,—  
 ყველაფერს დაწერილებითა  
 უმწიკვლო ენა-პირითა,  
 იმ გვარად, თითქოს მიუგდოთ  
 აქედან წყალი მილითა.

### ია ლ ბ უ ზ ი

ეგ რომელ შიკრიკზე ამბობ,  
 მე როდი მესმის სწორედა?

### მყინვარი

ჩვენს ასულს ნიავზე ვამბობ.  
 რომ მოსისინებს დონედა:  
 მოზრდილი მხრები შეისხას  
 მაგრა და, არა ფონედა,—  
 გადიქცეს მხვივან ქარადა,  
 იქროლოს ყოველ მხარესა;  
 უამბოს დანაბარები  
 მტირალს და მოხარხარესა.

ვგონებ რომ საქმეს უკეთესს.  
 ვერ ვიზამო მოსაგვარებსა!  
 სვავი გავეგზავნოთ, წავიდეს,  
 იფრინოს მოების არესა,  
 ესტუმროს წმინდა სენაქსა,  
 ულოცოს თავის მთვარესა.

### მ თ ე ბ ი

(ერთად)

ეგ რა კარგი სოქვი! უკეთესს.  
 ჩვენ ვის რას დავაბარებთა!  
 ეხლავ მოუხმოთ, სათქმელსა  
 რასაც კი დავავალებთა,  
 ვუამბოთ ჰაეროვანსა  
 ჩვენს ასულს, ტანად საროსა,  
 ეს იალბუზმა თვით იცის,  
 რაც უნდა დააბაროსა.  
 სვავო, შენ გასწი, იფრინე,  
 მიშედე თავის ალოსა.

სვავიც აღგა და გაფრინდა,  
 გამოეთხოვა კრებასა,  
 დახანხალებდა ცაშია  
 გულ-დინჯალ, ნება-ნებასა.  
 არც წყევლას ამბობს მოებისას,  
 არც თუ იტყოდა ქებასა;  
 იგი ფიქრობდა, თუ სვავებს  
 სიომე მისცემდა შვებასა.

მთებმა კი ხმითა ტებილითა  
 მოუხმეს ნიავს თვისთანა.  
 ათრთოლდა მთელი ჰაერი  
 ხმელეთითა და ციდანა.  
 ჰიტველად გამოიქუხა  
 სპეროზიაის კლდიდანა;  
 შემდეგ დაიწყო მოდენა  
 წყალივით ყოველ მხრიდანა.  
 აღის და დაღის მთათ მკერდი-

წითლად, ყვითლად და მწვანედა,  
 ჰსუნთქავენ მთები... არყები  
 იღმიჭებიან მწარედა.  
 ბალახ-ბულახი, ყვავილნი,  
 რაც მთებს აკრია გარეთა,  
 ზოგი ისწორებს კაბასა,  
 ზოგი ივარცხნის კავებსა,  
 სხეანი კი იზმორებიან,  
 მაღლა ჰყაყვავენ თავებსა.  
 ისმის ნიავის ფეხის ხმა,  
 როგორაც ქედნის ლულუნი.  
 იმასთან შენაწონები  
 ყვავილ-ბალახთა დუდუნი.  
 გაცოცხლდა მთელი ბუნება, —  
 მკვდარმა დაიწყო ჩუჩუნი.

## ი ა ლ ბ უ ზ ი

(ნიავს)

მოხვედი, შვილო? იცოცხლე!  
 ყური დაუგდე მამასა. —  
 ნიავიც შედგა, დასწია  
 მაღლა აწეულს კაბასა,  
 ყური მიაპყრო მშობელსა,  
 რას უამბობდა აჩავსა.  
 და იალბუზიც დინჯადა  
 ასულს მოუყვა ამასა:

შენ უნდა ბარად ჩახვიდე  
 და მოვლო ყოველ კიდესა,  
 უთხრა მთათ დანაბარები,  
 ძველს გზას არ გადავიდესა,  
 კაცების ერთობაზედა  
 თავის რჯულს არა სცვლიდესა,  
 წესს, კანონს უფლის დადებულს,  
 ძალიან მტკიცედ სცვიდესა.  
 ავი და კარგი იგუოს,  
 თუნდ ჩირად არა ლირდესა;

მოთმენა ჰქონდეს იმისა,  
 რაც უნდა კირი სჭირდესა.  
 ჩვენ, უენ-პირო ბუნება,  
 სხვა გართ, კაცთაგან ესხვავდებით:  
 მეტი მადლიც გვაქვს, მოთმენაც,  
 ძალიან არა გცხარდებით,  
 როცა რამ უსამართლობა  
 ხდება შემთხვევით, ან ნებით.  
 და კაცთაც, ჩვენის მადლითა,  
 ყველაფრად გამოვადგებით.  
 კაცთ ვერ დაუგმობთ დრტვინვასა,  
 რადგან ცხოვრება კაცების  
 გამხდარა მხოლოდ სადავლოდ  
 ძალ-მომრეობის, ტაცების.  
 თუ თავად არა უშეველეს,  
 კაცთა სიცოცხლე გაცვდების.  
 ჩვენი ბუნება სხვა არი,  
 მას კაცებისა ვერ სწვდების.  
 ჩვენში ზომა აქვს უცვლელი  
 გაჩენასა და სიკვდილსა,  
 ფრინვლისგან ფრინვლის მოკვლასა  
 მით არ ვეძახით სირცხვილსა.  
 უზომოდ ავის ჩადენით  
 წინ ვერვინ იწყებს სირბილსა.  
 უხამსობამდის არ მიღის  
 მთის მტაცებელთა ზნეობა,  
 და მიტომ არავინ სწყრება,  
 არვის აკლდება მთნეობა.  
 შევსება მოსდევს დანაკლისს,  
 არსად ატყვია მკლეობა.  
 სავსეა ფრინველ-ნადირით  
 მთები და იმათ ხეობა.  
 ჩვენის ცხოვრების სასწროისა  
 ულელი მუდამ სწორია,  
 მით კაცთა ცხოვრებაზედა  
 ჩვენიდან ძლიერ შორია.  
 ამიტომ ამას გაბარებ:

რომ მოვლო მინდობ-გორები,  
 ვიდრე ბარს არ ჩააგონო  
 კარგად, ნუ გაეშორები.  
 თან ეს უთხარი, ნაყოფსა  
 ტყე, წყალნი, ჭალა ველები  
 უხევდ აძლევდენ კაცო საზღოს  
 და იყვნენ მისი მცველები.  
 ტანი რაღ გვინდა მარტოკა,  
 თუ არ გვასხია ხელები?  
 ბუნებას, უფლის ნაყუროსსა,  
 რას უხამს ტურა-მელები?  
 რა ეს სთქვა, მთებსაც შაქსმათ,  
 რომ იყვნენ ლამის მთევლები.  
 დალაგებულთა ჯარადა  
 მყის გაისწორეს წელები,—  
 ვაშა დასძახეს ერთხმადა,  
 მალლა აძაბეს ყელები.  
 ეხვევათ უბე-კალთებზე  
 წყველიადის სხივის გველები,  
 ღაპბრუნაეს ბარსა ნიავი,  
 მთებიდან დანატევები.

## ამირანი

(ისმის მისი ხმა კლდიდან)

კარგნი ხართ, მთებო, დიალაც  
 სიტყვა სთქვით დასჯერები,  
 მაგრამ თქვენც აღამიანსა  
 ბევრჯელ დაუზრეთ ქერები.  
 გეწყინოთ, ვიტყვი მართალსა,  
 ვერავის მოვეფერები:  
 რამდენჯერ აღევებული  
 გაპგზავნეთ აქით ხევები,  
 რამდენი კაცი დაარჩო,  
 რიყედ აქცია ველები  
 და გააუქმა საწყალთა  
 მშრომელთა კაცთა ცელები.

ბევრს დაუქცია სახლ-კარი,  
 შლამით აუგსო ქვევრები.  
 თუ საღმე სამართალია,  
 თქვენცა ხართ დასარბევები.  
 ვაი რომ შებორჯილი ვარ,  
 მტარვალთა ვეღარ შევები,  
 თავის ნებაზე მაშინა  
 ვერ გატარებდნენთ დევები.

ხმა როდი გასკეს ჯიუტსა  
 მოებმა შეუდრეველს ბიძასა.  
 იცნობენ იმის ხასიათს,  
 მიჰმართეს თავის ბინასა.  
 იდგნენ თავ-თავის ადგილას,  
 რომ შაგეხედხა დილასა —  
 ისევ იმ წესით, იერით,  
 როგორაც ამას წინადა:  
 წარბ-შეუხერელად, შუბლ-შეკვრით,  
 გუცინარად, ციფადა.  
 მხოლოდ იმ ღამეს, როდესაც  
 მოებმა გაგზავნეს შიკრიკი  
 ბარად... იალბუზს ეწვიონენ,  
 მოძებნეს ძველი ბილიკი,  
 საიშიოდან მრავალი  
 ჩვეულებრ წმინდა სულები,  
 ქვეყნის საშეელად, სამწეოდ  
 უდროვოდ გარდასრულები,  
 შემოქრებენ მთისა თხემზედა,  
 ძაძითა შემოსულები.  
 დამწერივდენ გულ-ხელ დაქრეფით,  
 დაიწყეს ტკბილი გალობა:  
 „უფალო, დამბადებელო,  
 მთა-ბარს მოპნიჭე წყალობა,  
 აცხოვრე ბედნიერადა  
 და ააცილე წვალება.  
 და მოუხდინე კეთილად  
 ცუდისა კარგზედ ცვალება.

ნუგეშმცემელად ეყავი  
 დაჩაგრულებსა ცველათა.  
 თავისუფლების გვირგვინი  
 დაადგი კარგის მცველადა.  
 დათრგუნე უსამართლობა,  
 გამეფებული ქვეყნადა.“

### ა მ ი რ ა ნ ი

(ხმა კლდიდან)

ყველამ თავის თავს უშველოს,  
 ყოფნამ სხვის შველის ამარა  
 მე არა მარგო, ნაღველმა  
 მხოლოდ გულ-მკერდი დალარა.  
 ძალის შეძენა გვიშველის  
 მეც და სხვას, ვინაც ტანჯულა  
 მართლა, თუ უსამართლოდა,  
 სხვა არა გამონახულა  
 მის გარდა საშუალება,  
 როგორც მიცნია სოფელი.  
 ხომ მხედავთ, რა ყოფაში ვარ  
 ქვეყნის კეთილის მყოფელი, —  
 ხალხისთვის თავდადებული,  
 როგორც შვილისთვის მშობელი?!

(სულებს)

ახ, თქვე საწყლებო, საწყლებო,  
 თქვენ უფრო მტანჯავთ გოდებით,  
 მომკალით ბარემ ერთხელა,  
 მოდით, ჩამქოლეთ ლოდებით!  
 რად მინდა უქმი სიცოცხლე,  
 მოუხმარები ძალ-ლონე?  
 მიშველეთ, აბა ვინა ხართ  
 ჩემის ვედრების გამგონე?  
 თქვენც, ქვეყნის ბედიც, მტრებიცა  
 ყველა ჩემი ხართ დამლონე!..

ცისკრის ხანია, ბარიდან  
 იწყეს ნისლებმა მოდენა.  
 გროვა და გროვა, შავ-ფერი,  
 ცა და ხმელეთის ოდენა  
 მოგორვენ, როგორაც მთები,  
 ერთი მეორის გვერდზედა,  
 თან უინული მოსდევთ და სიო,  
 დალაგდენ მთების მკერდზედა,  
 იმასა ჰგვანდა, თითქოსა  
 მთები სხდებოდა მთებზედა.  
 თან მოაქესთ ოხერა და კვნესა,  
 ხალხისა უივილ-ხივილი,  
 თან წამოელოთ მთებისთვის  
 ხალხისა გულის ტკივილი.  
 გადაეხურა, ვით ძაბა,  
 მთებს ჯანლი პირით-პირამდე:  
 არც აეს ამბობენ, არც კარგსა,  
 სულ სდუმან კვირით-კვირამდე.  
 ბარსა უმალვენ სახესა  
 თხემებით დაბლა ძირამდე.  
 უნდა ვუცადოთ ამირანს,  
 გამოუშვებენ მინამდე.  
 მაგრამ საღა და როდისა?  
 მისვლა გაჭირდა შინამდე.

1908 წ.

## დ ე დ ა - შ ვ ი ლ ე ბ ი

(თქმულება)

### შვილები

დედავ, გვიამბე,  
 რა ჰქნა წერომა?

### დ ე დ ა

რა უნდა ექნა,  
 მოპქლა ბერომა.

### შვილები

გვითხარი, მერე  
 სხვა რალა მოხდა?

### დ ე დ ა

ტყვია რომ მოპხვდა  
 და წერო მოკვდა,  
 დაავლო ხელი,  
 გასწია შინა...  
 გამოეგებნენ  
 ბალები წინა,  
 შეექნათ დიდი  
 ყვირილი, ლხენა,  
 ჰსურდათ ყველასთვის  
 წერო ეჩენათ:  
 „რა მოგვიტანა  
 ჲა, მამამ ჩენა!  
 უყურეთ ერთი  
 ამის ფეხებსა,  
 დავარცხნილს ქოჩორს  
 და ღიღრონს მხრებსა!

ମନ୍ଦିର, ଗାସିନ୍ଧୁର  
 ମିଳି ନିଃକାର୍ତ୍ତି,  
 ଶିଥ ଲାକରିହେବିବା  
 ମିନ୍ଦୁରିଲି ଫିର୍ମାତ୍ତି,  
 ରାମ ଉଦ୍‌ବନ୍ଦି,  
 ହେବିବିବିଲି ସାକ୍ଷି  
 ଏଣ ଉତ୍ସବବନ୍ଦି,  
 ସାର୍ଥିଯାଲି ଫିର୍ମାନ,  
 ବେଲାର ମନ୍ଦିର!..“

### ଶ୍ଵାଙ୍ଗେବି

ମେରେ ରା ମନ୍ଦିର?  
 ବିଜୁ ଗ୍ରେଟରାରି.

### ଧ ଏ ଧ ୧

ତ୍ୟବିଲି ବାସିମେଲି  
 ଗାନ୍ଧି ଦିନ-ମିଥ୍ୟାରି.

### ଶ୍ଵାଙ୍ଗେବି

ରାଧା, ରିସଟାରିଂ?  
 ଶୁରୁ ଦିନ  
 ଗିନମ୍ବିତ ମିଳିବିଲା?

### ଧ ଏ ଧ ୨

ଶିଖରେଇ ଦିନ,  
 ତୁମ୍ଭା ଦେଖିବା  
 ଏଣ ଏହି ବିଶ୍ଵାସ.  
 ଲାଲିନିଦି ରାମଗାନ୍ଧି  
 ଫିର୍ମାନ ଏଥିବନା;  
 ମନ୍ଦିରିଲା ଫିର୍ମାନି  
 ଲୁହିବିଲି ଏତ୍ତବନା.  
 ଦାନିଲା ଅନ୍ଧବନା:  
 “ମେ ରା ମେଘବନା,  
 ଫିର୍ମାନ, ପୁରୀତାପ  
 ଏଣ ଗାମେଘବନା,  
 ତୁ ଏହି ଦ୍ଵାରାଦ  
 ଦାନିଜଦେବବନା,

ნანატრი ავად  
ამიხდებოდა.“

შეილები

განა რა მოჰქდა?  
განა რა წაჰქდა?

### დ ე დ ა

იმასაც გეტყვით...  
რა ცეცხლი გერტყმისთ  
უთმენლობისა?  
ვინც უთმენია,  
ვერ უთენია  
იმას ლამენი.  
მრავალ არიან.  
ამის მოწმენი.

ბდლენიან წეროსა  
და ერთს ლეროსა  
მის ბუმბულისას,  
ვით სუმბულისას,  
ცოლი, ქალ ები  
და თვით ბალლები,  
არ გადაჰყრიან,  
კალთაში ჰყრიან.  
უცდის ბეროცა,  
ხორცი არ უნდა;  
სხვა რამისათვის  
ის უფრო სწუხდა.  
მას უნდა მხოლოდ  
წეროსა კუჭი,  
მარგალიტისა  
იქ ერთი ბლუჯი.\*  
ბალლებს ალალებს  
მარტო ჯიჯია,

\*) მდაბიო ხალხს სწამს, რომ წეროს კუჭში მარგალიტი იპოვება.

თავზე დაჭხარის  
გოგო, ბიჭია,  
გაბტყვნილსა წეროს, —  
გადასცეს ბეროს.  
გამოწლა მანა,  
გაუსო დანა  
და ამოიღო  
ის, რაც უნდოდა.  
პირჯვარს იწერავს.  
მერე კუჭს ჰსერავს.  
ღმერთო, რას ჰხედავს?!  
მარგილიტია  
შიგ კაქლის ტოლა,  
სულ დაავიწყდა  
ცოლ-შვილის ყოლა,  
ბალლივითა ჰხტის  
სახე-წითელი,  
იზრდება ტანით,  
როგორც წიფელი:  
„რა ამბავია,  
ღმერთო, შენს მადლსა!  
სჩანს, არ გასწირავ  
შენ საწყალს კაცსა!“  
ამას ამბობდა,  
იმას არ სცნობდა,  
რომ სტყუვდებოდა  
დიდად საწყალი.  
როდი იცოდა, —  
ბოლოს იტყოდა,  
ღმერთს რა ფიქრი აქვს,  
რა სამართალი!

### შვილები

რაში მოსტყუვდა,  
რომ გაუხარდა?

## ღ მ ღ ა

მიტომ, შვილებო,  
 რომ გაუმწარდა  
 პოენა თვალისა,  
 ძვირფას ლალისა.  
 იმავე ლამეს,  
 წერო რომ მოჰკლა,  
 და რა დღესაცა  
 იგი გამოსწლა,  
 გამოეთხარა  
 სწორედ ის თვალი,  
 რითაც გაჰქედა  
 თოფსა მიზანში, —  
 წეროს მოარტყა  
 ტყვია ჩიჩახვში.  
 თამარ - ნეფელა  
 ნახა სიზმარში  
 სწორედ იმ ლამეს...  
 წყლულის ტკივილი  
 ძლივს დაუამეს.  
 ბრალად ჰყეიროდა...  
 „ვაჭ, თვალი, თვალი!“  
 უწუხდა გული,  
 დაასხეს წყალი...  
 ცოლი მკითხავთან  
 დილით გარბოდა.  
 როცა დაბრუნდა,  
 ამას ამბობდა:  
 „მკითხავმა რა სთქვა,  
 გაიგეთ, იცით? —  
 ნათქვამს ამოწმებს  
 ხატ-ღმერთის ფიცით: —  
 ვუამბე მასა,  
 როგორაც დასა,  
 თვალზე ყოველი,  
 სიზმრის ნახვაცა,

ამბავი მთელი,  
 და იმან ეს სთქვა,  
 არ რაიმე სხვა,  
 სანთლებს გაჰქედა,  
 ალში ჩაჰქედა  
 და იქა პნახა  
 თავად თამარი,  
 რომელმაც უთხრა  
 სიტყვა ამ გვარი:  
 — „ის მარგალიტი  
 ჩემია, ჩემი.  
 როცა შავ ზღვაში  
 ჩავუშეი გემი,  
 ხონთქართან მქონდა  
 ფიცხელი ომი,  
 მაშინ დაუკარგე,  
 გვირგვინს ამიწუდა,  
 აქ მომიტანონ,  
 მე თავად მინდა.  
 სად ვიპოვნიუ  
 ჩიგარდნილს ზღვაში  
 და ეხლა ღმერთი  
 მიბრუნებს ახში,  
 რაკი ჩაუგდო,  
 წეროსა ყბაში  
 და მის წყალობით  
 გამოჩნდა ხალხში!  
 ხომ იცით ჩემი  
 სადგური ფშავეში,  
 და სალოცავი  
 არაგვის თავში,  
 იქ მოიტანეთ  
 და გაღმოაგდეთ.  
 იმ ქვა-ლორლებში  
 ეტოლოს იგი,  
 სად ნანგრევების  
 რიგს მისდევს რიგი —

ଶାଦାକୁ କୈରିଲେ ଲାଗି  
ନିବ୍ରାତ ମତିଲା,  
ମମାଶା ଏହି ଶଫ୍ରାଙ୍ଗିଲେ  
ଲାଲାଟିର ମମିଲା;  
ଗୁଣଦିଲେ ଲା ଗୁଣଦିଲେ  
ମତେଲିଲେ ଜୀବିଲା  
କେମିଲେ ଶାଦିଲେବଲାଲେ  
ଲେଖିଲେବଲେ ମଲେରିଲେ.  
କେମି ତ୍ରୟାଲିତ ନାହିଁଲେ  
ଉତ୍ଥମେନଲାଲେ ଏଲିଲେ.  
ଶାଦାକୁ, ବିଲାକୁ ରା ଅଜ୍ଞାଲେ  
ମମାଜ୍ଞାଲେ ଲା ମହିରାଜ୍ଞାଲେ,  
ଶୁଣିକୁ କେବଲେବଲେବଲେ,  
ମେ ଏହି ଗାମଛିରାଜ୍ଞାଲେ!“  
ଏ ରା ଉତ୍ଥବରା  
ମୃଜିତବାଜିମା ପ୍ରାଣିଲା,  
ଲା ପ୍ରାଣିମା କିଷେବ  
କମାରିଲା ନାହିଁଲା.  
ଏହି ଆଶରୁଲା  
ବିଦର୍ଜ ଧରିବାନ୍ତରିବା,  
ଏହା ଶରୀରରେ  
ଦେରିଲେ ଚିତ୍ରାଲେବା,  
ଶିଥିମାରିଶି ମୁଦାମ  
ଶୁଦ୍ଧିବଲେବା ଶିଖିଲେବା,  
ତାଙ୍କିଲେ ଲା କିମିଶି,  
କିଲେରିଶି ଶ୍ରୀମିନ.

### ଶ୍ଵିଳେଖଣି

ମାତ୍ର, ଚିତ୍ରରିଲେ ମନ୍ଦିରିଲା  
ପ୍ରାଣିଲେ ପ୍ରାଣିଲା,  
ରାମରିଲୁ ରାମରିଲୁ,  
ଧେରାକୁ, ଶେବ ଲାଲେଲା?

ଧ ଏ ଧ

ତକ୍କିଲେ ପିପିତ, ନାତକ୍କିଲେ  
ରାମରିଲୁ ରାମରିଲୁ,

მხოლოდ გახსოვდეთ  
 ნათქვამი ესა,  
 ჩემო შვილებო,  
 ჩემო ტკბილებო,  
 აგშორდეთ ტანჯვა,  
 აგშორდეთ კვნესა!

1910 წ

## საშობაო ამბავი

(თქმულება)

I

ლარიბი არი გეგენა,  
 როგორც ზამთარში მინდორი,  
 რომ ცოლ-შვილს პური აჭამოს,  
 შეძლება არ აქვს იმდონი.  
 ჩაცმაზე ვინდა რას იტყვის?  
 ტანზე აკვიათ კონკები  
 ცოლსა და შვილებს ერთგვარად,  
 სანავეეს მონაპოვები.  
 ხარი არა ჰყავს, არც ფური,  
 თითქმის არც ერთი ქათამი;  
 სახლში არ უჩანს არც ქვაბი,  
 არც საფხეკელი, ასტამი,  
 და ქოხს, გადახრილს გვერდზედა,  
 ხელს ახლებ—გააქვ თამთამი.  
 დღიურის ნამუშავარით  
 იგი სულს უდგამს ცოლ-შვილსა.  
 წამს მოსვენება არა აქვს  
 გეგენას, წელში მოხრილსა.  
 ცოდვას არ იზამს არაფერს:  
 ლმერთი აშინებს ძალიან,  
 ლოცულობს გულ-მხურვალედა,  
 დროს რომ იხელთებს, სცალიან.  
 ლარიბებისა ლვთის მიმართ  
 მას ესმის აურ-ზაური;  
 თვით არ ემდურის, თუნდ წლამდე  
 ვერსად იშოვოს შაური.

## II

ხვალ შობა არი, სოფელში  
 მზადება, ფაცა-ფუცია,  
 ყველა იმას ჰქლავს, რის დაკვლაც  
 სოფლის კარს გულში უძია.  
 სამუდამოდა ღორს თუ ცხვარს,  
 ბევრს თვალი დაუხუჭია.  
 დიასახლისებს უპყრიათ  
 ხელში ბატ-ქათმის კუჭია.  
 გეგენა ოჯახობითურ  
 მიყუჩებულა, მუნჯია:  
 რა დაკლან, რა გამოაცხონ,  
 როს ბედი მათთვის ძუნწია?:!  
 ცეცხლი უნთიათ კერაზე,  
 ზედ უძევს დიდი კუნძია.

მჭადი თუ ექნათ ხვალისთვის  
 და ზედაც წყალი სასმელად,  
 ღმერთს შესწირავენ მადლობას,  
 არაფერი აქვთ სათქმელად.

დალამდა, თოვნაც დაიწყო,  
 ქარისა ისმის ზუილი;  
 ასკდება, ჩამოვარდნილი  
 ქარიდან, მგლების ყმუილი  
 ქოხის კედლებს და კერასა,  
 როგორც საქონლის ზმუილი.  
 იქ საქონელსა რა უნდა—  
 ოცნება არი ტყუილი!..  
 ცეცხლის ილიცა ბარბაცებს  
 მთვრალივით აქეთ-იქითა,  
 თითქოს უსეია კახური  
 ჯიხვით და არა ჭიქითა.

## III

გარედან ისმის ძახილი,  
 არაკუნებენ კარებსა:

„მომხედეთ, კაცი ვინა ხართ,  
უმწეოს, შესაბრალებსა!“  
 გეგენამ კარი გააღო,  
 გაიცქირება გარეთა;  
 წინ უდგას ვინდაც გლახაკი,  
 დალონებული მწარედა.  
 ყელს უწევს, ემუდარება:  
 „მგზავრი ვარ შორის გზიდანა,  
 მისტუმრე, აგრემც უფალი  
 წყალობას მოგცემს ციდანა.  
 სასმელ-საჭმელი არ მინდა,  
 ოლონდაც მქონდეს საფარი, —  
 ოლონდაც გავთბე ცეცხლზედა,  
 მგზავრობა-გაღმონაყარი.“  
 — მობძანდი, შენი ჭირიმე,  
 ვაპმე, მომიკვდა თავია!  
 სტუმრის მილება სახლშია  
 ეგრეც თუ ძნელი არია?!  
 მობძანდი, ძმაო, მობძანდი! —  
 ებლაუჭება გეგენა,  
 წინ მიუძლვება ცეცხლისკენ,  
 თან მგზავრი მიჰყავს ნელ-ნელა.  
 — ლარიბ-ლატაკი კაცი ვარ,  
 გული კი ლმერომა იცოდეს!  
 ვინ არის, გულის პასუხსა  
 კაცისას გამოიცნობდეს?  
 მცხენიან, რა ვქნა, რა გიყო?  
 რით გიმასპინძლო ან კია?  
 ძირს რა დაგიგო, დაგხურო? —  
 სთქვა, თავი გადაარწია.  
 „რადა სწუხდები, მეც თავად,  
 მხედავ, კაცი ვარ გლახაო,  
 მარტო ცეცხლზე რომ გამათბო,  
 სიკეთედ დაგინახაო,  
 დიდ სიკეთედა. ნუ ამბობ,  
 რა სათჭმელია ეგაო,  
 ბოდიშის მოხდა მეტია,

შენს სარჩოს თვალით ვხედაო.” —  
უთხრა პასუხად სტუმარმა,  
კვნესით ჩამოჯდა კერაზე:  
„ცეცხლი ამ სიცივეშია  
საამურია ყველაზე;  
გარეთ სიცივე მომკლავდა,  
ეს ჩიმთვის დიდი მაღლია,  
ბედნიერი ვარ ფრიადა,  
მე არაფერი მაკლია.”

გეგენა იხდის ფარაჯას,  
ბეჭებზე ახვევს სტუმარსა,  
სჭუჭავს და ოვზე ევლება  
თავ-დაკიდებულს, მდუმარსა.  
თუმც მეტის ლოლიობისთვის  
გლახაკი ეტყვის მდურვასა.

ყველა — დიდი და პატარა —  
ოჯახის უფროსს ჰბაძვენ  
და არ იციან, ვით დაპხვდენ,  
სტუმარს ღმერთადა ჰსახავენ!  
ერთი ფქებს ჰხდის, მეორე  
უფრო თბილს ადგილს უმარჯვებს  
და, თუ რამ მოეპოვება,  
მხრებზე დასათბობს უმატებს.

„ღმერთმა გიშველოსთ, ჩემს ნაცვლად  
იქნებ მან მოგცესთ წყალობა,  
ვივედრი, თქვენს საწყლობასა  
მან გაუწიოს წამლობა.“

თავად თუმც ჰშიანთ, მაგრამა  
მჭადი სულ სტუმარს მიართვეს  
და უხარიან ყველასა —  
მშიერი კაცი გააძლეს.  
შემდეგ მის მოსასვენცბლად  
თბილი ლოვინი გააწყვეს.  
თავად-კი მშივრები დაწვნენ,  
რა გადიწერეს ჰირჯვარი.  
ეძინათ, ვიდრე განთიადს  
თან მოჰყვებოდა ცისკარი.

## IV

პირველად გეგენა აღვა  
 და გადაჰქექა ნაცარი,  
 ცეცხლისა შესანახადა  
 ნაკვერჩხლებზედა ნაყარი.  
 დაანთო ცეცხლი. განათდა  
 ქოხი და ქოხში რაც არი;  
 გაოცდა მეტის-მეტადა,  
 სურათი ნახა საზარი:  
 იმის ქოხისა კედლები  
 თეთრია, როგორც საყდარი,  
 საცენა სანოვავითა,  
 რასაც ინატრებ, აქ არი,  
 მაგრამ ლოგინში სტუმარი,  
 უყურებს, ალარსად არი!...

1910 წ.

## სვინიდისი

I

ჯერ ისევ სველი —  
 ძმის სისხლით — ხელი  
 ჰქონდა ძმის მკვლელსა,  
 ცოდვისა მქნელსა.  
 თან აქვს იმედი,  
 რომ მისი ბედი  
 აყვავდებოდა,  
 წყენა პირველ მკვლელს  
 აღარ ჰქვდებოდა.  
 დამბადებელი  
 შეიყვარებდა,  
 საბრალო კაენ  
 გაიხარებდა.  
 მკვლელს პნახავს ღმერთი  
 მხოლოდ მაღლითა  
 და მის ცხოვრებას  
 მოჰრწყავს მაღლითა.  
 კაენის გული,  
 საესე შურითა  
 და შელესილი  
 ფისით, მურითა  
 გათეთრდებოდა.  
 როკა ძმის ხელით  
 აბელ კვდებოდა,  
 სიპისა ქვითა  
 ძმას თავს რომ სჭრიდა,  
 ატირდა ცაში  
 ვარსკვლავთა კრება,  
 ანგელოზთ გუნდიც  
 მათ გვერდით კრბება.  
 თვალთაგან ცრემლსა

წვიმასებ სცრიან  
 და ნორჩ ბუნებას  
 ტირილსა ჰევრიან.  
 ზეცაში ზარი  
 ნელ-ნელა იკვრის,  
 „მოასვენებენ  
 მკვდარს“ ეს ხმა ისმის;  
 „სიკვდილი! მკვდარი!“  
 სამყარო იძერის.  
 ეს საზარელი  
 ჩვენ შორის სიტყვა,  
 პირველად იმ წუთს  
 და იმ ღროს ითქვა.  
 ბოროტ სულთა ბრბო  
 ახლო ხარხარებს:  
 ერთი მეორეს  
 იმას აბარებს,  
 რაც ეშმაკთ მოდგმას  
 დიდად ახარებს.  
 მაშინ შეინძრა  
 ფილრონი მთები  
 და აბობოქრდა,  
 აღელვდა ზღვები.  
 ტყე იღვრებოდა  
 ცხარე ცრემლადა,  
 ყვავილოვანი  
 მწვანე ველადა.  
 ნადირი ტყისა,  
 თევზები წყალთა,  
 ყოველი არსი  
 მთათა და ბართა,  
 ყველა შფოთავდა,  
 ყველა კვნესოდა,  
 ეს შემზარავი  
 ხმა რომ ესმოდა.  
 ააკანკალა  
 „სიკვდილმა“ ყველა

ბუზი-ბზუილა  
 და ჭიანჭველა.  
 ისმის ტკრციალი,  
 დიდი ზრიალი  
 მეტყველ, პირ-უტყვთა  
 ყოველ მხარესა;  
 და მაშინდელი  
 ჯერაც ატყვია  
 ჭუჭყი და მური  
 ცაზე მოვარესა.  
 აბელის სისხლი  
 იქცა დიდ ტბადა,  
 ნისლმა შესუტა,  
 ავიდა ცადა.  
 შემდეგ ამ ნისლმა  
 მთელი ქვეყანა  
 მორწყო სისხლითა  
 უხვად ყველგანა.  
 მას აქეთია  
 უძლურს ძლიერი,  
 როგორაც ცხვარსა  
 მგელი მშიერი,  
 ჰმუსრავს და ჰყლაპავს.  
 ხელეთი სრულად  
 ზღვაა სისხლისა  
 და არ იწყნარებს  
 სჯაბნის ვინც ვისა.  
 კენესით შობილნი  
 კვნესითა ვკვდებით,  
 მიწის საჭმელად  
 ბოლოს უამს ვხვდებით.

## II

მკულელს შუა გზაში  
 დაეცა თავში  
 ლოდისა მსგავსი  
 უჩინო არსი.

ჩავიდა გულში,  
ჩაუძვრა სულში,  
მთელს მის არსებას  
ჩავლო ბრჯლალი.  
უწყალო არი,  
სახე აქვს მწყრალი.  
ვისაც ეწვევა,  
ვაჯ მისი ბრალი!..  
ამბობს ენითა —  
ქენჯნა, კბენითა,  
ხან ტირილს იწყებს  
ცრემლის დენითა.  
პბაქავს და ებრძვის  
ხმა იღუმალი:  
„ბედკრულო! აბელ  
რისთვის მოჰკალი?“  
კაენი სწყრება,  
ჯავრობს დიდადა.  
ველარა ჰსუნთქავს  
იგი მშვიდადა.  
მან სამდურავით  
მიჰმართა ლმერთსა,  
წინაშე უფლის  
ემდურის ბედსა:  
„ეს დამაშორე,  
მეუფევ, შენა,  
რამაც ჩემს გულში  
აიდგა ენა.  
მაკმარე, ლმერთო,  
იმ ხმისგან წყენა.  
სიცოცხლე მწყურა  
მშვიდი და ნაზი,  
არ მომივიდეს  
არაზე ბრაზი.  
არ მინდა ვიყო  
მე დარდის ბუდე:  
მტკიოდეს რამე,

რაზეღმე ეწუხდე; —  
 სიცოცხლე უნდა  
 სიცოცხლეს ჰგვანდეს,  
 მწარე ფიქრები  
 გულს არა სწყლავდეს.  
 აბა, რასა ჰგავ  
 ესეთი ყოფნა:  
 შემდეგ ლხინისა, —  
 ტირილი, გლოვნა?  
 აბელს რომ ვკლავდი,  
 ვიფხანდი გულსა,  
 ვიოჩენდი მითი  
 დიდის ხნის წყლულსა.  
 ეს ლხენა მხოლოდ  
 წუთისა იყო:  
 წინა დღის შვებამ  
 ბოლოს რა მიყო?  
 — სარჩობელაში  
 თავი გამიყო...  
 მაშინაც ეს ხმა  
 აბორგვდა, მწვრთნილა.  
 აბელის მოკვლა  
 ძალიან სწყინდა,  
 „ცოდვაა“, — ამას  
 მეუბნებოდა,  
 „ნუ, ჰკლაო, ნუო!“ —  
 მეურჩებოდა.  
 და დღეს ფიქრები  
 ჩემი მენვე მსჯის,  
 მთელი სხეული  
 მიშფოთავს, მითრთის.  
 უნდა დავიხშო  
 ეს მეორე ხმა,  
 სინანულისა  
 რაღაც გულის-თქმა.  
 რის კაენი ვარ,  
 თუ ვერ შევძელი,

მას, რაც ჩემშია,  
დავრიო ხელი?!

### ხმა ციდან

გაჩუმდი, ნუ ხარ  
ავი და ბრიყვი,  
ჰმიეთ-ჰმოეთობ,  
ურცხვო, რას იტყვი?  
დიდი საუნჯე  
მე შენ მოგეცი,  
რომ ამემალლე  
მოსისხლე მხეცი.  
შენ-კი დასწიხლე  
ეგ მაღლი დიდი  
და სჩივი, სული  
რომ არ გაქვს მშვიდი.  
შე უბედურო,  
მით ღმერთს აგინებ,  
როს შენს მწვრთნელს ხმასა  
ეგრე აყივნებ.

### კ ა ე ნ

ავი გდომნია,  
უფალო, ჩემთვის,  
როდი ვიცოდი  
საბრალომ დლემდის.  
დლეს ამას ვფიქრობ,  
რომ შევიძლებდი,  
სიდან როგორმე  
ხელს ჩავკიდებდი,  
აბელის მსგავს დლეს  
მას დავაყრიდი;  
დავკეპდი წვრილად  
და გადავყრიდი.

କେମା ପ୍ରୋଫେଲ୍

ჩემ მაგიერი  
სმა ცნობიერი  
მოგეც დარაჯად,  
გეგრძნო არ ავად,  
კეთილის მრჩევლად  
იგი გყოლოდა,  
შენ ყური გეგდო  
მისთვის მხოლოდა.  
არ უგდე ყური,  
ჩაიდე შური  
გულში შენ ძმისა,  
აწ გევლინება  
თავს რისხვა ცისა.  
წყეული იყავ  
ამიერიდან,  
საცა კი იყო  
ყოველი მხრიდან,  
წყეული იყოს  
შენის მოდგმისა  
ვისაცა სწყინდეს  
სიკეთე ძმისა,  
კეთილი რჩევა  
კეთილის ხმისა,  
ვინაც არ მიჰყევს  
იმის ნებასა,  
არ ასრულებდეს  
დიდს ღვთის მცნებასა, —  
ლალატს ჰუკიქრობდეს,  
იმასა ბჭობდეს,  
თავადაც მურდლად  
ლალატით მოკვდეს.  
ვიდრე ცოცხალ არს,  
მის გულს შანთები  
არ დაელიოს,  
დასცვას ზალები.

მომავალს დროში  
 სჩანან წყეულნი:  
 ძმების გამცემნი,  
 გადარეულნი.  
 შხამით მთვრალები,  
 მოფარფატენი.  
 თავის სამშობლოს  
 მოლალატენი.  
 რად შევიბრალო,  
 თუ თავი თვისი,  
 უმანკო კრავი,  
 მსგავსება ღვთისი,  
 არ შეიბრალეს,  
 არ დაინანეს,  
 აქციეს ბუდედ,  
 ეშმაკის ზღუდედ?  
 წყეული იყოს,  
 შუა გაიპოს,  
 ვინც არ უფრთხილოს,  
 არ დაუჩრდილოს  
 კაცობას თვისსა!..

## III

მას აქეთია  
 ცხვარი და მელა,  
 რაიც-კი სუნთქვას,  
 ცხოველი ყველა,  
 განიცდის იმ ხმის  
 რჩევას და ძალსა.  
 ზოგი ყურს უგდებს,  
 სხვა პხუჭავს თვალსა.  
 ყურსაც იყრუებს,  
 მას ასუსუებს,  
 და ის მებრძოლი  
 ჩვენს გულში ღმერთი  
 მოვკალით კაცოა...

ტანჯულ-გვემული  
 საბრალო გაცედა,  
 თუმც მის სიცოცხლის  
 ძაფი არ გაწყდა.  
 ღილის ხნისაა  
 უჩინარი ხმა —  
 ღლესაც გვეძახის:  
 „აგერ შენი ძმა,  
 „ჰაა, არ მოჰქლა,  
 „გიყვარდეს იგი...  
 „გახსოვდეს მუდამ  
 „წესი და რიგი!  
 „ნუ იზამ ავსა,  
 „ნუ ჰლუპავ თავსა.  
 „ნუ გაასაღებ  
 „თეთრად შენ შავსა  
 „და არ დაარქვა,  
 „შავს, კაცო, თეთრი,  
 „ამას გენუკავ,  
 „ამასა გვედრი!“  
 ოჭ, ეს საწყილი,  
 მის სამართალი  
 უყურადღებოდ,  
 ობლადა რჩება,  
 მილიონ წელთა  
 განმავლობაში,  
 საკვირველია,  
 რომ არა კვდება, —  
 ისევ მხნე არი  
 და არა სცხრება.  
 ხმა ეს ხალხს ებრძვის.  
 სვინიდისს — ხალხი, —  
 მაზედა ბრუნავს  
 ამ სოფლის ჩარხი.  
 იმის ხელთ განვლეს  
 ხალხთ და მეთეთა,  
 ხარჯის მიმცემთ და

ხარჯის მკრეფეთა.  
 აბა გაპხედეთ  
 საუკუნეთა!  
 ისტორიისა  
 ნახეთ ფურცლები,  
 რამდენი სჩანს იქ  
 კარგი,—ურგები,  
 ფრანგ-ინგლისელნი,  
 სპარსნი, თურქები,  
 მთელი შსოფლიოს  
 მცხოვრებნი ვინცა,  
 ამ ხმისა ძაფზე  
 კვლავ აიკინდა,  
 ვინც ისვინდისა,  
 ვინც უარი ჰყო,  
 ის ხომ დაღაბლდა.  
 და რამდენს მოდგმა,  
 წყევლა და მოთქმა  
 ჰკრულავს და ჰქოლავს.  
 კაცი კაცისგან  
 რამდნითა ჰშორავს!  
 რამდენი მოკვდა  
 მამულისათვის,  
 მას შეწირა  
 ვით ხატს ზეარაკი,  
 რამდენმა გასცა  
 თავის სამშობლო,  
 როგორც ჩალა-ბზე,  
 არ არს არაკი.  
 ვისი ბრალია,  
 ვისი კვალია?  
 სხვის არაფრისა —  
 ამ ხმის ძალია!  
 დღეს რომ ქვითინებს,  
 ფრიად მწყრალია!

## IV

ვნახე მე ეს ხმა,  
 თმა-გაწეწილი,  
 ნაცემ-ნაგვეძი  
 და დათენთილი  
 დაჩოქილიყო  
 მალალს მთაზედა,  
 ცრემლი ჩამოსდის  
 ღვარად თვალზედა;  
 ხელ-აპყრობილი  
 ესწრაფის მასა,  
 როგორმე მოგვსხლტეს,  
 აფრინდეს კასა.  
 უძახის ღმერთსა,  
 მას სთხოვა ესა,  
 შემზარავია  
 სვინდისის კვნესა.

## სფინიდისი

ღმერთო, ჰე, ღმერთო,  
 ჩემო გამჩენო,  
 რად მოისურვე,  
 რომ შემაჩვენო?  
 ქვეყნად მეტი ვარ,  
 მიმილე მანდა,  
 ხალხისათვისა  
 მე რგება მწადდა.  
 ჰოი, უფალო,  
 საიდან სადა?  
 ვერ შევუკვალე  
 მოსისხლეს მაღა,—  
 ვინც ჩამაბარე...  
 აწ მიმიბარე.  
 შენ რაც დამარქვი,  
 ის აღარ მქვიან,  
 ვაი, რომ მივხდი,

საწყალი, გვიან.  
 ამიტომ ვსტირი,  
 ვიტანჯვი ძრიან:  
 უსვინდისოდა  
 დღეს ქაცნი მხდიან.  
 ხალხს შავეჯავრე,  
 რომ შავეჯაბრე  
 და გამომაგდო  
 თავის წრიდანა.  
 ვერაფერს გავხდი,  
 თავადაც წავხდი.  
 და რომ სრულიად  
 არ დავიკარგო,  
 გთხოვ, დამებმარო,  
 შენ რამე მარგო.  
 აღარ მაქვს, ლმერთო,  
 კაცთ შორის ბინა.  
 მუხლ-მოდრექილი  
 ვდგევარ შენს წინა.  
 ქვეყნად ცხოვრება  
 მძულს, მომეწყინა.  
 სადღაა დღესა  
 ჩემი სახელი,  
 ჰქონება, ილევა,  
 როგორც სანთელი.  
 მეყო, უფალო,  
 თხოვნა ამდენი.  
 შენ ხარ ბატონი,  
 ჩემი გამჩენი.  
 მიმიღე შენთან,  
 შენს მაღლს და ძალსა.  
 უჩემოდ მიეც  
 ცხოვრება ხალხსა.  
 ვნახოთ, რას იზმენ,  
 უჩემოდ იყვნენ!..

### ხმა ციდან

რასა სთხოულობ,  
 ეგ ვითარ მახდეს?  
 უნდა მსოფლიო  
 მოისპოს, წახდეს?  
 დიდი შენობა  
 რისთვის ვაშენე,  
 ან ბნელი ღამე  
 რად გავათენე?  
 რისთვის შევამკე  
 მთელი ბუნება,  
 თუ მას დაჰლუპავს  
 კაცთა ცდუნება?  
 რისთვის შევმოსე  
 ტყით დედამიწა,  
 თუ დღეს გაფუჭდა  
 და წაიბილწა?..  
 რისთვის ჰყვავიან  
 მაზედ ყვავილნი,  
 კაცთ თვალთ საამოდ  
 ეშნით აღესილნი?  
 რისთვის ბრწყინვენ  
 ცაზედ მნათობნი,  
 დედამიწისა  
 სხივით გამთბობნი?  
 ვისთვის მინდოდა  
 დიდრონი ზლვები,  
 აუარები  
 მასში თევზები?  
 ვინ გაიხაროს,  
 ვინ მოიხმაროს  
 ყველა ესენი,  
 რაიც ვთესენი?..  
 ვისთვის-ლა მინდა  
 ქალ-ვაჟთ ტრფიალი,  
 დარჩეს ოხრადა,

დარჩეს ტიალი?  
 აღარ ისმოდეს  
 სიცილი, მლერა?!  
 ამას არ ვიზამ,  
 ვერ შევძლებ, ვერა!  
 დარჩნენ მხოლოდა  
 მხეცნი, ცხოველნი,  
 უენ-პირონი,  
 ბალახთ მძოველნი?...  
 უკაცოდ არ სჯობ  
 გასწყდნენ ყოველნი?  
 უშენოდ მხეცთაც  
 ვერ ისეირონ,  
 ვეღარ გამრავლდენ,  
 ვერ ისეირონ.  
 მიტომ გიბრძანებ  
 მანდ დარჩე კვალად,  
 და მოარჯულო  
 ქვეყანა ძალად.  
 გამოიჩინე  
 მხნეობა, ლონე,  
 რაც შეგიძლიან,  
 რისაც ხარ მქონე;  
 აფი დატანჯე  
 და დაალონე;  
 კეთილის მქნელსა  
 შეასხი ფრთები —  
 მიეცი სვლადა  
 გრავალი გზები.  
 რამ დაგალაჩრა,  
 რისთვისა ჰქონდები?

### სვინიდიხი

ჭოი, უფალო,  
 მიშველე, ვკვდები!  
 ვეღარ სურის, ლმერთო,  
 ჩემი მხნეობა.

სხვა ხალხი გაჩნდა  
 და სხეა ზნეობა...  
 განა არ უწყი,  
 რისოვისა მტანჯავ,  
 მარგალიტ სიტყვებს  
 ვისოვისა ჰხარჯავ?..  
 მაშინ გაისმა  
 ჭყრომა ციდანა,  
 ვით ანაფეთქი  
 ნაღმი კლდიდანა.

### ხმა ციდან

არ შეიძლება!  
 გიბრძანებ კვალად:  
 განასპეტაკო  
 ქვეყანა ძალად,  
 დაადეგ თავზე  
 ამოწვდილ ხმალად!..

რა გულსაკლავად  
 ქვითინი ისმის,  
 მის საზარლობა  
 ენით არ ითქმის:  
 თუ ვინა ჰელიდებს  
 ასე მწარედა,  
 ყველაც მიპარება  
 შინ და გარეთა.  
 ამასთანავე  
 დაბნელდა არე:  
 შავი ლრუბლები  
 მოერტყა გარე,  
 სჩანს დახოცილან  
 ცად მზე და მთვარე.  
 ჯოჯოხეთადა  
 იქცა მთა-ბარი.  
 დასანგრევადა  
 იგი მზად არი.



ქვესკნელიდანა  
ისმის ხარხარი,  
ისე ძლიერი,  
ისე მაგარი,  
ჭექა-ჭუხილი  
მასთან რა არი?...  
რა გესლიანად  
ვიღაც ხარხარებს!  
თვით დედამიწა  
მისგან ზანზარებს.

1913 წ.

## კაცი მართალი

I

იყო რამ კაცი მართალი,  
წმინდა ვით წყარო ანკარა.  
მის ყოფა-ქცევას და საქმეს  
ჭუჭყი არ ეცხო არა-რა.  
მუდამ სხვის დარღზე მტირალსა  
და სხვისა საქმის მკეთესა,  
თავისთვის საბრალობელსა  
არც ეხნა, არცა ეთესა.  
სხვისას სდარაჯობს სათიბსა,  
სხვისას გარს უვლის ყანასა,  
და როცა მწყემსი იძინებს,  
იგი ჰმწყსის იმის ფარასა.  
სულ სხვისა საქმეზე ჰხარჯავს  
თავის ღონეს და ძალასა.  
თავისებურად კითხულობს  
ცხოვრების ანა-ბანასა.  
მკვდარს ის დასტირის სოფლისას,  
ის ხდება ჭირისუფალი;  
მას გაპყავ ცხოვრების მკერღზე  
გზა რამ ახალი, უვალი.  
უმრავლესობა გიეად სოვლის,  
უმცირესობა ჭკვიანად...  
ვერავინ ვერ დაამტკიცებს  
მის ცდას სხვის დამაზიანად.  
სხვისთვის აქვს ჯანი და ენა,  
ბელელ-საბძელი ბზიანად, —  
სხვისთვის აქვს მთელი ქონება,  
არაფერი აქვს ზიარად.  
მის მიერ საწყლებს ბნელი დღე  
გადაექცევათ მზიანად.

## II

კაცს მართალს ერთი რამ ზნე სჭირს,  
 ეს ზნე ყველასთვის ცხადია,—  
 როს ყანა თავთავს დაისხამს,  
 ის ხდება ყანის გადია;  
 უნდა იხილოთ მართალი  
 იმ დროს როგორი მარტია,  
 თვალს არ იხუჭავს, დღე და ღამ  
 ხელ-აპყრობილი ცამდეა.  
 მთელს სოფლის ყანებს სდარაჯობს,  
 ფეხს ქვეშ აქვს მთელი მინდორი.  
 და თუ წაქცეულს ფეხს ჰნახავს,  
 ცულილობს გახადოს სხვის სწორი,—  
 წამოაყენებს ფეხზედა,  
 უსწორებს ხელით თავთავსა —  
 თვალ-ცრემლიანი შესტირის,  
 ვისაც ყანის მტრად ჰსახავსა,  
 ცხვრისა და ძროხის პატრონებს —  
 ძლიერ უბრთხილდენ ყანასა.  
 როს ჰნახავს მოტეხილს თავთავს,  
 ბავშვივით ტირილს დაიწყებს,  
 ებრალეის ფრიად თავთავი:  
 თავს პურით ვეღარ აიგსებს,  
 ყანაც ხომ დაზარალდება,  
 ხალხიც კუჭს ვეღარ გაიძლებს.  
 მწყერსაც ევედრის, ყანის მტერს,  
 ბრთხილად ადგამდეს ფეხებსა  
 და არ ამტვრევდეს სირბილში  
 ყანას ფოთოლს და კლერტებსა.  
 ღმერთსაც ხომ მუდამ ევედრის,  
 აშოროს სეტყვა, კალია,  
 არ აარიდოს ჭირნახულს  
 თვისი მოწყალე თვალია.  
 როცა ცა სეტყვას აპირობს,  
 ღმერთს ჰსურს დასაჯოს ხალხია,  
 და ხალხიც სასჯელს ქედს უშვერს,

ამბობს, რომ „ჩვენზედ ახია!“  
 მაშინვე უფალს მართალი,  
 როგორაც დედას ბალლია  
 ძუძუს მოხოვნელი, ალერსის,  
 შესტირებს ცრემლის ფრქვევითა:  
 „უფალო, ბეჩავს სოფელსა  
 ნუ შეაძრწუნებ რბევითა,  
 ნუ გაუფუჭებ ამაგსა,—  
 ოფლსა მიწაში ჩაღვრილსა,  
 შენის იმედით მშრომელსა,  
 დღე და ღამ წელში მოხრილსა.  
 ნუ გააფუჭებ ყანებსა.  
 პურიანს, ყვითლად მბზინავსა,—  
 ნუ შეუშფოთებ სულს და გულს  
 კაცს, იმის შემაცქირალსა,—  
 ნუმც ვნახავ ქალსა და კაცსა  
 ნასეტყვ ყანებზე მტირალსა.“  
 და ლმერთიც ისმენს მის თხოვნას,  
 ააცდენს სოფელს სასჯელსა.—  
 ბევრი სხვა ანთებს, მართლისას  
 სულ სხვა ძალა აქვ სანთელსა.  
 ყანების სარგოდ უფალსა  
 სხვა ვერვინ ეტყვის სათქმელსა  
 ისე გულწრფელად, როგორც ის,  
 ვისაც ვახსენებთ სახელსა.  
 ამბობენ გაოცებულსა  
 ყველა კაცს, მართლის მნახველსა,  
 როგორც ის უვლის ჭირნახულს,  
 ზედ დასწრწის ყოველ თაველსა.

## III

იმავ სოფელში სცხოვრობდა  
 კაცი რამ ერთი მდიდარი,  
 სავსე ცხვრითა და ძროხითა,  
 ყველას საქები ის არი.  
 თუმც კი ამასაც არ უყვარს,  
 ვინც ჰყავს ძმად განაფიცარი,

ელაკლუება მხოლოდა  
 სულმდაბალი და მშიშარი,  
 გამორჩენის, ან გაძლომის,  
 დიალ, მსურველი ვინც არი.  
 მდიდარი არაფერს დასდევს,  
 სახე აქვს მუღამ მცინარი:  
 ალალებს ოქრო და ვერცხლი,  
 შინ უხვად შემომდინარი.  
 ცით ღმერთი, დაბლა—ხემწიფე,  
 წყალობის გამომჩინარი,  
 არიან მდიდრის თავზედა,  
 როგორც მზე, სხივის მფინარი  
 გამოდარებულ ციდანა,  
 გულ-უხვი, მოუწყინარი.  
 იმიტომ არაფრად აგდებს  
 ხალხის შურსა და მტრობასა,  
 როგორაც ყვავთა ჩხავილზე  
 ყვავისვე გამოხმობასა.

## IV

სოფელში საქმე რამ მოხდა  
 საცნობი, საფიქრებელი.  
 ზამთრის ღამეში ამ ამბავს  
 შვილებს უამბობს მშობელი.  
 თან დასძენს, როგორ ცრუ არის  
 ტიალი წუთისოფელი.  
 მაინც სიმართლეს შეაქებს  
 მისი კეთილის მყოფელი—  
 და დააფიქრებს ბალლებსა  
 სიტყვის სიტყვაზე მწყობელი.  
 მაშ ვსთქვათ, რაც მოხდა: მდიდარსა  
 ღამე ძნა ვინღაც დაუწვა—  
 მთელი, რაც კალოზე პქონდა,  
 ათასს ურეშე დაუწყვა.  
 პირველ, როს ცეცხლი მტერს ძნისთვის  
 მიეცა, თვით კი წყეული—  
 გაპარულიყო საითლაც,

როგორც მეჯლისში წვეული.  
 მოვარდნილიყო მართალი,  
 მშფოთარი, გადარეული,  
 ცეცხლისა ჩასაქრობადა  
 გულისპირ ჩამოხეული.  
 და იმ დროს მდიდრის მსახურთა  
 ენახათ, იგი შაეპყრათ;  
 ბოროტის საქმის ჩადენა  
 მართლის კისერზე დაედვათ.  
 მაგრის თოკითა მეშველისთვის  
 ხელი და ფეხი გაეკრათ.  
 ჯოხი და მჯილი მრავალი  
 საბრალოსათვის დაეკრათ.

მდიდარმა ესე ამბავი  
 მალე აცნობა მეფესა —  
 და წარუდგინა მართალი  
 ქვეყნიდან ხარჯის მკრეფესა.  
 მაშინვე ხალხის შეყრისთვის  
 შიკრიყი ააყეფესა.  
 მეფემ იმ წამსვე სასჯელი  
 გადაუწყვიტა მართალსა —  
 დაარჩეან იგი საჯაროდ,  
 და მიტომ მეფის ბრძანების  
 ასრულებასაც ჩქარობენ,  
 რომ დასასჯელი ალუჩნდათ,  
 ვეზირნი ფრიად ხარობენ.  
 მართლის მომხრენი სტირიან  
 და ძალიანა წვალობენ.  
 მაგრამ ისინიც ეჭვითა  
 გამსჭვალა მსჯავრმა მეფისა —  
 მეფე არ მოტყუცდებაო,  
 მომსმენთა ამა ხმებისა,  
 და მმაზე უსამართლობით  
 გული აიესო ძმებისა,  
 მით გახდა კაცი მართალი  
 ზვარაკად უმეცრებისა.

## V

თვალ-გადუშვდენი მინდორი  
 ერთ დღეს გაივსო ხალხითა,  
 თვით მეფეც იქა ბრძანდება  
 გვირგვინით, ჩაბალახითა.  
 მას დედოფალიც გვერდით ჰყავ,  
 ნაზი, ლამაზი სახითა.  
 ბოძები ამართულია  
 კისრის დამჭერის მახითა...  
 უნდა დაარჩეან მართალი  
 და ამა სანახავითა—  
 კვლავ გააპთხილონ მნახველი:  
 იყოს კეთილის ძრახვითა,  
 არავინ ავნოს არავის,  
 არ ისახელოს ავითა,—  
 თორემ ყელს თოვი მოებმის,  
 დაეკიდება თავითა.  
 მოჰყავთ მართალი იქ, სადაც  
 სდგას სარჩობელის ბოძები.  
 იგი არაფერს არ ამბობს  
 გულმშვიდი, გასაოცები,—  
 ცად მიუჰყრია თვალები,  
 გულში თუმც უთქვაშს ლოცვები.  
 და როცა თოვი მართალსა  
 გადასდო ყელზე ჯალაომა,  
 ხელი ჰქრა დასარჩობელსა,  
 ამ დროს მიწიდან ყანამა  
 მოხეთქ, ვით ტყემ ბურვილმა,  
 მით შვება იგრძნო მართალმა.  
 მოისმა ყანის უიუინი—  
 მიწიდან ამომდინარი:  
 „გვაჩვენეთ მართლის მტანჯველი,  
 ძალიან გვინდა ვინ არი!“  
 ყანის ტყე ბოძად შეუდგა  
 მართალის მქანავს სხეულსა.  
 ასწია ცაში თავთვებმა,  
 ვით შვილთა დედას სნეულსა —

კისრიდან თოკი მოეხსნა,  
 ბოძებიც დაბლა დაემზო.  
 დასარჩობელი ის გახდა,  
 ვინც მართალს ავად შეეხო.  
 გაოცებული ღუნია  
 ჰკეირობდა, პირი გაელო,  
 ზოგი დაეცა მიწაზე,  
 სხვებს კი ხელები აელო  
 ღვთის მავედრებლად... მრავალი  
 ფიქრებს ცისაკე წაელო.  
 დიდხანს არ გაჰყვა სოუელსა  
 ამ სასწაულის დიდება —  
 მნახველნი დიდად გაფრთხილდენ,  
 ორი თაობაც იქნება.  
 მაგრამ ქმნა კარგის რადლაცა  
 ხალხს მალე მოეწყინება.  
 დრომ განვლო, საქმე მომხდარი  
 იქცა უბრალო ამბადა  
 და დაექარგა ის ძალა,  
 რაც ჰქონდა პირველ ხანადა,  
 როცა დამსჯელნი მართლისა  
 შეშფოთდენ, გახდენ ავადა.  
 დღეს იმათ მოდგმისაგანა,  
 ვის თვალ-წინ ღმერთმა ინება  
 სასწაულითა სიმართლის  
 ძალისა გამოჩინება,  
 გულგრილობასთან ერთადა  
 სჩანს აზრის გამოცვლილება.  
 სიმართლის სიავეარგეზე  
 ერთი სხვას შეეცილება...  
 გამოლვიძება სჭირია,  
 როცა ხალხს დაეძინება.  
 მალ-მალე მოვაგონებდეთ,  
 არაფერს აწყენს მხილება.  
 სარგოა, როცა მორწყულს ველს  
 მზის სხივი მოეფინება.

## მ ა ნ დ ი ლ ი

(ხევსურული ამბავი)

I

ლულის ძირს სალი კლდეები  
არაგვს მუჭაში სწურავენ,  
არ უნდათ ქვეით გაუშვან,  
გზის ულობავენ, სჭუჭავენ,  
თავ-პირზე ყვავილს აყრიან,  
როგორაც ნისლით ჰებურავენ;  
ტანზე აცმევენ ბექთარსა,  
თავზე მუზარადს ჰებურავენ.  
ეფერებიან პირმშოსა,  
ალერსს უძლვნიან ხარბადა:  
არ ულალატოს ხევსურეთს,—  
იაროს გარეჭარადა,  
წასული ალარ მოვიდეს  
კლდეების გასამწარადა.—  
თუ მას არ ჰებდვენ მთა-კლდენი,  
ხომ დახდებიან ავადა!  
იმათ აწყო და მყობადი  
შაიმოსება შავადა.  
უმისოდ, არაგვს ჩვეულთა,  
რა უხარიან საწყლებსა?!

ვინდა უმღერებს სიმღერას.  
ვინდა უამბობს ამბებსა?!

თუ არაგვს თვალით არ ჰებდვენ,  
დაიხოცავენ თავებსა!...

II

დღეს სხვა სანახავს უცქერენ,  
სხვასა ფიქრობენ ისენი,  
ხამად არ ჰებდვენ ამ სურათს  
იგი კლდენი და რიყენი.

რაც უნახიათ, თავზედა  
 ბეჭვი არა აქეთ იმდენი:  
 შაყრილან ვიწრო ბილიკზე  
 ვაჟქაცნი სახე-მქისენი.  
 იმათი ხმლების პრიალი  
 კლდეებს აშუქებს შუქითა,  
 ერთურთს მახვილით ჰგმირავენ,  
 თან ჰქოლვენ ბაქი-ბუქითა.  
 ცხენები დარახტულები  
 მიმდგარან კლდეთა ყურესა,  
 ვერ აშეველებენ მოჩხუბრებს,  
 ათამაშებენ ყურებსა,—  
 სდუმან, თუმც თრთიან, როს ხედვენ  
 პატრიონის ტანზე წყლოლებსა.  
 მებრძოლნი ერთი მეორეს  
 კვლავ უსწორებენ გულებსა, —  
 მაშ ხომ ზურგს არ უჩენებენ,  
 თავზე დაისხმენ მწურესა?!  
 ერთ-ერთი უნდა წაიქცეს,  
 უნდა დასუსტდეს მაინცა.  
 გაბრუნვა სიკვდილსა სჭარბობს,  
 სოფლად იტყვიან: „გაიქცა“.  
 ხომ დაიმარხა ცოცხალი,  
 გვარიც წაწყმიდა, თავიცა.  
 არავინა სხანს მეშველი,  
 მებრძოლთ ჩაუდგეს შუაზე,  
 შბრჭყინავს ხმლებს შეაცვლეინოს  
 ფხიანი პირი ყუაზე.  
 არავინ მოდის ჭალაზე,  
 კაცთაგან მგზავრი გამწყდარა.  
 აღტყინებული ვნებები  
 მლელვარებს, როდი დამდგარა.  
 მხოლოდ გზას იქით კლდეზედა  
 ასული ვინმე შამდგარა.  
 ძროხებს არ უგდებს ის ყურსა,  
 აქეთ უჭირავ თვალები,  
 ადევნებს თვალ-ყურს, თუ როგორ

მუშაობს მებრძოლთ მკლავები.  
 სწოხს, სასიკვდილოდ რისათვის  
 გადაუდეიათ თავები!  
 ქალის გარშემო ბევრია  
 ათასნაირი ყოილი—  
 სამოთხილანა ამ ქვეყნად  
 პატარძლად გამოთხოილი.  
 თვით ყოილია ესეცა:  
 უფრო ლამაზი, ბჟყვრიალა,  
 მძივ-ღინკილებით მორთული  
 გოგო თვალ-შურთხი, ცქრიალა.  
 დასცემრის ვაჟკაცთ ბრძოლასა  
 თვალ-ცრემლიანი, მტირალა.  
 სიპატარავე უშლიდა,—  
 გოგო არ აემყვირალა.  
 ისიც იცოდა, მეშველადა  
 მანდილი გამოდგებოდა;  
 დედისგან ჩხუბის წამლადა.  
 ბევრჯელ მანდილი ჰსმენოდა,  
 მაგრამ საკუთარ მანდილის  
 ლირსება არა სჯეროდა.  
 რადგან ჯერ პატარა იყო,  
 მის გამოჩენა სცხვენოდა.  
 შეკრული ნაწინავებითა  
 მერე როგორა ჰშვენოდა!  
 კარგა ხანს თავისთავადა  
 მებრძოლთა გიყრას ელოდა.  
 ვაჟკაცნი მოყურიადეს  
 როდი ამჩნევდენ ახლოსა.  
 ერთმანეთს ეუბნებიან  
 სათქვამსა გასაბრაზოსა.

### შ ი შ ნ ი ა

შენ სთქვია, ძალლო უშიშავ,  
 შიშნიაისა ტრელობა\*,

\*) ლაპირობა, სიმხდალე.

ხევსურნი ჩემზე აცინენ,  
 გუდანს რო გქონდათ ყრილობა!  
 „რო ვწევდე ყალიონასა,  
 „არ გამოვიღებ პირითა,  
 „შიშნია ხმალს რო მიქნევდეს,  
 „იმის ხმალაის შიშითა!“  
 და სამკვდრო-სასიცოცხლიოდ  
 მალლა ასწია მახვილსა.

### უ შ ი შ ა

ვერ ათქმეინებ სიცრუეს  
 შენ არმინდაის \* გაზდილსა,  
 ვთქვი და არც დაეიირავებ,  
 ვითქვამ და ვიტყვი ნამდვილსა.  
 სწორად ეგრეა: გადარებ  
 რ იაცსა ნამუს-ახდილსა!  
 ხ ახმატსაც ვეტყვი ხახმატელთ,  
 ამასვე ვიტყვი შატილსა.—  
 უპასუხებდა უშიშა,  
 თან უმარჯვებდა მახვილსა —  
 შიშნიას სინად ქცეულსა,  
 ხმალ-მომარჯვებულს, ახრილსა.

### III

და როცა მებრძოლთა ხმლები  
 გადაიხლართნენ ჯვარადა,  
 პატრონებისგან მიძღვნილი  
 ფხა გადექციათ ჯავრადა,  
 ვინ იცის, რა მოხდებოდა,  
 თუ ამ დროს მებრძოლთ წამლადა  
 ხმლებისა ჯვარედინშია,  
 როგორაც გველი შავადა,  
 წყემსის ქალისა მანდილი  
 არ შავრილიყო ზავადა.  
 უთუოდ ვაეკაცთა ბრძოლა

\*) დედას აკვეხებს.

გათავდებოდა ავადა,  
 ომს ფერი ჰქონდა ისეთი,  
 ხმლები ელავდენ მშვევადა.  
 ესე სურათი არაგვება  
 მყის ალიბეჭვდა მკერდზედა,  
 იქიდან მირონ-ცხებული  
 გადაიბეჭვდა კლდეზედა,  
 კლდიდანა გამოსხლეტილი  
 გაურდა რიყე-ველზედა,  
 შეჰყვა ტყით ბურვილს მთის კალთას,  
 გადაიარა ტყეზედა  
 და დაჯდა ბებერ არწივად  
 მაღალს, ცად ასულს სერზედა.

შებრძოლთ, მანდილის მნახველთა,  
 ხელი გაუხმათ ხმლებზედა.  
 თვალი მიაპყრეს იქითკე,  
 მზე რომ ნათობდა გვერდზედა,  
 ხელებ-გაშლილი ხვეწნითა  
 გადმომდგარიყო კლდეზედა.  
 ანგელოზს ჰგვანდა ციურსა  
 ერთის შეხედვით ფერზედა,  
 „დაშოშმინდითო“, მტირალი  
 ევედრებოდა მხედრებსა.  
 ხატს და ლმერთს ცალკე უგზავნის  
 სათხოვარს, შესავედრებსა.

## IV

მოულოდნელმა შემთხვევამ:  
 მანდილმა კიდან სრეულმა,  
 ვაუკაცთ ხმალთ დასამშვენებლად  
 ყელ-ჩინად \* შემოხვეულმა,  
 დააშოშმინა მებრძოლნი  
 და დაუამა ვნებანი,  
 ხმლები ჩააგეს ქარქასში,  
 ცხენებზე შასხდენ მხედარნი,

\*) ჩინ-შერდინი.

ქვანი დასტოვეს, ქვიშანი,  
 თვის სისხლით შანალებარნი;  
 წავიდნენ თავ-თავისადა  
 მომუქარენი, მკვეხარნი.  
 მისცეს გირაოდ გაყრის დროს  
 ერთურთს სიტყვები მჭეხარნი,  
 მეორეჯერა შაყრისთვის  
 ვაჟაცათა ამაგზნებარნი.  
 წავიდნენ, მაგრამ ორივეს  
 გულში ეს დაპირჩათ ნაკლადა:  
 ვინ არი გამარჯვებოლი  
 ღამარცხებულის ნაცვლადა?  
 რომელი სჯობდა ომითა,  
 კარგი დედა ჰყავ გამზღლადა?  
 რომლის ნაჭრევიც ბევრია,  
 მჯობი იგია ალბათა,  
 წყლულებიც მსუბუქებია,  
 მოსარჩენები მარდადა.  
 ამას ექიმი გაიგებს  
 და გიმოარკვევს კარგადა.  
 მხოლოდ მან განგებ სიცრუით  
 არ დააბნელოს ნათელი  
 და არ წაართვას ძალადა,  
 ვისაც ეკუთნის სახელი.  
 სიმართლითა სთქვას თემშია,  
 წყლული ვისა სჭირს რამდენი,  
 ვინ არი მართლა ვაჟაცი  
 და ვინ ლაჩრობის ჩამდენი.

## V

დლეობა იყო გუდანსა,  
 გუდანის ჯვარის ხატობა;  
 არაყის სმა და ლუდისა,  
 ხსენება ღვთისა, ტაბლობა,  
 ლხინი კაცის და ქალისა,  
 ხევსურთ შვილების გართობა.

არავის არ დაეძრახვის  
 ამ დღეს ქეიფი, დათრობა;  
 ადღეგძელებენ ცოცხლებსა,  
 მკვდრებს შანთვლება შანდობა.  
 არავის ძალუძს ხევისბრის  
 რომ აქ გასწიოს ბალლობა.  
 იგია გამგე დღეობის,  
 იმას ეკუთნის სარდლობა,  
 უნდა მან დაამწყალობნოს  
 ყველა, — ხატს უთხრას მადლობა.  
 ხალხია დამწკრივებული,  
 შავს ლუდსა ჰსვამენ თასებით;  
 ვერავინ იტყვის სამდურავს,  
 ყველას უესებენ აესებით.  
 ავსილა ხატის მიღამო  
 კაცით და დედაკაცებით.  
 ხევისბრის ლოცვა ესაა:  
 „ნუმც ვისგან დაინავსებით!  
 „სადც უნდა იყვნეთ, ყოველგან,  
 „ლაშქარს, თუნდ მგზავრად წასულნი,  
 „ყველგანამც გაგემარჯვებათ,  
 „იქნებით ცამდე ასულნი!  
 „ლაშქარს მოქლულნი აცხონოს,  
 „ადრე საფლავში ჩასულნი!“  
 თავზედა ჩიბუხებისა  
 ხალხს ნისლი აწევს ხშირია,  
 საუბრის საგნად ისა ჰყავთ,  
 ვინაც ყოფილა გმირია,  
 ვისაც კი ქვეყნის გულისოვის  
 ბერი უნახავ ჭირია,  
 ვისაც-კი სამშობლოსათვის  
 სიცოცხლე შაუწირია,  
 ვაჟქაცი ჯან-გულოვანი  
 სოფელს მუდამაც სჭირია,—  
 თოფი ვისა აქვს, ან ხმალი  
 საუკეთესო, ძვირია;  
 ან კაი ცენი ვისა ჰყავ,

მუხლ-მკვიდრი, ფიცხად მხტომელი,  
 გაქცევით, ყაირათითა  
 ვერ შაედაროს ცხოველი!  
 სხვას გაიგონებ ვერაფერს,  
 ამაზე უბნობს ყოველი:  
 მოხუცი დახავსებული  
 და ბავშვი ძუძუ-მწოველი.

## VI

სასმლისგან შეხურებული  
 ხალხი ლრიანცლობს. ყბედობდა;  
 ვიღაც უკრავდა ფანდურსა  
 და ზედ ახალს ლექსს მლეროდა.  
 ყველა გაჩუმდა, გაყუჩდა,  
 ლექსის დასასრულს ელოდა.  
 ახალი ახალს რას ეტყვის,  
 ჯერ ის არავის ჰსმენოდა:  
 შიშნია, უშიშაისა  
 ბრძოლისა გამომჩენია.  
 ქებაა უშიშაისა,  
 შიშნიას შესარცხვენია.  
 შიშნიას ესმის სიტყვები,  
 გულზე ედება გენია.  
 თავდახრილია, მდუმარებს,  
 ხმის ამოლება სცხვენია.  
 თავი რით უნდა იმართლოს,  
 სად აქვს ხელმოსაჭიდები,  
 რომ იგი არა ძლეულა,—  
 რით დაარწმუნოს ბიჭები?  
 ან რით დაუხშოს მგმობელთა  
 ბაგენი განაერიჭები?!

უნდა ჩაიკლას გულშია  
 აღტყინებული სევდები—  
 ცოცხალს ჰმარხავენ შიშნიას,  
 რას იფიქრებენ დედები?  
 ბრთა-ბოლოთ ფარშავანგები,  
 ხოლო ყელ-ყურით გედები,—

სახელოვანის ვაჟკაცის  
 მოყვარე მეტის-მეტები?!.  
 მაგრამ სხვაგვარად სწარმოებს  
 დიდის გამგებლის წესები:  
 მალე დაიმტვრევს თავ-პირსა  
 სიცრუით დანაყადები.

## VII

როცა გათავდა სიმღერა,  
 მისწყდა ფანდურის უღარუნი,  
 სდუმდა იმათთან ერთადა  
 მტრობის აღმძვრელი ფსალმუნი,  
 და ხალხმა, გარდა ერთისა,  
 ურცხვად დაცინვით თვალები  
 მიაპყრო ბეჩავს შიშნიას,  
 იქვე ზის განაწვალები,  
 ხმას თუმც არ იღებს, მდუმარებს  
 კაცი ცილ-დანაწამები.  
 ერთი შიშნიას მოსარჩევ  
 აღწენდა ბებერი ხევსური;  
 ეწყინა შიშნიას მიმართ  
 ხალხის მოქცევა მხეცური;  
 წამოდგა წინა წარბ-შეკვრით,  
 ტანზე იარაღ-ასხმული,  
 ფხიზელი იყო სხვებზედა,  
 არ ეტყობოდა შასმული.  
 სავსე უპყრია ხელშია  
 თასი ხევისბრის დასხმული,  
 ქუდ-მოხდილია, თავზედა  
 ხელსახოცი აქვ წაკრული.  
 ხელთ ყავარჯენი უპყრია,  
 თავზე ვერცხლი აქვ დაკრული,  
 მხარ-ილლივ ჩანთა პერდია --  
 დიდი მადლი აქვ დარგული:  
 შიგ ულაგია წამლები  
 ათას ნაკუჭში შაკრული;  
 ნაჭამის ტაბლის სიმსუქნე

ულვაშებზე აქვ წასმული  
 და ლუდ-არაყი საქმაოდ  
 გულის პირზე აქვ დასხმული;  
 გარისხებული სახე აქვს,  
 თიოქოს წაართვეს მამული,—  
 შაჲყრია ცოლის წამყვანი,  
 მცდარი უგინეს, ან სული.

## VIII

გ ი გ ი ა

ხატის კარსა ვართ, ხევსურნო, —  
 ღინჯად მოუყვა იგია: —  
 გულს მირევს უსამართლობა,  
 დღეს აქ ნანახი დიდია.  
 ვინ თქვა დღე-დასაბნელებმა,  
 ვითომ ტრელია შიშნია?  
 მთქმელი ძალლია მედუმლე, \*  
 ამაზე ძალმიძს ფიცია.  
 დამალვა არ შამიძლიან  
 რაც ვნახე, რაიც ვიცია.  
 წყლული ვისა სჭირს რამდენი,  
 ან გულადობა ვისია —  
 წყლულები თავად ამბობენ,  
 იმათ მოწმობა ისია.  
 გამიწყრეს გუდანის ჯვარი  
 და გამიწყვიტოს ჯიშია, —  
 სიმართლით ჩემი სათქმელი  
 ყველას არ უთხრა პირშია,  
 წყლულებზე ვატყობ, შიშნიას  
 არა სცოდნია შიშია;  
 უშიშა ბევრად ისუსტებს  
 ლაშქრობა-გასაჭირშია.  
 მის დაჩნდული წყლულები  
 წასული უფრო ძირშია.

\*) იდუმალ, ჩუმად, მიპარვით რომელიც ჰკბენს ადამიანს.

რასაც მე ვამბობ და ვიცი,  
 ყველამაც უნდა იცოდეთ,  
 მებრძოლთ ქებას და ძაგებას  
 იპის მიხედვით იტყოდეთ.  
 რაც შიშნიას დაკრული  
 უშიშასა სჭირს წყლულები,  
 იცოდეთ, სამჯერ მეტია  
 უბრალოდ გაკაწრულები.  
 ორ-სამ დღეს გამოვასალე,  
 დარჩა სრულიად უვნები,  
 მაგრამ შიშნიას რაცა სჭირს,  
 იტყვი, უციათ ცულები.  
 ვინც წამლობის დროს დამესწრო,  
 ხალხს ულტებოდა გულები.  
 აბა, თქვენა თქვით, შიშნია  
 რად არი დასაწუნები?!  
 ემაგ ლექსაის მოთქომსაც  
 უნდა შაურცხვეს კაცობა,  
 ყბედობს და საქმის ავ-კარგის  
 ოდნავ არა აქვ გაცნობა.  
 კაცის მოკვლასთან სწორია  
 მართლის სახელის დამხობა.  
 აი იმიტომ გავმართე  
 დღეს ვაუკაცობით ვაჭრობა.  
 ძალიანა მწყინს სიმართლის  
 ასე აბუჩად აგდება—  
 ანგელოზთ მსგავსის სულისა  
 ეშმაკის ხელში ჩაგდება.  
 სიმართლის თქმითა არ ვშიშობ,  
 წახდეს, თო რამე წახდება!  
 მე საქმეს ნათლადა ვხედავ,  
 ექიმიცა ვარ მაგათი.  
 ხომ ვიცით, მამა-პაპისგან  
 როგორიცა გვაქვ ადათი?  
 ჩხუბში ხმალს მაგრა ის იქნევს,  
 ვინც გულით არი ჩათლაჩი.  
 ხმალი თვით არი მოწამე,

ჯოხი ხომ არ არს, — მათრახი,  
 მას აწერია ფხაზედა  
 ბრძოლისა ვაი-ვაგლახი.  
 ვინც შაშინდება ჩხუბის ღროს,  
 ის მაგრა იქნევს მახვილსა,  
 ველარ გააწვდენ მარცვლებსა<sup>1</sup>  
 შემკრთალის მკლავით გაჭრილსა.  
 შიშნიას ასეთ წყლულები  
 ბევრი სჭირს, ვიტყვი ნამდვილსა,  
 ზექუაის<sup>2</sup> სჯობ გაზდილი,  
 მაგ არმინდაის<sup>3</sup> გაზდილსა.  
 რად უნდა ცილის წამება  
 მოლექსეს თვალებ-დათხრილსა?  
 მე რაც ვიცოდი, გითხარით,  
 დაფარვა ალარ შამეძლო.  
 მტკნარის სიცრუის მოსმენა  
 ან როგორ უნდა გამეძლო?!  
 ვისც მართლა ჯილდო ეკუთნის,  
 მისოვის რად უნდა დამეკლო?  
 სიმართლის ბალჩა ლამაზი  
 დამენიავა, ამეკლო?!.  
 მერე ხატის კარს მოსულსა,  
 წყალობის მონიაზესა,  
 ვით არ დამეცვა შიშნია,  
 რომ ურცხვად გააშავესა.  
 ყვავი გახადეს არწივად,  
 არწივი გააყვავესა.  
 რად ვარ ცოცხალი, თუ მართალს  
 არ ვათქმეინებ ბაგესა?  
 ეხლა რაც გნებავთ, ის ჰქმენით  
 და იძ ფიქრს დაემყარენით;  
 ნუ დაიჯერებთ ჩემს ნათქვამს,  
 უშიშას დაეფარენით.

<sup>1)</sup> ქერის მარცვლებით იზომება წყლული და ასე ფასდება დანაშაული.

<sup>2)</sup> შიშნიას დედის სახელი.

<sup>3)</sup> უშიშას დედის სახელი.

გნებაეთ ჩაიცვით ჯუბები, \*  
დიაცებს დაეგვანენით.

**ბერდია** (ხევისბერი)

მე მჯერა შენი ნათქომი,  
პევრებს არ სჯერა, ჯავრობენ,  
მოყიდულია გიგია,  
ზოგები იმას ამბობენ.  
რა ეხარჯებათ, ხომ იცი,  
ჯეილებია, ლალობენ,  
არ დაგიდევენ იმასა,  
ფიქრით რამდნადა სალობენ;  
ამყოლებია გრძნობისა,  
ბევრჯელ ამაოდ წევალობენ.  
თუ კაცები ვართ კიდევა,  
ხატები კიდევ გვწყალობენ,  
ადვილ გვეტყვიან მართალსა,  
მაშ ღვთის კარს რისთვის გალობენ?  
ხატს უნდა ვკითხოთ უთუოდ,  
იმანვე გვამცნოს მართალი  
და გაარკვიოს ჩვენს თვალწინ  
მებრძოლთ თავგადასავალი,—  
განსაჯოს გუდანის ჯვარმა  
იმის მსჯავრის წინ წამდგარნი.  
ჩვენც დაგვარწმუნოს, ვინ ვის სჯობ,  
რომ ვართ ძევაზე დამდგარნი.  
„ძალიან კარგი იქნება,  
„რაა მაგაზე ადვილი!“—  
ერთხმად ყვიროდენ ხევსურნი,  
ყველანი ზეზე აშლილი.

IX

საჯარის წინა მოსჩანან  
ორნი—უშიშა, შიშნია;

\* ) შინაური შალის კაბა.

ზურგს უკან ჯარი ხალხისა,  
 შესჩერებია პირშია.  
 ყველანი ქუდ-მოხდილები  
 სდგანან იფნების ჩრდილშია.  
 სულ წინა დაჩოქებული  
 ხატს ევედრება ბერდია.  
 საღავო საქმის გამრჩევლად  
 მან მოაწვია ღმერთია.

### ბ ე რ დ ი ა

უფალო, დამბადებელო,  
 ცისა და ქვეყნის გამგეო!  
 ფუჭია ჩვენი ცხოვრება,  
 თუ არაფერი გვარგეო!  
 თავის მაგივრად ჩვენ შორის  
 სალოცავები დაპრგეო!  
 გვიშველე, ნუ მოგვიძულებ,  
 შე დიდო მოამაგეო!  
 გადიდებთ, გუდანის ჯვარო,  
 დამბადებელის სახეო!  
 გენუკავთ შენი საყმონი,  
 გამოჩნდი, დაგვენახეო!  
 საქმე გაგვიჩნდა ერთი რამ  
 საჯაყი, სავაგლახეო.  
 შენ გაგვირჩიე ამ ორთი  
 სიკეთე, სიჩათლახეო.  
 ნიშანი დასდევ იმასა,  
 ვინც ქალაჩუნად პნახეო.  
 ჰო, დიდო გუდანის ჯვარო,  
 გვინდა გაეიგოთ ნამდვილი:  
 არმინდას ძე სჯობისა,  
 თუ ზექუაის გაზდილი?  
 ხალხიც ხელ-გაწვდით ამას სთხოვს,  
 ესაა მისი წადილი.  
 თხოვნას და განაჩენს შუა  
 დიდი არ დაჩნდა მანძილი:  
 შეინძრა მთელი საჯარე,—

მთელი სახატო ადგილი;  
 იმასთან ერთად სალუდე  
 იფნები ტანად აყრილი,  
 ებერტყებოდა მიწასა  
 იმათ ტოტები დახრილი.  
 სძრავს უხილავი ძალა რამ  
 ხატის მიდამოს გაშლილი.  
 ხალხია სულგანაბული,  
 ხალხია ჯაგარ-აშლილი,  
 სხვამ ყველამ ნახა, მან ვერა,  
 ვინც არი თვალებ-დათხრილი,  
 მკვეხარს უშიშას რომ თავზე  
 შემოეხვია მანდილი.  
 ასრულდა ნატვრა ხალხისა,  
 ასრულდა მისი წადილი.  
 ხატმა აჩვენა თვის ძალა,  
 გააგებინა ნამდვილი,  
 მართლა ვინ არი ვაჟკაცი,  
 ვის არ აშინებს მახვილი.  
 მანდილი არჩევს ყველაფერს,  
 ხატს არ სკირდება ძახილი.  
 ბევრს გაუმწარდა იმ დღესა  
 სამხარ-ვახშამი, სადილი.  
 ენატვრის ბეჩავს უშიშას  
 აქვე საფლავი გათხრილი.  
 დანას მიჰმართა, მაგრამა  
 ხელი შესტაცა ბერდიამ  
 და დაემუქრა ხატითა,  
 რომ ამოაგდებს ერთიან,  
 თუ იგს დაშერება საქმესა,  
 ხატის მსჯავრს შეჭხვდა ბრაზითა,  
 არავინ არ შაიწყალებს,  
 არც ტაბლით, არცა თასითა.

## X

ხალხი გაოცდა, გაშტერდა,  
 საკვირველების მნახველი;

ყველა იძახის ჩუმაღა:  
 „იდიდოს შენი სახელი!“  
 დაემხო საჯარის წინა,  
 როგორაც ცოდვის ჩამდენი.  
 ხატს უთხრა დიდი მაღლობა  
 ხალხმა, ადიდა გამჩენი.  
 ბევრი ქვითინებს ჩუმაღა.  
 ცრემლი სდენია რამდენი!  
 გიგია ისეთი მოსჩანს,  
 როგორაც ყეინი სპარსელი.  
 ხატი ჰყავ იმას მოწამე,  
 არაფერი აქვს სათქმელი.  
 გაშავდა უშიშაისა  
 ვინც იყო მომხრე, მქებარი,  
 გაცრუვდა იმათ ნათქვაში,  
 იმათი დანაყეფარი.  
 უშიშა გაპქრა სადღაცა,  
 გულს ბოლმა დანადებარი.  
 მართლმსაჯულების წყალობით  
 შიშნია ცასა სწვდებოდა.  
 თუმც მისი შუბლი ჯერ ისევ  
 დაბლა მიწასა ჰხვდებოდა,  
 შიშით და მოწიწებითა  
 საჯარის წინა დნებოდა.  
 ლოცულობს, კვლავ იჩოქებდა,  
 როცა კი წამოდგებოდა,  
 ხატისთვის მაღლობის თქმითა  
 შიშნია ვერა ძლებოდა.  
 იმ დღიდან ყველას ეკერა  
 პირზე შიშნიას სახელი,  
 უშიშას ხსენება გასწყდა,  
 ვით დამწერის სანთლის ნათელი.  
 გადაიკარგა უშიშა,  
 დასტოვა თვისი სოფელი,  
 ველარა ჩნდება ხალხშია  
 სირცხვილით მისი მშობელი.  
 დასტოვა სამუდამოდა

უშიშამ თვისი მთა-ველი,  
არ ჩნდება მისი მნახველი  
ხევსური, ალარც ფშაველი.  
ამბობენ თუშეთს წასულსა,  
გამოუცვლია სახელი,  
დასცინის გულადობასა,  
მუდამ არს მისი მძრახველი.  
ადიდებს პურადობასა,  
მისი სიკარგის მჩმახველი,  
თვითაც პურადობს, სწადიან  
მით მოიხვეჭოს სახელი.

## ჰაოს და ქართლოს

I

თვალცრემლიანი ჰაოსი  
 ქართლოსს მოადგა კარზედა.  
 გასაწყლებულსა სახითა  
 კონკები ეცვა ტანზედა.

ჰ ა თ ხ

ჰე, ძმაო ქართლოს, სადა ხარ,  
 გამოიხედე კარშია?!  
 ნუთუ დაჩიგრულს მოძმესა  
 ბინას არ მომცემ სახლშია?  
 ქართლოს გაპკვირდა, რა ნახა  
 თავის ღვიძლი ძმა მტირალი.  
 ვერც თვით იმაგრებს ცრემლებსა  
 იმისი შემამზირალი.  
 ყელს გადაეჭდო, აკოცა,  
 როგორც წესია ძმობისა.  
 არ დაიშურა ძმა(მ) ძმისთვის  
 ქცევა კეთილის ყოფისა.  
 მოიპატიუა დარბაზში:  
 გაუმასპინძლდა კარგადა.  
 ქვევრს აუხადა და ძროხაც  
 დაკლა სტუმრისთვის ხარჯადა.

ქ ა რ თ ლ თ ხ

ნუ გეწყინება, ჰაოსო,  
 მინდა რამ გყითხო ერთია.  
 მიკვირს, არც მიკვირს, რადგანაც  
 კაცთ ბედის გამგე ღმერთია.

## ჸ ა მ ხ

გავიგე, რაც უნდა მეიოხო,  
 ან რის თქმას ჩემგან მოელი.  
 თაეს ნუ იშუხებ, დაბძანდი,  
 მე მოგახსენო ყოველი.  
 ვიცი, რომ გიკვირს, ქართლოსო,  
 ჩემი ასეთი დავრდომა...

## ქართლოს

დიალაც ვწუხარ და მიკვირს  
 ვაუკაცის ეგრე წახდომა.  
 მე დაჩაგრულად მეჩვენე,  
 გასაწყლებულ ხარ ფრიადა...  
 შენ ის ჰაოსი აღარ ხარ,  
 როგორც გიცნობდი წინადა.

## ჸ ა მ ხ

არ სტყუი, ძმაო, არ სტყუი,  
 აჩრდილიც არ ვარ იმისა.  
 მტერთაგან(ა) მჭირს, რაცა მჭირს,  
 მზე ვეღარ ვნახე დილისა.  
 მას შემდეგ, რაკი დამიომე  
 ვანქის, ერევნის არენი,  
 უბედურს ყოფაშია ვარ  
 სიცოცხლე განამწარენი.  
 ჩვენ რომ არ გავიყარენით,  
 მე სამხრეთისკენ გავწიე?  
 არარატის ძირს დაესახლდი,  
 დიდი ამაგიც გავწიე.  
 ჩემთვის ლამაზად მოვეწყე  
 მამულით, ცხვრით და ძროხითა.  
 მტერმა ამიკულო, დამლუპა,  
 დავრჩი ემ ძეელის ჩოხითა.  
 ადგილიც მტერმა წამართო,  
 სარჩო-საბადი ყველაო,  
 ლონე შენზე-ლა დავყარე,  
 თუ შაგიძლიან. შველაო?

### ჭართლობა

რა საოქმელია? ნუ, იტყვი,  
 რად გინდა ბევრი მუდარა?  
 ერთად ვიცხოვეროთ ძმურადა,  
 მტერს შეუთვალოთ მუქარა.  
 ძმათ სიყვარულით მტკიცეთა,  
 მის დღეში არა უშავთ-რა!  
 მტერი ჩვენ ვერას დაგვაკლებს,  
 უერც შინ და ვერცა გარეთა.  
 მოკეთეს გაუხარდება  
 და მტერს კი გავამწარებთა.  
 სახნავ-სათიბიც გვემვია,  
 ვენახებიც მაქვს მრავალი,  
 თუნდ მთელს ქვეყანას ეყოფა  
 იმათი გამოსავალი.  
 მხოლოდ გარჯაა საჭირო,  
 ეს ხომ შენც კარგად უწყია:  
 მშრომელსა ქვა და კაკალი  
 ორივ კერაზე უწყია.  
 მე შრომა მიყვარს, ჰაოსო,  
 თავის მარჯვენის ნაეური —  
 პური მორწყული ოფლითა  
 და ღვინო ვაზის ნაწური.—  
 მძულს სხვის ამაგით ქეიფი,  
 სხვის ოფლით წვერის ცრმაცური.

### ჭაობა

ახ, გენაცვალე, ქართლოსო,  
 კაცი ჰყოფილხარ კაცური,—  
 რაცა სთქვი, ჩემს გულშია სთქვი—  
 სასიამოხნო ქართული.  
 არ მეზარება მეც შრომა,  
 ამას არ უნდა ფიცია.  
 ღმერთმა ქმნას, ჩვენი ერთობა  
 ბოლომდე იყოს მტკიცია.  
 უნდა ვეცადოთ, მტრისაგან  
 არ გავხდეთ გასაკიცხია.

მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე,  
 რა პირზე ვიყო შენთანა,  
 ოჯახში უნდა წილადა  
 ჩემიც რამ შემომეტანა.

### ქართლის

რაცა მაქვს შუა გაგიყოფა,  
 ბეჭვიც არ მინდა მეტია.  
 ვინ გაიფიქრებს დაგჩაგროს,  
 ის ცოლ-შეილ გასაწყვეტია.  
 რაც გითხარ, ლვთის წინაშე ვსოდვი,  
 ცრუდ არა დამიყბედია.  
 თუნდ რომ ისურვო ხვალ გაყრა,  
 წაიღე სწორი წილია  
 საძმო, რაც მწარე გვექნება,  
 ან რაც გვექნება ტკბილია.  
 იმ წელს გაჭიმეს გუთანი,  
 გადააშავეს მინდვრები.  
 მთებსავით დადგეს ეზოში  
 ძნისა და თივის ზვინები.  
 პურით ბელლები აავსეს,  
 ლვინით დაწიმწმეს ქვევრები.  
 საქონლით: ცხვრით და ძროხითა  
 ბევრი აქვთ შესაწევრები.

### II

შემოდგომაზე მოეიდა  
 მეფის ბრძანება სოფლადა:  
 ჯარში იწვევდენ ქართლოსსა  
 ათას გვარს მტრებთან ბრძოლადა.  
 ისიც წავიდა მორთული  
 მშეილდ-კაპარზით და ფარითა.  
 მუზარად თავზე დადგმული,  
 წელზე ორ-პირის ხმალითა.  
 ჰაოსს აბარებს: „ვინ იცის,  
 როდის-ლა გნახავთ თვალითა.

მოვალ-ლა შინა ცოცხალი,  
 უფალმა უწყის, ჩვენ არა.  
 შენ იცი—სახლმა და კარმა,  
 გედება ამის ბეგარა.  
 მე ერთი ცხენი და ხმალი,  
 მათ მეტი არა მრჩება-რა.  
 თუ მტერსაც პასუხს არ გავსცემთ,  
 ასე თვით მეფეს ებარა,  
 სუბველას ხელით წაგვივა  
 წყალ-მიწა, ჩვენი მკვებარა.  
 თუ არა გვაქეს-რა, გუდაში  
 არცა-რა ჩაიდება-რა!..  
 ხომ კარგად უწყი, შენ იცი,  
 რად გინდა ჩემი რჩევაო.  
 გაბარებ ამ ჩემს ცოლ-შვილსაც,  
 შენ გმორჩილებდეს ყველაო..  
 მარდად მოახტა ლურჯასა,  
 არა სჭირდება შველაო,  
 მშეიდობითაო,— მისძახა,  
 ცხენი ყალხს შეაყენაო.  
 ულვაშზე ხელი გადისო,  
 თან ერთიც ჩაახველაო,  
 თითქო მტერს ემუქრებოდა—  
 თვალითა გნახო ჯერაო,  
 პატარას საქართველოსა  
 ვერას დააკლებ, ვერაო.  
 შემოჰკრა ქუსლი საფერხეს,  
 ბილიკზე გააგელაო.

## III

ცუდი დრო იყო ძალიან,  
 ჩვენს ყოფნას წელი სწყდებოდა,  
 ოთხს კუთხივ მტერი მოგვაწვა,  
 ურჯულო შემოქრებოდა.  
 ურიცხვი ქართლოსიანი  
 მტრებთან ბრძოლაში კვდებოდა.

მთასა და ბარში სწორადა  
 ტბები სისხლისა დგებოდა.  
 სიმხნეე ქართლოსიანთა  
 მითც კიდევ არა ცვდებოდა.  
 არეინ იცოდა, თუ ბრძოლა  
 ვის სარგოდ გადასწყდებოდა.  
 დღე ღამე იყო ჩვენთვისა,  
 ღამეც დღედ გვქონდა ქცეული.  
 ამას მოგვითხრობს გოდებით  
 ჩვენის სვე-ბედის რვეული,  
 ქლდე, მლვიმე, ციხე-საყდრები  
 გუმბათებ-ჩამორლვეული.  
 არ მინდა, რომ მოვიგონო  
 სისხლის დროება წყეული  
 და აწმყო ჩვენი ბეჩავი,  
 იმისგან გამოწვეული!  
 ამ ტანჯვას მიტომ ვერა ვგრძნობთ,  
 დიღს ტანჯვასა ვართ ჩვეული.  
 კიდეც სჯობს სიცხე-ზრობაში  
 გამოჯეკილი სხეული!  
 დიღხანს გასტანა ამ ბრძოლაშ  
 და დიღიც მოვცა ზიანი.  
 კაციც ის იყო მაშინა,  
 ვის მკლავიც სჭრიდა ხმლიანი.  
 დღეს ხომ ის კაცობს, თქვენც უწყით,  
 ვინც უფრო არის ჭკვიანი.  
 ვის ფიქრიც სხვისის მჯობია,  
 ვისაც სიტყვა აქვს გზიანი.  
 უკლო არც როდის არ ვარგა  
 ბუმბულა, გოგრა-ბზიანი.

## IV

ქართლოსის ქება ისმოდა  
 ყველგან ხმელეთის კუთხესა,  
 იბრძოდა პირ-ოფლიანი,  
 ხმალს არ აგებდა ბუდესა,

იცავს, ამაგრებს ყველგანა  
 მშობელი ქვეყნის ზღუდესა,  
 სახლისა ვერა გაიგო,  
 არცა-რა სხვებმა უთხრესა.

ჰაოსი რალას შვრებოდა,  
 ესეც ხომ უნდა ვიცოდეთ?  
 თუ არ ომობდა, შრომობდა,  
 შრომის ქებასაც ვიტყოდეთ.  
 დიალ, შრომობდა ჰაოსი,  
 მაგრამ როგორ და ვისთვისა?!  
 ცხვარი ვის ჩაუბარებავ,  
 თქვენგან არ მიკვირს, მგლისთვისა?  
 იმ მეორე წელს, როდესაც  
 ქართლოსი ლაშქარს წაევიდა,  
 დიდ სიმშილობას ამბობდენ,  
 კოდი თუმანში აეიდა.

ჰაოსმაც პურები ყიდა  
 და ზოგიც სესხად გაილო,  
 და კალოობას ერთს კოდზე  
 ორი სარგებლად აილო!  
 სოფელი კარგად გაიცნო,  
 ყველგან მელურად ძვრებოდა, —  
 გულით რაც იყო და ენით  
 ხალხის გულისთვის კვდებოდა.

„ბილანი ხალხი ყოფილა  
 „და მინდობილის გულისა, —  
 „აქა ყოფილა კიდევაც  
 „სწორედ ხაზინა ფულისა.“

სთქვა ეს ჰაოსმა და სოფლად  
 წამოასკუპა დუქანი, —  
 მას აქეთია ჰაოსი  
 არის და არის მსუქანი.  
 ცოლ-შეილსაც გადმოუძახა  
 ჰაიასტანით აქეთა:  
 მალე მოვიდნენ და ჩვენაც  
 ხანის ცოლ-შეილად ვნახეთა,  
 ხოლო ქართლოსის ცოლ-შეილის

ვერ უმშერ მტირალ სახეთა.  
 რა ჰაოს უთხრა იმათა:  
 „სახლიდამ დაიკარგეთა!  
 თქვენი ჰატრონი სადა გყავთ  
 ამდენს ხანს!“ — ჰყვირის მევახედა.  
 „მომწყინდა, კმარა რაც ხანი  
 გაკვებეთ და შაგინახეთა.  
 სახლი დაცალეთ, აჩქარდით,  
 ადექით, აიბარგეთა!“  
 მას აქეთია კერაზე,  
 საცა თამარი თბებოდა,  
 ქართლოსი ხმალსა ჰლესავდა,  
 ცოლ-შვილის მზერით სტებებოდა,  
 ჰაოს-ხანუმა დაფუძნდენ,  
 მათ ძენი: მიკიჩ, გალუსტა,  
 სულ „ვარხალალოს“ მღერიან,  
 ბედი თავს დაჰყეფს: „ბაშუსტა!“  
 ხოლო ქართლოსის ცოლ-შვილი  
 სადღაც სოროში შემძერალან;  
 თითქოს ობოლი ბლარტები  
 ხმელს ხის ტოტზედა შემსხდარან.  
 დახეხილ-დაბუზულები  
 უნუგეშობით შემკრთალან.  
 მჭადიც არა აქვთ საჭმელად,  
 ცეცხლი უქრებათ კერაში,  
 თვალ-გული ჩამოელალათ  
 ქართლოსის მოსვლის ცერაში.  
 ის არ უწყიან, ქართლოსი  
 როდია ლხინს და მღერაში!  
 ატირდებიან ერთადა,  
 გამაადენენ წიკოსა:  
 „ჩვენის უამ-ქარის ამრევსა  
 ეგები ლმერთმა ჰკიოხოსა!“

## V

ღამეა ბნელი, პირ-ქუში,  
 შავი ნისლები ცურავენ,

ისედაც უჩინს ქვეყანას  
 უფრო წყვდიადით ჰბურავენ.  
 გაცრცვილს, გაროზგილს ბუნებას  
 ტანზე ნაბადსა ჰხურავენ.  
 ცა გლოვობს, ტირის, ცრემლისას  
 მიწაზე ადენს ღვარებსა,  
 ისინიც რბიან ათას მხრივ,  
 არ თხოულობენ ღარებსა.  
 ზოგი მღერს, ზოგი კისკისებს,  
 სხვა ლაყბობს ათას გვარებსა,  
 ამბავს ცისა და ქვეყნისას,  
 ზოგს ტკბილს და ზოგს კი მწარესა,  
 მტკვარსა და არაგეს მიართმენ  
 მალლის მთის დანაბარებსა.  
 არაგვი სისხლის წყლად მოდის,  
 მტკვარიც მტრის ლახვრით ხეულა,  
 გაშ რისგან არის, მდინარე  
 რომ სისხლად გადაქცეულა?!

ქართლოსის სახლთან მოვიდა  
 ცხრა-ათიოდე მხედარი,  
 ვილაცა მოაქვთ საკაცით,  
 იქნება იყოს ცხედარი?!

საკაცე დერიფანს დადვეს,  
 თითონ შესძახეს შინაო:  
 „გამოჩნდი, გამოიხედე,  
 სახლში მოსჩანხარ ვინაო?“

გარეთ ბიჭები მორბიან,  
 ბატონს კი დაეძინაო.  
 — ვინა ხარ? — შემოუძახეს:  
 ამ დროს რამ მოგიყვანაო?!

— „ჩვენა ვართ, ქართლოსიანნი,  
 ქართლოსი მოგვაქვს საკაცით,  
 დაჭრილი არის მძიმედა --  
 მძლივს მოვიტანეთ ბარბაცით.  
 პაოსი ნუთუ შინ არა,  
 რას კრძალობს დიაცურადა,  
 საწყენს თუმც ეტყეით ამბავსა,

ძნელად ჩასაგდებს ყურადღა,  
 მაგრამ რა უყოთ, უთხარით,  
 ძმას მოეხმაროს ძმურადა.  
 დიდი ამაგი გასწია,  
 მტერს უხველებოდა მტრულადა  
 და ეხლა ჭრილობიანსა  
 მთელს ტან-იოგზე სრულადა  
 ნუთუ არ უნდა მივხედოთ,  
 არ მოუტჩინოთ წყლულები?!  
 ეს ვალი ჰაოსისაა,  
 ერთგულად ასასრულები.“  
 „შევიდნენ, მსახურო უამბეს  
 ჰაოსს ქართლოსის ამბები.  
 ამას აემღვრა გუნება,  
 თითქოს ეყლაპოს აბები.  
 გაცხარებულსა ჰაოსსა  
 ბიჭისთვის დაებარაო:  
 „მე რა ვალი მაქვს მოელისა,  
 „ექიმი არ ვარ ჯარაო.  
 „ნეტავი თავს უპატრონო,  
 „ჩემი ცოლ-შვილი მბარაო.  
 „მიპარდეს თავის სახლ-კარსა,  
 „აქ მას ბინა აქვს არაო.  
 „ამდენი ხანი სად იყო?  
 „ქურდულად გაიპარაო.  
 „სად იყო, რა გამიკეთა,  
 „აბა რა მოიტანაო?  
 „რომ მოდის, რა პირით მოდის,  
 „ნეტავ ვინ დაიბარაო?  
 „მაგის ცოლ-შვილმა ოჯახი  
 „გაქურდა, გაიტანაო.  
 „წაიყვათ თავის სახლშია,  
 „მე ოხერი ვარ განაო?!  
 „თქვენც იქ მიბანდით, დაჭრილიც  
 „მხრით გადიტანეთ თანაო.“  
 ეს რომ სთქვა, ერთი ხათა!  
 და ფა!-ოც დაატანაო.

## IV

ქართლოსის ცოლ-შვილს გაეგოთ,  
 მორბოდნენ, თანა ტიროდენ.  
 „ვაჲ, ჩვენო სულის ჩამდგმელო!“ —  
 ყველანი ამას ყვიროდენ.  
 ჰაოსის ყოფა-ქცევასა  
 მეზობლებიცა ჰკვირობდენ.  
 ქართლოსის ცოლი თამარი  
 ზარით მოსთქვიმდა ამასა:  
 „ლირი არ არის, ნუ სტირით,  
 შვილებო, თავის მამასა.  
 თქვენთვის ყელების საჭრელად  
 ჰაოსს აძლევდა დანასა.  
 დღეს სხვა ჰმების გადამთიელი  
 თქვენის მამულის ყანასა.  
 თქვენი სახლიდამ გაგრეკათ,  
 ვაჲ, ყოფნას ამისთანასა!  
 საწყალის გულის პატრონო,  
 ვის ენდობოდი, რადაო?  
 თავისი სარჩო-საბადი  
 გადაულოცე სხვასაო,  
 ცოლ-შვილს კი დასჭერ ყელები,  
 მიეც მდინარე წყალსაო.“  
 ქართლოსმა წაილულლულა:  
 „რად არ გაიქმენდ ხმასაო?  
 დიაცო, რაებსა ჰბოდავ,  
 რისოვის მაცოდებ ძმასაო?“  
 —ძმასა, მაშ არა? იმიტომ  
 ცხვირით ვერ გადენს ძმარსაო.  
 ვაპმე, ბეჩავო, ბეჩავო,  
 როდის-ღა მოხვალ ჭკვასაო?  
 ძმა, როგორც გამიგონია,  
 უნდა ძმას სჭერდეს მხარსაო,  
 სულთა-მხუთავის ძმობასა  
 სჯობს კბილით ჰკვნეტდე ჭვასაო.

ფანჩატურში წევს ქართლოსი,  
 ავად არ იღებს ხმასაო.  
 თუ ვინმე დაენუკვება  
 ომის ამბების თქმასაო,  
 უამბობს, იტყვის: „წყეული  
 ბტრები გვჭარბობენ რიცხვითა.  
 სხვაფრივ ვერაფრით გვჯობიან,  
 მხოლოდ გვჯობიან იმითა“.  
 და როცა მოსცემს სიცხესა —  
 უტყდება ტეხა წყლულისა,  
 გაშინ ამოდის და გვესმის  
 პასუხი იმის გულისა.  
 იქნებ გვონიათ სახლ-ქარის,  
 მამულის დაკარგულისა?!  
 პაოსის მოლალატობა,  
 სიმრუდე იმის სულისა?—  
 არა, ის ომსვე იგონებს,  
 პბოდავს: „დაპქარით მტერსაო;  
 მოდიან, აგერ, მოდიან,  
 გადმოეფინნენ სერსაო.  
 ფარი და ხმალი საღა მაქვს?“  
 იქითკენ იწვდის ხელსაო.

# გ ა მ ა ტ ე პ ა

I

შართული ქორწილი  
(დაუმთავრებელი პოემა)

II

ერთის სიზვანულის ამბავი  
(დაუმთავრებელი ვარიანტი პოემისა:  
„ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი“)

III

უსათაურო პოემა  
(ნაწყვეტი)

IV

გული-გეღებული  
(დრამატიული პოემის ნაწყვიტი)

V

დაჩაგრული გესტვირი  
(ყრმობის დროინდელი პოემა)

# ქართული ქორწილი

I

მთები დათოვნა, აცივდა,  
ყინული მოსდევს გუბესა.  
რა შეედრება ამ დროსა  
ლამაზის ქალის უბესა?  
ქორწილი არის სოფელში,  
ვახშმობენ, ისმის ძახილი.  
თან მისდევს ჯიხვების ცლასა  
სიტყვები მახვილ-მახვილი.  
თავშია სხედან მხედ, მთვარედ  
ორი ახალი ყოილი;  
თავს გვირგვინები უმშვენებს  
სულ ოქრომკედით ქსოილი.  
„ბევრს ნუ ვიუბნებთ, გეთაყვათ,  
ვსვათ ლვინო, ჩვენი ვალია.  
ქორწილში უსმელ-უჭმელი,  
ღმერთმანი, შესაბრალია.  
დავლიოთ, კარგა დავლიოთ,  
მტერს დაუყენოთ თვალია!  
ლვინოს ვერა ჰსომთ წესზედა  
თომავ, პეტრე და ლელია.  
დალიეთ, დამალეინეთ,  
ლვინო ნალველის მქვლელია!  
შენ, ტოლუმბაშო, რასა გთვლეში,  
დაგიგელებავ ცხვირია?!  
ომში ომი სჯობ ფიცხელი  
და სტუმრობაში — ლხინია.  
ქორწილი არის, ესმოდეს  
მაღლა ცას, დაბლა მიწასა,  
ვინც დღეს გვირგვინი იკურთხა  
მე ვადლეგძელებ იმასა!

მამას ზაქარა უქვიან,  
 ნეფეს-კი ჰქვიან სესია.  
 დაჭირების რომ იტყვიან  
 სწორედ ტალი და კვესია.  
 ასწიე თასსა, დაცალე,  
 ივანე, რასა პხენეშია?  
 მომკითხეთ, რამდენიც გინდათ,  
 პური, ლვინო და ლეშია!  
 მომკითხეთ, არ დაგიზოგავთ,  
 მე არ გამოვსწყდე თქვენშია.  
 აბა, ბიჭებო, სუფრული  
 ჩვენი ქართული წესია.  
 დალიეთ, ვაუის მაყრებო,  
 თქვენ კეთაყვანეთ ლმერთშია! —  
 ამას ამბობდა ნეფის ძმა,  
 გადაღრეცილი წელშია,  
 ერთში ხომ ქუდი ეჭირა,  
 თასი მეორეს ხელშია.  
 თვალები დასწითლებიდა,  
 ეცინებოდა წვერშია.  
 მწვადები იწვის ცეცხლშია,  
 ჯიბრზედა სვამენ ლვინოსა.  
 იწვევენ ერთ-ურთის მეშვლად  
 ლმერთსა და წმინდა ნინოსა.  
 დასწითლებია თვალები  
 შიოლაშვილსა ილოსა,  
 სმაში ის ჭირვეულია,  
 ლმერთმანი — დაიძინოსა,  
 თუნდ სამი ლამე გადების,  
 უნდა სვას, ხალხსა ჰებინოსა,  
 კვეხნით, რო მამაცი ვარო,  
 ყველანი შეაშინოსა.  
 ბერუა ჩაწითლებულა,  
 უინელი გადაპდის მზისაო.  
 ყეინი არის სწორედა,  
 როგორ ამაყად ზისაო.  
 დედოფალს ფეშქაშს უმზადებს,

გაუხსნავ ჭრელი ქისაო.  
 მოხუცებული დიმიტრა,  
 კაცი ოთხმოცის წლისაო,  
 ჯეილებს კიდევ სჯობია,  
 ბუქნაში გამოდისაო.  
 საკარგყმო დაალეინეთ,  
 თუ მადლი გწყალობსთ ღვთისაო.  
 მაგის სწორები წავიდენ,  
 სხივი დაეხშოთ მზისაო.  
 ეგ კარგავ ხმარობს მუხლებსა,  
 იერივა სხე მგლისაო.  
 ჰქითხეთ ერეკლეს ამბავი,  
 სიკეთე იმის ხმლისაო.  
 წარსულის დროის ამბებსა  
 წვრილ-წვრილად ჩამოსთვლისაო,  
 ამ საუბრის დროს ხანდახან  
 ცრემლებიც ჩამოსდისაო.  
 მამასახლისიც მოვიდა  
 ლიპ-გამოსული, ხენეშითა.  
 ზედ ეტყობოდა — გამძლარა  
 სადლაც ღვინით და ლეშითა.  
 საჭმელს და სასმელს კითხულობს  
 კიდევ თვალების ბრეშითა.  
 ღვინო მოართვეს ხელადით,  
 ლორის ხორც-წვენი თეფშითა.  
 გადაპრა ღვინო გემრივლად,  
 თეფშიც მოსვლიპა ძირითა.  
 მერძე დაიწყო მსუნაგად  
 თითების ლოკა პირითა.  
 ახლა საყელოც გაიხსნა,  
 შაკრული წითლის ლილითა.  
 „ერთი ზაქარას უთხარით,  
 აქ გადმოვიდეს ჩემთანა!“  
 ამბობდა მამასახლისი,  
 მიქადლებული კევრითანა.

## II

ზაქარაც გვერდზე მოუჯდა,  
გაუენთილიყო ისიცა.  
ტიკის პირიდამ თუ ჰსეამდა?  
კუპრიც ტუჩს ეკრა, ფისიცა.  
ლვინო მოჰქონდა დოქითა  
და ერთი ჯამი ქვისიცა.  
მოუჯდა მამასახლისსა,  
სიტყვას ეტყოდა ტკბილსაო:  
„თუ შენ მომიხველ, რა მომქლავს  
და ან რა მომგვრის ძილსაო?“  
ეტყოდა მამასახლისიც:  
— გიბედნიეროს შვილიო.  
ლმერთმა ერთი ქალი მისცეთ,  
ვაუები ორი წყვილიო.  
იცოცხლონ მანამ სწადიანთ,  
ცხოვრება ჰქონდესთ ტკბილიო.  
ისრე დაბერდენ, რომ ერთხელ  
არ წამოსტკივდეთ ბჩხილიო.

გადაჭრჩა ერთსა ვარიკას,  
ხელადას ლვინიანადა,  
და აძლევს დარიგებასა  
ზაქარას რიხიანადა:  
— რა დაგიმალო, ზაქარო,  
ან კი რა დასამალია?  
დამორჩილება მეფისა  
ყოველი კაცის ვალია.  
ვერსად წაუვალთ ვერა გზით  
მალლა ლმერთს, დაბლა მეფესა.  
უნდა ვეყმოთ და ვემონოთ  
ჩვენზე ყალანის მკრეფესა,  
ზოგისთვის ელვას მრისხანეს,  
სხვისთვის ბედ-მოიეფესა.

ზაქარამ მალე გაუგო  
მოხელეს გულის პასუხი,  
და უთხრა იქ მღვიმს მელვინეს:

„მოიტა ღვინო, დაუსხი!“  
 მაგრამ მასპინძელს სახეზედ  
 ფერი ფერადად სდიოდა.  
 გარეგნად არ დაიმჩნივა,  
 თუმც შიგნით გული სტკიოდა.  
 — მაშ ერგო ჩემსა სესესა  
 სალდათში წასვლა, ეგ არი?  
 ლმერომა ქმნას, შასძლოს ერთგულად  
 იხადოს მეფის ბეგარი.  
 სტუმრებმაც მალე გაიგეს,  
 გაისმა: „ვიში, ვიშიო!“  
 — რასა ჰეიშ-ვიშებთ, — სთქვა სესემ,—  
 გულში არა მაქვს შიშიო!  
 თავით გვირგვინი მოიხსნა,  
 ცოლს გადაუგდო კალთაში.  
 სთქვა: „მესმის, მამასახლისო,  
 წასვლა მრგებია სალდათში!  
 ადეგ, წავიდეთ, მზადა ვარ,  
 არ მეშინიან ომისა,  
 საითაც ტყვია მოზუის  
 მკერდით იქისკე დგომისა.  
 განა მარტოკას მე მერგო?  
 იქ სხვა ქართველიც ბევრია.  
 კაცი მოკვდება ყველგანა,  
 სადაც ლმერთს დაუწერია!“  
 — დლეს, შეილო, კიდევ ნება გაქვს,  
 დედოფალს ჩაეხუტია.  
 ხვალ კი... რადა, დედოფალო,  
 რად მაგრე გამებუტია?!—  
 სთქვა რა ეს მამასახლისმა  
 თან გადიშურა ჯამია.  
 ლმერომა გიშველოს, ღვინოვო,  
 რომ გაუნათლე გვამია!  
 ოვ, როგორ ცივა, ქარი ჰქინის,  
 როგორი ბნელი ლამია.  
 დედოფლისათვის ეს ლამე  
 სიკვდილის სწორი წამია...

თავი დაჰქიდა, ტიროდა,  
 ცრემლს აფრქვევს გვირგვინიანი.  
 ღვარიეთ მოსდის ტიალი,  
 ცრემლია პილპილიანი.  
 ზაქარას გვერდით მოსჩანდა  
 ერთი მოხუცი ხნიანი.  
 თეთრ-წვერა, წელში მოხრილი,  
 ხმა-ტკბილი, სახე-ჭყვიანი.  
 მოხუცი წელში გასწორდა,  
 სიტყვა წარმოსთქვა გზიანი:  
 „ლმერთმა გაცოცხლოს, შვილო, სესიავ,  
 რომ ვაჟაცური სიტყვა სოქვი შენა.  
 ვაჟკაცი მუდამ მაგარი უნდა,  
 არ დაიჩინის აღვილად წყენა.  
 რაღა ხალხია ეხლანდელები!  
 დაქალაჩუნდა, დალაჩრდა ყველა.  
 შასჭამს მთელს სოფელს, რომ მოინდომოს.  
 მჩხავანა ტურა, ან წუწეი მელა.  
 სოფელში ერთს თოფს ვერ გამოსძებნი,  
 თოფი იშოვნო, მსროლელი ვინა?  
 რასაც დღეს ვხედავ, ვინა ჰინახავდა  
 ამგვარს ვაჟაცებს ძელს დროს, უწინა?!.  
 დლე-და-ღამ თოფი, ხმალი, ხანჯარი  
 განუშორებლივ გვეკიდა ტანზე.  
 და ვიგერებდით ლეკ ოსმალ, სპარსა,  
 თავს დასხმულებსა მთა-ბარს თუ კარზე.  
 თუმცა კი გვაცვეს შეჩვენებულთა  
 მაინც ქართველნი ბოლოს დროს ჯვარზე..  
 მაგრამ გულითა საღნი ვიყვენით,  
 გვეფასებოდა ერთურთი მაშინ.  
 ეხლა სრულ სხვასა, სხვა სურათს ვხედავ,  
 გულის სამღვრევლად მიდგება თვალწინ.  
 უნდა ვიცოდეთ, აღრე თუ გვიან  
 ისევ მტრიანი დროება მოვა  
 და, რა თქმა უნდა, მგლებს იამებათ,  
 წინ დაუხვდებათ თხა-ცხვრების გროვა.  
 ისწავლეთ ახალთ აბჯრის ხმარება,

თოფ-იარალის მოვლა და კილო.  
იმ მამიჩემის სულს გეფიცებით,  
გამოგადგებათ ეგ ცოდნა, შვილო!“

სთქვა რა ეს, კვერი დაუკრეს  
იქ მყოფთ აქედამ, იქითა.

თანა ჰყლაპავდენ ლვინოსა  
ჯამებითა და ჭიქითა.

სთქვეს: „კაცსა მეტი ცოდნათ  
ჰრგებს, როგორც სნეულს წამალი,  
არ უჭირდება მცოდნესა  
სოფლის გზა, ძნელად სავალი.

გზა ესე, ბევრგან ქლდიანი,  
ბევრგან წყალ-ჭაობიანი,  
სავალად უსწორ-მასწორო,  
ტინიან, საფლობიანი.

ათასკან ლიპი გვერდობი,  
ბოლოში ნაზლობიანი...

გული წაჭსლოდა დედასა,  
წყალი დაასხეს თავზედა.  
ძლივს მოაგონწრეს ბებერი,  
კინალამ შესცდა ჭკვაზედა.  
გულს იმჯილივდა, ჰბოდავდა  
შვილის „სალდათში“ წასვლაზე.

გამწარდა ლინი ყოველი  
დედის ქვითინის ნახვაზე.  
ზაქარა თავ-დაკიდებით  
ჩუმად დასცქერდა კერასა.  
სიტყვას ეძებდა სათქმელად,  
მაგრამ ამბობდა ვერასა.

გულში ლოცულობს იდუმალ,  
უფალს ევედრის შველასა.  
თანთან მინელდა ქოხშია  
ხალხის მღერა და უივილი.  
მის ნაცვლად გაჩალებული  
ისმის მამლების ყივილი...

## III

მინდორი არის გაშლილი,  
ჯარი სჩანს რაზმად წყობილი;  
აქ სჩანან ქართვლის ბიჭები  
სამხედროდ გამოხმობილი.  
გურულ, მეგრელი, იმერი,  
ფშაველ-ხევსურნი თუშებით,  
ლექვებიც ქართლ-კახეთისა,  
ყველანი სახე-ქუშებით.  
მეორე პირი მინდვრისა  
დაფარულია რუსებით.  
თოფები გადის ზედი-ზედ,  
ისმის ზარბაზნის დგრიალი,  
მიღის და მოღის რაზმები,  
მწყობრია ჯარის ტრიალი,  
ლიშანს ესვრიან თოფებსა,  
კვამლი წევს, ისმის ზრიალი.  
წესს აძლევს ქართვლის ლაშქარსა  
ერთი მოხუცი მხედარი,  
მხარ-ბეჭიანი, მრისხანე,  
თვალებით მეხი, მედგარი.  
ჩვენი სესიაც იქა სჩანს,  
ქორივით იყურებოდა.  
თოფის სასროლად ვაუკაცი  
სურვილით იწურებოდა.  
სამჯერ ესროლა ნიშანსა,  
ტყვია ტყვიაზე დაასო,  
და გული მეუფროსისა  
სიხარულითა აავსო.  
ზარბაზანს ლამაზად ხიარობს,  
უკეთ ცულზე და წალდზედა.  
ვეფხვსა ჰგავს სესე რომ პნახოთ  
გავლა, სახეზე, ხმაზედა.  
თუშური ქუდი კოხტადა  
დაუხურია თავზედა.

ჯარისკაცია, ამაყობს,  
 თუ გსურსთ იცოდეთ, მიტომა.  
 თუმც ერთხელ ძვირად დაუჯდა,  
 პეტკა რუსი რომ მიტორა.  
 გვერდში „მუსტები“ შემოჰკრა,  
 კარგა გალანძლა, მიჯორა.  
 ესე ამბავი დუქანში  
 ჯერაც სწერია ქვაზედა.  
 გიამბოთ, სესეს და პეტკას  
 ჩხუბი მოჰსელიათ რაზედა.  
 — შენ რა ბიჭი ხარ? პეტკაი  
 შენთან რა შასაღარია?  
 ზარბაზნის, თოფის სროლაში  
 პოლკში არა მყავს ცალია. —  
 პეტკა ეტყოდა სესესა,  
 როცა არაყი დალია. —  
 ლონეც მკლავში მაქვს ისეთი,  
 ემ წამზე წაგვლეჯ კისერსა! —  
 ეტყოდა პეტკა სესესა,  
 თან ხელს იმისკენ იშვერსა.  
 სესემაც უთხრა: — პეტკაო,  
 მე იმას გირჩევ, სესია,  
 ჩემს მამულებში, იცოდე,  
 ცოტა ფეტვები სთესია.  
 ვაჟო, შენ არ გამაჯავრო,  
 არ მამიყვანო ბრაზზედა.  
 თორემა, ლვთის წყალობა მაქვს,  
 თავი გინაუო ქვაზედა.  
 მაგ კომბოსტოებს, ლვთის მაღლმა,  
 გამოგირეკავ კარზედა.  
 პეტკავ, ჰევიანად იყავი,  
 სთქვი სიტყვა დრინჯი-დრინჯია.  
 ახლა იქითხე, კახეთში  
 სესე როგორი ბიჭია.  
 შეჰყვნენ პეტკა და სესია,  
 გაჩნდა მუშტების ტრიალი.

დიღხანს ისმოდა დუქანში  
 ჩვენის პეტკაის ლრიალი.  
 სესია დაატუსალეს,  
 ამით გათავდა ბრძოლაო.  
 მაგრამ დაჭერამ ვაუკაცი  
 ისე არ დაალონაო,—  
 მარტოკა ყოფნამ ბნელაში  
 სახლობა მოაგონაო.  
 მის მოაგონდა მარიკო,  
 ან როს არ მოჰვინებია?  
 მაგრამ ვით ეხლა, მის გული  
 მაროს არ დაჰმონებია!..  
 თვალებზე გუგად მოევლო  
 ქალი მკერდ-აფუებული,  
 მის დაბრაწული ლოყები,  
 კოცნისთვის გალუებული.  
 ოცნებას ოცნებას აკეცს  
 და რჩება მოტყუებული.

## IV

ლამეა. ჭშეპდა. მთებზედა  
 ნისლები იწვენ ფარადა.  
 ალაზნის ველსა ჰედლავენ  
 მთანი გალავნის გვარადა.  
 ტყეს ჩაებლერტა ფოთოლი,  
 ვენახებს ძაძა ეფარა.  
 მათი სარჩო და საბადი  
 კაცის ხელს გადაეპარა.  
 ისმის ტურების ჩხავილი  
 ტყიდამ გორ-გურის პირითა.  
 იმათ ბანს აძლევს მწუხარედ  
 ჭოტი მჯივანი ძირითა.  
 სოფლები დადუმებულან,  
 ყეფაც არ ისმის ძალისა.  
 არსიდამ სინათლე მოჩანს,  
 არსით ბოძები კვამლისა.

ალაზნის პირად მოსჩანდა  
 საწყლად სოფელი პატარა.  
 ერთის ქოხის წინ კაცი სდგას,  
 ტანზედ აცვია მაზარა. —  
 რატომ არ უწუხს მგზავრს გული,  
 ხომ მოაღრწია შინაო?!

შეკრთა როგორლაც უცნობი,  
 უცხოდ ეჩვენა ბინაო.  
 კრძალვით შეალო კარები  
 და ფეხი წადგა წინაო.  
 კერაში იჯდა ცეცხლაპირს  
 მისი მშობელი თინაო.

ცეცხლი ბეუტავდა, ჰქონდოდა,  
 ალი კვდებოდა ძელზედა.  
 გაშტერებით ზის ბებერი  
 და კარა უზის გვერდზედა.  
 მშობელმა შვილი ვერ იცნო,  
 ჰკითხა: „ვინა ხარ? ვისია?  
 რას დახვალ შუალამისას,  
 ეხლა რალა დროს სვლისია?!

რა გინდა, რუსო, რას ეძებ,  
 შენ აქ რა დაგითესია?!“  
 — რის რუსი? მე ქართველი ვარ  
 და შენი შვილი სესია. —  
 მიუგო სესემ თამამად,  
 როგორც მეომრის წესია.

— სესია? გაპძე, შენ, შვილო?!

ვაპძე, მომიკვდა თავია! —  
 ბებერს ჩამომხმარს პირზედა  
 ფერი დაედვა შავია.  
 სიტყვა სესია დედასა  
 გულს ეცა ტყვიასავითა  
 და ამოუშვა გულიდამ  
 ხმა რამე ხრიალსავითა.  
 მანამ შვილს მოეხვეოდა,  
 მანამ გულს ჩაიკონებდა,

მანამ სამის წლის ვარამსა  
გულიდამ მოიშორებდა,  
სული დალია მოხუცმა  
ხელებ-გაპყრობით შვილისკე  
და გაიმგზავრა, საითაც  
ყველას გზა მიგვდის, იქისკე...

# ერთის სიყვარულის ამბავი

## I

გოდება სიკოსი მტკვრის პირად, ოდეს იფი პირფელად:  
 დასტოვა სატრფომან.

მო, მეგობარნო, შემოკრბით,  
 მოდით, მოჯარდით ახლოსა,  
 თუ ვით ვარ გულდაკოდილი,  
 მინდა ყველამა მნახოსა.  
 მინდა რომ ჩემმა ერთგულმა  
 დღეს ჩემთან ივაგლახოსა.  
 გთხოვთ იგონებდეთ ყველანი  
 იმ ჩემ საყვარელ ნატოსა.  
 მო, მეგობარნო, ჩემთანა,  
 თქვენც ცხარე ცრემლი დალვარეთ,  
 გული სევრითა და სახე  
 ცრემლის ნაკადით დალარეთ.]  
 ლვინოზე ხელი აიღეთ,  
 ჩემსაებ თავი დახარეთ.  
 გულ-მოკლულს თქვენს მეგობარსა  
 შეუმსუბუქეთ დარდები.  
 მუხთალმა ბედმა ხელიდან  
 გამტაცა ია-ვარდები.  
 სატრფომ დამტოვა მარტოკა,  
 ობოლი დავიარები.  
 მოწამლული მაქს გუნება,  
 შემძულებია ქალები,  
 რა მექცა ჯოჯოხეთადა  
 ნატოს უუუნა თვალები.  
 სტიროდეთ ჩემთვის, ჰოი ძმებო,  
 შევქმნილვარ შესაბრალები.  
 დღეს სწორედ წელი შესრულდა,  
 რაც ნატო სადღაც გამიქრა,—

სანთელი ჩემის ცხოვრების  
 მოულოდნელად ჩამიქრა.  
 ვით ტარიელი წყლის პირად  
 ვზივარ და ვგლოუობ სატრფოსა,  
 ესაა, არავინ მოდის,  
 რომ აქ მხედავენ მარტოსა,  
 გლოვის მიზეზი გაიგოს,  
 ჩემთან მოვიდეს, მცადოსა.  
 იმით არ ვგევარ ტარიელს,  
 არ მცვია ტყავი ვეფხისა,  
 თუმცა ტაიჭი მეცა მყავ,  
 მართლა ღირსია ქებისა:  
 მსგავსი იმისი თავლაში  
 ბევრი არ დაებმებისა.  
 მაგრამ ფუჭია ყველა ეს,  
 დღე დამიბნელდა მზიანი:  
 რა ვეღარა ვსჭვრეტ სატრფოსა,  
 გულს მისცემია ზიანი.  
 ლამის გულს დანა დავიცე,  
 შეყრა გამიხდა გვიანი.  
 ნეტავ ან რომელმა ქაჯმა  
 მომტაცა ხუჭუჭ-თმიანი?!  
 თუ თავის ნებით გაფრინდა,  
 როგორაც ჩიტი ფრთიანი,  
 ეს ამიცანა ამიცნოს,  
 კაცი ვერ ვპოვე ჭკვიანი.  
 ეს ვიცი კარგად, გაქცევის  
 არ მიმიცია საბაბი,—  
 უელიდი ვითა თვალის ჩინს,  
 მსუქანი ჰქონდა ლაბაბი,  
 საჭმელად — ხოხობი ჰსურდა,  
 ან თუ ფლავი და ქაბაბი.  
 იცვიმდა რაც-კი მოსწონდა  
 ჩემი ლამაზი ჯალაბი.  
 იმის უცნობი არ იყო  
 ბაზაზი, აღარც ალაფი.  
 სადც ჰსურდა იქ წავიდოდა,

არავინ ჰყვანდა დამშლელი,  
 თვით განაგებდა ოჯახსა,  
 არ ჰყვანდა ხელის შამშლელი.  
 ისე ექცევა ბიჭებსა,  
 როგორაც დედა ალმზდელი,  
 და უციბ გაპქრა უკვალოდ,  
 თვალთა დამიხშო ნათელი.  
 თქენ რას მიშველით საბრალოს,  
 ძალიან ბევრიც ვიტირო,  
 მაგრამ მე მინდა გულითა,  
 რომ ეს ამბავი ვიყვირო,  
 ჩვენს ქორწინების წამშია  
 და არაფერი ვიძვირო.  
 გიამბოთ დაწვრილებითა,  
 სად მოხდა ჩვენი კავშირი,  
 ვინ იყო ნატო, რა იყო,  
 გაგაგებინოთ ნამდვილი.  
 მაისის ვარდი ფურჩენილი  
 და ლერწამ ტანად გაზდილი.

## II

გამგზავრება ხიჯოხი ტფილისიდან ხაცოლეს ხაძებრად.

მე ვიქნებოდი ოცი წლის,  
 ახლად წვერ-შემომდინარი,  
 ლამაზი თვალად, ტანადა  
 და ამასთანვე მდიდარი.  
 ბევრი ჰყავს ძმა-მეგობარი  
 ამ ლირსებისა ვინც არი.  
 მეც მიტომ მყვანდა ბლომადა  
 ბიჭები გარდნაკიდარი, —  
 მომღერალ-მოქეიფენი,  
 მსმელობის გამომჩინარი.  
 ზურნა-დუღუჟის ჭუჭუუნით  
 თავის ქალა მაქვს ახდილი,  
 მომწყინდა ასე ცხოვრება  
 ჯანის მომშლელი, გახრწნილი.

ვიფიქრე: ცოლი შევირთო,  
 ქალი სოფელში გაზღილი,—  
 სადა, კრავივით უმანქო,  
 მეუღლე იყოს ნამდვილი.  
 არ მინდა ქალაქის ქალი,  
 ფერ-უმარილით შასვრილი,  
 თუმც მაჭანქლებით დღე-მუდამ  
 ჩემი სახლია ავსილი.

თქმა და ქმნა ერთ წამში მოხდა,  
 მყის ავისრულე სურვილი.  
 ხომ იცით, წყალი ეწამლვის  
 კაცს, თუ აუტყდა წყურვილი.  
 ბიჭს ვუთხარ, მეორე დღისთვის.  
 რომ მოემზადა ცხენები.

მე სანოვაგე ვიყიდე—  
 მგზავრობის დამამშვენები:  
 დოში, მოთალი, სათალი,  
 საუკეთესო ყველები,  
 ერთი ტიკჭორა კახური,  
 ყელისა ჩასასველები.  
 ზედაც მწვანილი, ტარხუნა,  
 სიამით ასახსენები.

გავწყვიტე თოკი, რომლითაც  
 შეკრული მქონდა ხელები:  
 აწ ვიწყებ ახალ ცხოვრებას,  
 ცოლისთვის განახელები;  
 უნდა წავიდე, შემოვვლო  
 სამშობლოს მთა და ველები.

ხუთშაბათს დილით შევსხედით.  
 ცხენებზე მე და ზურაბა.  
 ჩაი არ დამილევია,  
 არც მიჭამია მურაბა.  
 გაეგო ჩემს მეგობრებსა  
 დღე ჩემის გამგზავრებისა,  
 ზურნით მომადგნენ კარზედა,  
 სურვილი თანახლებისა  
 გამომიცხადა ყველამა—

წევრმა ყმაწვილთა კრებისა.  
 მე მაღლი გადაუხადე:  
 „საქმეს არ მოუხდებისა!“  
 არ დაიშალეს, ქალაქსა  
 გამომაცილეს ზურნითა.  
 მერე წავედით ჩეენ ორნი  
 ცხენებით, არა ურმითა.  
 ძმა-ბიჭნი უკან დაბრუნდენ  
 ვაებითა და ურვითა.  
 „სიკოჯან, რისთვის გვტოვებო?!"  
 მეუბნებოდენ მდურვითა.  
 ავთანდილს ვევანდი მაშინა,  
 მივდივარ ცხენის ცურვითა.  
 დროც შემხვდა სწორედ საფერი,  
 პირველ მაისის რიცხვები,  
 ტყე ჰყვავის ათასფერადა,  
 ამწვანებულა მინდვრები,  
 და ჩემი ცოლის შერთვისა  
 უფრო განმტკიცდა ფიქრები.  
 მთა-ბარი ჰყვავის, — ვამბობდი, —  
 რა ამბავშია ბუნება?!

ეივილ-ხივილი ფრინველთა  
 სიყვარულს ჩიმეუბნება:  
 ყველას ტოლი ჰყავ და სწორი,  
 ერთურთის შემაქცევრადა.  
 მარტოკა, ოხერ-ტიალად  
 ვეხეტებოდე მე რადა?  
 უვავილი უვავილთან ჰყეავის,  
 ტოლთან სიცოცხლე სწყურია.  
 ფრინველთ, მცენარეთ ცხოვრება  
 გამიხდა შესაშურია.  
 ბუნების სიშვენიერებ  
 ამაგზნო, ამიყოლია:  
 მეცა ვთქვი — კაცი არ ვარგა,  
 თუ ტოლი არა ჰყოლია.  
 მივდივარ, ვამბობ: უთუოდ  
 უნდა შავირთო ცოლია.

თუ ვინმე შემხვდა ლამაზი  
 და მომივიღა თვალშია,  
 მხითევს არ დაესდევ, ეს ფიქრი  
 მიტრიალებდა თავშია.

საცა-კი სოფელში მივედ,  
 ყველგან დამიხვდენ ძმურადა,  
 ჰეოცავდენ ვარიკეებსა,  
 ლვინოს მასმევდენ უხვადა.  
 თან იმასაცა მკითხავდენ,  
 ქალაქით მოვედ თუ რადა.  
 არათერ პასუხს ვაძლევდი,  
 ხშირად ვიყავი ჩუმადა.  
 სხვად არათერი მიშავდა,  
 არ ვლალატობდი სუფრასა.  
 ქართველთა მასპინძლობასა  
 რა ქება უნდა, დიდება?  
 გააჩენს გაუჩენელსა  
 ქართველი სითაც იქნება.  
 რაც უნდა ლარიბი იყოს,  
 მაინც მდიდრულად გიხვდება.  
 ჩიტის რძის საძებრად წავა,  
 თუ სტუმრის სურვილს მიჰვდება.  
 წყალი ერთ ადგილს ნადგომი,  
 ხომ კარგად იცით, შმორდება.  
 მოყვარეც მოყვრისთვის ძვირობს,  
 ძვირად რომ ჰედავს, — ჰშორდება.  
 თქმულია: ოქროდ სტუმარი  
 მხოლოდ დილითა ჩნეულა,  
 თუ ხანი დასცალებია,  
 სპილენძად გადაქცეულა.  
 მეც ამ ანდაზის წყალობით  
 დიდხახს არსადა ვრჩებოდი,  
 მასპინძელს მაღლსა ვუხდიდი,  
 თავის ლურჯაზე ვჯდებოდი,  
 ჩამჯდარი იარაღშია  
 იმ სოფლიდანა ვქრებოდი.

## III

აქა ამბავი იმისა, თუ ხიკოს ვითარ მოეწონა ცოლი  
ილახი და მივიღა მის ხათხოვნელად ოვახსა ქმრისახა,  
ვითარცა გახათხოვარი ქალისა.

არაგონს მივეშურები,  
იქ მეგულება ძმობილი,  
კეთილშობილი კაცია,  
გულ-უხვ მასპინძლად ცნობილი.  
მივდივარ ჩრდილოეთისკე,  
ვუცქერ მთებსა და ჭალებსა.  
ტურფას, შემკობილს ბუნებას  
ვეღარ ვაშორებ თვალებსა.  
მხარზედა კოკა-შედგმულსა  
გზადაგზა ვხვდები ქალებსა.  
ჯეირნებივით მალხაზებს,  
ფეხ-შიშველ, წითელ-კაბებსა,  
ეშურებიან სახლშია,  
მგზავრს უმალავენ სახესა.

ერთს ადგილს შეგვხვდა გოგონა  
მხარ-კოკიანი, ცქრიალა.  
იმის დანახვამ იმავ წამს  
ამანთო, ამაპრიალა.  
მაშინვე გამოვუცხადე  
ზურაბას ჩემი სურვილი:  
„მე მომეწონა ევ გოგო,  
„პირ-ბადე შემობურვილი,  
„ამიტომ მაგათ სახლისკე  
„არხი გავაელოთ, ან მილი“.  
ზურაბას ხასიათად აქვს,  
მუდამ შემიქს წადილი,  
ნამეტნავ, თუ არა პშიან  
და ნაჭამი აქვს სადილი:  
მებახის „ბალი აღასა“  
სულ-კურთხეულის გაზღილი.  
მივყევით ქალსა კვალდაკვალ  
და შევიჭრენით ეზოში.

ქალი შევიდა ქოხშია,  
 ჩვენ დავრჩით გარეთ, ფერდოში,  
 და დაგვემალა იგი მზე  
 საღვურში ერთი ბეჭოში.  
 ვუყივლე სახლის პატრონსა,  
 გამოეხედა გარეთა.  
 მალე გამოჩნდა ქოხიდან,  
 ვინაც რომ დავიბარეთა.  
 მან ძმური სალამი მოგვცა,  
 ჩვენც ფრიად გავიხარეთა.  
 მე ბოდიშს ვიხდი: „შეგვინდე,  
 „თუ რითმე გაგამწარეთა!  
 „საქმე მაქვს საყურადღებო,  
 „ჩემო ძმობილო. შენთანა,  
 „ამიტომა გთხოვ მოხვიდე  
 „და ისაუზმო ჩვენთანა.“  
 თან ზურაბასაც ვუბძანე,  
 ხურჯინი შემოეტანა.

იმ კაცმა ისე მიგვილო,  
 როგორც დედ-მამა მშობელი.  
 აღმითქვა, რაც-კი შაეძლო  
 ჩემთვის ეამბნა ყოველი.  
 იქავე კაკლის ჩრდილშია  
 მან გავიშალა ფარდაგი,  
 საუკეთესო ხელადა  
 მან აგვირჩია ალაგი.  
 მეც არ დავზოგე, ხურჯინში  
 რაც მქონდა ამოსალაგი.  
 ლვინო და საუზმეული  
 სუფრაზე გაჩნდა მრავალი.  
 გიამბოთ, გაგაებინოთ  
 ჩემი თავგადასავალი.  
 ამ ჩვენს მასპინძელს რქმეოდა  
 ილია ყარყუმიშვილი.  
 ჯავრობდა, რად ვიხარჯები,  
 როგორაც ოჯახიშვილი.  
 „სტუმრის გაცარცვა სად თქმულა,

„ჩვენ უნდა გცემდეთ პატივსა.“  
 საღულრით მოაქვს ლობიო,  
 თან მოაყოლებს მწვანილსა,  
 საკუთარ ბალში მოკრებილს,  
 საკუთარ ხელით გაზდილსა.  
 დედლის დაკვლასაც გვპირდება,  
 თუ გავაგძელებთ ნადიმსა.  
 მე კი ლობიო მერჩივნა  
 ქათამ-ინდაურს ათ პირსა.  
 სული მესწრაფეებს ძალიან,  
 ვიდრე გავიგებ ნამდვილსა.  
 ის გოგოც იქა ტრიალებს,  
 მთვარესა ჰევანდა გაესილსა.  
 და როცა კარგა შევხურდით  
 მე და ილაი ლვინითა,  
 ვითომ ბას გავახარებდი  
 მოულოდნელის ლხინითა,  
 ვფიქრობ, ცაჲ დაეშეოდა  
 ილაი სიხარულითა,  
 პირდაპირ გამოუცხადე  
 წადილი ჩემი გულისა:  
 — აქ რომ გოგოა, ამისა  
 მე ცოლად შერთვა მსურისა.  
 ილამ ეს ჩემი ნათქვამი  
 სცნო შეცოდებად ყურისა,  
 იმიტომ მყითხა: „რა სთქვიო?“  
 და მეც ერთგულმა რჯულისა,  
 გავიმეორე ისევ ის,  
 რაც ჩემს გულს ლახვრად ულისა.  
 ვუცქერ, რომ ასდის სახეზე  
 კვამლი ალის და მურისა.  
 თურმე თვით ისა ყოფილა  
 მოზვერი იმა ფურისა.  
 კინალამ ადგა სუფრიდან  
 მოსაძებნელად ცულისა,  
 რომ ჩემთვის თავში დაეცხო  
 გასაფთხობელად სულისა.

მე მამულ-დედულს შევკვეხი  
 და ქონას ბევრის ფულისა.  
 სოფლელ ქალს ვაქებ, ქალაქის  
 ქალის მთქმელი ვარ წუნისა.  
 დალვრემილს ილას თანდათან  
 გამოდარება დაეტყო.  
 ლიმილიც მოსდის და უნდა  
 იგი ამბავი შაეტყო—  
 ვინც მიგვასწავლა იმასთან,  
 რომ მისთვის მტრობა დაეწყო.  
 მას თუ ხუმრობა ეკუთნის,  
 ხუმრობითავე მიეწყო.  
 „არა, ბატონო“, — ილამ სთჭვა:  
 „ეგ გოგო ჩემი ცოლია.  
 „სად გაგონილა, გათხოვდეს  
 „ვისაც-კი ქმარი ჰყოლია  
 „ცოცხალი, მერე ქმრისგანვე,  
 „ვისაც გვერდზედა სწოლია!  
 „ვისაც თქვენ შეუცდენიხართ,  
 „ძალლი ყოფილა ბროლია. .  
 „უჩენებია ქალწულად  
 „სხვისი მეცხედრე, ტოლია.  
 „თქვენთვის რაც არი, ხომ არი,  
 „ჩემთვისაც კაი სოლია“.

მე კიდევ არა მჯეროდა,  
 ვუმეორებდი კითხვასა.  
 მასპინძელი კი არა სცვლის  
 პირვანდელს თავის სიტყვასა.  
 რომ დავიუნე, შევატყვე —  
 ალმური ასდის ილასა,  
 პფიქრობდა ამოეშხამა  
 რაც პატივი გვცა ღილასა.  
 ახიც-კი იყო ჩემზედა,  
 ვდგებოდი თავდაყირასა,  
 ლვინო გაღავკარ ჭარბადა,  
 უნდა ვაბრალოთ იმასა.  
 ჩემ ბიჭს ზურაბას მით ვაქებ:

გაიგებს სად რა უხდება.  
 თუ პეტედავს ბოლო ცუდია,  
 მაშინ ძალიან სწუხდება.  
 თუ არ დავყევი მის რჩევას,  
 შემრისხავს, წამეჩხუბება.  
 რა სცნა, მოვტყუვდით ფიქრითა  
 იმ ჩვენის განზრახულითა,  
 მყის წამომადგა სუფრაზე  
 ცხენებით ალკაზმულითა:  
 „აბა, ბატონი, წავიდეთ,  
 „ავჩქარდეთ, დაგვიღამდება!“  
 მადლობა ვუთხარ მასპინძელს  
 და მოვიხადე ბოდიში,  
 რომ თავისთავად მოვტყუვდი  
 საცოლის ძებნა-ლოდინში;  
 რომ თავის ჭკუამ მომგზავნა  
 საწოლად სხვისა ლოგინში  
 და არავინ სხვამ, რის გამო  
 გულს მემატება ვარამი.  
 ვუძლვენი უკანასქნელად  
 გამოთხოვების სალაში,  
 შევჯერი ცხენზე, ავმართეთ  
 მე და ზურაბამ ალამი.  
 მაგრამ თაფლიანს გუდაში  
 აწ ჩაერია ბალლამი.  
 წამოსვლისასა, არ იქნა,  
 კარებზე დამრჩი თვალები.  
 ვხედავ, ქოქოლას მაყრიან  
 შორით, ქურდულად ქალები.  
 რა იქნებოდა, ჩემს ლურჯას  
 გაუტყლაშუნე მათრახი  
 და გავაქანე, თითქოსა  
 ასალები მაქტს ყაბახი.  
 თავს მაინც ნუგეში ვეცი,  
 კვალად ვახსენე ალახი.  
 მოვდივარ გაბრაზებული,  
 გულზე მედება გენია.

ზურაბაც მომდევს უკანა,  
 მოკოჭლობს მისი ცხენია.  
 მინდა რამ ვუთხრა ჩემს მხლებელს,  
 ხმის ამოლება მცხვენია.  
 როგორც ვატყობდი, ზურასაც  
 სჭირდა იგივე სენია:  
 ცხენზე ყრიელობს ის ჯავრსა,  
 ძალიან მოუწყენია.  
 ვერა ესკან კარგად პირველში  
 ეს დამარცხება ჩვენია,  
 მაგრამა ადამიანი  
 ლმერთს ისე გაუჩენია.  
 რომ სიკედილამდე იმედით  
 სტკბებიან მისნი დღენია.  
 ჩვენც ვფიქრობთ, სამაგიერო  
 სხვაგან მიუიღოთ ძლვენია.  
 მივდივართ თავ-ჩაქინდრულნი.  
 გიუივით გამეცინება.  
 „რას იცინიო, ბატონო?!“ —  
 ზურაბა დამეკითხება.  
 — მაშ სატირელი რა მაქვსო? —  
 მე ვუპასუხე მხლებელსა: —  
 — კინალამ კეტი არ მომხვდა,  
 კაცო, საცოლეს მძებნელსა?  
 „კაი დროს გამოგაცალე,  
 „ლეთის ძალით, ხათაბალასა,  
 „თორემ იმ ჭკვაზე იყავი,  
 „რომ იხმარებდი ძალასა.  
 „ილას გულისოქმაც, ვატყობდი,  
 „დგებოდა ყირამალასა.  
 „ნებით ვარჩიე წამოსვლა  
 „ქისტიკვრით წამოყვანასა.  
 „ბევრიც რამ ლვინის ბრალია“. —  
 ზურა მეტყოდა ამასა.  
 მოვდივართ, მოვლაპარაკობთ,  
 ბევრს ალარ ვდარდობთ მარცხშედა:  
 ათასი რამე მოხდება

სიცოცხლით კაცის თავზედა.  
და თუ ილასგან დავშარცხდით,  
ებჭობთ,—გავიმარჯოთ სხვაზედა.

#### IV

აქა თევა სიკოხი და ზურაბასი გარეთ და შეველეთა  
შიერ თავდასხმა.

ტყეში შევედით, დაბნელდა,  
მალედევე გვისწრო ლამემა.  
ცაზე არა ჩანს ვარსკვლავი,  
არც მოაშუქა მთვარემა.  
სოფელიც აღარსაღა ჩანს,  
გარშემო ტყეა ბურვილი.  
უნდა დროებით შევბოჭო  
ქალების ცნობის სურვილი.  
უნდა ვათიოთ გარეთა,  
ცა თაგს გვაქვს წამოხურვილი.  
ტყეების შუა ბევრია  
ამწვანებული კორდები.  
ტანზე მოვიხევვ ნაბადსა,  
მივალ და წამოვგორდები.  
ერთს ლამეს პოეტურადა  
ვიცხოვრებთ მე და ზურია.  
ბუნების წიაღზე თევა  
მერე როგორა მწყურია!  
ზურამაც დამცა დასტური,  
როცა დამიგდო ყურია.  
მაშინვე ერთს კოხტა მდელოს  
საწოლად მივაშურია.  
საძილედ მტეხავს კისერსა  
ნუნუა ნახმეურია.  
ცხენი მიუშვი ბალახზე  
და მიუჩინე ზურია.  
ისე მოუვლის ცხენებსა,  
როგორც ცხვრის ფარას მურია,  
თუ ძილმა არ უღალატა,

არ დახშო თვალი, ყურია.  
 ცხენის ბალიში დავიდე  
 თავით, წავეგდე მწვანეზე.  
 ცას მივაშტერე თვალები,  
 აღარ ვფიქრობდი ქალებზე.  
 ღრმად არი გულში ჩასული  
 ფიქრი მაშინდელს ღამეზე.  
 დიდებულია სათქმელად  
 გრძნობა იმ ღამის წამებზე,  
 კინალამ პოეტი გავხდი,  
 გათქმული ქართლის მხარეზე.  
 იქვე ბულბულიც აძრახდა,  
 ახლოს რომ იღვა ბარდია;  
 მოჭფინა არე-მარესა  
 გულს ნადულარი დარდია.  
 ვით დავიჯერო, რომ ბულბულს  
 არ აგონდება ვარდია,  
 როცა ის კვნესის და გალობს,  
 გრძნობით ასული ცამდია!  
 მაშ რა ახელებს, ატირებს,  
 თუ არ ტრფიალი ვარდისა?  
 როგორც მე ჩემის სატრფოსი,  
 ჯერ უცნაურის ქალისა.  
 სიამის მორევში ვცურავ,  
 სტენა რა მესმა მარდისა.  
 პოეტი გავხდი იმ უამად,  
 გრძნობა გრძნობაზე მომდისა.  
 კვლავ იმისთანა სიამე  
 ნეტავ ვიგემო როდისა?!  
 ღამის ფშვინვაზე, სტენაზე  
 ჩამძინებიყო ტკბილადა.  
 ასეთი ძილი, არ ვფიქრობ,  
 ვისმე ჰევედრიყო წილადა.  
 რომ შამრჩენოდა ბოლომდე  
 სიამე-შვება ძილისა,  
 მაგრამ არ შემრჩა, ესაა  
 ლხინში მომგვრელი ჭირისა.

სიამე ბოლოს მწარდება,  
 ყველა ამასა სტირისა.  
 ასრულდა ჩემზედაც წესი  
 სამყაროს ზედა-პირისა.  
 გარიფრავია. ჩემს ტანზე  
 კეტმა მოიღო რახუნი.  
 მემწევა. ვერაფერს მშველის  
 გარეთ ნაბადი ნახური.  
 ძილს მისცემია მაგარსა  
 ჩემს ახლოს ჩემი მსახური.  
 კეტი რომ მომხვდა, თანაცა  
 უბნობა მესმის ხალხური:  
 „ოქეე ოჯახ-დაქცეულებო,  
 „ვისგან სად არი ნახული  
 „ცხენების თავ-განებება  
 „უპატრონობა ყანებში!  
 „ოქეენ არა ჰყანებეთ თქვენს პატრონს,  
 „გამოერჩიეთ სწორებში!“  
 ერთი და ორი არ არი:  
 ხმაურობაა მრავლისა;  
 ალარ ზოგავენ ზურასა,  
 წრიალი მოდის სახრისა.  
 წამოახტუნეს. საბრალოს  
 კურდლის სახე აქვს დამფოხლისა.  
 პირველს რიგს მოჰყეა მეორე,  
 კეტები აღის-დადისა.  
 რევოლვერს ხელი გავიკარ,  
 მოკველა მწადიან კაცისა.  
 მაგრამ თავიდვე ვიკისრე  
 გამოცელა მავნე ახრისა.  
 ზურა იძახის „ვაისა“,  
 ჩემთვის ალარი სცალისა.  
 ისევ მივმართე პორტმანსა  
 დასათრგუნავად შარისა.  
 წანახედს ზღვევა თანა სდევს  
 და სესხს გადახდა ვალისა.

მწადს აცილება თავიდან  
 უსიამოვნო წამისა.  
 ოთხი მეველე თავს მაღა,  
 სახე აქვთ ამირანისა.  
 „ცხენები ველარ მოგართვით!“  
 მთქმელნი არიან ამისა.  
 წადი, უცხენომ იარე,  
 კვალი ეძებე ქალისა!  
 ზურაბა რასლაც დუდუნებს,  
 ხმა მისცემია მკალისა.  
 მე გადაუგდე თუმანი  
 დაუყოვნებლივ წამისა.  
 თან გავახსენე იმათა  
 მდგომარეობა მთვრალისა,  
 სიმთვრალით სოფლელთ ზარალი  
 და გაფუჭება ყანისა.  
 თანაც ტიკჭორას მოეხსენი,  
 ღვინო შევასვი თასითა.  
 დავათათბირე ტკბილ სიტყვით  
 და საზღაურის ფასითა.  
 მეველები დადუმდენ,  
 როცა ოროლი შავსეითა.  
 ზურამაც გამოიდარა,  
 პირ-დაფარულმა ხავსითა,  
 რომ ბედმა გვიხსნა კვალადა  
 თავს დატეხილის ნავსითა.  
 მოდავები შევიტკბეთ  
 ტკბილის სიტყვით და ფულითა.  
 წუხელ ბუნებით დამტკბარი  
 ვიტანჯებოდი წყლულითა:  
 დღეს დილით შხამი დავლიე  
 წუხელ დამტკბარმა სულითა.  
 მალე გავმზადდით სამგზავროდ  
 ბარგი-ბარხანით სრულითა.  
 ნაჯოხარებიც მოგვირჩა  
 თან რაც მოგვქონდა ზურგითა,  
 თუ მეველებს გადურჩით,

მის დღეში სიტყვით ურჩითა  
 არავის არ დაუხვდებით,  
 თუნდ თავში გვცემონ ვურჩითა.  
 მოვდივართ შარა-გზაზედა  
 ნაბიჯით ვაჟკაცურითა.

## V

აქა კვალად გამგზავრება სიკოსი და ზურაბასი არაგონს  
 და გზაში შეხვედრა აზნაურისა სოლოსი.

ტყეს ვავცდით ომ-გადახდილნი,  
 დიდი აგვიჩნდა მინდორი;  
 მდებარეობით შემკული  
 არ მეგულება მის სწორი.  
 შუაზე წყალი ჩაუდის,  
 ოთხ-მხრივ პაზლვრავენ სერები,  
 იქ მოსჩანს ცხვარი და ძროხა  
 ურიკხვი, გასაშტერები.  
 მთაზედა მონასტერია,  
 იქა სცხოვრობენ ბერები:  
 ევედრებიან უფალსა,  
 აუშერიათ ხელები.  
 განყენებულის ცხოვრებით  
 ქრისტიანობის მცველები.  
 ჭალაზე ვენახებია,  
 ვაზებს ამშვენებს მტევნები.  
 მტევნების გამონაურსა  
 მარანში უცდის ქვევრები.  
 სოფლებში სართულიანი  
 სახლები მოსჩანს ბევრები.  
 იმათ პატრონად ვიეჭვე  
 მე საქართველოს ბევები.  
 აქ ყველაფერი კარგია,  
 კარგს ქალებს ზრდიან დედები.  
 მომცემენ, მადლობას ვეტყვი.  
 არა?—არ შავეხვეწები.  
 მაგრამა მარცხი თან დაგვდევს,

ბედი შაგვექნა სულელი.  
 გზაში მიმდინარს მგზავრებსა  
 წინ ამოგვიხტა კურდლელი,  
 გზა გადაგვიჭრა, ურცხვადა  
 ჯაგებში შეძვრა ყურგძელი.  
 გვეწყინა მე და ზურასა,  
 ვწყევლეთ და ვკრულეთ ავადა:  
 „რაც ჩვენთვის გინდა, კურდლელო,  
 „ის დაგემართოს თავადა:  
 „იქცე მწევრების ლუქმადა,  
 „მზე ამოგიხდეს შავადა!“  
 ჩვენ მაინც უკან არ ვიხევთ,  
 მაინც წინ მივეშურებით,  
 დაბრუნვას უსატრფოოდა  
 მე არა ვთიქრობ სრულებით.  
 შუადლე გადასულია,  
 ცისაკე შავიყურებით.

პური მოგვშივდა და ლვინოც  
 მოგვწყურებია წყურებით.  
 მაგრამ ვერ გაგვიბედნია  
 ჩამოვხდეთ, სუფრა გავშალოთ,  
 ლვინო გადავკრათ, დარდები  
 თავში და გულში წავშალოთ,  
 საქროლად ოთხსავ მხარესა  
 ქარი და ბუქი ავშალოთ.

ვუცქერი, კაცი გამოჩნდა  
 ცხენის კუნკრუხით გზაზედა,  
 კეთილშობილი ვინმეა,  
 შორითვე ვატყობ ფხაზედა.  
 მას ჩერქეზულად აცვია,  
 ფაფახი ჰელავ თავზედა.  
 მოგვიახლოვდა კიდევაც,  
 თან გადმომხედა გეზადა.  
 პირველად შახვედრაშია  
 აზნაურსა აქვს წესადა.  
 რა მიცნო, გადამეხვითა,  
 გაჩალდა სალამ-ქალამი,

გავქექეთ ჩვენ მეგობრობა,  
 ეამთ ვითარების ნალამი.  
 ცხენებიდანაც ჩამოვხდით,  
 მუხის მიემართეთ ჩეროსა.  
 ლირს ამ ადგილას ვაუკაცმა  
 რომ ყელი მოიღეროსა,  
 თასი ალიპყროს და სატრფო  
 ხმა-მალა ადლეგძელოსა.  
 ვიცი, ღროების ტარება  
 ძალიან უყვარს სოლოსა.  
 სუფრა გაეშალეთ, ვქეითობთ,  
 ის თავს, მე სუფრის ბოლოსა.  
 ზურაბა ცდილობს, რომ ღვინო  
 ჩქარ-ჩქარა მოგვაყოლოსა:  
 თასი იმასაც მიერგოს  
 ობოლსა, უთვისტომოსა.  
 სხვა თავის სარგოდ ზურამა  
 ან კი რა მოიგონოსა?!

შე გორს გაება. ღამდება.  
 შინ დაგვპატიუა სოლომა:  
 დაბრუნდა ჩვენის გულისთვის  
 და საამებლად მხოლოდა.  
 გადაქრულები ვიუავით,  
 ცხენებს ვაყენებო ყალბზედა.  
 სოლუა თავის მერანსა  
 ახსენებს კარგად კარგზედა.  
 მივდივართ, ერთი მეორეს  
 ცხენებს ვაწონებო გზაშია.  
 ის აქებს თავის მერანსა,  
 მე ჩემი ამყავ ცაშია.  
 ისე ვაქებ და ვადიდებ,  
 თითქოს ნამდვილი რაშია.  
 „ჩემს ცხენსა ცხენი ვერ მოჰყვა,  
 იმ დღეს ვიყავით ხატშია.“  
 სოლოს ტრაბახმა მეც კვეხნის  
 მადა ამიძრა ახშია.  
 „ეს ჩემი ცხენი, სოლოჯან,

პირველობს ყარაბაღშია.  
 კამპი იცის და წიხლები,  
 ცხენი ვერ სჯობნის ყალბშია".  
 — მაშ თუ ეგრეა, გამოვცდი,  
 მოდი, მომყევი კვალშია.—  
 ცხენი გაქუსლა სოლომა,  
 ცეცხლი სცეიოდა ნალშია.  
 მეც გაუჯავრდი ლურჯასა,  
 დაუვარდები რაშია?!

მაგრამ ჩვენს საუბედუროდ  
 არ გავეძენით ბარდშია!  
 გადავიკაწრეთ თავ-პირი,  
 ეკლები გვერჭო თმაშია.  
 მე ფეხი ავიკანჭურე,  
 სოლო ტკივილს ჰერძნობს მკლავ'შია.  
 ძლივს გამოვძერით ბარდიდან  
 და გამოვედით კარშია.

გავცვალეთ ბაქი-ბუქები  
 უვაი დედაო"-ს თქმაშია.  
 ძლივსლა შევსხედით ცხენებზე,  
 ქუდები დაგვრჩა ჯაგშია.  
 სოლო გადაპრჩა მშეიღობით,  
 [სირბილი] არ უჯდებოდა ჭკვაშია.  
 ვსღუმვართ ორივე რაინდი,  
 ეკლებს დავეძებთ თავშია.  
 სატირელი გვაქვს, არ ვსტირით,  
 ტკივილებსა ვერძნობთ ტანშია.

არა გვწადიან, ქვეყანას  
 რომ ჩაუვარდეთ ყბაშია.  
 და როგორც იყო, მოვედით  
 ჩემის მეგობრის სახლშია.

## VI

აქა ლოგინად ჩავარდნა სიკოსი და გამიჯნურება—  
 ნატოსი პირველად.

იმ ლამეს რა იქნებოდა!  
 ველარ შევედით სმაშია,

რადგან ორივეს ტკივილი  
 კარგად გვეტყობა ხმაშია.  
 მანდილოსნები დაგვადგენ  
 ჯანაოზებად სნეულთა.  
 ერთი მალამოს ამზადებს.  
 სხვა სჩეჩქავს ბალახეულთა.  
 ვაი მე: ფეხით სნეული  
 გულშიც დამკოდა, ამრიგა —  
 შავ-თვალა ნატოს შეყრამა  
 გრძნობის მორევში შამრივა.  
 კრძალვით მექცევა, თვალებს კი  
 აელვებს, როგორც ჯერანი,  
 გულში მჩხვლეტს ეკალივითა  
 იმ თვალთა შემოხელვანი.  
 მორჩა, ვერ მიხსნის ვერავინ,  
 სწორედ მახეში გავები, —  
 აშვება ჩემი ძნელია,  
 მაგარი ჯაჭვით დავები.  
 მან შემიმზადა მალამო,  
 თანაც მზომავდა თვალითა.  
 სხვებს როდი უშვებს საწამლოდ,  
 თანაც დამიჯდა თავითა.  
 მიამა მეტის-მეტადა,  
 გულში ნათელი ჩავიდა.  
 შეყული იყოს ის წამი,  
 რა უბედურად წავიდა!  
 რა ვნახე, ნატოს ვებრალვი,  
 გაქრა ყოველი ტკივილი.  
 თუ ნატო გვერდს მყავ, წყლულებზე  
 შეიძლება-ღა ჩივილი?!

შევცურე ოცნების ზღვაში,  
 ლელავს გული და გონება.  
 ტრფობით აღზნებულს გრძნობასა  
 ან ვინ არ დაემონება?!

ტრფიალსა სატრფოისადმი  
 ან კი რა შაეწონება?!

ვვონებ, შემატყო ეს ქალმა,

თავადაც იშკო ღონება  
და ცდილობს ისე მოიქცეს,  
როგორც მე მომეწონება.  
გაიგო, ქსელში გავეტი,  
გამჭრიახი აქვს გონება.  
ჭირი მიმრავლა ჭირზედა,  
კი არ დაუშყო ფონება.  
და დღეს ხო დამაგმობინა  
სიცოცხლე, მკვდარსა ცხონება.  
გავხედე მეორეს დღესა  
მთა-ბარს, ბარიიანს ჭალასა,—  
სამოთხედ ესახავ მიდამოს,  
უცნაურსა ვერძნობ ძალასა.  
სხევა მინდორ-ჭალა ვერ გაჭზდის  
ჭალებსა ნატოსთანასა.  
ასე ვამბობდი ჩემთვისა  
და ზედ ურთავდი თანაცა:  
თუ ნატო ჩემი არ გახდა,  
გულში დავიცემ დანასა.  
ჭალს თითო-ოროლ სიტყვობით  
გაუბი წყნარი ბაასი.  
იმ უამაღ ჩვენი ნათქვამის  
არ ძალმის გითხრათ ნაასი.  
ჩემი თუ ორმოცი არის,  
ნატოსი არის რგაასი.  
შინაურებმაც შეგვატყეს  
კარგად ჭალ-ვაჟთა ცელქობა.  
ისინიც ხელს გვიმართავდენ,  
მხოლოდ კი მეტისმეტობა  
არ გავვეწია, ხომ იცით,  
ტრფიალთ რომ მოსდით ცეტობა  
ჯვარისწერამდე. უმისოდ  
არ სწყინდათ ჩვენი ცელქობა.  
ვიარებოდით წყვილადა,  
სულ გადავთელეთ ფერობა.  
რაც სათქმელი მაქვს ვერა ესთქვი,  
დაგმალე გულის მწველობა.

ვხედავ რომ ქალმა დამასწრო,  
 თავად დამიწუო ფერობა.  
 და ერთხელ, სეირნობის დროს,  
 ყელს შემომექვდო, მკოცნიდა.  
 ყურები გამომიჭედა  
 ჩემ აღმზდელ ძუძუს ლოცვითა  
 მეც ეს მინდოდა, რომ ქალის  
 გრძნობა ჩემს ტყუპად ჰყოლოდა  
 და მეტვა გაბედულადა,  
 რომ ცოლად წამომყოლოდა,  
 როგორც მე მქონდა, ჩემდამი  
 იმასაც ტრფობა ჰქონოდა.  
 ცოლ-ქმრობა ჩვენი, როგორც კლდე  
 ქმნილიყო საბოლოვოდა.  
 ამას ველოდი ნიშნადა,  
 ამ უამს ველოდი მხოლოდა.  
 ეს საიდუმლოც გავიგე,  
 აშ ბედი ჩემი გადაწყდა.  
 იმ დროს შაქარი, დღეს შხამით  
 მთელ საქართველოს გადასწვდა.  
 თქვენს მტერს და ავის მენდომეს,  
 რაც მე თავს ცეცხლი გადამხდა!  
 დღეს იმ თვალების ციალი  
 შხამისას მასმევს ფიალსა  
 ერთით ერთს ხელში, სხვით სხვაში  
 და დღეს მიბნელებს შჩიანსა.  
 გულს მიკლავს, ცხოვრებას მირევს,  
 ზიანზე მაძლევს ზიანსა.  
 არ მინდა ვნახო ნაცნობი,  
 ვემალვი ადამიანთა.  
 დღე და ღამ ამას ვიძახი:  
 ცოლი რად უნდა ჰქვიანთა!  
 ნიშნობით ჯვარისწერამდე  
 მტკაველი იყო მანძილი.  
 ბედნიერად ვგრძნობ მაშინ თავს,  
 მისრულდა გულის წადილი.



იმ ჩემმა ცოლეურებმა  
გაღში გამართეს სადილი.  
ჰპატიურბს ნათესავებსა  
ჩემი სიმამრი ტან-წვრილი.

## VII

აქა ნიშნობა და ჯვარისჭერა სიკოხი და გადახდა  
ქორწილისა.

მოქუჩდენ აბრამიანნი  
ხანჯლიანი და ხმლიანნი.  
მოსვლა იმათი ჩქარია,  
წასვლა იქნება გვიანი.  
ლხინი, ღროვების ტარება,  
პირველი იმათ ზე არი.  
ჩემი ცოლის ძმა სოლუა  
მასპინძლობაში მხნე არი.  
გამაცნო ყველას ვით სიძე,  
ღიღი შეძლების პატრონი,  
მოსული ქალაქიდანა,  
ნა(კ)თლუხ-ავლაბრის ბატონი.  
ის ჩემის ქებით თავს იქებს,  
თუ კაცი არი გამგონი.  
ერთი მოკეთედ იგი ვცან,  
ჩემის კაცობის ამწონი,  
საცოლედ ჩემდა მისი და,  
მის ღეღის ძუძუ-ნაწოვნი.  
სოლოც თავს იმით იწონებს,  
რომ იმის და მყავს ნათხოვნი.  
ჩემი სიმამრი დავითი  
გვმასპინძლობს გულით უხვითა.  
კაკლის ქვეშ მწვანე მინდორი  
დამშვენდა ლურჯის სუფრითა.  
პური, ყველი და ტარხუნა,  
არყები თეთრის შუშითა,  
ლვინო ღოქებით, ღედლები  
შემკაბილები კუჭითა;

შაქარი ერთად ხმელ ხილთან  
 შემკობილია ნუშითა.  
 მე ჩემის ნატოს გვერდითა  
 მთლად დავდი სულთქმა, უშითა.  
 პირდაპირ მეზურნეები,  
 გრძნობის ამძვრელნი ტუშითა.  
 ჩამწყრივებული სტუმრები  
 ჰშვენიან ფაში-ფუშითა.  
 „გორკას“ ყვირიან, არ დაცხრენ,  
 მინამდე პრაშტი-პრუშტითა  
 არ გადავედი ნატოსთან  
 მე თავით ბაიყუშითა.  
 სად იყო კაცი პატრონი,  
 არ გამათრია მუშითა,  
 არ მომცხო კაი ჯოხები  
 ზურგში, თავში და ყურშიცა,  
 მინამ ამ საქმეს ვიზამდი  
 ჩემის გონებით ურჩითა.  
 გაჩალდა დიდი სმა-ჭამა,  
 მრავალ-უამიერ, ქეიფი.  
 ბევრი იქავე წამოწვა,  
 ითხოვა საბან-ლეიბი.  
 არაფერს იმჩნევს დავითი,  
 ისეა როგორც ნეიბი.  
 დალამდა, დავიშალენით.  
 ამით დასრულდა დღე იგი.  
 მალე მსურს ჯვარის დაწერა,  
 მე ასე ვფიქრობ გულშია.  
 „ხვალე სჯობია“, ნატომაც  
 ის ჩამჩურჩულა ყურშია.  
 მე ესე ჩემი სურვილი  
 გავაგებინე სიმამრსა.  
 დავითს ეს ფრიად იამა  
 მხიარულს, სახე-მლიმარსა.  
 „ხვალე ქორწილში გვეწვიეთ!“  
 ეძახის ფხიზელს, მძინარსა.

„კვლავ მოპატიუეს ნუ ელით  
 „პირზე ოფლ-გადამდინარსა.  
 „ხელ-ერთიანად გპატიუობთ  
 „ყველას — ღარიბს და მდიდარსა“.  
 რას გავიგონებ უკეთესს  
 მე გულის გასაგმირალსა,  
 მოუთმენელად მოველი  
 და გულის ძგერით დილასა.

### VIII

აქა ქორწინება სიკისი და გოდება მისი პირველ  
 ლაშის გამო.

მინდოდა ჯვარის დაწერა  
 ჩუმად, უხალხოდ, ღამითა,—  
 არ იქნა მაინც, საყდარი  
 ისევ გაივსო ხალხითა.  
 ხუცესიც გაჩნდა ტარასტით  
 და თავის დიაკვანითა.  
 დაგვყუდეს შუა საყდარში  
 ხელ-შემქობილნი სანთლითა.  
 გვსურს ერთმანერთი თუ არა  
 სიტყვით არ გვითხა ცალითა,  
 ხუცესს აღრევე სცოდნოდა —  
 ქალს არ ვირთავდი ძალითა.  
 მლედელი მოძახილს იძახის  
 და დიაკვანი ბანითა  
 ამშვენებს ასამალლებელს,  
 თან ჩვენა გვსინჯავს თვალითა.  
 თავს გვირგვინებიც დაგვადგეს,  
 შემქობილები ჯვარითა.  
 დედოფალს გულში უხარის,  
 სახელს იმშვენებს ქმარითა.  
 შესრულდა ჯვარისწერაცა,  
 როგორც ქართული წესია.  
 „გაბედნიეროსთ უფალმა!“  
 გვილოცავს ყველა ესია:

„გამრავლდით იაკობივით,  
 „მფარველად გყვანდეთ მესსია.  
 „ოქვენს შუა ღვარძლი, ეკალი  
 „უფალს ნუმც დაუთესია!“  
 იძახის, რა ეხარჯება,  
 მრავალი ენა-კვესია.

მივედით სახლში. ქორწილი  
 გაჩაღებულა, მლერიან.  
 სხვა არაფერი აწუხებსთ,  
 მხოლოდ ჩვენს მისვლას ელიან.  
 მივედით ჩვენცა, მოლოცვით  
 სტუმრები შემოგვხვევიან.  
 დაქსხედით, ყური მოვწიე,  
 რო საუბარი ჩემზეა.  
 მაქებენ, არ მაძაგებენ,  
 ვინაც ზის, ვინაც ზეზეა.  
 ზურნა ზუზუნებს, ჭუჭუნებს,  
 დაფსაც ხომ გააქვს ბრახუნი.  
 გაჩაღდა მლერა ყოველ მხრით  
 მეტივური და კახური.  
 ჩამოდის პანტა-პუნტითა  
 ყავარი გარეთ ნახური.  
 ვიღაცებიც ჩხუბობენ,  
 კეტებს გაუდით რახუნი.  
 ძვალებზე ძალებს გაუხდათ,  
 ვეღარ აშველებს მსახური.  
 ზოგს სტუმართაგანს ამოსდის  
 რქა-წითელ ვაზის ნაჟური.  
 არავინ ჰედავს, ჩემს თავში  
 თუ რა ფიქრს გააქვს ფხაკური.  
 სულით ვილევი, თუ როდის  
 საძილედ დაგვიძახებენ,  
 მეფე-დედოფლის საამურს  
 საქმესაც განიზრახებენ.  
 შენაც ეს წამი, ძმობილო.  
 გამოგეცადოს, იქნება;  
 არა მგონია დამძრახო

და პრც დამიწყო ვინება.

ამ წამის მოწყალებაა,—

ნურავის გაეცინება,—

ათასნაირი სულღმული

მია-ბარს რო მოეფინება.

როდის-როდისა საწყლები

მიგვიხმეს დასაწოლადა.

ალბათ არ ემეტებოდათ

ჩემთვისა ნატო ცოლადა,

სიკოსთან გვერდზე საწოლად

ქალაქში გასაყოლადა.

რაც მე იმ ღამეს ვიგრძენი,

გერ ვათქმეინებ ენასა;

მხოლოდ დავჯე და ვტიროდი:

„სიკოჯან, ვაი დედასა!“

დილა ადრიან ავდექი,

ჯერ გაპარვასა ვლამობდი;

თავისთან ვუხმე ზურასა,

გაჯავრებული ვამბობდი.

„ჩქარა ცხენები შეკმაზე“ —

ვუთხარ... ტყუილად ვწვალობდი, —

ზურას ხუმრობა ეგონა,

ის ხალხში იჯდა, მღეროდა,

რო მე გაპარვა მეწადა,

იმას ის როდი სჯეროდა.

წასელა ხომ აღვილი იყო,

მაგრამ გაპარვა მცხვენოდა.

გული არ მიმწევს წავიდე,

თითქო რალაცას ელოდა.

წავედი. საღამომდისა

ვეხეტებოდი ტყეშია.

დავსდიგარ შეშლილივითა,

მხოლოდ ვსტირი და ვხვნეშია.

არც წყალი მინდა, არც პური,

ლუქმას ვერ ჩავტევ ყელშია.

ცეცხლი მედება თავზედა,

მით წყალს მივმართე ხევშია.

## IX

აქა გოდება სიკოხი მდინარის პირასა არაგონისასა.

დავჯე ერთს დიდრონ ლოდზედა.  
 „ახ, ნატო, ნატო!“ — ვტიროდი.  
 „შე უსამართლოვ, რად მომკალ?“  
 გულს ვიმჯილავდი, ვყვიროდი.  
 „რად ჩაჰვალ ჩემი სიცოცხლე,  
 „რისათვის არა ჰერთხილობდი?  
 „ვის მიე ბედნიერება,  
 „ჩემი საკუთნო ერთისა?  
 „ახ, ნატო, ჩემო ლამაზო,  
 „შიში არ გქონდა ღმერთისა?..“

\* \* \* \* \*

„ალაზნის თავსა, კლდის თავსა,  
სისხლის წყარონი დიანო.  
არცა ჰსმენ მონადირენი,  
არც როდის დაშრებიანო.  
ის ურჯულონი ლექები  
სასმელად გადმოდიანო.“

## I

თუ ვინმე მოდის, მოვიდეს,  
ხანი წავიდა თმენისა,  
ბარსაც სიცრუვე, მთაშიცა—  
წაწყმედა არის ქვეყნისა.  
ეჭ! ვამბობ, თორო რა ბარი:  
დიაცთ სალახი ბოსელი.  
მტრის ფეხის მჩვარად ქცეული,  
მხოლოდ კახურის მყნოსველი.  
ჩვენც გაგვიჭირდა, ვილევით,  
მუდამ-დღე რიცხვით ვმცირდებით,  
ერთმანეთს გულებს უკითებთ,  
მტრის დამარცხებას ვპირდებით.  
ბოლო კი უფალმა იცის,  
ცოდნა იმისი სწორია.  
ან ჩვენ, ან დალისტნელები—  
მეტი არ არის ღონია...  
ცუდია, როგორ ქვეყანას  
პატრონი არა ჰყოლია!  
წყაროსთან იჯდა ვაუკაცი,  
საყორნის ქედის პირადა—  
მთებს მოსდებოდა ნისლები —  
მწევერვალთ და მთების ძირადა.  
მთა უჩაჩქნ-უმუზარადო  
სანახავია ძვირადა!

თვითონ ვაჟკაციც ხისლს ჰგავდა,—  
 მათი იერი სდებოდა;  
 წელთ ხმალი, თოფი კალთაში,  
 გვერდით დამბაჩა ჰქლებოდა.  
 ვაჟკაცსა ხმალი ალალებს,  
 დიაცს შვენება ტანისა,—  
 თვალთ მომხიბლავი ციალი,  
 თმა თუ ყორნის ფრთას ჰგავისა,  
 თუ ხშირად თავსა უბურავს,  
 თვითაც ვარდივით ჰყვავისა.  
 ჰყვას ვინ ჰქითხულობა? არავინ.  
 ყვავილს ვინ ჰქითხავს ბჭობასა—  
 ია საბჭოში ვინ ნახა,  
 ერთი მითხარით, ძმობასა?!

მაგრამ ვაჟკაციც ვერ ვაჟობს,  
 თუ მტერს ვერ უზამს მტრობასა.  
 გაუცუდდება ულვაში,  
 ყველა დაუწყებს გმობასა.  
 ვის არ ურჩევნავ სიკვდილი  
 აუგიანად ყოფასა?!

გაუჩენლობა სჯობია  
 უკეთურაის შობასა.

## II

მტერმა აიკლო ქვეყანა,  
 სისხლის ღვარები დიოდა.  
 ყველა ჩვენ გვიტატანებდა,  
 ვისაც კი სისხლი ჰშიოდა.  
 იმ თავით აქამომდისა  
 ქართველს ცრემლები სდიოდა.  
 რას უშველიდა მის ნალველს,  
 თუ მთას არწივი ჰქიოდა?!

ვინც კაცი იყო ძელს დროსა,  
 ივერის ბედსა სტიროდა.  
 ქვეყანა იღუპებაო,  
 იგი ხმა-მალლა ჰყვიროდა.

უბირთა გროვა ჭკვა-თხელი  
 ამ დაძახილსა ჰქვირობდა.  
 კარგები იქლიტებოდენ,  
 უკეთურები რჩებოდენ.  
 ბერავთ რა უნდათ მის მეტი,  
 ოლომც პურ-ლვინით ძლებოდენ!  
 ნატანჯი ბედი, ნათელი,  
 დღეს მოვათრიეთ კარადა.  
 სულის-მაბრძოლი წინ გვიწევს, —  
 უნუგეშოა, ავადა.  
 ჩვენც იმას ვამბობთ: „რა უშავს,  
 მორჩება თავის-თავადა!“  
 ხმალს რა დაიჭერს, არ გაგჭრას,  
 ფარი თუ არ გაქვს მფარადა?!  
 ვინც ქვეყნის წყლულით წყლულ-ქნილა,  
 მხოლოდ იგი მყავს ხატადა...  
 ვკვდებოდე, მაინც მოვიცლი  
 მე იმათ დასახატადა.  
 მოდით, თვალებს წინ ამიჩნდით,  
 მირნო, გარჩევით გხედავდეთ.  
 თოფ-იარალში ჰსხდებოდეთ,  
 გალაშქრებასა ჰბედავდეთ.  
 თქვენთან-ა ჩემი სულ-გული,  
 თქვენკე ჰქრის ჩემი ოცნება.  
 უთქვენოდ უსიცოცხლოა,  
 ძალას ვერ იჩენს გონება.  
 თქვენ მოგიგონებთ, გულიდამ  
 ექლის ჭრო მომეფონება.  
 ომავალისა იმედი  
 თქვენს საქმეს შაეწონება.  
 რა კაცი უთხრა იმასა,  
 ვისაც არა სძულს მონება?!

## III

— სადიური ხარ, ძმობილო,  
 აქ რად ხარ, რისოვის ირჯები?

— თუში ვარ, მთის ყარაული,  
 უნდა მომსლოდენ ბიჭები,—  
 ვუცდი და არავინ მოდის,  
 რა მიზეზია არ ვიცი,  
 საქმე აუწნდათ და ალბათ  
 მისთვის გატეხეს მათ ფიცი.  
 ათასი გზა იქვ ლეკებსა—  
 რაკი გაშრება ქედები—  
 კახეთსაც ატირდებიან  
 ზარით კახეთის დედები...  
 რა ტყეს დაესხმის ფოთოლი,  
 ამწვანდებიან გორები,—  
 მკალიასავით დაიძვრის  
 დალისტნელების გროვები.  
 დაიტაცებენ ტყვეებსა—  
 ქართლ-კახეთისა არესა,  
 მიუდისთ ცხვრის ფარასავით  
 იმ დალისტანის მხარესა.  
 თუ მოვალეობით, ვაი მათ,  
 მლერას შეუცვლით გლოვადა,  
 თუ არა, შეუყრელობა  
 გვრჩება სავარმო ხსოვადა.

---

ცას სისხლის სვეტი ავიდა —  
 მზე ძაძას იცვამს ტანზედა.  
 ურიცვი ლეკის ლაშქარი  
 ნისლივით დაწვა მთაზედა...

---

## გული-ბედკრული

(დრამა)

განო (მარტივა)

ესეც ვისწავლე... აი მოწმობა.  
 ამაში სუფევს დღეს ჩემი ბედი...  
 საცა წარვალენ, კაცად მიცნობენ,  
 სხვა რაღა მინდა მე ამის შეტი?!  
 სამსახურისთვის გზა ხსნილი არის,  
 იცხოვრე ტკბილად, ისქელე ფაშვი...  
 ნურცა ვის ებრძეი, არც ვინმე გებრძეის,  
 გადაასახლე გრძნობები თავში.  
 ფიქრი, მდევნელი პირადის ბედის,  
 გულ-გონებიდამ განაგდე კარში!  
 უნდა აკეთო მრავალჯერ ისა,  
 რაც შხამსა სთესავს გულ-გონებაში;  
 დაობებულთა გუნდს შეუერთდე,  
 შენც შეიმურო, მოგედოს ობი...  
 წნახო ასეთი თავისი თავი —  
 ბოროტებისა ბოროტზე მწყობი.  
 მაშინ ხო თითონ მე თავს მოვიკლავ...  
 მაგრამ ვიქნები ზნეობით მკედარი,  
 და იქნებ ჯანმრთელს ამ გულისთქმასა  
 მაშინ ვუწოდო ოცნება მცდარი.  
 არა. ვეცდები რომ დავრჩე კაცად.  
 წარბს ნუ შეიხრი, ოცნებავ ქველო!  
 რამდენის ტანჯვის მნახველი არის...  
 ახ, საქართველო! ოხ, საქართველო!

(მსახური შემოდის)

### მსახური

ვასო ვიახლათ და მოგახსენათ:  
 როგორ ბრძანდებით პირობაზედა?  
 თუ მიპარძანდებით სანადიროდა? —  
 თოფი ჰქილია ვასოს მხარზედა.

### ვ ა ნ ო

ღიალაც ვფიქრობთ, და მიკვირს კიდეც,  
 სისხამ ღილაზე არ მოიჩინა.  
 ძალიან კარგი, ძალიან კარგი.  
 სოხოვე, მობრძანდეს ცოტა ხანს შინა.  
 ჩვენ საღილად შინ ვერ დავბრუნდებით:  
 ცოტა საუზმე რამ მოვეიმზადე.  
 ცოტაოდენი ყველი და პური  
 სამონადირო ჩანთაში ჩადე.  
 ხომ იცი, მინდვრად პურს ვერ ვიშოვით.  
 აბა, ეცადე, ჩემო კიკოლი.

### კ ი კ ო ლ ა

რასაც ვეიბრძანებთ, ჩემო ბატონო,  
 სულ ავასრულებ, — ჭკვა მაქვს იმტოლი.

### ვ ა ნ ო

კიდევ „გვიბრძანეთ“, კიდევ „ბატონო“.  
 არ მოიშალე, კაცო, კიდევა?!  
 მითხარ ვანო-თქო, სახელი იცი...  
 (თავისთვის) ჭკვაზე ვარიგებ, უფრო ირევა.  
 ვირჩები. სული ყელში მოვიდა.  
 უსაქმობამა გამომაშტერა.  
 ესეც სოფელი. ვიმოქმედებო,  
 ვფიქრობდი, მაგრამ ვმოქმედობ ვერა.  
 ბევრიც რომა ესთქვა, რა გამოვიდა:  
 ჩემი ნათქვამი არავის სჯერა!....  
 ისევ მინდორი, ისევ მთა და ტყე,  
 იქ დაისვენებს გული ტანჯული.  
 საიდუმლოა ბუნების ენა,  
 ცოტად იმისგან მირჩება წყლული.

რამ გააცოცხლოს, რამ აღადგინოს  
 ჩემი იმედი, ფიქრი მოკლული?  
 ბარგად გამხდია სატარებლადა  
 ოცნება მყვდარი და მყვდარი გული.

### შემოდის ვასო

თავადს ვახლავარ, ოცნებით მდიდარს,  
 ჯიბე-ცარიელს, თავაზიანსა.

### ვასო

სალამი მღვდლის შვილს, ტაბლებით გაზდილს,  
 სმა და ჭამაში ფრიად ჭკვიანსა.

### ვასო

დიალაც, დიალ, მხოლოდ უწყიდეთ,  
 რომ მამის პაპაც მე მყვანდა მღვდელი.  
 მეტაბლეც იყოსახელვანი,  
 მაგრამ უსმენდა რჩევასა ერი.  
 როს საქართველოს თავს დაესხმოდა  
 ლეკი, ოსმალო — მოსისხლე მტერი,  
 ვითა მოძლვარი, ხელთ ჯვარ-აპყრობით,  
 ჯარს წინ უძლოდა ონოფრე ბერი.  
 სად პაპაშენის ხმა გაისმოდა,  
 ელავდა ფარი, ხმალი, ხანჯარი,  
 იქვე პაპაჩემს შემოკალთულსა  
 ხელთ სახარება, თან ეპყრა ჯვარი.  
 თან ანაფორის კალთიდამაცა  
 იყურებოდა მახვილის ტარი...

# დაჩაგრული მესტვირე

(პოემა)

დავრჩი თბოლი. არავინ მყენდა,  
რომ შევენახე დაობლებული;  
ის მამის ქოხიც ჩამომეშალა,  
ოჯახიც გახდა გაოხრებული.  
მშიერ-ტიტველსა მომინდა რბენა,  
რა მამა-ჩემი ჩავთლე საფლავში:  
ნალველმა გულზედ დამიწუო ქბენა  
და ცრემლი მედგა მუდამ თვალებში.  
მუცელს შიმშილი, ფეხებს სიშიშელე  
მუდამ-დღე ჰქონდა დაულეველი.  
დაჩაგრულობით აღრე და მალე  
დამეკარგა მე სიცოცხლის ძალი.  
მწარე სიცოცხლე გამოვიარე,  
დაწყლულებული [მე] დავ[დიოდი],  
მაგრამ ისეთი კაცი ვერ ვპოვე,  
ერთს მაინც ჭისმე შევბრალებოდი.  
მდიდარმა მნახა, ყური არ მიგდო,  
შემომიმზირა რაღაც ღმექითა;  
ჯერ ლუკმა პურიც არვინ მომიგდო  
მისუსტებულსა მე შიმშილითა.  
ასე ვატარე ჩემი სიცოცხლე,  
მინამ ქვეყანას მე გავიცნობდი.  
რაკი გავიცან სოფლის სიმუხოლე,  
მაშინ გონებით სულ გადავოცდი.  
მანამ მე მხოლოდ თავი მიმაჩნდა  
მწარე ბედისგან დაჩაგრულათა,  
მაგრამ რა ვნახე სხვაც დაჩაგრული,  
მე უბედობა ვიკან ბედათა.  
ასრეთმა ქვეყნის უსამართლობაში  
ჩამიყო თავი მწარე ფიქრებში:

რა დავაშავეთ ჩვენ — ამ საწყლობამ,  
 რომ ცოცხლებს გვმარხვენ ცივ სამარეში?!  
 სულ ეს ფიქრი ჩემს გონებიდამ  
 იყო დღე და ღამ განუშორებლივ,  
 ამისა გამო ვზარობ სიცოცხლეს  
 და ვეკიდები კაცის ძეს მტრობლივ.  
 ჯერეთ ვიფიქრე: თავი მოვიკლა,  
 მოვრჩე ამოდენს წვა და დაგვასა,  
 მაგრამ ბოლო დროს თავს გავუჯავრდი,  
 ვუთხარ: სიყვდილი ვის მოხდის ბარგსა?!  
 ვნახე, რომ საწყლებს არაეინ ჰყავდა  
 უბედობაში მანუგეშებლათ.  
 მდიდარი ლარიბს ფეხ-ქეშ სთელავდა  
 და არა სთვლიდა თავის ტოლ კაცათ.  
 ვსთქვი: ვანუგეშო მე დაჩაგრული,  
 ვექმნე მე იმას წყლულისა წამლათ,  
 გულიდამ მოქსნა მძიმე ნალველი,  
 გული მომიწყავს ჩემს მადლსვე მადლათ.

ბევრი ვიგონე — ეს მოვიგონე:  
 ერთი საითმე სტვირი მეშოვნა,  
 წამოვსულვიყავ, ქუჩებზედ მევლო,  
 დაჩაგრულების ბელი მეტირნა;  
 მდიდარს თუ ლარიბს კარს მივდგომიყავ,  
 ჩემი მხნეობა იქ მიმეყივლა;  
 გულს დამეწერა: კეთილი იყავ  
 და ნუ იქნები ქვეშ-ქვეშა მელა.  
 ყველა გავმართე, გუდა-ლა მაკლდა,  
 ახლა გუდისთვის დავიწყე ზრუნვა;  
 გზაზედ მომავალს ბებერი დამხვდა,  
 მას თან მიპქონდა ნაკუჭთა გროვა.  
 ვუთხარ: დედილო, ლმერთი გიშველის,  
 ცოტაოდენი ნაკუჭი მომე:  
 გუდა არა მაქეს, სტვირი მიმელის,  
 და შაგის ფასსა მოგიმლერ ხვალვე.  
 — რათ გინდა, შვილო, შენ ნაკუჭები,  
 ჩემ ფერს ქვრივ-ოხერს რა მოსჭარბდება?  
 მშორ-ტიტველი მყვანან შვილები,



ქამა და ჩაცმა მათ ეჭირვება.  
 აგერ, წა, შვილო, იქ მოითხოვე,  
 ხომ ხედავ, აგერ მწვანე სახლი სდგას?  
 ამის მომცემი იმ სახლში სცხოვრობს,  
 ის მდიდარია, ბევრი სხვაცა აქვს.  
 — ევ ხომ ვიცი მე, ჩემო დედილო,  
 მეც კარგად ვხედავ მდიდრების სახლებს,  
 მაგრამ მესტვირის გუდა იხილო,  
 მდიდრის ნაკუში იმას არ არგებს.  
 იმ ნაკუშებში, რისიც გუდაა,  
 უნდა ღნებოდეს ტანჯვისა ოფლი,  
 თორემ ის სტვირი „ყვას“ დაიჩხავლებს  
 და არც ექნება ამის ხმას ძალი.

ბებერს როგორლაც არ მოეშონა  
 ჩემი ასეთი ბრიყვათ მოქცევა,  
 გამწყრალმა თუმც კი წაიღუდუნა,  
 მაგრამ გაშალა ნაკუშთა გროვა.  
 — პა, შვილო, მოდი, ამოირჩიე,  
 როგორიც შენს გულს მოეშონება.  
 სულ ნუ წაიღებ, მეც გამიწირე,  
 ხომ იცი, შვილო, მეც დამჭირდება?!

რა მან ეს მითხრა, მეც გამეხარდა,  
 ესთქვი, რომ ახლა-კი ლმერთი მიშველის,  
 მაშინვე გულიც სპეტაკათ გახდა:  
 მას მოეხადა უანგი ბოროტის.  
 მიველ და უფრო შავი ვარჩიე,  
 იმ ნაკუშებში თუ რამ ერია,  
 სულ წვრილ-წვრილობით ამოვარჩიე,  
 ერთი-ორობით შევაყენე რვა.

წამოველ, მერმე სულ დავიარე,  
 თუ საღმე საწყალთ საღური იყო;  
 ყველა დაჩაგრულს ბაჟი მოვხადე,  
 მართლაც ამ გუდამ გუდობა მიყო.  
 ნეში და ძაფიც ლარიბთ მოვთხოვე,  
 მდიდრის მოცემულს ვუთხარ უარი.  
 ნეში ქვრივ-ოხრის, ნაკუში ბებრის,  
 ძაფად ვიხმარე საწყლის თმა-წვერი.

კარგა ხან ვკერე, ვკერე და ვკერე,  
 როგორც კი იყო ბოლოს შევკერე.  
 გუდა გამოდგა. ენა აიდგა.  
 ჩუმათ ტანჯვეისა დაიწყო გმინვა.  
 სტვირსაც ყმაწეილის ჩაუდგი ენა:  
 ისე უმანქო წმინდისა გულით.  
 იმან დაიწყო უბილწო უღერა.  
 ტანჯვეით და მასთან სიამოვნებით  
 შეიძლებოდა იმისი სმენა.  
 მისი ხმა იყო მსგავსი ველურის:  
 იქ ხელოვნური არა ერია,  
 მაგრამ ხმა იგი, როგორც სიმართლის,  
 ყველა კაცს გულზედ სწრაფლა სწევია.  
 მისი ხმა იყო ხმა სინანულის,  
 შემარიგები ხმა და მლოცველი  
 და არა შტოთე შურის და წყევლის,  
 კაცობრიობის აღმშტოთებელი.  
 სტვირმა თავისი რჯული დაიდო:  
 თავის ნებაზედ ის მოქმედობდა,  
 ქვეყნის საქმეებს თავი დაუდო,  
 მე არაფერში მექითხებოდა.  
 მე იმან მითხრა: „შენ დაუბერე,  
 სხვაში არაში გსაჭიროებო;  
 ყველას კარი-კარს შემოუარე  
 და მე ჩემ სათქმელს ავაულერებო“.  
 მაშინევ გუდა დავაკარ სტვირზედ,  
 მით შევაერთო მათი პირობა:  
 გუდას ებერნა დაუსვენებლათ  
 და სტვირს ეუღერა ჭეშმარიტება.  
 ჩემს სტვირს დავადე სახე გლოვისა —  
 ზედ გადავფინე მას ზავი ჩადრი  
 და წარვაწერე: „ხმა სიმართლისა  
 და მაცხოვარი არის ეს კარი“.  
 მისი ლერწმები ხმელ დუდგულისა  
 თვით ბუნებისგან არის შემდგარი:  
 არ მიხლებია ხელი კაცისა,  
 გაელამაზოს მის სახე გარი.

უშნო, უგვარო, ცუდათ გათლილი,  
 არ მიუდგება მას კაცის თვალი.  
 გული კი იცნობს, რომ არს მართალი  
 იქით მომქვნესი აზრი მაღალი.

აგერ ორმოცი წელიწადია,  
 რაც ჩემი ძმანი წვანან საფლავში.  
 მათ საფლავზედა მჟენარ შამბნარია  
 და შევიწრულნი აწყვიან ბნელში.  
 მათთან ჩაფლული მდულრი სიცოცხლე  
 გულ-ხელ დაკრეფით სთვლემავს მიწაში  
 და გულის ძერა, ლტოლვა კეთილზედ  
 ზეცას უპყრია უქრთამო ხელში.  
 ძმობა, ერთობა და სიყვარული—  
 ლამ-ლამ ჩამოდის და დატანტალებს,  
 მოვა და კარებს მომიკაკუნებს:  
 ადექ—გააღე, საწყალო, თვალი.  
 მე მოგესტუმრე, შენ მე ვერ მიცნობ?  
 ვინა ვარ, საით მე გზა მიმელის?  
 მე შენთან მოვედ, უნდა გაცნობო,  
 რა არს წუხილი და ლტოლვა ქვეყნის.

სტეირი გავმართე და დავემზადე,  
 სიმართლის ალი წინ დავამზადე,  
 გულში სიმაგრე მე აღვიზარდე,  
 ლმერთი ვახსენე და გავემგზავრე.  
 წამოვედ, სტეირი მხარზედ გადვიგდე,  
 ხელში ავიღე ცეცხლის ლახვარი;  
 ტიტველი ვიყავ და ტანჯვით სავსე  
 ჩამომტირალი მქონდა მე სახე,  
 მაგრამ გული კი მართალი მქონდა,  
 როგორც მთის წყარო წმინდა-ანკარა,  
 მიუდგომელი, მოუსყიდავი,  
 თვით სტეირის ხმაშიც კარგა დამჩნდარა.  
 ვერა შესრევდა ჩემ ტანჯულ გულსა,  
 ვერცა სიკედილი, ვერც ყველა ხალხის,  
 იგი მისდევდა თვის წმინდა სჯულსა  
 შეურიგებლათ გემოსთან ქვეყნის.

აი მივსდივარ ნელა, წყნარ-წყნარა  
 და გული ტანჯვით სულ მთლათ დამღნარა:  
 ჯერ ეს ვიფიქრე: „მე ვინ რას მკითხავს?“  
 და შეჩუჩუნდა უკულმა ჯარა!  
 გული ამბობდა: „არა და არა.  
 წილი, იარე, მანამ სტეირს ხმა აქვს,  
 მინამ ქვეყანა სულ არ წამხდარა“.  
 დიდხანს ვიარე ესრე წვალებით;  
 დღეს შემისრულდა მთლათ ერთი კვირა..  
 გული არს წრფელი ნუგეშის ალით;  
 იჭვნეულობამ ის ვერ დაძალა.  
 მიველ ერთს ადგილს, ულრანი ტყეა.  
 მის კიდე-არეთ რეცხავს მდინარე;  
 მალლით მცქერალნი თეთრნი მთანია,  
 და ნანგრევთ ციხეთ შეუპირავს არე.  
 ათასის წლისა მუხას და თელას  
 თავით ბოლომდე ხავსი ფარავდა  
 და ნორჩ ფოთოლნი, სუნი ფქვეულნი,  
 ერთი მეორეს გადაჰქვანძოდა.  
 გზა მტერითა სავსე, ხალხის ნაკვალი,  
 აქა-იქ ტყეში იკლაქნებოდა,  
 და მტერი, იქით ამომართული,  
 მალლა ხის ფოთლებს გადასდებოდა.  
 იმ გზისა პირზედ რუ გაყვანილი,  
 წყნარათ-მოკრძალვით მოკამებდა;  
 ია და ვარდი, ნაზათ მცქერალნი,  
 ნამით რწყულ ქვიშას ამოსდებოდა.

აი, გამოვცდი იმ ულრან ტყესა,  
 და ჩემს წინ აჩნდა ჩემის მტრის ძეგლი,  
 სამხრეთით უჩნდა ჯვრები საყდრებსა,  
 გორებზედ მოსჩანს კაცი და ქალი.  
 ავერ გამოსჩნდნენ ჩრდილით დარბაზი,  
 მზის სხივებზედა მოპკუვრიალებენ,  
 და მხრებ შესხმული ცოდვისა შუქნი  
 თავ-მოწონებით დასტრიალებენ.  
 მივდივარ, მაგრამ მუხლო მეკეთება,  
 ვერაფერს ვხედავ მე აქ საამურს:

ერთი ცბიერათ სხვას ეკრიჭება  
და ძალის ძალათ უქვენებს მას გულს.

აგერ გამოსწნდა ფრენით კარეტა,  
შავი ცხენები მასში აბია.

შიგა ზის ვინდაც ბედიომეტა,  
„მუქთი მჭამელი“ შუბლს აწერია.  
მის წინ, გზის პირას ამობუზული,  
ნაგლეჯ ძონძებში შეხვეული ზის  
ვინდაც, არ ვიცი, ბედით წყეული,  
ერთი ეს ვიცი, სახე აქვს კაცის.  
შავი მკლავები, მზისგან მიმწვარი,  
დახოცილები წინ დაუწყვია.

დაჩაგრულობის და ტანჯვის ზარი  
მას ჯაჭვით პირზედ დაჰკიდებია.  
ვინც გამოივლის, ზოგი ჯოხითა,  
ზოგი მათრახით გადაუშეივლებს  
და ერთი მდგომი აქ კანკარდითა  
მეორეს კრეპით მასზედ უჩვენებს.  
მის დანახვაში თავი ვინახე  
და სულ ავენთე თავით ფეხამდე,

ვსთქვი: ღმერთო ერთო, რისთვის გაგვლახე

ზოგნი,—და ღმერთსა ცილი დავსწამე.

ნუთუ ეს თვითონ მან დაგვიწესა?!

ზოგი ცოცხალი [მკვდრათა] ქცეულა;

კაცი კაცისგან, უცურე ბედსა,

ფეხ-საწმენდ ჩიარათ გადაქცეულა!

ჰო, უსამართლო, უნდო ქვეყანა!

ეშმაკის კვალზედ რამ დაგაყენა?

ნეტი შენს ნაცვლათ ეთესოს ყანა,

რომ ერთი სრული ძნა შეგვეყენა!

უწყალო ბედო! ცაში კასკასებ,

დასცინი ქვეყნის უძლურებასა.

არა, სულიკო, მაგას ნუ გვკადრებ,

შენის თმა-პირის დღეგრძელობასა.

ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლეცა ლირი,

თუ კი იცხოვრებ იმის დაკვალად.

აქ სამართალი უკედავათ სცხოვრობს,  
 ერთში ხო მაინც უწყვეტი მარად.  
 ჰო, სულო წმინდა, მომეც შეძლება,  
 განსაცდელის დროს პირში მარცხვნილე.  
 რომ ყველას ვუთხრა ჩემი საოქმელი  
 ყველგან, შენ უნდა მეხმარებოდე.  
 ვუთხრა და ყველას გულს დავაწერო:  
 „როდემდის უნდა ცეცხლში ვიწვოდეთ?  
 როდემდის უნდა სისხლსა ვშინჯავდეთ,  
 და ერთ-ურთს ხალხი ძმათ არ ვსახავდეთ?  
 რაზედ, რისათვის? არ გამიგია,  
 ერთმანეთს ველერდეთ, ფეხს ქვეშ ვსთელავდეთ?!“  
 გეყო, შენ სულო, წალი, კარგია,  
 ახლა კი ვიგრძნეთ, რომ გადავსხვავდეთ:  
 ალარ გვინდიხარ, წალი, დაგვეხსენ,  
 რას აგვეკიდე, ალარ გვეხსნები?  
 ან იქნებ ჩევნთან შენც დაიბადე,  
 რომ დავიხოცნეთ, შენც მაშინ გაჰქირე?  
 ბოროტო სულო! თავს ვერ დავიხოცოთ,  
 ჩევენგნით იქნება სულმოკლეობა,  
 მაგრამ ვეცდებით, მაინც ხომ ვსცხოვრობთ,  
 რომ ჩამოვიგდოთ ხალხთ შორის ძმობა.  
 და მართლაც, ძმანო, აქ რა შეგვრჩება.  
 ძმურად გადავსდოთ ერთმანეთს ხელი.  
 დაგიწყოთ ძმურათ ლხინი, ლრეობა,  
 შუბლს ნუ შევიკრავთ, გავალოთ გული,  
 სისხლი შევცვალოთ, ნუ დავიზარებთ,  
 ერთ-ურთს ჩაუდგათ თავ-თავის გული.  
 ჩევნისვე ძალით იმდნათ ვეცადოთ,  
 არ გავაჩინოთ ქვეყნად საწყალი.  
 ქვეყანას მივსცეთ ქვეყნური ვალი,  
 შვილებს აუნთოთ გულში ლამპარი,  
 იქნებ არ ჩაქრეს მათ გულში ალი  
 სიყვარულისა, ჩევნში აღმგზნარი.  
 იტირე ბედო, იკვნესე გულო!  
 მარტო ესაა შენი ნუგეში.  
 მაშ არ იცოდი, ძამია ჩემო,

რომ კაცთ სიცოცხლე არის თაშაში?!

დღეს მე ვაულერებ აქ ჩემ ყრუ სტვირსა,  
 იქ, იმ დარბაზში მართავენ ლხინსა.

აქ ძალლი ჰყეფავს და ჰყარავს შეილსა,  
 და ბუ იძახის საღლაც კლდის ძირსა.

ესენი ყველა ერთათა ვსცხოვრობთ,  
 ერთსავ ბუნებას ვემორჩილებით  
 და გათენდება ერთხელ ის დღეცა,  
 შავს და ბნელ მიწათ გადავიქცევით.

მიწათ ქცეული ჩვენი სიცოცხლე,  
 ძმობა, ერთობა და სიყვარული,  
 შაედუღება მიწასთან მალე,  
 მისგან ამოვა ნაზი ყვავილი,  
 იმ ყვავილს ჩალლით მზე გადმოხედავს,  
 და დაეცემა ციური ცვარი.

წამოვა ყველა, ეს ჩამოივლის,  
 და დაგვილება უმანქო გული.  
 კაცი აკოცებს იმ ნაზ ყვავილსა,  
 ჩვენც შევიქნებით მაშინ ცოცხალი.  
 ამით რა უშავს უგრძნობელ მკვდარსა,  
 თუ ქვეყნათ იყო როგორც ცოცხალი!

აი, შემოველ შუა ქალაქში  
 და კრძალვით მოვალ, მცხვენიან ხალხში.  
 იქით და აქით სიმღერა ისმის  
 და იძახიან: „ტაში და ტაში“.

მე ზედაც არვინ არ შემომხედა;  
 არცავინ მთხოვა სტვირი დამეკრა,  
 თქვეს თუ: „დახედეთ ჯერ მაგის სტვირსა  
 და მოითხოვეთ სიამოვნება!“

მე კი მივდივარ, არ დავიშალე,  
 მსურს ყველას ვუთხრა ჩემი სათქმელი.  
 ჩოხის ნაგლეჯით გუდა მივმალე,  
 არც მესტვირობის ვიწყე ძახილი.  
 ჩემთვის მაინც ხომ რა საჭიროა,  
 რომ დასაკვრელათ არ დამიძახო,  
 განა მესტვირის ლტოლვა ფულია?  
 ვერ მოვითმინე, გული შემეწვა,

ცეცხლმა ამართვა ძარღვებში აღი.  
 გატაცებულსა ღონე ვერ დამყვა,  
 გუდას მოუსვი კალთის ქვეშ ხელი.  
 ე, ჩემო სტვირთ, პატრონთან მოდი,  
 მე შენის მეტი არ მყავს ნუგეში.  
 შენში ჩავჭირვე ჩემი იმედი,  
 ამ მოუთმენარ სიყმაწვილეში.  
 მიესდექ ეზოში ჯოხ-დაბჯენილი  
 და ავაელერე ჩემი ყრუ სტვირთ.  
 ზევით ბალკონზედ გადმოდგა ქალი,  
 ჩვენის ცხოვრების დამკერი ძალი.  
 ის მე თვალებით ზედ დამციმციმებს,  
 უკვირს, იცინის და გულს მარილებს  
 და გრძლათ გადაშლილ გიშრისა კავებს  
 ნიავი შეძრავს, კრძალვით შეარხევს.  
 თავზედ დამყურებს და ვებრალები.  
 გული დიაცის მაინც ჩვილია,  
 მაგრამ სჩანს, რომე ბოროტი სული  
 იმის თვალ-წარბებს დასჩემებია.  
 იმ წამს მიბრუნდა, შევარდა სახლში  
 და შინაურებს მოუხმო კარში.  
 და გრძლათ ბალკონზე გადმოდგა ხალხი,  
 ათასნაირად აქრელდა სახლი.

„უცბათ გროვიდამ ერთმა მოხუცმა  
 „დაუკარ, შეილო“, მე დამიძახა:  
 „შენმა ნათქომმა ჩემზედ ქებამა  
 უნდა ამ გროვას გაუშროს ხახა“.  
 მოხუცმა მითხრა ეს დაცინვითა,  
 მაგრამ თუ ვიტყვით, ამ სიტყვებითა  
 სულ ცივ საფლავზედ წარმოითქმევა.  
 „შენი კეკლუცი ქალი, ბარბარე,  
 ცოტას იტირებს და დამშვიდება.  
 საქმროს იშოვნის, ცრემლი შეზრება,  
 შენი სახელიც დაავიშუდება...  
 შენი სახლ-კარი შენვე დაგცინებს,  
 რომ მოინელეს ბილწი პატრონი.

ამას კი მუდამ ყველა ახსენებს—  
 უსულო იქმნა სახელოვანი...  
 შენ საფლავზედა შამბი ამოვა,  
 არავინ მოვა, რომ დაგიტიროს,  
 მხოლოთ ოფოფი გაზაფხულს მოვა,  
 ნიშის ძოვებით თავზე დაგდახის.  
 შავი ყორანი მხრების ტყლაშუნით,  
 ამაყი სახით ზედ გადაგივლის.  
 წავა მხიბლავი თავის ყრანტალით,  
 ხავსიან კლდეებს შუა შეუცლის.  
 ამას გიამბობ, უნდა იცოდე,  
 მე შენ მიყვარხარ როგორაც კაცი,  
 არ მემეტები, საცინლათ გახდე,  
 ჩემთვის წმინდაა თვით სიტყვა „კაცი“.  
 ეს რა ესოჭვი, იმათ იწყეს ხარხარი;  
 ყველაძ ჯიბეში ჩაიყო ხელი,  
 თქვეს: „უბედური შეშლილი არის,  
 რაებსა ბოდავს, ნეტა, საწყალი“.  
 ჩემი სტვირის ხმა, ვით მთის ნიავი  
 შავს კლდეს მშობლურათ ეალერსება;  
 ამათი გულიც თუ არის შავი,  
 ალბათ სიმართლე თუ არ უდგება.  
 ცოტა ხნის შემდეგ თვით მასპინძელშაც  
 დააწყებინა ფულებს ჩერიალი  
 და მალლით ჩემს წინ თეთრმა ფულებმა  
 ძირს ჩამოიწყეს ცოდვის წკრიალი.  
 ღიახ, კარგია ფული ქვეყნისთვის,  
 მასზედ ჰქიდია სულ სამართალი,  
 მაგრამ რა გითხრა, ცესტვირისათვის  
 ეგ რომ არ არის გულის წამალი!....  
 თავი დაუკარ გულ-კეთილ ბატონს,  
 ფულებიც ერთათ მოვაკოშიწე,  
 უწყიდე, ამას, უსულო საგანს,  
 უნდა, მესტვირევ, შენც თაყვანი სცე.  
 კუპრი ჩაუსვი, მიწა მოვსთხარე;  
 ფულები მისვე ეზოში ჩავრგე,  
 წყნარათ ნაცარი ზედ წავაყარე,

ვუთხარ: „აქ იყავ, აქვე იხარე!“

იქით წამოვედ, ვიწყე ლეტება,  
 აქა-იქ კრძალვით სახლებს მივმართე.  
 ვისაც ეწამლვის ჩემი ვედრება,  
 იმისთვის ახლათ სტვირი გაემართე.  
 მღვდელო და ერო, და მეომარო,  
 მაქვს მე თქვენთანა ცოტა საოქმელი;  
 სხვას ალარ გეტყვი, მსურს ეს გაემარო,  
 რაც კარგიც არის და სანატვრელი...

მღვდელო! ქრისტესი ხარ მოადგილე,  
 უნდა გახსოვდეს შენ ეს სახელი;  
 ამაში არის მთელი სიმართლე  
 კაცის და ღვთისა შეზავებული.  
 ფთხილათ იყავი ყოფა-ქცევაში,  
 რომ გლეხს რჯულზედ გულს არ უწამლავდე  
 და სააქაოს ცეკლში ჩაწვულსა,  
 საიქიოსაც არ უმზადებდე.  
 აბა, მამაო, გთხოვ მოიგონო,  
 ქრისტემ რა უთხრა ურიეებსა:  
 გიყვარდეს მტერი, როგორც თავიო,  
 მხოლოთა ამით აამებო ღმერთსა!  
**არამი** (საწინააღმდეგოა ალალ-ისა)

რაც კაცს წესით არ ერგება; აქედან: არმობა 86,30.

**არანიხი** 179,3 სოფელია დუშეთის მხარეს.

**არმინდა** 278,11; 286,11 ქალის სახელია.

**არმობა** 6. არამი.

**არყი** 227,25 ხეა ერთი.

**ასი:** ნაასი 183,28 ნაასალი, მეასედი.

**ასახელება** რომელიმე სალოცავის სახელზე (როგორიცაა მაგ. ლაშარის ჯვარი, კოპალა, იახსარი) შესაწირავი საქონლის აღთქმა (უმთავრესად ხარისა); აუსახელებ 44,33 ავუსახელებ, შევსწორავ.

**ასახდომად** 81,30 ასავალად.

**ასტამი** 247,14; 425,21 „დიდი ნიჩაფი რკინისა, პურზე ნაცრის დასაყრელი“ (ვაჟა).

**ასუსუებს** 259,31 აჩუმებს, აშენარებს.

**აუგიანი** 61,6 საძრახიანი, სირცხვილიანი.

**აუსახელებ** 6. ასახელება.

**აფთარი** ჭიენა, მგელ-კაცი (ცხოველია); აფთრად მოპყრობა 98,22 უწყალოდ მოპყრობა.

აქით 47,33 აქიდან.

**ალა** 80,4 ხაზეინი, ბატონი (ნ.. ბალიალა).

**ალივება** ლივის გამოლება; ანალივები 102,25.

**აყვავება**, ანუ აყოვება (სუფრისა) 64,27; 165,9 სანოვაგის მოტანა სუფრაზე, სასმელ-საჭმელის დაგება სუფრაზე.

**აჩქამება** 42,3 ხმის გალება, ხმაურობის მოღენა.

**აჩქოლება** 121,27 ატოკება, ალტყინება.

**აძრახდომა** დალაპარაკება, ხმის ამოღება; **აძრახდა** 189,16; 332,12 ალაპარაკდა.

**აწმყო** 275,19 ახლანდელი დრო.

**აწუნტება** ამყრალება, არევ-დარევა. ააწუნტია 111,11 ააწუნტება.

**ახდომა** ასვლა; ასახდომად 81,30 ასავალად.

**ახეჩა** ახლეჩა; აეხეჩათ 164,1 აეხლიჩათ.

**ახ-ი:** კუთვნილი, რაც ერგება; **ახში** მაინც, იძულებით; მეც დამაკვეხა ახშია 181,12 მადა ამიძრა ახშია.

**ახუნდი** 3,3 თეოლოგოსი, სჯულის შეცნიერი (მაპმადიანებს შორის).

**ბაიუზი** 343,12 სულელი, გაუგებარი.

**ბალი** დიალ; **ბალი** დაუკრა 8.10 დასტური დასცა; **ბალი** ალა 325,32 დიალ, ბატონო.

**ბაზაზი** 84,14; 320,34 მეფართლე, ქსოვილთ გამყიდველი; აქედან:

**ბაზაზ-ხანა** 192,7 დუქანი ან მაღაზია, საღაც ქსოვილებს ყიდიან.

- ბაქი-ბუქი** 22,24; 181,11; 276,8  
**ბაქიაობა**, კვეხნა, ტრაბახი.
- ბაქვა:** ჰბაქვავს და ებრძვის  
 ხმა იდუმალი 255,13.
- ბაშუსტა** 299,17 ბატონი ბრძან-  
 დები!
- ბახი-ბუხი** 181,25 კვეხნა.
- ბაჯგბაჯი** უშნო სიარული სქელი  
 რისამე: დათვები მობაჯგბა-  
 ჯებენ 169,6.
- ბდლვერი** 20,30 ბდლვირი, ჰაერში  
 ბლომად გაბნეული მტვერი.
- ბდლვნა** 241,15 ბტყვნა, ფრთებისა  
 და ბუბბლის გაცლა.
- ბებო** 61,19 ბებია.
- ბედენა** განსხვავება; გავაბედენო  
 214,31 განვასხვავო.
- ბელადი** 43,1 მეთაური ომში, წი-  
 ნამძღოლი.
- ბელზეული** 108,22 ბელზებული,  
 ეშმაკთ მთავარი (სახარების მი-  
 ხედვით).
- ბერდია** 34,17 კაცის სახელია.
- ბერო** 239,8 კაცის სახელია.
- ბექთარი** 275,9 ომის დროს ჩასაც-  
 მელი ჯაჭვის პერანგი.
- ბექი** გორაკი; ბექობი 138,7 გო-  
 რაკებიანი აღგილი.
- ბეჭი** ქსოვაში სახმარებელი იარ-  
 ლი; ნაბეჭი დაბეჭილი (ქსოვის  
 დროს); მიწყობილი, შედგენილი  
 (230,7).
- ბილანი** 298,25 გულ-უბრყვილო.
- ბისტი** ძველებური წვრილი ფული;  
 ერთ ბისტსაც ნუ მომცემ  
 83,19 ერთ კაპეიკსაც ნუ მომცემ.  
 ბიწილა 6. იწილა-ბიწილა.
- ბიჭოს** 63,33 გაკვირვების დროს  
 სათქმელი სიტყვაა.
- ბლუკუნი** 101,9 სიტყვების ვერ  
 თქმა სწორად და გასაგებად.
- ბმა:** მობმა გზისა გზაზე დადგომა;  
 „ერთს რასმე მინდორს მოება“  
 81,35.
- ბოინი** 10,12; 230,24 გროვა, კრე-  
 ბული (ხალხისა, ფრინვლისა).
- ბოლქვი** 168,31 კრებული, ხროვა.
- ბოჟირი** 31,31; 91,23 ხმაურობა,  
 ურიამული; ბოჟირება ჩოჩქო-  
 ლება, შფოთება; აბოჟირებ  
 63,29.
- ბორბალა** 206,30 მთაა (სადაც სა-  
 თვე აქეს ფშავის არაგვს, იორსა  
 და ალაზანს).
- ბოტება** დიდი ნაბიჯებით სიარული  
 (დიდი ცხოვლისა); მიაბორტებდენ  
 160,34.
- ბოში** 64,18 ფონე, მოშვებული,  
 არა მაგარი.
- ბოძი:** დედა-ბოძი 66,24 მთავარი  
 ბოძი სხალში.
- ბოხეი** 154,28 ბოხი, მსხვილი ხმა.
- ბრაწი** 201,32 „უცვეთელა. მცენა-  
 რეა“ (ვაჟა).
- ბრეშა** 36,32; 199,17 ბლვერა,  
 მრისხანე გამომეტყველება.
- ბრიხილი** ფოთხილი; ბრიხილად  
 269,26; უბრიხილდენ 269,18.
- ბრიყვი** 3,23; 130,12 გაუთლელი,  
 უხეში.
- ბრუტ-დასეული** 109,28 ბრუ-და-  
 სხმული.
- ბრჯღალი** 139,36; 215,6, ანუ  
 ბჯღალი 123,11; 160,5 ბრჭყა-



გამოერჩიეთ სწორებში 333,18  
სწორებს დააკლდით, სწორებს  
გამოპასულტით.

გამოწუა 242,5 შიგწეულობა გა-  
მოულო.

გამოჯვეული 297,20 გამობრძე-  
დილი, გამოწაფული.

გამქავრება გაქარევბა, გაქრობა;  
გამქავრდა 135,19.

გამხვივნებული 141,17 გაძლიე-  
რებული.

განალამც 80,27 არა თუ.

განება: ვეგანები 13,16 პირდაპირ  
მისკენ შივდივარ: ვეგანებოდი  
53,10.

განაპოზი 78,6 გაპოზილი. ნ. პოზვა.

განიუება დაეკინება; გაინიუებ  
162,17 დაიყინებ, ამოიჩემებ.

გარეგვნა გაყრევინება ფოთლებისა  
და ნაყოფისა; დალუპვა, გაჰრევ-  
ვნე 111,7.

გარეწარი 275,14 გარე-გარე მიგა-  
ლი, თავისიანთათვის ინტერეს-  
მოკლებული.

გარინდებული 110,2 დაბნედილი,  
გონება-მიხლილი.

გაროზგილი 300,3 ნაკეში.

გასალეშად ნ. გალეშვა.

გასარჯვა (გასჯა'დან) გარჯა,  
შრომა; გაიხარჯენით 14,9 იშ-  
რომეთ.

გასუქ-გალალეთ 39,21 გასუქეთ და  
გალალეთ. ნ. ლალი.

გატლოშვა ნ. გამტლოშვა.

გაქუსლა 338,6 (ცხენი) გააქენა  
ქუსლის კერით.

გაჩემება: არ გააჩემო ხმა არ ამო-

ილო, კრინტი არ დასძრა; გააჩე-  
მო 195,9 გააბეზრაო (<sup>?</sup>).

გაცრცვილი 300,3 გაძარცული,  
ფოთლებ-დაყრეინებული.

გაწინწილება წილ-წილად დაყოფა;  
გაიწინწილა 151,10 წილ-წილად  
დაიყო, გაინაწილა.

გახედნება გახედვა; გაჰხედნებს  
30,11 გაჰხედას.

გახდომა: ვოლაცებსაც გაუხდათ  
188,20; 345,25 ვიღაცები წაი-  
ჩეუბნენ.

გეგენა 247,3 კაცის სახელია.

გეზი 81,24 მიმართულება გზისა;  
გეზად 336,33 ირიბად, ცერად,  
არა სწორად.

გელება ქანება, ქნევა; აგელებს  
ლურჯახა (მი)აქანებს ლურჯას;

გაგელაო 296,28 გააქანო, გა-  
აქენაო.

გენუკავ 260,19 გემუდარები, მე-  
ტის მეტად გთხოვ; გენუკავთ  
228,20.

გერგეთი 94,26; 122,32 მყინვარი,  
ყაზბეგის მთა.

გერშ ნ. გაგერშვა.

გზა: გზად მიტევა გაშვება; გზად  
არ მიტევდი 38,6 გზაზე არ მი-  
შვებდი.

გზიანი 26,4; 312,10 ჭკვიანი.

გიგა 144,24; 284,8 კაცის სახე-  
ლია.

გლახა მათხვარი, მთხოვარი;  
გლახური 70,22 მათხოვრისებრი.

გოგრა კვახი; გაღატნით: თავი.  
გოგრა-ბზიანი უჭკუო, თავში  
რომ ბზე აქვს, თავ-ქარიანი.

**გონ-წარნი** (სახლობ. ბრუნვაში არ იძმარება) გონი, სალი აზროვნება: გონ-წართ არის ჭყუაზეა, გონზეა; მოაგონწრეს 313,20 გონს მოიყვანეს.

**გორის** ფხა 102,22 გორის ზურგი. **გორეა** 343,9 სიტყვა, რომელსაც გაიძახიან ქორწილის დროს, რომ აიძულონ სიძე-პატარძალი, ერთ-მანეთი გადაკოცნონ. (რუს. горько).

**გორველა** 188,6 სარეველა მცენარეა. პარკიანი, რომელიც შრგვალ მარცვლებს ისხამს და პურში ერევა.

გოხი 63,7 დიდი ქვა; ლოდი.

**გრეალი** 229,22 რეალი.

**გუდა** 43,11; 69,11; 296,11 თხისა ან ხბოს ტყავი სასაგძლედ გაკეთებული (მეცხვარეთა და მოგზაურთათვის); ფხროვის გუდა 73,21 გამზმარი გუდა, გაფხროკებული.

**გუდანი** 278,2 სოფელია ხევსურეთში; გუდანის ჯვარი 32,15 სალოცავია ხევსურებისა. 6. ჯვარი.

**გურჩი** 335,3 ქვა სანაყი, ფილთა-ქვა.

**გურჯი** 102,18 ქართველი.

## ღ

**დაარავება** „არა“ს თქმა, გადათქმა, უარყოფა; დავიარავებ 278,12 არას ვიტყვი, უარს ვიტყვი.

**დადედლებული** 127,18 დედლად გამზღვი.

**დაენუკვება** 303,1 სიხოვს.

**დავათათბირე** 334,19 დავიყოლი, დავითანხმე.

**დავიარავება** 6. დაარავება.

**დავიხელთო** 14,16 „გავგიუდე“ (ვაჟა).

**დავლათი** 45,22 ქონება, შეძლება, მოხერხება.

**დაგწუხდი** 441,1 დავლონდი უნახევრობით, მომენატრა ნახვა.

**დაზრობა** გაყინვა (ცხოველისა და მცენარისა); დაუზრეთ 235,27.

**დათირება** გაჩუმება, დამშვიდება (ატირებულისა, აღელვებულისა); დასათირებლად 162,9.

**დაკვრა ბალისა** 8,10 ჰოს თქმა, დასტურის დაცემა; დაკვრა კვერისა დამოწმება, დასტურის დაცემა; კვერისა დასაკვრელადა 209,31.

**დალაბანდი** დოლი; „დალაბანდუს უკვრენ“ 161,20; მედალაბანდე 173,10 მედოლე.

**დამწაზრული** 66,13 ლამაზი, დახატული, დამშვენებული.

**დანავსვა** 6. ნავსი.

**დანელება** (ოჯახისა) დავსება; დანელდა 71,3 დაიცსო.

**დანთქმა** ჩალრჩიბა (წყალში); დაინთქებიან 91,18.

**დარანი** 230,28 სამალავი (შიშიანიბის დროს თავის შესაფარებლად, ჩვეულებრივ ციხის ქვემო სართულში).

**დარანტული** 276,9 6. რახტი.



**დარბაზი** 66,24 ზალა; **დარბაზის კარი** 63,20 ალაყაფის კარი, ჭიშ-კარი.

**დაროშვა** (სიტყვისა) უთავბოლო ლაპარაკი; **დაუროშია** 64,20.

**დასათირებლად** ნ. დათირება.

**დასაშურები** 19,18 სასწრაფო.

**დასაწყელა** დასაწყელი, რომლითაც დაიწყება; **დასაწყელ-ანი** 66,11 აქ ა კინიობითის ფორმის მაჩვენებელია.

**დასტური** 432,10 ხატის მსახური, რომელიც ლუდს ხარშავს (დასტურობა რიგ-რიგად მოუდის სოფლელებს).

**დაუნაშავარი** 4,19; 6,21 უდანაშაულო.

**დაფ-დაფი** 4,18 საკრავი იარაღი, ორსავე მხარეს ტყავ-გადაკრული ჯოხების საცემად.

**დაფარფატებდჲენ** ნ. ფარფატი.

**დაშ(ვ)რმა** ჩადენა; **დაშვრება** 289,30 შვრება, ჩადის.

**დაშრობა** დაშრობა; **წყალ-დაუშრომელთ** 103,19 წყალ-დაუშრობელთ.

**დაჩქლეთა** დათლეთა; **დააჩქლეთონეს** 6,33 დაათლეთინეს.

**დაცარული** 30,1 უქან წასული, წამხდარი; **დაეცარა** კარგად არ წაუვიდა საქმე.

**დაძაგრული** 55,2 მაგრად დაჭერილი.

**დაწამება:** ახლად წვერ-დაწამებული 176,8 ახლად წვერ-დასხმული.

**დაწიმწმეს** 295,21 ძალიან გაავსეს (?).

**დაწრეოლა:** ზედ დასწრების 270,29 ზედ დასძრების.

**დაწუხება:** დავწუხდი 441,1 მომენტი.

**დაჭრეხილი** 198,4 ხუჭუჭი, დაგრეხილი.

**დახანხალებდა** 232,21 უშნოდ დაფრინავდა.

**დახირება:** დამეზირება 202,34 დამებჯინება.

**დაჯარებულან** 157,35 დაქუჩებულან.

**დაგანდგარი** 52,9 დიდი ხმაურობა, ზანზარი, გრიალი.

**დედა-ბოძი** 66,24 მთავარი ბოძი სახლში.

**დედალი:** დადედლებული 127,18 დედალსავით გამხდარი.

**დევი** 52,7 მდევი.

**დეკა** 205,12 ერთგვარი შეკრია-რომელიც მთაში იცის და მიწას გაერთხმის ხოლმე.

**დელგმა** 46,30; 62,8 კოკისპირული წევიმა.

**დგრინავდა** 142,15 ლულუნებდა (მტრედი).

**დიაცი** 37,15; 43,9 დედაკაციული.

**დრინჯი** 315,32 ღინჯი.

**დროშიონნი** 54,12 დროშის მზიდავნი.

**დუმ** ნ. მედუმლე.

**დუნე:** დაუდუნდება 30,10 მოუდუნდება, ულონო შეექნება.

**დუნია** 274,5 ქვეყანა.

**დურდნა:** ნადურდნი 127,35 უხეიროდ გათლილი (?)

გ

ელაკლუქება ნ. ლაკლუქი.

ენძელა 139,15 ყვავილია.

ერთი..., სხვა 182,11-12 ერთი...,

მეორე; ერთი სხვას 149,17

ერთი-მეორეს, ერთმანეთს; ერთი

სხვისას 168,30 ერთი-მეორი-  
სას.

ეტოლოს 244,35 ეფაროს.

ეფენდი 3,5 ბატონი.

ექიმბაში 173,18 სოფლის ექიმი,  
მატყუარა ექიმი, რომელიც შე-  
ლოცვებითა და მკითხაობით  
სწამლობს ხალხს.

ეჭვი: ვიეჭვე 335,28 ვიფიქრე.

ეხი 229,18 გამოქვაბული.

ეჯიბი 66,22 თავი მაყარი.

გ

ვაგლანი ვაიმეს ძახილი; დაივაგ-  
ლანა 13,30 დაიძახა: „ვაგლან“.

ვადა 129,27 ტარი ხმლისა.

ვაი-ნაჩრობა 107,25; 228,14 ვაი-  
ვაგლანი, ვაი-უბედურება.

ვარიკა (მრავ. ვარიკაები, ანუ ვა-  
რიკები) 310,19; 324,5 ვარიი.

ვარჩალალო 229,16 ვარალალო  
(სიმღერაში).

ვეზირი 272,26 მინისტრი, უმაღ-  
ლესი მოხელე მეფესთან.

ვეზაპი 42,2 დრაკონი (ზლაპრული-  
ცხოველი).

ვიღრემდე: მინამ..., ვიღრემდე  
112,1 მანამდი, სანამ.

ვინამ(ა) 13,30 ვიღამაც, ვიღაცამ.  
ვიჩინა 179,2 ლორი.

ვლა: ულის 327,29 უვლის.

გ

ზანდუკელი 180,3 გვარია (ზან-  
დუკელები არანისში ცხოვრობენ,  
დუშეთის მახლობლად).

ზარხოში: შეზარხოშდენ 162,33  
შექეიფიანდენ.

ზეზერე 39,35 ზერელე.

ზექუა 55,18; 286,10 ქალის სა-  
ხელია.

ზგარი (მრ. ზვრები) 68,14 დიდი  
ვენახი.

ზგარა 186,15 ზვარაკად შესაწი-

რავი (ხარი); ზვარაკი 272,36  
შესაწირავი ხარი.

ზმანება: ეზმანა 110,30 ესიზმრა.

ზმურიან 63,4 ყვირიან (ძროხები).

ზრზენა ნ. აზრზენა.

ზრახვა ნ. ძრახვა.

ზრობა 297,19 ყინვა (მცენარისა-  
და ცხოვლისა).

ზუჩი 4,10 რკინის თავ-სახურავი-  
ომში სახმარებელი.

ზღუბლი 94,28 ზღურბლი.

თ

თავად 31,35; 41,17; 207,20 თეი-  
ონი.

თავაზა 206,28; 227,27 თავმდაბ-  
ლად მოკითხვა.

თავდაცირას 328,3: თავ-დაღმა და  
ფეხ-აღმა.

თავის-მკვლელი 60,10 ვინც თავს  
იკლავს.

თავ-კაუნა 223,27 თავ-მოკაული  
(ნისკარტის მოყვანილობის გამო).

თავჭვე 56,17 ანუ პირ-თავჭვე  
41,34 ზევიდან ქვემოთ, მდინა-  
რის მიმდინარეობის მიხედვით.

თათბირი: დავათათბირე 334,19 და-  
ვიყოლიე; თათბირი 56,18 ბჭობა.

თაკილობს 70,21 უკადრისობს, თა-  
ვისი ღირსების შეუფერებლად  
მიაჩნია.

თამთამი გააჭვს 247,16 ირხევა,  
ინძრევა.

თანდილა 16,11 კაცის სახელია.

თასით შეწყალება 289,33 თასით  
მოხსენება მიცვალებულისა.

თახთახი დიდი ცემა (გულისა);  
უთახთახებდათ 19,20 უცემდათ.

თვალ-შურთხი 48,10; 66,14;  
277,11 შურთხის მსგავსი თვა-  
ლების მქონე, თვალ-ჭრელი. 6.  
შურთხი.

თვლა ლექსებისა ლექსების თქმა,  
ლექსების წარმოთქმა; სთვლი-  
ლენ 25,12.

თიკვი 116,31 მჩვარი, ძონძი, ჭინჭი.

თირება მშვიდება, წყნარება (მტი-  
რალისა, ალელვებულისა); ვათი-  
რებ 202,19; დასათირებლად  
162,9.

თოთია 54,27 კაცის სახელია.

თოთქორი: შათოთქორება 66,2  
შეყრა ხმაურობით, აურ-ზაუ-  
რით, აფორიაქება.

თული 12,14 ყაჩალი.

თქაფა-თქუფი 13,37 ფეხის ხმა (უმ-  
თაერესად ცხენისა).

თქვე: მოთქომი 285,17 მთქმელი,  
ავტორი.

თქვერ / თქვირ: გათქვირებული  
122,29 ძალზე გასუქებული.

თხევა: გადათხევა გადაკარგვა; გა-  
დაითხია 62,26 გადაიკარგა.

ც

იალალი 197,23 ზაფხულის საძო-  
ვარი მთაში.

იდუმალ 6. მედუმლე.

იოგი 301,7 სახსარი (მაგ. თითებ-  
ზე).

იტურნა 442,24 გაჩუმდა, გაინაბა.

იფანი (მრ. იფნები) 34,31; 43,35;  
288,4 იფნის ხე, კოპიტი (ხე).

იქით 63,35 იქიდან.

იწილა-ბიწილა 403,5 ბაგშეების  
ერთ-ერთ თამაშობაში სახმარე-  
ბელი სიტყვებია.

ბ

კაპალახი 58,24 ყაბალახი, ერთ-  
გეარი თავ-სახურავი, გრძელ  
ტოტებიანი.

კავ: თავ-კაუნა 223,27 თავ-მოკა-  
ული (ნისკარტის მოყვანილობის  
გამო).

კაზი 181,15: 338,2 კბენა ცხე-  
ნის მიერ (ანდაზა: „მწიხლავს  
წინიდანაო, მკამპავს კი უკანიდა-  
ნაო“, ე. ი. ცხენმა თუ წიხლი  
იცის, წინიდან უნდა მოქეცე,  
ხოლო კამპვა თუ იცის — უკანი-  
დანაო).

კაჭური: მე ფეხი აფიკანჭურე  
181,21 მე ფეხი აფილე (ტკივი-  
ლის გამო).

კაპარჭი 295,29 ისრების ბუდე.

კარახანა 26,9 სასმისია ერთგვარი.

კარგი ყმა მამაცობის თვისებათა  
მქონე მოყმე; საკარგუმო 309,6  
ბრძოლაში თავ-გამოჩენილი კა-  
ცის სადლეგრძელო.

კარი ნ. ემ-კარი.

კაცი ქმარი; ჩემ კაცი 48,18 ჩემი  
ქმარი; საკაცე 300,23 სხეულის  
ან მკვდრის წასაღები; ნ. კიდევ  
უკაცრევი.

კვერის დახაკვრელად 209,31 და-  
საღასტურებლად.

კი ვერ..., განაღამც 80,27 ...ც კი  
ვერა, არამც თუ...

კრკიტი დაკერა მეტის-მეტი და-  
კვირვებით; (გ)უკირკიტებდი  
229,19 ვუცქერდი ძლიერ, მე-  
ტად ვაკვირდებოდი.

კლ: მილეობა 234,30 ნაკლებობა,  
რომ აკლა.

კლერტი 269,28 ფოთლებ-გაყრეი-  
ნებული (ტოტი), ან მარცვლებ-  
გაყრეინებული (მტევანი).

კმარა 127,20 ქალის სახელია.

კოში 140,9 ერთგვარი ჭურჭელია  
ხისა, ლუდის ხარშვის დროს სა-  
ხმარებელი.

კროუნება 199,34 კრთომა.

კრიახ-ი უმცენარეო აღილი; გა-  
გაკრიახო 83,13 კრიახი გავხადო  
(აქ: სულ გადავმა).

კულაგ 88,10 გაისად.

კუმეტი 198,9 კვიმატი, მარცხიანი.

კუნკრუხ-ი (ცხენისა) 336,27; მოა-  
კუნკრუხებს მერანსა 179,25  
მოაჩაქჩაკებს.

კუნჭა 55,7 კუნტცა, მალვა.

კურატი 44,9 ან კურეტი 198,7;  
198,30 ულელ-დაულებელი ხარი,  
რომელიც სამსხვერპლოდაა შე-  
წირული.

ლ

ლაბუხი 397,2.

ლაკლუკი: ელაკლუკება 271,1  
პირში ეფერება, პირ-მოთნეობას  
იჩენს მასთან.

ლამი 107,29 სილა; ნალამი 337,2  
დასილული, დალამული.

ლამუნი: ელამუნება კოცნად 113,3  
ცდილობს, რომ აკცოს.

**ლალი** 43,17 მედიდური; **ალალებს** 64,25 ახარებს; **ლალობენ** 287,9 ხუმრობენ; **გასუქ-გალალეთ** 39,21 გასუქეთ და გალალეთ.  
**ლაში** (უფრო მრავლობითში: **ლა-შები** 163,25) პირი.

**ლაჭანი** 121,9 ხევსურული საწოლი, რომელსაც ოთხივე კუთხით შემოწინული აქვს და შიგ თივა არის ჩაგებული. **შდრ.** ჯინა.

**ლახტი** 150,28 რკინის ჯოხი. **ლეგა** რუხი, ნაცრის ფერი; **ლეგ-ჩოხა** 22,18 რუხ-ჩოხიანი. (მკლის ეფითეტია).

**ლელო** 160,11 თავისი ნაწილი სამუშაოსი, დავალება (?) (ლელო დასავლ. საქართველოში, მაგ. გურიაში, ჰერია სათამაშო მოედნის ბოლოებს, საღაც ბურთი უნდა იქნეს მიტანილი, რომ რომელიმე მხარემ გაიმარჯვოს, მაგ-

რამ ეს მნიშვნელობა ყე არ უდგება).

**ლეხვა:** სალეხველი 83,31 სალესი ქვა.

**ლეში** 36,30; 39,21; 109,6; 158,2; 162,32; 308,8 ხორცი; გალეშვა მეტი მეტად გაძლომა; გასალე-შად 158,6.

**ლიბო** 52,35; 141,26 საძირკველი. **ლიპი** 313,16 რაზედაც ფეხი სხლ-ტება.

**ლიქოკი** 121,28 ხეობაა ხევსურეთში.

**ლიშანი** 314,15 ნიშანი; მიზანი (სროლის დროს).

**ლოლიობა** 250,14 მოფერება, ტკბილი მოპყრობა.

**ლუდი:** სალუდე 289,2 შენობა ხა-ტში, სადაც ლუდს ხარშვენ.

**ლული** 110,29 რული, ძილი.

**ლუზუმა** 139,15 ყვავილია.

## პ

**მაგოტელა** 10,8 მაგოდენა.

**მადა** 216,1 იმად, იმიტომ.

**მათქვამი** 6. მოთქომი.

**მანდილი** 53,12 ერთ-ერთი სახე ქალის თავსახურავისა.

**მაჟარი** 123,14 თოფია ერთგვარი.

**მარჯვეს** 22,29; 55,4; 143,21 ახ-ლოს.

**მას აქეთია** 299,10 მას შემდეგ.

**მბლავანი** 65,20 რაც ბლავის (ხა-რი, ფური).

**მედალაბანდე** 173,10 დალაბანდის დამკურელი.

**მედგარი** მეხ-თან ერთად სახმარებელი სიტყვაა, თითქო იმავე მნიშვნელობით: **მეხი-მედგარი** 314,20.

**მედუმლე** (ძალლი) 284,15 იდუ-მალ, ჩუმალ, მიპარვით რომელიც ჰებენს ადამიანს" (ვაჟი), შემპარავი.

**მენ** 39,17 მე.

**მესხია** 188,3 ოცნებით წარმოდგენილი მხსნელი.

**მეტივური** 345,20 ერთგვარი მღერა (მეტივებისა).

- მეჩეთი 3,6 მაჰმადიანთ სამლო-  
ცხელო.
- მეცხელრე 328,22 თანა-მეცხელრე,  
ცოლი.
- მეტიანურე 173,12 ჭიანურის დამ-  
კვრელი.
- მეხ-ი: მეხი-მედგარი ნ. მედგარი;  
გამეხებული 106,32 მეხიერი (მძღვრი).
- მზია 48,8 ქალის სახელია.
- მთა: გადამთიელი 301,13 მთას გა-  
დალმელი, უცხო.
- მიბორცება: მიაბორცებდენ 160,34  
დიდ-დიდ ნაბიჯებს დგამდენ.
- მიეთ-მოეთობა 257,6 მიდებ-მო-  
ლება; ჰმიეთ-ჰმოლობა 257,6  
მიედებ-მოედები.
- მიფჯარდი 53,13 ზედვე მივედი,  
მეტად დაგუახლოვდი.
- მინაგვარება 42,2 მიმსგავსებუ-  
ლები.
- მინამ..., ვიდრემდე 112,1 მანამ...,  
სანამ.
- მინატუცები 207,25 მინადები,  
მიკრული.
- მისანი 59,34 წინასწარ შემტ-  
ყობი.
- მისელა: მისდის ყურში 33,8 ეს-  
მის.
- მიტუცება მიდება, მიყოლება; მი-  
ნატუცები 207,25.
- მიტოლება 4,16 მითარება.
- მიტორვა ხელებით ცემა; მიტორეს  
104,33 სცემეს; მიტორა 315,4  
სცემა.
- მიქადლებული 309,35 მიყრდნო-  
ბილი, მიყუდებული.
- მიწა-მყარი 15,8 დედა-მიწა.
- მიჯარვა: მიაჯარა 85,13 ზედ მი-  
აწყო; მივდარდი 53,13 ზედვე  
მივედი, ძალიან დაგუახლოვდი.
- მიჯორა 315,6 გალანძლი.
- მკა: მომკალი 85,5 ვინც მკის,  
მკელი.
- მკლეობა 234,30 ნაკლებობა, რომ  
აკლია.
- მოამაგდარე 6. ამაგდარი.
- მობაჯბაჯებენ 169,6 ბაჯბაჯით  
მოღიან.
- მოგონწრება 6. გონწარნი.
- მოება (მინდორს) 81,35 დაადგა  
(მინდორს).
- მოთალი 178,37; 322,15; გუდის  
ყველია ერთგვარი, დაფხვნილი.
- მოთქმი 285,17 ავტორი, მოქმე-  
ლი.
- მოკუნკრუცება: მოაკუნკრუცებს  
მერანსა 179,25 მოაჩაქჩავებს მე-  
რანსა.
- მოლა 3,5 კულტის მსახური მაჰმა-  
დიანებს შორის.
- მომკალი 85,5 მკელი.
- მონა: ნამონაგარი 136,10 მონად  
ნამყოფი.
- მონიაზე 286,23 მოიმედე, მომლო-  
დინე.
- მოხექა 64,33 კაცის სახელია.
- მოსისხლე 64,4 ვისაც სისხლი აქვს  
ასაღები, ვინც შურს იძევს.
- მოფარფატე 223,17 ფარფატით  
რომ ფრინავს.
- მოქოთობს 62,15 ქოთით მოღის.
- მოყურიადე 277,28 ყურის მგდე-  
ბელი, ჯაშუში.

**მოძახურა** 18,24 ანუ მაძახურა ხალხის წარმოდგენით ჩაღაცა ორსება, ომელიც ვითომც ღამით ვინწეს მიუვა კარზე და სახელს დაუძახებს. თუ კაცმა გასცა ხმა ამ დაძახებაზე, მაშინ მაძახურა თავისთვის ჩუმად დასწყევლის მას და სიცედილს უსურვებს ოიმე სახით (ან თოფისაგან, ან ხმლისაგან, ან კლდეზე გადავარდნისაგან, ან ზეავისაგან და სხვა ამისთანას). ვითომც დაწყევლილი კაცი ვერ გადარჩება იმ სიკედილს, რასაც ის მაძახურა შეუთვლისო. მოძახურას სამჯერ დაძახების ნება არ აქვსო და ამიტომ წესად აქვთ მთაში, რომ სანამ ღამით სამჯერ არ დაუძახებენ, მანამდე შინიდან ხმას არ გასცემენ,—ეგებ მაძახურა იყოს, და არა ადამიანიო (ნ. ამის შესახებ: „წელიწდეული“, I-II, გვ. 152).

**მოქრა** მოვარდნა დიდი სისწრაფით; **მოიქრა** 63,9.

**მსახორალი** 144,34 გრძნეული, ბოროტი.

**მოუტ:** ნ. ამტუტება.

**მუზარადი** 275,10; 295,30 ერთგვარი რკინის თავსახურავი, ოში სახვარებელი.

**მუსტი** 315,5 მუშტი, მჯილი.

**მუქარანი** 197,4 მოქიმენი, მეტოქენი, მოჯიბრენი.

**მუქთა-ხორები** 114,36 უქმად მუქმლები.

**მუჯლუგუნი** 134,2 ჩაკვრა იღა- ყვით ან მჯილით.

**მქისე** არა—სასიამოვნო; მქისია 53,14 მქისეა; სახე — მქისენი 276,4 მკაცრი გამომეტყველები- სანი.

**მქშინავი** 52,7 რომელიც ქმენს (მაგ. გველი).

**მღვიმე** 90,10; 106,28 გამოქვა- ბული.

**მღრღლი** 29,9 ჩრჩილი.

**მყინვარი** 206,30 ყაზბეგის მთა (ნ. კიდევ გერგეტი).

**მყობადი** 275,19 მომავალი.

**მყოვანი** 206,4 რაც ყვავის.

**მშვილდ-კაპარჭი** 295,29 მშვილდი და კაპარჭი (კაპარჭი ისრების ჩასაწყობი ბუდეა).

**მცხოვანი** 122,17 მოხუცებული, ჭილარი-შერთული.

**მძიგ-ღინკილები** 277,10 მძიგ ღვინ- ჭილები.

**მწერელი** 102,3 ის, ვის ხელშიც არის თითქო,—ხალხის წარმოდ- გენით,—ჩვენი წერი, ჩვენი სვე- ბედი; აქედან: მწერელთ-შვილი ანუ მწერელ-ჩვილი 127,17 ბე- ჩავი, საწყალი.

**მწურე** 276,18 ფსელი (საქონლისა); ლაფი.

**მწყაზარი:** დაწყაზრული 66,13 დამშვენებული.

**მხვივანი:** გამზვავნებული 141,17 გაძლიერებული.

**მჯილი** 57,17 მუშტი.

ნაასი 183,28 ნაასალი, მეასედი.  
 ნაბეჭი 230,7 ჩაბეჭილი, ბეჭით ჩა-  
 კეთებული. (ნ. ბეჭი).  
 ნაბუერი 84,6 ბდლვირი (?); ნაბუ-  
 ერი აადინა, მეტად სცემა, და-  
 ჩაგრა.  
 ნადურდნი 127,35 უხეიროდ ნა-  
 თალი.  
 ნავსი 80,31; 158,26 ვისი დანა-  
 ხვაც, ან ვისთანაც საქმის და-  
 კერა თითქო ცუდის მომასწავე-  
 ბელი იყოს; დანავსეფა: „ნუმცვის-  
 გან დავინავსებით“ 281,18.  
 ნაზლობი 313,17 ნაზვავები.  
 ნაკეჭნი 122,20 ნაჩეხი, ჭრილობის  
 მქონე, ნაკრევიანი.  
 ნალამი 337,2 დალამული, დასი-  
 ლული.  
 ნამონავარი 136,10 მონად ნამყოფი.  
 ნაოხარი 41,7 უპატრონო, დაქცე-  
 ული.  
 ნასერი 89,14 ჭალარი.  
 ნასიბი 109,32 ბედი, ილბალი.  
 ნაფშრუკი 71,36 უხეიროდ ნა-  
 ზელი.  
 ნაქრთამევი ნ. ქრთამი.  
 ნაღალური 154,23 დანათესის მი-

ხედვით ნაანგარიშევი მოსავა-  
 ლი (?).  
 ნაჩარ ნ. ვაინაჩრობა.  
 ნახმეური მიღებული, მირთმეული-  
 (სასმელი, საჭმელი); ნუნუა ნახ-  
 მეური 331,29 დალეული ლვინო.  
 ნახური 188,19 ნახურავი, რაც  
 ეხურა.  
 ნება-ნებასა 232,22 ნელ-ნელა.  
 ნეიბი 177,4; 343,24 დიდი მო-  
 ხელე მაჰმადიანთ შორის, მხარის  
 უფროსი.  
 ნელი: დანელდა (ოჯახი) 71,3  
 დაიქსო.  
 ნესტარი 133,15 ნეშტარი, ლა-  
 ხვარი (დასტაქტებისა).  
 ნთქმა: დანთქმა ჩაძირვა, დალრ-  
 ჩიბა (წყალში); დაინთქებიან  
 91,18.  
 ნიაზ: ნ. მონიაზე.  
 ნიუ: განიუება დაუინება; გაინიუებ  
 162,17 დაიუინებ.  
 ნუკვა თხოვნა, მუდარა; გენუკვა  
 260,19 გთხოვ, გემუდარები; გე-  
 ნუკვა 288,20; დაენუკვება  
 303,1 შესთხოვს.  
 ნუნუა 331,29 ლვინის ეპითეტია.

ოინი ნ. ოინ-ოინი.  
 ონარი 15,24 ხრიკი, მოხერხებული  
 საქმე.  
 ორ-პირი ხმალი 295,31 ხმალი,

რომელსაც ორივე მხრით ფხა-  
 აქს.  
 ოლომეგ 33,27 ოლონდ კი.  
 ოჩანი 23,10 მუშაობაში ურჩი პი-

რუტყვი (მაგ. ცხენი, რომელიც უმიზეზოდ დაღება, ან ხარი, რომელიც ულელში უკან-უკან იხევს და თავის მეულლეს არ უსწორდება).

ოჯახ-ქორი 154,21 ოჯახ-დაქცე-ული (საწყევარი სიტყვაა, მაგ-რამ ხშირად წყევლას არ გუ-ლისხმობს).

## 5

პანჩური პანლური; პანჩური ფე-როს 28,14 პანლური ჰერას.

პირ-აქათ 58,25 მთას გადმომა (შდრ. პირ-იქით).

პირ-თავქვე 41,34 ანუ თავქვე 56,17 ზემოდან ქვემოთ.

პირ-იქით მთას გადალმა; პირ-იქი-თული 42,10 მთას-გადალმური.

პირი-მზე 42,7 ყველილია.

პირჩშო 275,11 პირველი შვილი.

პიტალო 121,12 ცარიელი, მარტო. პოხ: განაპოხი 78,6 გაპოხილი (რა-საც წასმული აქვს რაიმე ცხიმი: ქონი, ერბო, კარაქი, ზეთი).

პრაშტრი-პრუშტი 343,10 კოცნა ხმაურობის მოდენით.

პურიშკევიჩი 195,22 შავრაზმელი დეპუტატი მე-2, მე-3 და მე-4 სახელმწიფო სათაობიროში.

## 6

უამ-კარის არევა 299,32 დავთრე-

ბის არევა, საქმეების აწეწა.

## 7

რაიბულა 200,17 „კაცის სახელია“ (ვაევა).

რაკი რა თქმა უნდა არ; სხვებს რაკი აკლდა შვენება 125,34 რა თქმა უნდა, სხვებსაც არ აკლდა შვენება.

რამ 271,19 რამე, რაღაც.

რამტონი 156,2 რამოდენი.

რაში 181,4 ზღაპრული ცხენი, მე-ტად მალი.

რახტი 149,5 აღვირის მორთულობა (ვერცხლის სამკაულები, ეუვნები

და სხვ.); დარახტულები 276,9 რახტით მორთულები.

რეგვენი 95,29 გამოუცდელი, სუ-ლელი; სირეგვნე 83,26 სისუ-ლელე.

რეგვნა გაყრეინება ფოთლებისა და ტოტებისა; გაპრეგვნე 111,7.

რეცხ 6. სარცხი.

რიდე შალის თავ-სახურავი; „შა-ვის მანდილის რიდე“ 53,12.

როზგ-ი: გაროზგილი (ბუნება) 300,3 ნაცემი, გალაზული.

როგო 66,31 ციკვა; შეროგდა 8,33  
შეთამაშდა.  
როშ: დაროშვა სიტყვისა 64,20  
უთავბოლო სიტყვების თქმა,  
უაზრო სიტყვების წარმოთქმა.  
როჭო 213,4; 217,22 მთის ხო-  
ხობი.

რუმბი 163,21 დიდი ტიკი, ხა-  
რისა ან კამეჩის ტყავისა.  
რქა-წითელი 345,28 ვაზია.  
რჩევა: გამორჩევა სწორებში გა-  
მოსხლეტა სწორებში; გამორ-  
ჩიეთ სწორებში 333,18 გამო-  
პსხლტით სწორებს.

1;

საბუჩე 6. ბუჩი.

სადამ 62,26 სადღაც; ძლიერ სადამ  
54,29 ძლიერ როგორლაც.სათალი 178,37; 322,15 გვერდის  
ნაწილი თევზისა (უმთავრესად  
ზუთხისა), დაშაშული.სათოფური 47,29 თოფის გამოსა-  
ყოფი სარქმელი ციხეში.

საით 104,10 საიდან, როგორ.

საითკეც 63,34 საითაც.

საკარგყმო 309,6 კაი ყმის სადღე-  
გრძელო.საკაცე 300,23 სნეული კაცის, ან  
მიცვალებულის წასალები.საკიდელი 66,20 ნაჭა, ჯაჭვი კი  
რაზედ.სალამი მოკითხვა; სალმით 7,8;  
29,10 მისალმებით; სალამ-ქა-  
ლამი 336,37 მისალმება და ამ-  
ბის გამოკითხვა.სალუდე 289,2 შენობა ხატში, სა-  
დაც ლუდს ხარშევნ.

სამ 15,5; 65,25 სადღაც, სადმე.

სანდურა 54,4 ქალის სახელია.

სანიკა 187,4 კაცის სახელია.  
სარცხი 68,16 ქვევრის გამოსარე-  
ცხი.

სახვაოდ 69,16 სვავისათვის.

სახწორი საწონი; სახწორისა 234,33  
საწონისა.

სატოპად 6. ტოპვა.

საფერხე 296,27 საჯდომი ცხენი.

საფლაშუნოდ 6. ფლაშუნი.

საფხეკელი 247,14; 425,19 „რეი-  
ნის პატარა ნიჩაფი, ვარცლში  
ცომის ასაფხეკად სახმარებელი“  
(ვაჟა).საყმო 288,20 რომელიმე სამლო-  
ცველოს მოხავი ხალხი (მაგ. ლა-  
შარის ჯვრისა). ხატი მთიელებს  
„ბატონად“ ჰყავდათ წარმოდგე-  
ნილი და მისი მლოცველნი —  
„ყმებად“, ანუ „საყმოდ“.საწიწყარად 214,24 ძვალზე შერ-  
ჩენილი ხორცის გამოსარჩევად,  
ძვლის სახრავად.

სახელ-ი 6. ასახელება.

სახრვა 6. მსახერალი.

საჯარე 46,9; 47,7; 287,30 აღგი-  
ლი ხატში, სადაც ხალხი იკრი-  
ბება.

საჯაყი 288,23 სასირცხო.

სეირი 9,31 სანახაობა, გასართობი  
ამბავი.

ხეავი: ხახეავოდ 69,16 ხეავის-  
 თვის.  
 ხეე 138,2 ბედი; ხეიანი 138,2  
 ბედნიერი.  
 ხინა 278,20 რკინა.  
 ხიპი 34,31; 35,5; 164,1; 252,26  
 ფიქალი, შიფერი, ფიცარივით  
 ბრტყელი ქეა.  
 ხირეგვნე 83,26 სისულელე.  
 ხიჩათლახე 288,25 უხეირობა, ხი-  
 ცუდე.

ხიხეშე 95,10 სიბოროტე (?) (შდრ.  
 ძ. ქართ. „ხენეში“).  
 ხპეროზა, ხპეროზია 206,30; 232,32  
 კლდიანი მთაა ალაზნის თავში.  
 ხრა 172,34 ან ხრა-ხაზლი 4,12;  
 7,3; 141,25; 163,28 ძეირფასი  
 სახლი, სასახლე.  
 ხრანია 152,12 ახლავს.  
 ხხეა 149,17; 168,30; 182,12;  
 184,30 მეორე (ნ. ერთი..., ხხეა).

## ტ

ტაბლა 289,33 მიცვალებულის სუ-  
 ლის მოსახსენებლად დამზადე-  
 ბული და გაწყობილი სასმელ-  
 საჭმელი.  
 ტაგანი (მრ. ტაგნები) 122,21; 432,9  
 ხის ვედრო, რომელშიაც ფურს  
 წველენ.  
 ტან: ხტანია 152,12 ახლავს.  
 ტარასტა 186,34; 344,15 ეკლესიის  
 მდაბალი მოსამსახურე, სტარო-  
 სტა.  
 ტაროსი 83,35 ამინდი.

ტატანი ჰორიზონტი; ტატად 207,4  
 ჰორიზონტზე.

ტერფი 56,16 ფეხის ქვეშა ნაწილი,  
 რომელიც მიწას ედგმის.  
 ტეხა შახისა: შახს არ იცესდა  
 182,3 დამარცხებისა ან წყენის  
 შემდეგ ისე მოპქონდა თავი, ვი-  
 თომც არაფერიაო.

ტიფი: შეტივური 345,20 სიმღერა  
 უნდა იყოს ერთგვარი, მეტივე-  
 ბისა.

ტიმოშკინი 195,22 შავრაზმელი  
 დეპტატი იყო სახელმწიფო სა-  
 თათბიროში.  
 ტინი მაგარი კლდე; ტინიანი 313,15.  
 ტკუც: ზიტკუცება მიღება, მიკვრა,  
 მიყოლება; ფიქრი ფიქრს მი-  
 ნატკუცები “ 207,25.  
 ტლოშვა ნ. მტლოშვა.  
 ტოლება ფარება; ჰსფოლია 17,6  
 მასიან ამოფარებულია; უფო-  
 ლოს 244,35 ამოფარებული იყოს  
 მასთან.  
 ტოპვა წყალში სიარული; ხატო-  
 პად 81,27.  
 ტორი 13,28 ცხენის ფეხი; მიტორვა  
 104,33; 315,4 ცემა ხელით.  
 ტრელი 284,14 ლაჩარი, მშიშარა;  
 ტრელობა 277,34 სიმხდალე,  
 მშიშრობა.  
 ტურნ: იტურნა 442,24 გაჩუმდა,  
 გაინაბა.  
 ტურტური 228,15 ჩურჩული, გაუ-  
 გებრად გამოთქმა.

ტუში 186,4; 343,6 მუსიკის და-  
კურა სადლეგრძელოს შემდეგ  
ქეიფის დროს.  
ტყვრომა ვარდნა ხმაურობით;

ტყვრებოდენ 52,15 სკდებოდენ,  
ხმის აღენდენ ხეთქისავან; გა-  
მოტყვრა 80,30 უეპრად გამო-  
ვარდა; გამოუტყვრათ 71,6.

## ქ

უგერგილოდ 37,25 უშნოდ, უგე-  
მურად.

უკაცრევად 61,3; 104,31 უკაცრა-  
ვად; კაცის შეუფერებლად.

უკლო 297,29 უხეირო, უგარგისი.

უკუნი 61,15 ან უკუნეთი 14 28;  
62,9 დიდი სიბნელე. წყვდიადი.

ულაყი 55,1; 123,19 მამალი ცხენი.

ულის 6. ვლა.

ულო 84,12 ძნის შესაკრავი (ისევ  
პურის ან ქერის ლეროებისავან).

უნცრუა 54,22 კაცის სახელია.

უჟმური ცუდი დრო; ამ უჟმურთ

63,33 ასეთ უდროო დროს, ასეთ  
უხეირო დოოს.

ურუმი 17,12 ოსმალო (რომელზე-  
დაც ეს სახელი პრომანელის სა-  
მეფოს მიწა-წყალზე დამკვიდრე-  
ბის შემდეგ იქნა გადატანილი).

ურდანი 109,16 ჯაგის მცენარეა,  
რომელიც ჯოხად და მათრახის  
ტარებად აოის კარგი.

უხტაბაში 165,25 უფროსი.

ულერენ 175,24 უჩვენებენ თითოთ.

უშიშა 55,4; 277,33 კაცის სახე-  
ლია.

## ფ

ფათალა 84,9 სურო.

ფანდური 25,7; 66,25 სიმებიანი  
დასაკრავია.

ფანჩატური 302,15 კარავი.

ფარუატი: ფრენა ულონოდ; დაფარ-  
ფარაბდენ 134,36; მოფარფატე  
223,17.

ფარჩ. 71,30; 84,14 ფართალი.

ფაფახი 336,31 ჩერქეზული ქუდი,  
ბეწვიანი, კონუსისებრი, უმთავ-  
რებად კრავლისა.

ფაში-ფუში 343,8 ფაშები, დიდი  
მუცლები.

ფეხი 31,1; 269,11 ლერი პურისა  
ან ქერისა, როცა ჯერ კიდევ  
მოუჭრელია და დგას.

ფიალად 102,3. აქ ნახმარია ვნე-  
ბითი ბრუნვის ფორმა, მისი და-  
საწყისი შეიძლება იყოს ფიალიც  
და ფიალაც. მაგრამ ვაჟას ფორ-  
მაა საზოგადოდ ფიალი, რო-  
გორც ეს ჩანს „ეთერ“-სა და „ბახ  
ტრიონ“-ში ხმარებული ფორმე-  
ბიდან. სპარს. ფიალაში ბოლო-  
კიდური ა გაგებული უნდა იყოს  
კინობითის მაწარმოებლად, რო-

မြေလျက် အာရုံး ပုဂ္ဂန်ဖြတ်ပွဲလှစ်ပြော  
ဖြစ်သူများ၏ အာရုံး ပုဂ္ဂန်ဖြတ်ပွဲလှစ်ပြော

ფილფო 200,3 ლონე, შეძლება (ეს  
სიტყვა ხერხის საწინააღმდე-  
გოდაა ხმარებული).

ଓଡ଼ିଆ ୭୧, ୧୯.

ფლატე 160,37 სისველისაგან ჩა-  
მონაგრძელი მიწის პირი.

ფლაშუნი 227,21 ხმაურობის გა-  
დენა; უხეიროდ სიარული ხმაუ-  
რობით; ჭაობში საფლაშუნოდ  
81,29.

კონება 183,12 (მო) შეიძა.

ფრანგული 126,4 ხმალია ერთ-ერთი.

ଓ. প্রিয়ানন্দা ৬. শ্রেষ্ঠপ্রিয়া.

ფულილი არევა ერთმანეთში; ფუ-  
ოდა 80,23 ირეოდა, მიღ-მოდი-  
ოდა ბლომარ.

ფრთხილი: ნაციონალური 71,36 უბეი-  
როდ ნაზელი.

ფხა გორისა 102,22 გორის ზურგი;  
ფხიანი 276,28 მეტრელი.

73,21 გამბმარი  
გუდა, გაფხროკებული.

6

ქაბაჲი 320,30 დაკეპილი ხორცი,  
შამფურზე შემოხვეული და მწვა-  
რად შემწვარი.

**ქადა** 38,32; 62,22 პურია, რომელ-  
საც გულად აქვს ერბოში მოკი-  
დებული შაქარ-ნარევი ფქვილი,  
წინასწარ მოშოშოლი.

ქადაგი 9,1 კაცი (ზოგჯერ ქალიც), რომელიც ვითომეც წინასწარმეტყველური ნიჭით იყოს დაჯილდოებული და „ხატის“ ნება-სურვილს აცნობებს ხალხს. ომში მიმავალი ხალხი ქადაგს შეეკითხებოდა ხოლმე, რას გრძანებს ჯვარით. თუ ჯვარი, ქადაგის სიტყვით, „ულამინებდა“ ომს, წავიდოდენ, არა და, დაბრუნდებოდენ.

ქადლ: მიქადლებული 309,35  
მიყრუნობილი.

ქავი 52,27 ციხე, სიმაგრე.

ქათიშვილი 109,36 ბეჭედიანი ტანსაც-  
მელი.

ქართაშო ნ. სალამ-ქალამი.

ქალა აჩურნა 288,27 მშიშარა, მხრიალი.

ქამანდი 123, 12 მარყუებად გაკეთე-  
ბული თოვი გასროლილი ცხო-  
ვილის დასაჭრად.

ქართველი 204, 15 კლდიანი ალაგი.

ქართლის 292,1 ქართველთა ეპო-  
ნიმი (თანახმად თქმულებისა, რო-  
მელიც ქართლის ცხოვრებაშია  
შეტანილი); შორ. პაოს.

ଫାର୍ମଟ୍ସ୍‌ଲୋ 26,4 ସିରୀୟୁ୦.

ମେଲିମେଳି 279.32 ମେଲିମେଳି

ქეჩო 136,33 უკანა ნაწილი თავისა.

ეს ვა 24,14 ქვეციანი.

ମୋଟଗୁଡ଼ରେ 330,32 କିଲୋମିଟର୍ ପ୍ରେମା.

ქმარა 48,10 კნინობითი ფორმაა „ქმარ“ სიტყვისა.

ମୂଲ୍ୟ 27,4 ଟଙ୍କାଦିଳି.



ქოთ-ი 41,35 ხმაურობა; მოქოთობს 62,15 ქოთით მოდის, ხმაურობს. აქოთებ 108,16 ახმაურებ, პრევ.

ქორი ნ. ოჯახ-ქორი.

ქოქოლა 220,2; 329,28 ცხეირის აბზუება და ხელებით ისეთი უქსტის გაკეთება, თითქო ქვებს აყრიდე ვისმეო (დაცინვა-ათვალისწუნების დროს).

ქრთაში ჯიბის ფული, სასიძოს მიერ ფულად მიღებული თანხა ცოლეურთაგან; აქედან: ნაქრთამევი 191,14 ქრთამისსახით მიღებული.

ქუსლ-ი: გაქუსლა 338,6 ცხენი გააჭენა ქუსლის კვრით.

ქშენვა ნ. ქშინვა.

ქშერობა (გა)მეტება; ვერ ჰქეშერობ 48,11 ვერ იმეტებ.

ქშინვა ქშენა; მქშინავი 52,7 რომელიც ქშენს.

1. ქცევა: ჩაქცევა 154,21 უზომოდ გამდიდრება.

2. ქცევა 84,13 მიწის ზომაა (დასავლ. საქართველოში უდრის 600 კვადრ. საუენს).

## ღ

ღაბაბი 320,28 ნიკაპ-ქეეშ ჩამოსული სიმსუქნე.

ღალა: ნაღალური 154,23 მოსავალი ნაანგარიშევი დანათესის ოდენობის მიხედვით (?)

ღამ-ღუმით 63,28 ღამეობით.

ღერ: უღერენ 175,24 უჩვენებენ (თითით); ამოღერებული 60,15 ამოღებული (ხმალი).

ღვარძლი 135,18; 188,6 მცენარეა რომელიც პურში ერევა და მავნებელია.

ღველფი 37,13 კერა, ყვერფი.

ღვი-ი თესლის მიერ გამოღებული რქა მცენარის ამოსასვლელად; ღვად არ 105,34 ოღნავაც არ.

ღინკილები 277,10 ღვინკილები (ხევსურული ტანისამოსის გასაწყყოდ ხარებული პაწაწა ნიერები).

ღიტინი 160,5 ნერვების გაღიზიანება მოუხანის საშვალებით.

ღოლო ღვალო (ბალახია): ღოლოი 131,13; 198,28.

ღრეობა 32,13; 68,30 სიმღერა-გალობა ქეიფის დროს; ღრეობდენ 25,5.

ღრეცა: გაღაღრეცილი 308,16 გაღაღლუნული, გაღატეხილი.

ღრიანცელი 22,1 ღიდი ხმაურობა, აურ-ზაური.

ღული 275,3 სოფელია ხევსურეთში.

## ჟ

ჟაღრი რიდი; ღირსება; თავს უჟაღრებს 192,26 თავის სწორად ხდის, თავის ტოლად იჩნევს, კაღრულობს.

ჟაირათობა 192,12 მომჟირნეობა, დაზოგვა, ეკონომია.

ჟაღანი 310,30 გადასახადი.

ჟალხი ჟალყი; ცხენებს ვაჟენებთ



ყალბზედა ცხენებს ვაყენებო  
უკანა ფეხებზე; ცხენი ვერ დაჰ-  
კრავს ყალყშია 181,16 ცხენი  
ვერ აჯობებს ყალყზე დგომაში(?).  
ყარ/ყრ: ქოქოლას მაყრიან 329,28  
ნ. ქოქოლა.

ყატყატი 13,19 უსიამოვნო ლაპა-  
რაკი.

ყაყვა (ყაყვა): მაღლა ჰყაყვა-ენ  
თავებსა 233,9 მაღლა იღებენ  
თავებს, მაღლა სწევენ თავებს.

ყაყრიანტო 22,25 ყელი.

ყაწიმი 125,30 ხმლის სამხარილ-  
ლიე, ხმლის გადისაკიდებელი  
მხარზე.

ყბედი 39,35; 83,25 ბევრის მო-  
ლაპარაკე.

ყევარი 44,31 ორი ულელი (ხარი),  
ოთხი (ხარი ან კამეჩი).

ყეინი 290,10 მეფე (სპარსეთისა).

ყელ-ჩინი 279,29 „ჩინ-მერდინი“  
(ვაჟა), ჩინ-მენდალი ყელზე.

ყეფა 215,1 ორწივის ხმა.

ყვავ ნ. აყვაყებული და ყოვ.

ყისმათი 121,26 იღბალი, ბედი.

ყიჭყიჭი ყელში ლაპარაკი (?); ბო-

ხვად ყიჭყიჭებს ყელშია 154,28.  
ყმა: საყმო (ხატისა) 288,20 ხატის  
მოსახნი.

ყოვ: აყოვდა ხანოვაგითა სუფრა  
64,27 სუფრა გააწყეს სანოვა-  
გით; აყვავებული 165,9 გაშ-  
ლილი სუფრა, რომელზედაც სას-  
მელ-საჭმელია გაწყობილი.

ყოილი 91,8; 277,5 ყვავილი.

ყორე 47,7 ქვებისაგან უკიროდ და  
უტალახოდ გაკეთებული ზღუდე-  
ყრ ნ. ყარ.

ყრანტალი ყორნის ყეფა; უშნოდ  
ლაპარაკი; დაყრანტალეს 21,26.

ყრაელობს 330,7 ყრილობს, იყ-  
რის (ჯვარს).

ყროლად 37,25 ცუდად, ავად.

ყუდ: ჰყუდია 50,9 დაყუდებულია.

ყუნთ: ჰყუნთია 110,33 მოხრილია  
(მომკალის მღვიმარეობაშია).

ყუნტ: ჰყუნტია 162,28 დაყუნტუ-  
ლია, დამჯდარია (როგორც ძა-  
ლი).

ყუნჭი 165,11 კუნძი.

ყურიად: მოყურიადე 277,28 ყუ-  
რის მცდებელი, ჯაშუში.

## გ

შაგმობა: შამიგმის 50,21 დამგმობ-  
და ხოლმე, გამკიცხავდა ხოლმე.

შათოთქორება 66,2 შეკრება, შე-  
კრა ხმაურიობით, აფორიაქება.

შატილი 278,17 სოფელია პირ-  
იქით ხევსურეთში.

შეჭვევა (ხელისა) 33,26 შებრუ-  
ნება, სამაგიეროს გადახდა.

შაწონება: შაეწონება 339,36 შე-  
ედარება წონით, მისი წონისა  
გამოვა.

შას-ი: შას არ იტეხდა 182,3 წყე-  
ნას ან ზარალს, მარცხს არ იჩ-  
ნევდა, ვითომდა ირატერიაო.

შეზარხოშდენ 162,33 შექეიფიან-  
დენ, ცოტად შეთვრენ.

**შეფრთინვა** 128,21 მოწიფება, აღ-  
ტაცება.

**შეწონება** 6. შაშონება.

**შეჭმა** ჯავრისა, ჯავრის მოთმენა;  
არ შასქამე მტრის ჯავრი 64,13  
არ მოითმინე მტრის ჯავრი, სა-  
მაგიერო გადაუხადე, ჯავრი  
იყარება.

**შვენა** 55,25 ქალის სახელია.

**შვილი** 6. მწერელთ-შვილი.

**შ(ვ)რომა** 6. დაშ(ვ)რომა.

**შიგა-შიგ** 82,13 შიგა და შიგ,  
აქა-იქ.

**შიშნია** 277,32 კაცის სახელია ხევ-  
სურეთში.

**შლამი** 236,2 მდინარის მიერ მო-  
ტანილი მიწა.

**შურ:** დასაშურები 19,18 სასწ-  
რაფო.

**შურთხი** 173,6; 205,16; 217,19  
მთის ინდაური; თვალ შურთხი  
48,10; 66,14; 277,11 ჭრელ-  
თვალი.

## პ

**ჩაბლერტა** ჩაბერტყა; **ჩაებლერტა**  
316,23 ჩაებერტყა.

**ჩაზეირი** 36,2 ჯაზეირი, თოფია  
ერთვეარი.

**ჩათლახი:** სიჩათლახე 288,25 სი-  
ცუდე, უხეირობა.

**ჩალა-კალად** 414,9 ჩალად და კა-  
ლად (?). თითქო კალად აქ ქვა-  
ბის მოსაკალავი ნივთიერება კი  
არ უნდა იგულისხმებოდეს, არა-  
მედ რაღაც სხვა.

**ჩალხია** 32,30 კაცის სახელია.

**ჩალმა** 3,16 მოლების თავ-სახუ-  
რავი.

**ჩანახი** 151,12 საწყაო პურისა  
(ქართლში ნახევარი ფუთი).

**ჩაქცევა:** ჩაიქცა 154,21 მეტად  
გამდიდრდა.

**ჩაჩი** 87,30 უხეირო ქუდი ნაბდისა,  
ან ტყავისა.

**ჩაჩურჩური** 201,7 ჩურჩულით თქმა  
კისოვისმე.

**ჩემ,** გაჩემება: არ გააჩემო კრინ-  
ტი არ დასძრა, ხმა არ ამო-  
ილო; გააჩემაო 195,9 გააბეზ-  
რაო (?).

**ჩერო** 222,8; 337,4 ჩრდილი.

**ჩირთი** 13,8; 29,5 გაზაფხულის  
პირზე მცენარის მიერ გამოლე-  
ბული მწვანე მასა, ჯერ კიდევ  
გაუვითარებელი ფოთოლი.

**ჩორქნა** უხეირო თლა; სჩორქნის  
70,14.

**ჩოხის ძველა** 71,28 ძველი ჩოხა,  
დაფლეთილი.

**ჩურჩური** 6. ჩაჩურჩური.

**ჩქროლვა** 91,23 გულის ფანცქალი,  
ჩოჩქოლი; აჩქროლება 121,27  
ატოკება.

## გ

ცარცვა ნ. ცრცვა.  
 ცა-ჩმელი 52,10; 110,24; 140,13  
 ცა და ქვეყანა.  
 ცეტი 83,23 მჩატე ჭიუისა, უკუკ.  
 ცვილი 18,13; 123,4 თაფლის სან-  
 თელი (მასალა).  
 ციალობდა 141,3 ფრინავდა (რო-  
 გორც პეპელა).  
 ცინკილი 406,10 ფეხის რითის წვი-  
 რებზე სიარული.

ცრუვა 176,25 ამაო.  
 ცრცვა: ძარცვა; სცრცვიდა 4,11  
 ძარცვავდა; გაცრცვილი 300,3  
 გაძარცული, ფოთლებ-გაყრეინე-  
 ბული.  
 ცხავი 70,13 მსხვილ-თვეალებიანი  
 ცხრილი.  
 ცხედარი 300,22 მიცვალებული.

## ქ

ძან 163,30 ძალიან.  
 ძაგარ-ი: დაძაგ ზული 55,2 მაგრად  
 მოქერილი, შეკრული.  
 ძახილ-ძუხილი 121,28 ბევრი ძა-  
 ხილი.  
 ძელა მოქრილი ხე; 35,22 ხე, შე-  
 შად ვადებული კერაზე.  
 ძველა ნ. ჩოხის ძველა.  
 ძლიერ ნ. ძრიან.  
 ძლივ ხალაშ 54,29 ძლივას.  
 ძრახ: აძრახდა 189,16; 332,12 ალა-  
 პარაკდა, ხმა ამოილო.

ძრახვა 273,12 ზრახვა.  
 ძრიან 263,3 ძლიერ.  
 ძროხა. ძველიდ ეს სიტყვა აღნიშ-  
 ნავდა როგორც ხარს, ისე ფურს.  
 ასეთი მნიშვნელობა დღესაც შერ-  
 ჩენილი აქვს მას ზოგიერთ შემ-  
 თხვევაში, მაგალითად, როდე-  
 საც საქონელზეა საუბარი და  
 ცხვართან არის ხმარებული:  
 ცხვარი და ძროხა 269,17;  
 335,14.  
 ძრწოლა ნ. წრწოლა.

## წ

წალ: გამოწლა 242,5 შიგნეულობა  
 გამოულო; ნაწლევები გამოიყრე-  
 ვინა.  
 წამიერ 180,22 ერთ წამს.  
 წანახდი 333,36 წანახდენი, მიყე-  
 ნებული ზარალი (მავ. ყანის  
 შეჭმა საქონლის მიერ).

წარაფი 205,13 წაგრძელებული  
 კლდე.  
 წახდომა, წახდენა ნ. წანახედი.  
 წერა 102,3 ბედი. ნ. მწერელი.  
 წვერ-დაწამებული 176,8 წვერ-  
 დასხმული.  
 წივა 30,19 მსხვილ-ფეხა რქიანი

- საქონლის სკორე საწვავ მასა-  
ლად გახმობილი.
- წიკო 299,31 ცრემლი (?).
- წიმარა 206,20.
- წიმწამ: დაწიმწმეს 295,21 ძალიან  
გაავსეს.
- წინწელი 186,21 ნაპერწყალი.
- წირვა ტოვება; ნუ მწირავ 31,29  
ნუ მტოვებ.
- წიქა 25,4 კაცის სახელია.
- წიწკ: საწიწკარად 214,24 ძვალზე  
შერჩენილი ხორცის გამოსაცლე-  
ლად.
- წიწკარი (მრ. წიწკრები) 30,20;  
30,27 წვრილი ტოტები.
- წკავწკავებს 63,2 შეშინებული  
ყეფს.
- წლოკი 205,29 მაღალი და წვრი-  
ლი (ტანზე).
- წონ 6. შაწონება.
- წოპ-წოპა 9,13 კონუსისებრი.
- წრწოლა ძრწოლა; ზედ დასწრწის, ზედ დაჰ-  
ფრენს.
- წუნტ 6. აწუნტება.
- წურვილი კარგად ნაღული ერბო,  
დაწმენდილი; აქედან: წურვი-  
ლიანი 62,22.
- წუხ: დავწუხდი 441,1 მომენატრა.
- წყლული 45,2 ნაჭრევი, იარა.

## ჭ

- ჭაშნიკ: ეჭაშნიკა 162,23 ესია-  
მოენა.
- ჭაჭანი: არ მინახია ჭაჭალა 14,23  
სრულიად არ მინახავს.
- ჭერა: უჭიროს პანჩური 28,14  
ჭკრას პანლური.
- ჭერხო 53,3; 121,3 ზემო სართუ-  
ლი ხევსურული სახლისა.
- ჭიანური სიმებიანი საკრავია, რომ-  
ლის სიმებსაც მშვილდით აეღე-  
ოებენ; აქედან: მეჭიანურე  
173,12.
- ჭივჭავი 136,18 ჩიტია.
- ჭინჭველა 3,27 ანუ ჭინჭველი 3,17;  
160,26 ჯინჭველი, ჭიანჭველა.
- ჭიუხი 217,6 წვეტიანი ქლდე.
- ჭრა: მოიჭრა 63,9 დიდი სისწრა-  
ფით მოვიდა.
- ჭრაქი 107,10 სანათობელი, რომ-  
ლის საწვავ მასალადაც გამოყე-  
ნებულია რაიმე ჭურჭელში (ვთ-  
ქვათ თიხის ჯამში) მოთავსებუ-  
ლი ცხიმი (ზეთი, ჭონი).
- ჭრეხა: დაჭრეხილი 198,4 დახუჭუ-  
ჭებული.
- ჭუჭვა: სჭუჭვავს 250,11 ხურავს,  
ხვევს; სჭუჭვავენ 275,6 ახურა-  
ვენ, ახვევენ რაშიმე.

## ს

**ხავხი:** ხავხიანი 122,17 ჭალარა-  
შერთული.

**ხათა** ცოდვა, ბრალი; ხათაბალა  
(301,36).

**ხალგათი** 218,14 ხალვათი, თავი-  
სუფალი.

1. **ხამ-ი** 71,31 შინაური ტილო ან  
ბამბის ქსოვილი.

2. **ხამი** ახალი, გამოუცდელი; **ხა-  
მად** 275,29 გამოუცდელობით,  
უნახავად.

**ხანი** 298,36 მეცე, მთავარი (თურ-  
ქებს შორის).

**ხანიერი** 180,21 დიდხანი.

**ხანუმა** 299,14 ქალბატონი.

**ხანხალი** უშნო ფრენა; **დახანხა-  
ლებდა** 232,21.

**ხანჯარი** 44,7 ხანჯალი.

**ხარი-პარია** 146,12 გარსკვლავია.

**ხარ-ლალი** 214,9 ირმის ეპითე-  
ტია.

**ხარო** 116,9 თხრილი, ორმო.

**ხაპგა** 80,3 ამოლება წყლისა რამე  
ჭურჭლით.

**ხაკი** 43,33; 45,20; 53,8 სამლო-  
ცველო ადგილი, ან ვის სახელ-  
ზედაც ლოცულობენ (მაგ. კო-  
პალა, იახსარი, ლაშარი); **ხა-  
ტის კარს** 284,9; 286,22 სამლო-  
ცველო ადგილის; **ხატობა** 32,12;  
43,5 დღეობა, ხატის დღესას-  
წაული. შდრ. ჯვარი.

**ხახმატი** 43,33; 278,16 სოფელია  
ხევსურეთში, სადაც სამლოცვე-  
ლოა, რომელიც **ხახმატის ჯვრის**

სახელითაა ცნობილი (46,25).  
6. ჯვარი.

**ხდომა:** ახახდომად 81,30 ასავა-  
ლად.

**ხეფი** პატარა მდინარე; ასეთი მდი-  
ნარის ხეობა (42,1).

**ხელი** კომპლექტი; ერთს ხელისა  
ხაცმელი 103,6 ერთი ხელი ტა-  
ნისამოსი, ერთი კომპლექტი.

**ხელთ:** დახელთვა გაგრება; და-  
გახელთო 14,16 „გავგიუდე“  
(ვაჟა).

**ხერხი** 203,2 მოხერხება. ამ სიტ-  
ყვის საწინააღმდეგოდ ვაჟა ექვე  
„ფილფას ხმარობს ლონის მნიშ-  
ვნელობით.

**ხეჩა** ხლეჩა, პობა; **აეხეჩათ** 164,1  
აეხლიჩათ, აეპოთ.

**ხირი:** დამეტირება 202,34 დამეტ-  
ჯინება.

**ხინჯი** 71,6 ნაკლი.

**ხირიმი** 123,14 ერთგვარი თო-  
ფია.

**ხმევა:** ნახმეური 331,29 მირთმე  
ული, დალეული.

**ხმელნი** ხმელეთი (ცალკე ეს სიტ-  
ყვა არ იხმარება, არამედ ცას-  
თან ერთად; **ცა-ხმელთა** 140,13  
ცისა და ქვეყნისა).

**ხეშ:** სიხნეშე 95,10 სიბოროტე,  
სიცუდე (? შდრ. ძე. ქართ. ხე-  
ნეში).

**ხოშ:** იხაშებოდენ ცრემლად 4,24  
ცრემლად იღვრებოდენ.

**ხოშია** 61,18 ქალის სახელია.

**ხოც:** ეხოცებოდა (თვალები) 114,  
21 თვალებში სიცოცხლის ძალა  
აკლდებოდა, მისი თვალები  
მკვდრისას ემსგავსებოდა.

**ხრეშა** 199,22 ხეხვა.  
**ხუტა** 16,11 კაცის სახელია.

## 3

**ჯაგი** 81,28 ჩირგვი, დაბალი მცე-  
ნარები ბუჩქად.

**ჯავარიანი.** ითქმის ხეზე (მაგ. ცაც-  
ხვზე, ნეკერჩალზე), რომელსაც  
ლარებივით ჩამოუდის კანზე. აქ  
ეს სიტყვა ნახმარია ჭივჭავზე,  
რომელსაც ქეჩო აქვს ჯავარიანი  
(ე. ი. აქრელებული?), 136,33.

**ჯავრის** აზ შექმა 64,13 ჯავრის  
ამოყრა, სამაგიროს გადახდა.

**ჯაზეირი** ნ. ჩახირი.

**ჯამაათი** 20,8 შეკრებულება.

**ჯანაოზი** 182,10; 339,4 ანუ ჯა-  
ლინოზი არაბული ფორმაა გა-  
ლენისა, რომელიც გამოჩენილი  
მყურნალი იყო მეორე საუკუნეში;  
საზოგადოდ: განთქმული ექიმი.

**ჯან-გულოვანი** 281,33 გაბედული.

**ჯანდი** 123,7 ნისლი, ბურუსი.

**ჯარი:** დაჯარებული 32,16 ჯა-  
რად დამსხდარი; დაჯარებულან  
157,35 დაგროვილან; მიაჯარა  
85,13 მიჰყარა, მიიტანა ნაპი-  
რალდე; მივჯარდი 53,13 მივედი  
ზედ.

**ჯარა** 301,19 დასტაქარი, ქირურგი.

**ჯეილი** 287,9 ახალგაზღა.

**ჯეირანი** 179,13 ანუ ჯერანი  
182,18 ერთვარი გარეული თხაა,  
ქურციკი.

**ჯეკ:** გამოჯეკილი 297,20 გამო-  
ბრძმედილი, გამწაფული, მიჩვე-  
ული.

**ჯერანი** ნ. ჯეირანი.

**ჯვარი** 44,19 ადგილი, სადაც ლო-  
ცულობენ, ან ვის სახელზედაც  
ლოცულობენ. განთქმულია რა-  
მოდენიმე ჯვარი: ხამატისა, ლა-  
შარისა, გუდანისა და სხვა. ეს  
სიტყვა სინონიმია ხატისა.

**ჯინა** 62,6 მოწნული საწოლი.

**ჯიხვი** ჩევეულებრივი გაგების გარ-  
და (205,17) ეს სიტყვა ყანწსაც  
აღნიშვნას, რომელიც ჯიხვის რქე-  
ბისაგანაა გაკეთებული: 163,16;  
166,35; 188,10; 248,30; 307,8.

**ჯიჯია** 241,32 ჩიჩია, ხორცი (ბავ-  
შვის ენაზე).

**ჯიჯლიბო** 173,29 მამლის თავის  
სამკაული.

**ჯორ:** მიჯორა 315,6 გალანძლი.

**ჯოყარი** 30,27; 46,11; 222,10;  
421,17 „მსხევილ-ლეროიანი ბა-  
ლახი: ჯოყარი ანწლისა, ბორ-  
ხვენისა, ლემხურასი, ღიყისა და  
სხვ.“ (ვაჟა); გამხმარი ლერი ბა-  
ლახისა.

**ჯუბა** 59,14; 63,25; 287,1 „შინა-  
ური შალის კაბა“ (ვაჟა).

ჰაგასტანი 298,34 სომხეთი.  
 ჰაოს 292,1 სომხების ეპონიმი  
 (ქართლის ცხოვრებით). შდრ.  
 ქართლოს.  
 ჰბაქავა 255,13 ნ. ბაქვა.

ჰმიერ-ჰმიერობ 257,6 ნ. მიერ-  
 მოერთი.  
 ჰქშერობ 48,11 იმეტებ.  
 ჰყუნტია 162,28 დაყუნტებულია.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პოეზია

1. ახუნდი . . . . .	3
2. ნანგრევთა შორის . . . . .	13
3. ბრძენი ვირი . . . . .	19
4. გველის-მჭამელი . . . . .	25
5. მამიღის დანაბარები . . . . .	61
6. უილბლო ილბლიანი . . . . .	67
7. ძალლიკა ხიმიკაური . . . . .	121
8. სული ობლისა . . . . .	132
9. სიტყვა . . . . .	148
10. ნახევარ-წიწილა . . . . .	151
11. ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი . . . . .	175
12. ლილა და კვირისა . . . . .	197
13. მთათა ერთობა . . . . .	203
14. დედა-შვილები . . . . .	239
15. საშობაო ამბავი . . . . .	247
16. სვინიდისი . . . . .	252
17. კაცი მართალი . . . . .	268
18. მანდილი . . . . .	275
19. ჰაოს და ქართლოს . . . . .	292

### დ ა მ ა ტ ვ გ ა

20. ქართული ქორწილი (დაუმთავრებელი პოემა) . . . . .	307
21. ერთის სიყვარულის ამბავი (დაუმთავრებელი ვარიანტი პოემისა „ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი“) . . . . .	319
22. უსათაურო (პოემის ნაწყვეტი) . . . . .	348
23. გული-ბედერული (დრამის ნაწყვეტი) . . . . .	352
24. დაჩაგრული მესტვიოე (ყრმობის დროინდელი პოემა) . . . . .	355

### შ ი ნ ა ა რ ს ი

ვარიანტები. შენიშვნები. პიბლიოგრაფია (ა. აბაშელის)	377
ვაეჯას ლექსიკონი (პროფ. ა. შანიძის)	449

მზადდება დასაბეჭდად  
ვაჟა-ფშაველას თხზულებათა  
ენცონოგრაფიული კონკრეტული

სახელმწიფო გამოცემალ  
გამოცემა და იზიდვა სახელმწიფო უნივერსიტეტი



# „პაროული სარწყი კონი“

პროფ. ა. შავიძის რედაქციით

I

## ხევსურული

შინაარსი:

შინაარსი

- I. საგვირონო
- II. სატრიბუნო
- III. სევადასევა

1. სალდათობა და ოში
2. სტუმარ-გასპინძლობა
3. ცალირება
4. სიკვდილი
5. თავიულებანი
6. გალერეაბა
7. ნარჩენი
8. მთიაბლური

შენიშვნები და ვარიაციები

დამატებანი

ინდექსები

1. დათვიული ნიშვნები
2. ჩამონა-ზომერებანი
3. მოამბები
4. გათვალისწინები
5. ლექცია საჭიროები

რიგი უკიცავს 708 გვერდს

ფასი 6 მანეთი

ყდით 7 გ. 50 კ.

7182

